

ფიოდორ დოსტოევსკი

მარადი ქმარი



სარჩევი

- I - ველჩანინოვი
- II - კრეპიანი შლაპის მქონე ვაჟბატონი
- III - პაველ პავლოვიჩ ტრუსოცკი
- IV - ცოლი, ქმარი და საყვარელი
- V - ლიზა
- VI - უსაქმო კაცის ახალი ფანტაზია
- VII - ქმარი და საყვარელი ერთმანეთს კოცნიან
- VIII - ლიზა ავად არის
- IX - მოჩვენება
- X - სასაფლაოზე
- XI - პაველ პავლოვიჩი ცოლს ირთავს
- XII - ზახლებინინებთან
- XIII - ვის ბარობაზე მოდის მეტი
- XIV - საშენკა და ნადენკა
- XV - გასწორდნენ
- XVI - ანალიზი
- XVII - მარადი ქმარი

მარადი ქმარი

ფიოდორ დოსტოევსკი

I - ველჩანინოვი

ზაფხული დადგა და ველჩანინოვი, მოულოდნელად, პეტერბურგში დარჩა. სამხრეთ რუსეთისაკენ გამგზავრება ჩაეშალა, საქმეს კი საშველი არ ადგებოდა. ეს საქმე – მამულის გამო დავა – ამ ბოლო ხანს უკუღმა შეტრიალდა. მართალია, ჯერ კიდევ სამიოდე თვის წინათ არცთუ ძნელი მოსაგვარებელი ჩანდა, თითქოს გადაწყვეტილიც იყო, მაგრამ ყოველივე როგორღაც ერთბაშად შეიცვალა. "ისედაც, ყველაფერი საუარესოდ იცვლებაო!" – ამ სიტყვებს ველჩანინოვი ახლა ხშირად და გესლიანად იმეორებდა გულში. მარჯვე, ძვირიანი, ცნობილი ვექილი ჰყავდა აყვანილი, ფულს არ იშურებდა; მაგრამ მოუთმენლობისა და იჭვნეულობის გამო მაინც ვერ ახერხებდა, გულხელდაკრეფილი მჯდარიყო: კითხულობდა და წერდა ქაღალდებს, თუმცა მათ ერთთავად იწუნებდა ვექილი; დარბოდა საკრებულოდან საკრებულოში, კრებდა ცნობებს. ოღონდ, ხელის შეშლის მეტი, ეტყობა, არა გამოსდიოდა რა. ყოველ შემთხვევაში, ვექილი ჩიოდა ამის გამო და ლამობდა, როგორმე აგარაკზე გაესტუმრებინა იგი. მაგრამ ველჩანინოვს აგარაკზე წასვლაც არ ეპიტნავენოდა. ნერვების გამაღიზიანებელი მტვერით, სიცხით, თეთრი პეტერბურგული ღამეებით – აი, რით იამებდა გულს სატახტო ქალაქში დარჩენილი. ბინა სადღაც დიდ თეატრთან დაიდო, ამ ცოტა ხნის წინათ დაექირავებინა, მაგრამ აქაც არ გაუღიმა ბედმა: "არაფერი არ მიმართლებსო!" იპოქონდრიაც დღითი დღე ეძალეობდა; მაგრამ იპოქონდრიისადმი რა ხანია უკვე მიდრეკილი გახლდათ. ეს იყო ლაღად და ხელგაშლილად ნაცხოვრები კაცი, ახალგაზრდულ ასაკს უკვე კარგა ხნის გადაცილებული, ასე, ოცდათვრამეტი თუ ოცდაცხრამეტი წლისა. სიბერემ – როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე – "თითქმის სრულიად მოულოდნელად" მოუკაკუნა კარზე; თუმცაღა, თვითონვე ესმოდა, რომ წელთა სიმრავლეს კი არა, უწინარეს ყოვლისა, განვლილი წლებისა, ასე ვთქვათ, შინაარსს მოეტეხა. და თუ სიძაბუნე უკვე დაღს ასვამდა, უმაღლ შინაგანად, ვიდრე გარეგნულად შესახედავად ჯერაც ყოჩაღად გამოიყურებოდა. მაღალ-მაღალი, ჩასკვნილი, ქერა კაცი იყო. ხშირ თმაში ჯერ თეთრი არ გამოჩნდებოდა. გრძელი ქერა წვერი ღამის შუაგულ მკერდზე სცემდა; ერთი შეხედვით, ეგების, რამდენადმე მოუხეშავი და მოშვებული მოგეჩვენებოდათ; მაგრამ, თუ ყურადღებით დააკვირდებოდით, უმაღლვე შეიცნობდით ჩინებულად თავშემონახულ და ოდესღაც ყველაზე მაღალი საზოგადოების კვალობაზე აღზრდილ ვაჟბატონს. ქცევა და მიხრა-მოხრა ახლაც ლაღი, თამამი, მოხდენილიც კი ჰქონდა, თუმცა ბუზლუნის და დაუდევრობა, ეს ორი კეთილშენადენი თვისება დასჩემებოდა. ასე გასინჯეთ, ჯერაც მოსდგამდა ყოვლად ურყევი, მაღალი წრის ადამიანისათვის ნიშნეული, უაღრესად კადნიერი თავდაჯერება; ოღონდ, რა ზომამდე აღწევდა ეს მისი თავდაჯერება, თვითონ იქნებ გუმანითაც ვერ ხვდებოდა, თუმცა არამცთუ საზრიანი, ზოგჯერ გონიერი ადამიანიც ეთქმოდა, საკმაოდ განათლებულიც იყო და უდავოდ მრავალმხრივ ნიჭიერიც. მისი გულლია, დაჟღაჟა სახის ფერი ერთ დროს ქალური სინაზით გამოირჩეოდა და მშვენიერი სქესის ყურადღებას იპყრობდა; ახლაც რომ შეეხედა კაცს, იტყოდა: "რა ჯანიანი ვინმეა, ლოყებიც როგორ წითლად უღვივისო!" და მაინც ეს "ჯანიანი ვინმე" სასტიკი იპოქონდრიით გახლდათ შეპყრობილი. მისი დიდრონი, ცისფერი თვალები ამ ათიოდე წლის წინათ ძალმოსილებას მეტყველებდა; ისეთი ნათელი, ისეთი ხალისიანი და

უზრუნველობით აღსავსე თვალები ჰქონდა, მათი პატრონი ძალაუნებურად იზიდავდა ყველას. ახლა, როცა აგერ ორმოც წელს მიატანა, სინათლისა და სიკეთის სხივი თითქმის ჩაუქრა ამ თვალებში, უპეები შეუნაოჭდა კიდეც; ახლა მზერაში გამოუკრთოდა არცთუ მთლად ზნეობრივი, მოღლილი კაცის ცინიზმი, ცბიერება, უფრო ხშირად დაცინვა და კიდეც ახალი, წინათ უცნობი რამ: ანარეკლი სევდისა და გულისტკივილის, – რაღაცნაირი გაურკვეველი, თითქოსდა უსაგნო, მაგრამ მძაფრი სევდის. მეტადრე მაშინ მოეძალებოდა ხოლმე ეს სევდა, როცა მარტო რჩებოდა. ჰოდა, გასაოცარია, ჯერ კიდევ ორიოდე წლის წინათ ეგზომ ხალისიან, უზრუნველ კაცს, ვისაც ესოდენ ემარჯვებოდა სასაცილო ამბების თხრობა – ახლა სრულიად მარტო დარჩენას აღარაფერი ერჩივნა. მან განზრახ მრავალ ოჯახთან გაწყვიტა კავშირი, თუმცა შეეძლო მათთან კვლავაც ჰქონოდა ნაცნობობა, მიუხედავად იმისა, რომ ფულის საქმე აშკარად აეწეწა. ისიც მართალია, აგრე პატივმოყვარეობის გავლენითაც მოიქცა: იმნაირი იჭვნეული და თავმოყვარე ვინმე გახლდათ, ადრინდელ ნაცნობებთან შეხვედრას სწორედ რომ ვერ აიტანდა. მაგრამ რაც ასე განმარტოვდა, ეს მისი პატივმოყვარეობაც თანდათან იცვლიდა სახეს. პატივმოყვარეობა არც განელეგია, ის კი არადა – პირიქით, კიდეც უფრო გაუმძაფრდა, ოღონდ ახლა რაღაცნაირი განსაკუთრებული ყაიდის პატივმოყვარეობად გადაუგვარდა, იმგვარ პატივმოყვარეობად, რაც უწინ სრულიად უცხო იყო მისთვის. ამ გრძნობას ზოგჯერ იმგვარი მიზეზები უბღალავდა, წინათ აინუნშიაც რომ არ ჩააგდებდა. ეს იყო ადრინდელთან შედარებით "უმაღლესი" რიგის მიზეზები, "თუკი შეიძლება ასე ეწოდოს მათ, თუკი მართლაც არსებობს უმაღლესი და უმდაბლესი რიგის მიზეზებიო", დასძენდა ხოლმე თვითონ. დიახ, ამ ზომამდეც მივიდა; თავს იმტვრევდა უმაღლესი მიზეზებისათვის, ისეთი რამეების გამო, წინათ რომ არც კი ჩაუფიქრებოდა. გონებაში, სინდისის კარნახით, იგი უმაღლესს უწოდებდა ყველა იმ "მიზეზს", რომელთა

გამოც (თავისდა გასაკვირად) არამც და არამც არ შეეძლო გულში ეცინა, – რისთვისაც აქამდე არასოდეს მიუქცევია ყურადღება, – ოღონდ გულში, რაღა თქმა უნდა; ო, საზოგადოებაში როცა ხარ, სულ სხვა საქმეა! აკი მშვენივრად უწყოდა: შესაფერისი გარემოება შექმნილიყო, ხვალვე სრულიად გულარხეინად, ხმამაღლა უარყოფდა ყველა ამ "უმაღლეს მიზეზს", მიუხედავად სინდისის იდუმალი და მხურვალე ღაღადისა. უარყოფდა და პირველი თვითონ აიგდებდა მათ სასაცილოდ, თანაც, რასაკვირველია, არც არაფერში გამოტყდებოდა. და ეს ნამდვილად ასე იქნებოდა, თუმცა აქამდე "უმდაბლესი მიზეზების" ტყვეობაში მოქცეულს ამ ბოლო დროს მათი საპირისპირო, გარკვეული და ფრიად დამოუკიდებელი აზრი შეუმუშავდა. ან რამდენჯერ მომხდარა, როცა დილით ლოგინიდან წამომდგარა, უძილო ღამის ფიქრებისა თუ განცდების გამო სირცხვილი უგრძვნია! (ამ ბოლო დროს კი სულ ერთთავად უძილობა ტანჯავდა). კარგა ხანი იქნებოდა შენიშნა, რომ მეტისმეტად იჭვნეული გახდა, სულერთია, რაიმე მნიშვნელოვანს ეხებოდა საქმე თუ წვრილმანს. ამიტომ კიდეცაა გადაწყვიტა, რაც შეიძლება ნაკლებად ვენდობი საკუთარ თავსო. მაგრამ, მართლა ისეთი რამ დასჩემდა, რასაც თვალს ვეღარასდიდებით მოუხუჭავდა. ეს ერთი ხანი იყო, ზოგჯერ ღამღამობით, ფიქრები თუ გრძნობები ჩვეულებრივთან შედარებით თითქმის მთლიანად ეცვლებოდა და მეტწილად სრულებით აღარ უგავდა იმას, რასაც დღის პირველ ნახევარში გრძნობდა და ფიქრობდა ხოლმე. ამ ამბავმა განაცვიფრა და ერთ ცნობილ ექიმს რჩევისთვისაც კი მიმართა; იმ ექიმს იცნობდა კიდეც. რასაკვირველია, ხუმრობით ჩამოუგდო სიტყვა. პასუხად შეიტყო, რომ აზრთა თუ გრძნობის

ცვლილების, გინდათ გაორების ფაქტი ღამეული უძილობის დროს, საერთოდ ღამდამობით, საყოველთაოდ გავრცელებული ფაქტი ყოფილა "ძალუმი აზროვნებისა და ძალუმი გრძობის" ადამიანებს შორის. ისეთი შემთხვევებიც ყოფილა – ადამიანს მთელი ცხოვრების მრწამსი ანაზღეულად შესცვლია თურმე ღამისა და უძილობის მელანქოლიური გავლენით. მოულოდნელად, უმიზეზოდ, საბედისწერო გადაწყვეტილებას დასდგომია. მაგრამ, ყველაფერ ამას, რასაკვირველია, გარკვეული მიჯნაც აქვსო; და თუ პიროვნება, ბოლოს და ბოლოს, ამ გაორების მეტისმეტად მძაფრ ზეგავლენას განიცდის, ისე რომ კიდევაც იტანჯება – უდავოდ იმის მომასწავებელია, ავადმყოფობას უჩენია თავიო. მაშასადამე, საჭიროა დაუყოვნებლივ რაიმე ზომების მიღებაო. ყველაზე უმჯობესია ცხოვრების წესის შეცვლა, დიეტა, ანდა სულაც სამოგზაუროდ წასვლა; ცხადია, სასაქმებელიც რგებსო. ველჩანინოვმა მეტად აღარ მოუსმინა. ავადმყოფობა აშკარად დაუდასტურეს. "მაშ ასე, ეს ყველაფერი ავადმყოფობა ყოფილა; ეს "უმაღლესის" გამო წუხილი სნეულების ნაყოფია და მეტი არაფერი!" – გესლიანად აღმოხდებოდა ხოლმე ხანდახან. მართლაც ძალიან ეძნელებოდა ამ ამბავთან შერიგება. მალე დილდილაობითაც იგივე გაუმეორდა, რაც მხოლოდ და მხოლოდ ღამეულ ჟამს ემართებოდა ხოლმე. ოღონდ, გაუმეორდა ღამეულ საათებთან შედარებით ნალველის მომეტებული მოძალებით. სინანულის წილ ახლა ბოღმა მოერეოდა ხოლმე, გულის აჩვილების მაგიერ დაცინვის ჟინი აიტანდა. კაცმა რომ თქვას, მხოლოდ ის ემართებოდა, რომ სულ უფრო და უფრო ხშირად აგონდებოდა თავისი წარსული ცხოვრების ზოგიერთი მივიწყებული შემთხვევა. აგონდებოდა "მოულოდნელად და ღმერთმა უწყის რატომ", ოღონდ მუდამ რაღაცნაირი განსაკუთრებული ელფერით შეფერილი. ველჩანინოვი, მაგალითად, დიდი ხანია უკვე მეხსიერების ღალატს უჩიოდა: ავიწყდებოდა ნაცნობ ადამიანთა სახეები, და ეს ნაცნობები შეხვედრისას საყვედურობდნენ ამის გამო; ნახევარი წლის წინათ წაკითხული წიგნი ზოგჯერ სრულიად ამოუვარდებოდა გონებიდან. მერედა რა გგონიათ? ამ გულმავიწყობის მიუხედავად (რაც ერთობ აწუხებდა) – ყველაფერი, რაც დიდი ხნის წარსულ ამბებს შეეხებოდა, ყველაფერი, ამ ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე თითქმის სავსებით დავიწყებული რომ ჰქონდა – ახლა ყოველივე დროდადრო უეცრად ამოტივტივდებოდა ხოლმე, მაგრამ შთაბეჭდილებათა და წვრილმანთა ისეთი განსაცვიფრებელი სიზუსტით, თითქოსდა იმ გარდასულს ახლად განიცდისო. ზოგი შემთხვევა იმდენად დავიწყებული ჰქონდა, რომ მარტო ისიც კი ეჩვენებოდა სასწაულად, როგორ აღდგაო მეხსიერებაში. მაგრამ ეს ჯერ კიდევ ყველაფერი როდი იყო. ან რომელი ადამიანი გინახავთ, ხელგაშლილი ცხოვრება გაეტარებინოს და უჩვეული რამ მოგონებები არ გამოჰყოლოდეს? საქმე ის იყო, მეხსიერებაში გაცოცხლებული შემთხვევა სულ სხვა კუთხით უბრუნდებოდა; ამ შემთხვევას სრულიად ახლებური, მოულოდნელი, წინათ ყოვლად წარმოუდგენელი თვალსაზრისით ჰვრეტდა. რატომ მიაჩნდა ახლა ზოგ-ზოგი მოგონება ნამდვილ დანაშაულად? არცთუ მხოლოდ მისი გონების მსჯავრი იყო აქ უმთავრესი. თავის ამ პირქუმ, მარტოხელა კაცის სნეულ გონებას ხომ არც კი ერწმუნებოდა; თავი და თავი ის იყო, საქმე წყევლა-კრულვამდე, ღამის ცრემლებამდეც მიდიოდა, თანაც გარეგნული კი არა, შინაგან მოთქმამდე. აკი ჯერ კიდევ ორიოდ წლის წინ არც კი დაიჯერებოდა, თუ ოდესმე ცრემლი მოერეოდა! თავდაპირველად, მაინც, უფრო მეტად გულისმომწყვლეული შემთხვევები აგონდებოდა და არა გულის ამჩვილებელი: მოაგონდებოდა მაღალ საზოგადოებაში ნაწვნივი მარცხი, დამცირება; გაახსენდებოდა, მაგალითად, როგორ "დასწამა ცილი ერთმა ინტრიგანმა", რის გამოც ერთ-ერთი სახლის

კარი გამოუკეტეს; ან საქვეყნოდ როგორ შეურაცხევს არცთუ ისე

დიდი ხნის წინათ, შეურაცხმყოფელი კი დუელში არ გამოიწვია. როგორ ჩააჩუმეს ერთხელ ლამაზ ქალთა მარაქაში გარეული მეტად მახვილგონივრული ეპიგრამით, პასუხის გაცემა კი ვერ მოახერხა. ორი-სამი გაუსტუმრებელი ვალიც გაახსენდა. მართალია, წვრილმანი ვალები იყო, მაგრამ ღირსების საკითხი გახლდათ, თანაც ისეთი ხალხისა ემართა, ვისთან ურთიერთობაც უკვე გაწყვეტილი ჰქონდა და მათ უდიერად იხსენიებდა კიდევ. აწამებდა აგრეთვე (მხოლოდ მომეტებული გაბოროტების წუთებში) ორჯერ მთლად უგუნურად გაფლანგული ქონების გახსენება, მით უფრო, რომ ორჯერვე კარგა დიდი ქონება გაანიავა. მაგრამ მალე "უმაღლესი" რიგის შემთხვევებმაც შეახსენეს თავი. უცებ, მაგალითად, "სრულიად უმიზეზოდ" თვალწინ დაუდგებოდა სავსებით გადავიწყებული მოხუცებული ჭადარა მოხელის, ერთი გულკეთილი და სასაცილო ბერიკაცის, სახე. და, აი, ეს ბერიკაცი ოდესღაც, დიდზე დიდი ხნის წინათ, მან საჯაროდ გულარხეინად შეურაცხყო, მხოლოდ და მხოლოდ თავმომწონეობის გამო: რა არის ტყუილუბრალოდ არ დაკარგულიყო ერთი საოხუნჯო მახვილი კალამბური, რამაც სახელი გაუთქვა და მერმე სხვებიც იმეორებდნენ. ეს შემთხვევა იმდენად დავიწყებული ჰქონდა, ბერიკაცის გვარიც კი ვერ გაეხსენებინა, თუმცა ამბის სრული სურათი მცისვე გასაოცარი სიცხადით წარმოუდგა. ნათლად მოაგონდა, რომ ის ბერიკაცი მაშინ თავის შინაბერა ქალიშვილს ესარჩლებოდა, ვის გამოც ქალაქად რაღაც ჭორები დარხეულიყო. ბერიკაცმა პასუხის გაცემა სცადა, გაცხარდა კიდევ; მაგრამ უცებ ტირილი წასკდა მთელი საზოგადოების თვალწინ, რამაც ერთგვარი შთაბეჭდილებაც მოახდინა. ეს ამბავი იმითი დასრულდა, რომ ბერიკაცი სეირის გულისთვის მაშინ შამპანურით დაათვრეს და სიცილით გული იჯერეს. და როცა აგერ ველჩანინოვს "სრულიად უმიზეზოდ" მოაგონდა, როგორ ქვითინებდა ბებრუხანა, როგორ იფარებდა სახეზე ხელებს პატარა ბავშვივით, უნებურად ეგონა, თითქოს ეს ამბავი არც არასოდეს დავიწყებოდეს. ჰოდა, უცნაურია: ეს ყველაფერი მაშინ ძალზე სასაცილოდ ეჩვენებოდა; ახლა კი – პირიქით; და სწორედ წვრილმანები, სწორედ პირზე ხელის აფარება უკლავდა გულს. მერმე მოაგონდა, მხოლოდ და მხოლოდ სეირისთვის ცილი როგორ დასწამა ერთი სკოლის მასწავლებლის ფრიად სანდომიან ცოლს, და ეს ცილისწამება ქმრის ყურს ჩასწვდა. ველჩანინოვი მალე გაემგზავრა იმ ქალაქიდან და არ იცოდა, რა შედეგი მოჰყვა მაშინ მის ცილისწამებას, მაგრამ ახლა უცებ წარმოიდგინა, რა შეიძლებოდა დატრიალებულიყო, – ჰოდა, ღმერთმა უწყის, რა საშინელებას დაუხატავდა საკუთარი წარმოსახვა, თუ მოულოდნელად არა სწვეოდა სხვა, გაცილებით უახლესი მოგონება. ერთი ქალიშვილი მოაგონდა, მდაბიოთაგანი, რომელიც არცთუ მოსწონდა და, სიმართლე ითქვას, ერცხვინებოდა კიდევ მასთან კავშირი; მაგრამ თვითონაც არ იცოდა რატომ, ბავშვი კი გაუჩინა; მერმე ადგა და ბავშვიანად მიატოვა, არც კი გამომშვიდობებია (მართალია, დრო აღარ ეყო საამისოდ), როცა პეტერბურგიდან აიბარგა. ამ ქალიშვილს შემდეგ მთელი წელიწადი დაემებდა, მაგრამ ველარსად მიაკვლია. თუმცაღა, ამგვარი მოგონებანი ლამის ასობით აღმოაჩნდებოდა ხოლმე – მერმე ისიც ხდებოდა, ყოველი მოგონება ათობით სხვასაც მოიყოლებდა. თანდათან პატივმოყვარეობაც ელახებოდა. ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, რომ პატივმოყვარეობა რაღაც განსაკუთრებული ყაიდისად გადაუგვარდა. ეს მართლაც ასე გახლდათ. ხანდახან (თუმცა, იშვიათად) იმგვარ თავდავიწყებას მიეცემოდა, ისიც კი აღარ ეთაკილებოდა, საკუთარი ეკიპაჟი რომ არ გააჩნდა, საკრებულოებში ფეხით რომ დაჩანჩალებდა და ჩაცმა-დახურვის მხრივაც, ცოტა არ იყოს, დაუდევრობას

იჩენდა. თუ მოხდებოდა, რომელიმე მისი ძველი ნაცნობი ქუჩაში გამქირდავად აათვალთქონებდა, ან სულაც თვალს აარიდებდა, საამისო ქედმაღლობა, ღმერთმანი, ჰყოფნიდა, ეს ამბავი აინუნშიაც არ ჩაეგდო. დასტურ არად ჩაეგდო, განა მოსაჩვენებლად. რაღა თქმა უნდა, ამგვარი რამ იშვიათად ემართებოდა, მხოლოდ თავდავიწყებისა და გაღიზიანების ჟამს, მაგრამ ეს მისი პატივმოყვარეობა თანდათან მაინც სულ უფრო ნაკლებად დამოკიდებული ხდებოდა ადრინდელ მიზეზებზე და სულ უფრო მეტად უკავშირდებოდა ერთ კითხვას, რომელიც განუწყვეტლივ თავში უტრიალებდა. " – აიო, – დაიწყებდა ხოლმე ხანდახან ფიქრს დამცინავად (ხოლო როცა თავის თავზე ფიქრობდა, მუდამაც დაცინვით იწყებდა ხოლმე), – აი, ხომ ზრუნავს ვიღაცა ჩემი ზნეობისათვის, ამ წყეულ მოგონებებს თუ "სინანულის ცრემლებს" რომ მიგზავნისო. დაე, აგრე იყოს, ოღონდ ამაო გარჯა გახლავთ! ეს ყველაფერი ხომ წყლის ნაყვია! განა დაბეჯითებით არ ვიცი, რომ, ამ ჩემი სინანულის ცრემლებისა და თავის განკიცხვის მიუხედავად, იოტის ოდენი დამოუკიდებლობა არ გამაჩნია, თუ აგერ ოთხი ათეული წელი კი გავლიე! აი, ხვალ რომ რაიმე საცთურს გადავეყარო, ვთქვათ, კვლავ იმგვარი გარემოება შეიქმნას, ხელს მაძლევდეს ჭორი გავავრცელო, მასწავლებლის ცოლი ჩემგან საჩუქარს იღებდა-მეთქი – ხომ მართლაც გავავრცელებ, არც შევყოყმანდები, ისე გავავრცელებ. და ხომ პირვანდელზე უარესი, კიდევ უფრო უხამსი რამ გამოვა ამჯერად, რაკი იგივე ამბავი უნდა გავიმეორო. ანდა, ერთი სცადოს და კვლავაც შეურაცხმყოს იმ დედისერთა თავადიშვილმა, ამ თვრამეტი წლის წინათ ტყვიით რომ მივუმსხვრიე ფეხი, სცადოს

და ნახავს, თუ მაშინვე არ გამოვიწვევ და ისევ ომბოხზე არ შევასკუპებ. ჰოდა, მაშ წყლის ნაყვია არ ეთქმის ყველაფერ ამას! მაშ, რის მაქნისია ეს ყველაფერი! რისთვისღა უნდა განმიახლონ მოგონებები, როცა საიმისო ძალაც არ შემწევს, რამდენადმე მაინც ხეირიანად გავემიჯნო საკუთარ თავსა და წარსულს!". და თუმცა მეტად აღარ მეორდებოდა მსგავსი შემთხვევა, არცთუ სახიჩარს ხდიდა ვინმეს, მაგრამ მარტოოდენ იმის ფიქრი, რომ ეს უეჭველად განმეორდებოდა, თუ ხელსაყრელი ვითარება შეიქმნებოდა, ლამის გულს უკლავდა... ზოგჯერ. აბა, სულ მუდამ მოგონებებს ხომ არ უნდა ეტანჯა მართლა და მართლა. შიგადაშიგ არც დასვენება აწყენდა, არც გასეირნება. ველჩანინოვი აგრე იქცეოდა: შიგადაშიგ, გასეირნებაზე უარს არ ამბობდა; მაგრამ, მაინც, რაც დრო გადიოდა, მით უფრო უსიამო ხდებოდა ეს მისი პეტერბურგული ცხოვრება. თან უკვე ივლისიც ახლოვდებოდა. ხანდახან ლამის იყო გადაეწყვიტა, ყველაფერი მიეტოვებინა, მამულის გამო დავასაც მოშვებოდა და უცებ ალაღბედად გამგზავრებულიყო საითმე. თუნდაც იმავე ყირიმისაკენ. მაგრამ ერთი საათის შემდეგ, ჩვეულებრივ, უკვე სძაგდა ეს თავისი აზრი და სასაცილოდაც არ ჰყოფნიდა... "ამ აბეზარ ფიქრებს, რაკი ერთხელ წარმომეშალა, ვერავითარი სამხრეთი ველარ გამიფანტავს; თუ ოდნავ წესიერი კაცი მეთქმის, ველარსად გავექცევი მათ და, მერე, არც საჭიროა". "ან რატომ უნდა გავიქცე, – კვლავ ტვინს იჭყლიტავდა დარდისაგან, – აქ ისეთი მტვერი, ისეთი შეხუთული ჰაერია; ამ სახლში კიდევ ყველაფერი ისეა მითხვრილ-მოთხვრილი; იმ საკრებულოებშიც, საცა ხეტიალი მიხდება, ეს უამრავი საქმიანი ხალხი ისეთ ყოვლად წვრილმან საზრუნავსაა გადაგებული, იმნაირი უთავბოლო ფუსფუსითაა გართული; საითაც უნდა გაიხედო, ყველას ისე გულუბრყვილოდ და გულახდილად აწერია სახეზე მთელი მათი თავმომწონეობა, მიაშიტური თავხედობა, მთელი მათი სულმოკლეობა და გულნამცეცობა, რომ აქ სამოთხეა იპოქონდრიით შეპყრობილისთვის. ხუმრობით როდი ვამბობ ამას!

ყველაფერი აშკარაა, ყველაფერი ნათელია, არავინ საჭიროდაც კი არა თვლის, თავი შეინიღბოს, როგორც ეს ჩვენს ქალბატონებს სჩვევიათ, როცა სადმე აგარაკად ან კიდევ წყლებზე იმყოფებიან საზღვარგარეთ. ჰოდა, რახან აგრეა, ყველაფერი გაცილებით უფრო დიდი პატივისცემის ღირსიცაა, მარტოდენ მაგ გულახდილობისა და მიამიტობისათვის... არსადაც არ წავალ! თუნდაც ჭიჭინაზე გავსკდე, ფეხს არ მოვიცვლი აქედან!.."

II - კრეპიანი შლაპის მქონე ვაჟბატონი

ივლისის სამი იყო. აუტანელი პაპანაქება იდგა. ამ დღეს ველჩანინოვს ნამდვილი გაწამაწია დაადგა: ჯერ იყო და დილიდანვე აქეთ-იქით სირბილი მოუხდა, სადამოს კი ერთი მეტად საჭირო ვაჟბატონი, საქმოსანი და სახელმწიფო მრჩეველი უნდა ენახა აუცილებლად. იმ კაცისათვის საკუთარ აგარაკზე, სადღაც ჩორნაია რეჩკაზე უნდა მიეკითხა და როგორმე შინ მოეხელებინა. მეექვსე საათი იქნებოდა, როცა ველჩანინოვმა ბოლოს და ბოლოს ნევის პროსპექტზე პოლიციის ხიდთან მდებარე ერთი რესტორნის კარი შეაღო (ერთობ საეჭვო, მაგრამ ფრანგული რესტორანი გახლდათ), ამოჩემებულ კუთხეში თავის მაგიდას მიუჯდა და ყოველდღიური კერძი მოითხოვა. დღენიადაგ მანეთის სადილს მიირთმევდა, ღვინისას კი ცალკე იხდიდა და კიდევ ამას თვლიდა თავისი აწეწილი საქმეებისათვის კეთილგონივრულად გაღებულ მსხვერპლად. მუდამ უკვირდა, როგორ შეიძლება ამგვარი საძაგელი რამ ჭამოსო კაცმა და მაინც უკანასკნელ ფინჩხამდე მუსრს ავლებდა ყველაფერს; მერედა ყოველთვის ისე მადიანად ილუკმებოდა, კაცს ეგონებოდა, სამი დღის უსმელ-უჭმელიაო. "ესეც რაღაც ავადმყოფური მჭირსო", – ჩაიბურტყუნებდა ხოლმე, როცა თავის მგლურ მადას გულისყურს მიაპყრობდა. მაგრამ ამჯერად მეტად საძაგელ გუნებაზე მყოფი მიუჯდა თავის მაგიდას, გაჯავრებულმა შლაპა სადღაც მოისროლა, სუფრას ჩამოეყრდნო და ფიქრს მიეცა. ვინიცობაა ახლა რომელიმე მეინახეთაგანი აფუსფუსებულებიყო, ანდა მომსახურე ბიჭი პირველ სიტყვაზევე ვერ მიხვდომოდა სათქმელს, ალბათ იუნკერივით იღრიალებდა და ერთ ამბავს დააწევდა, თუმცა, საერთოდ, დიახაც ეხერხებოდა თავის დაჭერა, ხოლო როცა სჭირდებოდა, ქედმაღლური უშფოთველობის განსახიერება გახლდათ. სუპი მოართვეს. კოვზს დასწვდა, მაგრამ უცებ, არც კი ამოურევია, ხელიდან გააგდო და კინალამ სკამიდან წამოვარდა. მეყსეულად ერთი მოულოდნელი აზრი მოუვიდა: ამ წამს მან, – ღმერთმა უწყის როგორ, რა ალღოთი – უცებ სავსებით შეიცნო თავისი ნაღვლის მიზეზი, განსაკუთრებული, აბეზარი ნაღვლისა. ამ ბოლო ხანს, უკვე რამდენიმე დღე ზედიზედ, სულ ერთთავად ეს ნაღველი აწვალებდა. ღმერთმა იცის, საიდან შემოეხიზნა, ანდა რატომ არასდიდებით არ ეხსნებოდა. ახლა კი ერთბაშად ყველაფერს მიხვდა, ყველაფერი ხუთი თითივით ნათელი გაუხდა. " – სულ იმ შლაპის ბრალია! – წაიდუდუნა თითქოსდა შთაგონებულმაო, – სულ ყველაფრის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ ის წყეული მრგვალი შლაპა, სამგლოვიარო, საზიზღარკრეპიანი შლაპა!" ჩაუფიქრდა და რაც უფრო გულისყურით უკვირდებოდა, მით უფრო მეტად ეღუშებოდა სახე, მით უფრო ეუცნაურებოდა "მთლიანად ის შემთხვევა". "კი, მაგრამ... მაინც სადაური შემთხვევა ეთქმის ნეტავ? – ლამობდა გაჯიუტებულიყო, რადგან არ უნდოდა საკუთარ თავს რწმუნებოდა, – განა თუნდაც რაიმეთი ჰგავს კი შემთხვევას?" აი, რა გაახსენდა: თითქმის ორი კვირა გამოხდა მას აქეთ (დანამდვილებით არ ახსოვდა, მაგრამ აგრე ვარაუდობდა), რაც პირველად შეხვდა ერთ ვაჟბატონს, რომელსაც შავარშიიანი შლაპა ეხურა. ქუჩაში გადააწყდა, სადღაც პოდიაჩესკისა და მემჩანსკის შესაყართან. ჩვეულებრივი ვაჟბატონი გახლდათ, განსაკუთრებული რაიმეთი არ გამოირჩეოდა. სწრაფად ჩაიარა, მაგრამ ველჩანინოვს რაღაცნაირად მეტისმეტი თვალჩააციებით გამოჰხედა და რატომღაც უმაღვე უაღრესად მიიქცია მისი ყურადღება. ყოველ შემთხვევაში, ველჩანინოვს თითქოს ეცნაურაო ეს

კაცი. ეტყობა, ოდესღაც, სადღაც შეხვედროდა. "თუმცაღა, რამდენი ვინ შემხვედრია ცხოვრებაში, ყველას სახეს რას დაიმახსოვრებო!" ერთი ოციოდე ნაბიჯი რომ წაიარა, თითქოს გადაავიწყდა კიდევ ეს შეხვედრა, მიუხედავად იმ პირველი შთაბეჭდილების უცნაური სიმძაფრისა. მაგრამ კვალი, თანაც საკმაოდ თავისებური, მაინც დაუტოვა გულში: მთელ დღეს რაღაცნაირი უმიზეზო, საკვირველი ბრაზი იპყრობდა. ამჟამად, ორი კვირის შემდეგ, ეს ყველაფერი ცხადად აგონდებოდა; ისიც გაახსენდა, რომ მაშინ სრულებით ვერ მიმხვდარიყო, რანაირად ჩაეღვარა ეს ბრაზი; თან ისე შორს იყო ამის მიხვედრისაგან, თავისი საძაგელი გუნება-განწყობილება მთელი იმ საღამოს განმავლობაში ერთხელაც არ დაუკავშირა და შეუწონა იმდილანდელ შეხვედრას. მაგრამ იმ ვაჟბატონმა ძალიან მალე თვითონ შეახსენა თავი. მეორე დღეს ისევ შეეჩება ველჩანინოვს ნევის პროსპექტზე, შეეჩება და ამჯერადაც რაღაცნაირად უცნაურად გამოჰხედა. ველჩანინოვმა, ადგა და, გადააფურთხა, მაგრამ, აგრე მოიქცა თუ არა, მყისვე გააკვირვა ამ თავისმა საქციელმა. თუმცა ესეც კია, ზოგს იმნაირი სიფათი აქვს, იმწამსვე უმიზეზო ზიზღი უნდა აღგიძრას. "კი, სადღაც მართლა შეხვედრივარ", – ჩაიბურტყუნა ჩაფიქრებულმა შეხვედრიდან უკვე ნახევარი საათის შემდეგ. მერე მთელი საღამო კვლავ მეტისმეტად საძაგელ გუნებაზე იდგა; ღამით რაღაც ცუდი სიზმარიც ნახა, და მაინც ვერ იაზრა, ამ ჩემი ახალი, განსაკუთრებული ნაღველის ერთადერთი მიზეზი, მხოლოდ და მხოლოდ ის მგლოვიარე ვაჟბატონიაო; ვერ იაზრა, თუმცა იმ საღამოს არა ერთხელ და ორჯერ მოჰგონებია იგი. ცოტა არ იყოს გაგულისდა კიდევ, როგორ თუ ამდენ ხანს არ მშორდება მაგ ვიღაც "არაკაცის" გახსენებაო; ხოლო აზრად რომ მოსვლოდა, მთელი თავისი მღელვარების მიზეზი ამ არაკაცისთვის მიეწერა, ამას, ალბათ, თავის დამცირებადაც ჩათვლიდა.

ორი დღის შემდეგ კვლავ გადააწყდნენ ერთმანეთს. ეს მოხდა ჯგრო ხალხში, ნევაზე მიმომავალ ერთ-ერთი გემიდან გადმოსვლის დროს. ამ მესამედ შეხვედრისას ველჩანინოვი მზად იყო დაეფიცა, რომ მგლოვიარე ვაჟბატონმა იცნო იგი, გამოქანდა კიდევ მისკენ, მაგრამ ხალხის ტალღამ უკანვე მიაწყვიტა და თან გაიტაცა; როგორც მოეჩვენა, ხელის გამოწოდებაც კი "გაუბედა"; იქნებ, წამოიყვინა კიდევ და სახელი მოაძახა. თუმცაღა, სახელის დაძახება გარკვევით არ გაუგონია, მაგრამ... "მაინც ვინ უნდა იყოს ის ოჯახქორი; თუ მართლა მცნობს და ასერიგად სურს ჩემთან მოსვლა, ხელს რაღა უშლის?" – გაიფიქრა ბრაზმორეულმა, ეტლში ჩაჯდა და სმოლნის მონასტრისაკენ გასწია. ნახევარი საათის შემდეგ უკვე თავის ვეჟილთან გაგანებდა, კამათობდა, მაგრამ საღამოთი და ღამითაც კვლავ იმ უსაძაგლესი, ყოვლად ფანტასტიკური ნაღველით იყო ატანილი. "მართლადა, ნაღველა ხომ არ მექცევიაო", – იჭვნეულად ეკითხებოდა თავის თავს და სარკეში იხედებოდა. ამგვარი გახლდათ ეს მესამე შეხვედრა. შემდეგ ხუთი დღე ზედიზედ "არავინ" შეხვედრია, იმ "ოჯახქორისა" კი თითქოს სახსენებელიც გაქრაო. ამავ დროს იშვითად, მაგრამ მაინც გაახსენდებოდა ხოლმე კრეპიანი შლაპის მქონე ვაჟბატონი. ველჩანინოვს, ცოტა არ იყოს, უკვირდა კიდევ ამის გამო: "რა აბეზარივით ამეკვიატა, რა არის? – ჰმ!.. ეტყობა კი, მასაც ბევრი საქმე უნდა ჰქონდეს პეტერბურგში. ნეტა ვის გამო ატარებს იმ კრეპს? ან რად იკეთებს ეს ხალხი კრეპს? არ უხდებათ როგორღაც... მგონი, უფრო ახლოდან თუ დავაკვირდები, ვიცნობ..." და თითქოს რაღაც იმშუმნებოდა მისი ხსოვნის ფსკერზე, ისე, ვით რომელიმე ცნობილი სიტყვა, უცებ რატომღაც რომ დაგვიწყებია და მთელის მონდომებით ღამობ გაიხსენო; ძალიან კარგად იცი ის სიტყვა, ისიც იცი, ვიციო. იცი, სახელდობრ რას აღნიშნავს, ზედ ენის წვერზე გადგას; და, აი, იმტვრიე რამდენიც

გენბოს თავი, არა და არ გახსენდება! "ეს იყო... ეს იყო დიდი ხნის წინათ... სადღაც კი იყო... აქ იყო... აქ იყო... – ერთი, ჯანდაბას ყველაფერი, რაც აქ იყო და არ იყო!.. – გაგულისებით წამოიძახა უცებ, – განა ღირს იმ ოჯახქორის გულისათვის აგრე ვეწამო და თავი დავიმცრო!" საშინლად გაბრაზდა; მაგრამ სადამოს, უეცრივ რომ გაახსენდა, როგორ გაცეცხლდა, ძალზე არ ეამა: თითქოს ვიღაცამ რაღაც საჩოთირო საქმეზე წაისწრო. შეცბა და გაკვირდა: "მაშ, ყოფილა თურმე ისეთი მიზეზები, რომელთა გამოც ასე ვბრაზდები... ვბრაზდები სრულიად მოულოდნელად... მარტოოდენ მოგონების გამო"...ამ ფიქრს აღარ გაჰყოლია. ხოლო მეორე დღეს უარესად გაცოფდა, ოღონდ, ამჯერად ფიქრობდა, საამისო საფუძველი მაქვსო და არც არაფრით გაემტყუნებოდა; "არნახული კადნიერება" იხილა; საქმე ის იყო, რომ მეოთხე შეხვედრა მოხდა. ისევ გამოეცხადა კრეპიანი ვაჟბატონი, თითქოს ქვესკნელიდან ამოდვრათ და თითქოს სწორედ იმ დროს გამოტყვრა, როცა ველჩანინოვმა ის იყო ქუჩაში დაიმარტოხელა სწორედ ის სახელმწიფო მრჩეველი, აგრერიგად რომ სჭირდებოდა და რომლის მოხელთებას კვლავაც ლამობდა, იქნებ ალაღბედად აგარაკზე მაინც შევისწროო. მაგრამ ეს მოხელე, ერთობ შორეული ნაცნობი, ვერასდიდებით ვერ მოეხელთებინა. ჩანს, ემალებოდა, ყოველნაირად გაურბოდა მასთან შეხვედრას; გახარებული ველჩანინოვი, როგორც იქნა ამ ვაჟბატონს რომ გადაეყარა, აჩქარებით გაჰყვა გვერდით, თანაც თვალებში შესცივინებდა და უკიდურესად დამაბული ლამობდა, ეს ცბიერი მოხუცი ერთ თავის საჭირბოროტო საგანზე საუბარში შეეყოლიებინა. ამ საუბრისას, იმედი ჰქონდა, როგორმე კიდევაც დაეცდენინებინა ერთი ისეთი სიტყვა, რომლის შეტყობას დიდი ხანია ესწრაფვოდა და მოელოდა. მაგრამ ეშმაკი ბერიკაცი არ გახლდათ ისეთი ვინმე, ანგარიშში შემცდარიყო. მხოლოდღა იცინოდა და პირში წყალს იგუბებდა. და, აი, უადრესად საძნელო ჟამს ველჩანინოვის მზერამ გაღმა ფილაქანზე მოულოდნელად კრეპიანი შლაპის მქონე ვაჟბატონი გამოარჩია. იგი იდგა და დაჟინებით გამოჰყურებდა ამათ; ორივე მათგანს უთვალთვალებდა – ეს ცხადი იყო – თანაც, ეტყობოდა, ჩუმჩუმად კიდევაც ეცინებოდა. "ეშმაკმა დალახვროს! – გაცოფდა ველჩანინოვი; იმ მოხელეს დასცილებოდა და მასთან წარუმატებელ საუბარს მთლიანად ამ "თავხედის" ანაზდეულ გამოცხადებას აბრალებდა, – ეშმაკმა დალახვროს, ჯამუშია თუ რა ღმერთი უწყრება! ეტყობა, მითვალთვალებს! მომიჩინა ნეტა ვინმემ თუ რა უნდა იყოს... მერედა... მერედა, ღმერთმანი, ჩუმჩუმად კიდევ ეცინებოდა, განა! ჩემმა მზემ, მივტყეპავ... აფსუს, უარგნოდ რომ დავდივარ! მეც ავდგები და ვიყიდი! ამას არ შევარჩენ! არა, მაინც ვინ უნდა იყოს? უსათუოდ უნდა შევიტყო, ვინ არის?" ბოლოს, – ამ (მეოთხე) შეხვედრიდან სწორედ სამი დღის შემდეგ, – ველჩანინოვს კვლავ ვხედავთ იმ თავის რესტორანში, მაგრამ ახლა უკვე სერიოზულად აღელვებულს და, ცოტა არ იყოს, დაბნეულსაც. თვითონაც აღარ შეეძლო, თავის თავს არ გამოტყდომოდა ამაში, თუმცა მეტისმეტად ამაყი კი ბრძანდებოდა. ბოლოს და ბოლოს ხომ

იმულებული უნდა შექმნილიყო, ყველა გარემოება ერთიმეორისთვის შეეპირისპირებინა და მიმხვდარიყო, რომ მისი დანაღვლიანების მიზეზი, მიზეზი ამ მისი განსაკუთრებული ჰმუნვის და ბოლო ორი კვირის მანძილზე გაცდენილი მღელვარებისა – თურმე სწორედ ეს მგლოვიარე ვაჟბატონი გახლდათ, სწორედ ის – სხვა არავინ, და ეს მიუხედავად იმისა, რომ იგი "არარაობას წარმოადგენდა". "დაე, ვიყო იპოქონდრიკი, – ფიქრობდა ველჩანინოვი, – მაშ, დაე ბუზანკალი სპილოდ მეჩვენებოდეს. მაგრამ მაინც სადაური შეღავათია ჩემთვის, რომ ეს ყოველივე, იქნებ მარტოოდენ ფანტაზიის ნაყოფია? თუ ყველა მისებრი არამზადა იმის შემძლე იქნება,

კაცი სულ მთლად აგაფორიაქოს, მაშინ ხომ... მაშინ ხომ..." მართლაც, ამ დღევანდელი (მეხუთე) შეხვედრის დროს, რამაც ასერიგად ააღელვა ველჩანინოვი, ბუზანკალი ლამის სპილოდ მოეჩვენა. იმ ვაჟბატონმა უწინდებურად გვერდით ჩაუარა და სწრაფად მიიმალა ხალხში, მაგრამ ამჯერად აღარ შეუთვალა იერებია ველჩანინოვი; არც ის შეუმჩნევინებია, გცნობო, როგორც წინათ იცოდა ხოლმე. პირიქით – თვალები დაეხარა და, ეტყობა, გულით ეწადა თვითონვე არ შეენიშნათ. ველჩანინოვი მიუტრიალდა და მთელის ხმით მიაძახა: – ჰეი, თქვენ! კრეპიანო! ახლა მიმალვა გინდათ, არა!

შეჩერდით: ვინა ხართ-მეთქი? კითხვა (და დამახება) მეტად უთავბოლოდ გამოუვიდა. მაგრამ ველჩანინოვი ამას გვიანლა მიხვდა. ძახილზე იმ ვაჟბატონმა მოიხედა, წუთით შედგა, დაიბნა, გაიღიმა, ის-ის იყო რაღაც უნდა ეთქვა, რაღაც უნდა მოემოქმედებინა, ერთ წამს, ეტყობა, საშინლად ყოყმანობდა, მერე უცებ გატრიალდა და უკანმოუხედავად მოუსვა. სახტად დარჩენილი ველჩანინოვი იდგა და თვალს აყოლებდა. "ვაითუ, მართლაც ის კი არა, პირიქით, მე გადავკიდებვიარ და მთელი საიდუმლოებაც ეგ იყოს?" – გაჰკრა გუნებაში ველჩანინოვს. ისადილა თუ არა, აგარაკისკენ გასწია, მოხელის სანახავად. მოხელე არ დაუხვდა; უთხრეს, "დილას აქეთ არ მობრუნებულან, ქალაქში დარჩნენ, დღეობაზე, და ნაშუალამევის სამ-ოთხ საათამდე ალბათ არც დაბრუნდებიანო". ეგ უკვე იმდენად "საწყენი" ეჩვენა, თავდაპირველად, ცხელ გულზე, ერთი პირობა იმ დღეობაზე წასვლა გადაწყვიტა, გაემგზავრა კიდევ; მაგრამ გზად მიხვდა, ღრმად შევტოპეო, გადაიფიქრა, მეეტლე შუაგზიდან დაითხოვა და თვითონ ფეხით წაჩანჩალდა შინ, დიდი თეატრისაკენ. ფეხით გავლა სურდა, აწეწილი ნერვების დასამშვიდებლად ამაღამ აუცილებლად უნდა გამოეძინა, უძილობას უნდა მორეოდა. დაღლა კი საამისოდ მისწრება იყო. ამრიგად, თერთმეტის ნახევარზელა მიაღწია თავის ბინამდე. გზა საკმაოდ გრძელი გამოდგა. ჰოდა, მართლაც ქანცი გასწყდა. მარტის თვეში ნაქირავები ეს ბინა, რასაც აგრე ღვარძლიანად სწუნობდა და ამაგებდა, თანაც თავს იმითლა ინუგეშებდა, "აქ დროებითი ბანაკია" და ჩემსუნებურად "ჩავრჩიო" პეტერბურგში, ამ "დაწყველილი მამულის გამო დავის" გადამკიდე, სინამდვილეში არცთუ ისეთი ცუდი და შეუფერებელი იყო, როგორც თვითონ სახავდა. შესასვლელი ამ სახლს მართლაც ცოტა ბნელი და "უწმინდური" ჰქონდა; მაგრამ თვით ბინა მეორე სართულზე მოთავსებული ორი დიდი, ნათელი და ჭერმაღალი ოთახისაგან შედგებოდა. ერთიმეორისაგან ეს ოთახები ჩაბნელებული წინკარით იყო გამიჯნული; ამრიგად, ერთი მათგანი ქუჩის პირს გადაჰყურებდა, მეორე კი ეზოს მხარეს იყო მიქცეული. ამ უკანასკნელს გვერდით მომცრო კაბინეტი ეკრა. მას სამინებელ ოთახად იყენებდნენ. მაგრამ შიგ ახლა უწესრიგოდ ეყარა ველჩანინოვის წიგნები თუ ქაღალდები. თვითონ ველჩანინოვი ერთ-ერთ დიდ ოთახში იძინებდა ხოლმე, სწორედ იმაში, რომლის ფანჯრებიც ქუჩაში გადიოდა. ლოგინს დივანზე უშლიდნენ. ავეჯი რიგიანი იდგა, ოღონდ ნახმარი. მოემევებოდა ზოგიერთი ძვირფასი ნივთიც – ადრინდელი კეთილდღეობის ნამუსრევი: ფაიფურისა თუ ბრინჯაოს სამშვენისები, ნამდვილი ბუხარული დიდრონი ხალიჩები; ორი გვარიანი სურათიც შემორჩენოდა; მაგრამ მას შემდეგ, რაც მოახლე გოგო პელაგეა მოსამინავებლად წავიდა ნოვგოროდში, თავის მშობლებთან, და პატრონი მარტო დატოვა, აქაურობას აშკარა უწესრიგობა დაეტყო. ძნელად თუ რასმე ნახავდით თავის ადგილას, ყველაფერს მტვერი დასდებოდა. ეს უცნაური ამბავი, რომ საზოგადოებაში გამოსულ უცოლო კაცს, რომელიც ჯერ ისევ ჯენტლმენობაზე დებდა თავს, მოსამსახურედ ყმაწვილი ქალი ჰყავდა, სირცხვილისაგან ლამის სიწითლეს ჰგვრიდა ველჩანინოვს, თუმცა თავის პელაგეას იგი ძალიანაც ემადლიერებოდა. ეს გოგო იმჟამად გამომწესდა მასთან, როცა

ველჩანინოვი გაზაფხულზე აქ დადგა ბინად; ერთმა ნაცნობმა ოჯახმა გამოუგზავნა, თვითონ ეს ოჯახი კი საზღვარგარეთ გაემგზავრა; ჰოდა, მოუვიდა თუ არა, იმ დღიდან წესრიგი დაუმყარა სახლში. როცა დროებით წავიდა, სხვა მოსამსახურე ქალის აყვანა ველჩანინოვს ვეღარ გადაეწყვიტა. მოკლე ხნით ლაქიას დაქირავება კი არ ღირდა, მერედა არც ეპიტნავებოდნენ ეს ლაქიები. ამიტომ ისე მოხდა, რომ ოთახების მისალაგებლად ყოველ დილით მეუზოვის ცოლის და, მავრა დაუდიოდა; გასაღებსაც მას უტოვებდა ხოლმე, როცა კარგაღმა გადიოდა. ოღონდ ეს დედაკაცი არაფრის გამკეთებელი გამოდგა; ფულს კი იჯიბავდა და ეტყობა, ხელგამკრავიც იყო. მაგრამ ველჩანინოვს ყველაფერზე ხელი ჩაექნია და იმითაც კმაყოფილი გახლდათ, რომ შინ ახლა

სავსებით მარტო რჩებოდა ხოლმე. თუმცა, ყველაფერსაც ხომ გარკვეული ზღვარი აქვს, ჰოდა, ზოგჯერ, ბოლმამორევის ჟამს, მისი ნერვები აშკარად ვეღარ უძლებდა მთელი ამ "სისამაგლის" ატანას. შინდაბრუნებულს თითქმის მუდამ ზიზღი იპყრობდა თავისი ოთახების დანახვაზე. ასე, სამიოდე საათს ეძინა შფოთიანი ძილით, რაღაც უცნაური სიზმრები ესიზმრა, ციებ-ცხელების დროს რომ იცის ხოლმე, იმნაირი. ვითომც რაღაც დანაშაული ჩაედინა, დაფარვას ცდილობდა და ახლა ამ დანაშაულისათვის კიცხავდნენ. საიდანღაც განუწყვეტლივ შემოდის და შემოდის ხალხი, და ყველა ერთხმად ბრალსა სდებდა. ტევა აღარ იყო, ხალხი კი მაინც ემატებოდა, ასე რომ შემოსასვლელი კარი აღარ იხურებოდა, ყურთამდე ღია იყო. ბოლოს ყველა ცნობისწადილით ატანილი მიაჩერდა ერთ უცნაურ კაცს. იმ კაცს ველჩანინოვი წინათ იცნობდა, ოდესღაც მეტად დაახლოებულიც იყო მასთან. მაგრამ ის დიდი ხანია ცოცხლებში აღარ ერია, მოულოდნელად კი აგერ აქ გაჩენილიყო. ველჩანინოვს ყველაზე მეტად ის აწვალებდა, რომ ამ კაცის ვინაობა აღარ ახსოვდა, მისი სახელი გადავიწყებოდა და ვერც ვერასგზით გაეხსენებინა. ისღა დახსომებოდა, რომ ოდესღაც ძალიან უყვარდა. აქ დამსწრენი ვითომც ამ კაცისაგან მოელოდნენ გადამწყვეტ სიტყვას: ან ბრალი უნდა დაედო ველჩანინოვისათვის, ანდა გაემართლებინა. ამის მოლოდინში ყველა მოუთმენლობას აეტანა. მაგრამ თვითონ ის კაცი გაუნძრევლად უჯდა მაგიდას, დუმდა და არც არაფრის თქმას ეპირებოდა. ხალხის გუგუნი არ ცხრებოდა. გაგულისება მატულობს, და აი უცებ ველჩანინოვმა გაცეცხლებით შემოჰკრა ამ კაცს, ვითომ, რას გაჩუმებულხარო. შემოჰკრა და საკვირველი სიამე იგრძნო. საშინელებისა და მტანჯველი განცდისაგან, ეს რა ჩავიდინეო, გული გადაუქანდა. მაგრამ სიამის შემცველიც სწორედ ეს გულის გადაქანება გახლდათ. მთლად გაშმაგებულმა მეორედ, მესამედაც გასცხო. და ამ ლამის გიჟური გააფთრებითა და შიშით რაღაცნაირად გაბრუებული, თან უძირო ნეტარებანაგემები, მერმე უკვე შეუჩერებლივ სცემდა, ასე რომ სათვალავიც დაკარგა. მას უნდოდა ყველაფერი ეს გაენადგურებინა. ანაზღად რაღაც მოხდა: ყველამ შემზარავად შეჰყვირა და, რაღაცის მომლოდინემ, კარისკენ იბრუნა პირი. ამ დროს ზარის ჩამორეკვის ხმა გაისმა სამჯერ, ოღონდ ისე ღონივრად ჩამოჰკრეს ზარს, გეგონებოდათ, ჩამოგლეჯას უპირებენო. ველჩანინოვს გამოედვიდა, ერთ წამში გამოფხიზლდა, ლოგინიდან ფიცხლად წამოხტა და კარს ეცა. სავსებით დარწმუნებული იყო: ზარის წკრიალი ძილში კი არ მოჰყურებია, ვიღაცამ მართლაც დარეკა ამ წუთს. "არა, ყოვლად დაუჯერებელია, ასეთი მკაფიო, ცხადზე უცხადესი წკრიალი მართლა სიზმარში გამეგონოს!" მისდა გასაკვირად ზარის წკრიალიც სიზმარი გამოდგა. კარი გააღო, ტალანში გავიდა, ქვევით კიბესაც ჩაჰხედა – კაციშვილი არ ჩანდა. არც ზარის ზონარი ირხეოდა. გაოცებული, მაგრამ ამასთანავე

გახარებულიც, ოთახში შემობრუნდა. სინათლის ანთებისას გაახსენდა, რომ კარი მხოლოდ მოხურული იყო, დაწოლის წინ არც გასაღებით ჩაუკეტავს, არც გადაურაზავს. შინდაბრუნებულს წინათაც ხშირად დავიწყებია ღამით კარის ჩაკეტვა, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ამისთვის არასდროს მიუქცევია. პელაგეამ რამდენჯერმე უსაყვედურა კიდეც ამის გამო. კვლავ წინკარში გაბრუნდა კარის ჩასაკეტავად, ერთხელ კიდეც გააღო იგი, ტალანში გაიხედ-გამოიხედა და მხოლოდ რაზით გადაკეტა შიგნიდან, გასაღების გადატრიალება კი მაინც დაეზარა. საათმა სამის ნახევარი ჩამოჰკრა. მაშ, მხოლოდ სამი საათი სძინებია. სიზმარმა ისერიგად ააფორიაქა, იმ წუთსავე ხელახლა დაწოლა აღარ ინდომა. ცოტახნით ოთახში გავლა-გამოვლა დააპირა – "დროა სიგარა მოვწიო". ტანთ სახელდახელოდ გადაიცვა, ფანჯარას მიადგა, ჯერ სქელი შტოფის ფარდები ასწია, შემდეგ თეთრი შტორი. გარეთ თითქმის გათენებულიყო. ზაფხულის ეს ნათელი პეტერბურგული ღამეები მუდამ აღიზიანებდა ხოლმე, ამ ბოლო დროს ძილსაც უკრთობდა; ამიტომ ორიოდ კვირის წინ საგანგებოდ ჩამოაფარებინა ფანჯრებზე ეს სქელი შტოფის ფარდები. ამის შემდეგ შუქი ვეღარ ატანდა. სინათლე რომ შემოუშვა ოთახში, მაგიდაზე მდგარი სანთლის ჩაქრობა აღარც გახსენებია, ბოლთის ცემას მოჰყვა. ჯერ ისევ რაღაცნაირი მძიმე, ავადმყოფური გრძნობით იყო შეპყრობილი. სიზმრისგან გამოყოლილი შთაბეჭდილება ჯერაც არ გამონელებოდა. იმის ფიქრი, იმ კაცზე ხელი აღვმართე და ვგვემო, კვლავაც გვარიანად ტანჯავდა. – კი, მაგრამ ის კაცი ხომ არ არსებობს, არც ოდესმე არსებულა, ყველაფერი სიზმარი იყო, მაშ რაღას ვდარდობ? გაცხარებულმა ახლა იმაზე დაიწყო ფიქრი, აშკარად ვბერდები, "სნეული ადამიანი" ვხდებიო, თანაც ისეთნაირად ფიქრობდა ამაზე, თითქოს ყველა მისი საზრუნავის თავი და ბოლოც ეს ყოფილიყო. მუდამ უმძიმდა თავის თავს გამოტყდომოდა, ვბერდები და ვჩაჩანაკდებიო. ჰოდა, ბოლმისაგან, ხანდახან, უჟმურ გუნებაზე, კიდევაც აზვიადებდა ამ ამბავს; განზრახ სჩადიოდა აგრე, რა არი საკუთარი თავი გაეხელებინა. – ჰაი გიდი, სიბერე! ღამის მთლად დავბეხრეკდე და ეგაა, – ბურტყუნებდა და ბოლთასა სცემდა, – გულმავიწყობა დამჩემდა, სიზმრებსა და მოჩვენებებს ვხედავ, ზანზალაკების წკრიალი ჩამესმის... ეშმაკმა დასწყევლოს! დაცდილი მაქვს, ამნაირი სიზმრები მაშინ ვიცი ხოლმე,

როცა ციებ-ცხელება მიპყრობს... დარწმუნებული ვარ, ის კრეპის ამბავიც, ალბათ, სიზმარია. გუშინ უთუოდ სწორად გავიფიქრე: ის კი არა, მე, მე არ ვამღვე საშველს! პოემა შევთხზე მისგან და შიშით მაგიდის ქვეშ შევიმალე. ან რას ვერჩი, ოჯახქორს რომ ვეძახი? იქნებ მეტად წესიერი კაცია. მართალია, უსიამოვნო სახე აქვს, მაგრამ არცთუ ისერიგად უშნოა; აცვია როგორც ყველას. ოღონდ, აი, გამოხედვა აქვს რაღაცნაირი... მაინც ჩემსას არ ვიშლი! კვლავ იმაზე ვლაპარაკობ! არა, რა ეშმაკად ჩავციებივარ მის გამოხედვას? რა, ცხოვრება არ შემიძლია... მაგ წყეულის გარეშე თუ რა? აკვიატებულ ფიქრებს შორის კიდეც ერთმა აზრმა მოუწყლა გული: თითქოს ერთბაშად ირწმუნა, ის კრეპიანი ვაჟბატონი ოდესმე ალბათ ახლოს მიცნობდა, ჰოდა, ამჟამად, ყოველი შეხვედრის დროს, იმიტომ თუ დამცინის, რომ ჩემი რომელიმე ადრინდელი დიდი საიდუმლო იცის, მერე კიდეც ამგვარ დამამცირებელ ყოფაში ჩავარდნილსაც მხედავსო. თავისდაუნებურად ფანჯარას მიადგა, უნდოდა გამოედო, ღამის გრილი ჰაერი ჩაესუნთქა, და უცებ ერთიანად შეტოკდა. აგრე მოეჩვენა, ჩემ თვალწინ უცებ რაღაც გაუგონარი და უჩვეულო რამ მოხდაო. ფანჯრის გამოღება ვერც კი მოასწრო, მსწრაფლ განზე გახტა. გადაღმა, უკაცრიელ ფილაქანზე, სწორედ სახლის პირდაპირ, ის მგლოვიარე ვაჟბატონი შენიშნა მოულოდნელად. აქეთ, ფანჯრებისკენ პირმოქცეული

იღგა, მაგრამ ველჩანინოვი ეტყობა ვერ შეამჩნია. კაცს ეგონებოდა, რაღაცას ჩაჰფიქრებიაო, თან სახლსაც ზვერაჟდა. თითქოს რაიმე განზრახვა უტრიალებდა თავში, თითქოს რაღაც გადაწყვეტილებას უნდა დასდგომოდა; ცალი ხელი ასწია და თითი ეტყობა შუბლზე მიიდო. ბოლოს გაბედა; სწრაფად მიმოიხედა და ფეხაკრეფით, ქურდულად გადმოჰრა ქუჩა. ველჩანინოვის გუმანი გამართლდა: წამოვიდა და მათი ეზოს ჭიშკარი შემოაღო (ამ ჭიშკარს ზაფხულობით ზოგჯერ ღამის სამ საათამდე არ უყრიდნენ ურდულს). "ჩემთან მოდის", – მყისვე გაუელვა ველჩანინოვს. თვალის დახამხამებაში, ანაზდად თვითონაც ასევე ფეხაკრეფით შეირბინა წინკარში, კარის წინ შედგა და მიყუჩდა, მოლოდინში გაინაბა. ათრთოლებული მარჯვენა ხელი ოდნავ ჩაეველო რაზისათვის, რითაც წელან კარი გადაკეტა. სმენა რაც შეეძლო გაიმახვილა, რომ კიბეზე ამოსვლის ფეხის ჩქამი არ გამოჰარვოდა. გული ისერიგად უცემდა, შეშინდა კიდევ, კიბის ბაქანზე იმ უცნობის ფეხაკრეფით ამოსვლა ვაითუ ვერ გავიგოო. რა უნდა მომხდარიყო, არ იცოდა, ოღონდ ყველაფერს რაღაცნაირი გაათკეცებელი სიმძაფრით შეიგრძნობდა. წუხანდელი სიზმარი თითქოს სინამდვილეს შეერწყაო. ველჩანინოვი ბუნებით გულადი კაცი გახლდათ; ასე გასინჯეთ, საფრთხის მომლოდინეს ზოგჯერ ამ თავისი გულოვნობის რაღაცნაირი დარდიმანდული გამოხატვაც უყვარდა, თითქოს თავს იწონებსო, და ეს მაშინაც კი, როცა უცხოთაგანი არავინ უთვალთვალებდა. მაგრამ ახლა ამას სხა ამბავიც დაერთო. წელანდელი იპოქონდრიკი და იჭვნეული მჩივანა სავსებით გარდაიქმნა; სულ სხვა კაცს დაემსგავსა. ნერვული, უხმო სიცილი ეძალებოდა. კარმოხურულიდან იგი უცნობის ყოველ მოძრაობას ხვდებოდა. "აჰა! აი ამოდის, ამოვიდა უკვე, აქეთ-იქით იყურება; ძირს კიბეს აყურადებს; სუნთქვას იკრავს, მოიპარება... ჰაა! სახელურს მოავლო ხელი, ეწევა, სინჯავს! ვარაუდი ჰქონია, ჩაუკეტავი დამხვდებო! მაშ სცოდნია, ხანდახან ჩაკეტვა რომ მავიწყდება! კვლავ ექაჩება სახელურს; რაო, არ მოგწონს? ხახამშრალი გაბრუნდე, არ გნებავს?" ალბათ, ყველაფერი მართლაც ისე უნდა მომხდარიყო, როგორც წარმოედგინა: ვიღაც მართლა იღგა კარს უკან, უხმოდ ეტანებოდა სახელურს, უხმოდვე ეწვალეებოდა და "რაღა თქმა უნდა, რაღაც განზრახვა ედო გულში". მაგრამ ველჩანინოვმაც მოისაზრა უკვე, როგორ უნდა მოქცეულიყო. და ის აღფრთოვანებით ელოდა შესაფერ წამს, გულდაგულ ზომავდა: საშინლად ეწადა, ანაზდად აეხსნა რაზა, მოულოდნელად ფართოდ გაეღო კარი და პირდაპირ შეჰყროდა იმ "საფრთხოებელას". "ერთი მითხარით, აქ რას აკეთებთ, მოწყალეო ხელმწიფევ?" კიდევაც ასე მოხდა, დრო იხელთა, რაზა უეცრად ახსნა, კარს ხელი ჰკრა და – ღამის ზედ შეეჩეხა იმ კრეპიანი შლაპის მქონე ვაჟბატონს.

III - პაველ პავლოვიჩ ტრუსოცკი

ის ვაჟბატონი თითქოს გახევდაო ერთ ადგილზე. ორივენი გაუნძრევლად იდგნენ პირისპირ კარის ზღურბლზე და თვალებში მიშტერებოდნენ ერთმანეთს. რამდენიმე წამს ასე იდგნენ და უცებ – ველჩანინოვმა იცნო თავისი სტუმარი! იმავე დროს, ეტყობა, სტუმარიც მიხვდა, მიცნესო: ეს მის გამოხედვაში გამოკრთა. უმაღვე თითქოს სულ ერთიანად დადნაო დათაფლული ღიმილისაგან. – ვგონებ, სიამოვნება მერგო ალექსეი ივანოვიჩს ველაპარაკებოდე? – ლამის წამღერებით წარმოთქვა მან, წარმოთქვა უნაზესი და ამ ვითარებისთვის სასაცილოდ შეუფერებელი ხმით. – ნუთუ თქვენ პაველ პავლოვიჩ ტრუსოცკი ხართ? – როგორც იქნა ამოთქვა საგონებელში ჩავარდნილმა ველჩანინოვმა. – ჩვენ ამ ცხრა წლის წინათ ნაცნობობა გვქონდა ტ-ში, და – თუ ნებას დამრთავთ მოგაგონოთ – მეგობრული ნაცნობობაც გვქონდა. – კი, ჩემო ბატონო... ვთქვათ, ასეა... ოღონდ ახლა სამი საათი გახლავთ, მერმე თქვენ ერთ ათ წუთს მაინც უტრიალებდით ამ ჩემს კარს, ჩაკეტილია თუ არაო... – სამი საათიო! – წამოიძახა სტუმარმა, საათი ამოიღო და შეწუხებულმა გაიკვირვა, – მართლაც სამი ყოფილა! მაპატიეთ, ალექსეი ივანოვიჩ, დროზე უნდა მომესაზრებინა; მრცხვენია სწორედ. ამ დღეებში შემოგივლით და აგიხსნით, ახლა კი... – ოჰო, არა! რაკი რაღაც ასახსნელი გქონიათ, ბარემ ახლავე სჯობს! – გონს მოეგო ველჩანინოვი, – აქეთ, ოთახში შემობრძანდით, გეთაყვა. აკი თქვენ თვითონვე აპირებდით შემოსვლას, აბა, მართლა კლიტის მოსასინჯად ხომ არ მოხვიდოდით ამ ღამით... ველჩანინოვი აღელვებული და გაშტერებული იყო ერთსა და იმავე დროს; გრძნობდა, აზრი ვერ მოეკრიბა. შერცხვა კიდევ: მთელი ეს ფანტასმაგორია არაფერი გამოდგა – არც რაიმე საიდუმლო, არც რაიმე ხიფათი; ერთი ვიღაც პაველ პავლოვიჩის სულელური სიფათი იხილა, ეგ იყო და ეგ. თუმცაღა არც ის სჯეროდა, თითქოს ისე, ტყუილუბრალოდ სწვეოდნენ, რაღაც ბუნდოვანი და შიშნეული წინათგრძნობა ჰქონდა. სტუმარი სავარძელში ჩასვა, მოუთმენლობით ატანილი ჩამოჯდა თავის ლოგინზე, ზედ სავარძლის წინ, ხელისგულები მუხლისთავეებზე დაიბჯინა, გადაიხარა და გაბრაზებული ელოდა, როდის ალაპარაკდებოდა ეს სტუმარი. თან ხარბად აკვირდებოდა მას, გარდასულის გახსენებას ლამობდა. მაგრამ საკვირველი ამბავია: ახალმოსული დუმდა, თითქოს სულაც ვერ ხვდება, რომ "ვალდებულია" ხმა ამოიღოსო; პირიქით, თვითონვე შემოსცქეროდა მასპინძელს რაღაცის მომლოდინე მზერით. ეგებ უბრალოდ კრთოდა, ჯერაც თავი ვერ დაეღწია ერთგვარი უხერხულობისათვის, ხაფანგში მომწყვდეულივით თუ გრძნობდა თავს. ველჩანინოვი გაგულისდა. – თქვენ, – შეჰყვირა მან, – მოჩვენება ან სიზმარი არ უნდა იყოს, ვგონებ! მუნჯობანას სათამაშოდ ხომ არ მობრძანებულხართ? ამიხსენით, ჩემო ბატონო! სტუმარი შეირხა, ჩაიღიმა და ფრთხილად ალაპარაკდა: "თქვენ, როგორც ვხედავ, უწინარეს ყოვლისა, განცვიფრებული ხართ, უდროო დროს რომ გეახელით, თანაც ამგვარ განსაკუთრებულ ვითარებაში... ასე რომ, როცა იმ ჩვენს ძველ ამბებს ვიხსენებ და იმასაც, როგორ დავშორდით, – მეუცნაურება კიდევ... თუმცაღა, არც ვაპირებდი აქ შემოვლას, და თუ მაინც ასე მოხდა, – ეგ უნებურად..." – როგორ თუ უნებურად! მე ხომ ფანჯრიდან დაგინახეთ, როგორ გადმობრბოდით ქუჩაზე ფეხაკრეფით! – აჰ, დამინახეთ კიდევ! მაშ, დამერწმუნეთ, ჩემზე უკეთ გცოდნიათ ყველაფერი! თუმცა ასე ლაპარაკით, ვხედავ,

უფრო გაგულისებთ... აი, რაშია საქმე: უკვე სამი კვირაა, რაც აქ ჩამოვედი, პირადად საზრუნავმა ჩამომიყვანა... მე ხომ პაველ პავლოვიჩ ტრუსოცკი ვარ, აკი თავადაც შემიცანით. ჩემი საზრუნავი კი ის გახლავთ, რომ ახალ გუბერნიაში მინდა გადამიყვანონ, სხვა სამსახურში გამწესებასა და გვარიან ადგილზე დაწინაურებასაც გამოველი... თუმცა, არც ესაა მთავარი!.. თავი და თავი, მართალი გითხრათ, ის არის, რომ აგერ უკვე მესამე კვირაა, რაც აქ დავეხეტები და, ვგონებ, თვითონ განზრახ ვაჭიანურებ მაგ ჩემი საქმის მოგვარებას. ამას გადაყვანაზე მოგახსენებთ. ჰოდა, მერწმუნეთ, თუნდაც ეშველოს რამე ჩემს საზრუნავს, ალბათ მეორე წუთსვე დამავიწყდება, რომ ეშველა; ალბათ, მაინც არ გავეცლები აქაურობას, ამ ჯავრიან გულზე. დავყიალობ ასე მიზანდაკარგულივით, თითქოს მახარებსო კიდევ მიზნის დაკარგვა, – დავიარები ასე ამ ჯავრიან გულზე... – განა რა გაქვთ საჯავრო? – იჭმუხნებოდა ველჩანინოვი. სტუმარმა თვალი გაუსწორა, შლაპა ასწია და აქ კი მტკიცე ღირსებით მიუთითა შავ არშიაზე. "აი რა მაქვს საჯავრო!" ველჩანინოვი ხან იმ შავ არშიას შეავლებდა თვალს უაზროდ, ხან – სტუმარს. ერთბაშად სიწითლემ გადაჰკრა სახეზე, მეტად აღელდა. – ნუთუ ნატალია ვასილიევნა? – დიახ, ნატალია ვასილიევნა! წლევანდელ მარტს... ჭლექით; ერთბაშად, რაღაც ორ-სამ თვეში გაათავა! მე კი დავრჩი, როგორც ხედავთ! ეს რომ წარმოთქვა, აღელვებულმა სტუმარმა ორივე ხელი გაშალა; განზე გაწვდილ ცალ ხელში ის

თავისი კრეპიანი შლაპა ეჭირა, მელოტი თავი ღრმად ჩაჰკიდა და მცირე ხანს ასე დაჰყო. სტუმრის შესახედაობამ და ამ მისმა ქცევამ თითქოს გამოაცოცხლესო ველჩანინოვი; დამცინავი და, ასე გასინჯეთ, მედიდური ღიმილი აეგრიხა ტუჩებზე, ოღონდ აეგრიხა ჯერჯერობით სულ ერთი წამით: ამ ქალის გარდაცვალების ცნობამ (ქალისა, რომელსაც ესოდენ დიდი ხნის წინათ იცნობდა და რა ხანია უკვე აღარ ახსოვდა), ისეთი ზარდამცემი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე, კაცი ძნელად თუ წარმოიდგენდა. – რას მეუბნებით! – ბუტბუტებდა იგი ენაზე მომდგარ პირველსავე სიტყვებს, – მერედა რატომ მაშინვე არ მოხვედით, არ შემატყობინეთ? – გმადლობთ თანაგრძნობისათვის, ვხედავ და ვაფასებ ამას, თუმცა... – თუმცა რა? – თუმცა აგერ რამდენი წელია შორი-შორს ვიყავით, მაინც ისეთი დიდი თანაგრძნობით გაიზიარეთ ჩემი მწუხარება, ისერიგად თანამიგრძნეთ პირადად მეც, რომ რასაკვირველია მადლობასა გწირავთ. აი, ეს მინდოდა მხოლოდ განმეცხადებინა. არც იმას ვიტყოდი, თითქოს ეჭვი მეპარებოდეს ჩემს მეგობრებში, აქ ახლაც მეგულებიან გულითადზე გულითადი მეგობრები (გინდაც მარტო სტეპან მიხაილოვიჩ ბაგაუტოვი ვთქვა); მაგრამ მას აქეთ, ალექსეი ივანოვიჩ, რაც ჩვენ ნაცნობობა გვქონდა (ვგონებ, მეგობრობა – რამეთუ მადლიერებით ვიგონებ), აკი ცხრა წელიწადმა განვლო, თქვენ ჩვენსა აღარ დაბრუნებულხართ, არცთუ მიწერ-მოწერა გვქონია... სტუმარი ისევ ისე წამღერებით ლაპარაკობდა, თითქოს გაზეპირებულ რასმე ჰყვებო. ოღონდ ეს იყო, ერთთავად იატაკს ჩასჩერებოდა, თუმცაღა პირისპირ მჯდომ მასპინძელსაც, რასაკვირველია, მშვენივრად ხედავდა. ამასობაში მასპინძელმაც გონება მოიკრიბა. ყურს უგდებდა ველჩანინოვი პაველ პავლოვიჩს, აცქერდებოდა მას, და რაღაც ერთობ უცნაური შთაბეჭდილება ექმნებოდა, ექმნებოდა და თანდათან უძლიერდებოდა. ერთბაშად, როცა მისი თანამოსაუბრე შეჩერდა, ყოვლად მოულოდნელი, ნაირგვარი ფიქრები შემოესია. – კი, მაგრამ რატომ ვერა და ვერ გიცანით აქამდე? – შესძახა გამოცოცხლებულმა ველჩანინოვმა, – აკი ბარე ხუთჯერ მაინც შევეჩხეთ ერთმანეთს ქუჩაში! – დიახ; ეგ მეც მახსოვს; თქვენ სულ თვალში მხვდებოდით, – ორჯერ თუ

სამჯერ გადამეყარეთ, ვგონებ... – არა, ეგ სულ თქვენ მხვდებოდით თვალში, მე კი არა! ველჩანინოვი წამოდგა და სრულიად მოულოდნელად ხმამაღლა გაიცინა. პაველ პავლოვიჩი ერთი პირობა შეჩერდა, ყურადღებით შეავლო თვალი მასპინძელს, მაგრამ უმაღვე განაგრძო: – თქვენ რომ ვერ მიცანით, ჯერ ერთი, შეიძლება, დაგავიწყდით და იმისი ბრალი იყოს, მერე კიდევ თქვენს შემდეგ ყვავილი შემეყარა და სახეზე ცოტა ნაკვალევი დამიტოვა. – ყვავილიო? ჰო, მართლა ჩოფურა გამხდარხართ! კი, მაგრამ ეს რაღა... – რაღა ოხრობამ შემეყარა, არა? რას იზამ, ალექსეი ივანოვიჩ, რა არ ხდება; არ მოელი კაცი და უცაბედად ასეთი ოხრობა კი შეგეყრება! – არა, ღმერთმანი, მაინც ძალიან სასაცილოა. ჰო, განაგრძეთ, განაგრძეთ, ჩემო ძვირფასო მეგობარო! – მეც თუმცა გხვდებოდით თქვენ... – მოიცათ! რატომ თქვით: "ოხრობამ შემეყარაო?" მე გაცილებით უფრო ზრდილობიანად მსურდა გამომეთქვა. ჰო, კარგი განაგრძეთ, განაგრძეთ! რატომღაც თანდათან სიხალისე ემატებოდა ველჩანინოვს. წელანდელი ზარდამცემი შთაბეჭდილება სულ სხვა განწყობით შეეცვალა. იგი ოთახში წრიალს მოჰყვა. – მეც, თუმცა გხვდებოდით თქვენ და, როცა აქეთ, პეტერბურგისაკენ მოვემგზავრებოდი, ვაპირებდი კიდევ უეჭველად მომეძებნეთ, მაგრამ ვიმეორებ, ამჟამად ისეთ სულიერ განწყობაზე ვარ... ისერიგად განადგურებული ვარ ამ მარტის თვიდან მოყოლებული... – ჰო, მაშ! განადგურებული იქნებით მარტის თვის შემდეგ. მოიცათ, არ ეწევით? – მე ხომ ნატალია ვასილიევნას დროს, თქვენც გეცოდინებათ... – კი, კი, როგორ არა, მაგრამ მარტის თვიდან? – პაპიროსს თუ გავაბოლებ ხოლმე. – აი, პაპიროსი; მოუკიდეთ და განაგრძეთ! განაგრძეთ, თქვენ მე ძალიან... ველჩანინოვმა სიგარა გააბოლა და ფიცხლავ ისევ ლოგინზე ჩამოჯდა. პაველ პავლოვიჩი შეჩერდა. – კი, მაგრამ თქვენ თვითონაც მაინც რა აღელვებული გამოიყურებით, უქეიფოდ ხომ არა ხართ? – ოჰ, ერთი, ჯანდაბას ჩემი ქეიფობა-უქეიფობის ამბავი! – გაგულისდა ანაზდად ველჩანინოვი, – განაგრძეთ! სტუმარი კი, მასპინძლის ამ მღელვარების შემყურე, უფრო კმაყოფილი და თავდაჯერებული ხდებოდა. – აბა, რა უნდა გავაგრძელო? – ალაპარაკდა სტუმარი ისევ, – ერთი წარმოიდგინეთ, ალექსეი ივანოვიჩ, გულმოკლული, საშინლად გულმოკლული კაცი, რომელიც ოცი წლის ცოლქმრობის შემდეგ ცხოვრებას თავიდან იწყებს, უმიზნოდ დაეხეტება მტვრიან ქუჩებში, თითქოს სადღაც ტრამალზე გარჩენილაო; ლამის თავდავიწყებას მისცემია, და ამ თავდავიწყებაში, ასე გასინჯეთ, ერთგვარ ნეტარებასაც პოულობს. რაღა გასაკვირი უნდა იყოს ამის შემდეგ, ზოგჯერ ვინმე ნაცნობს ან თუნდაც ჭეშმარიტ მეგობარს შეხვდე და განზრახ გვერდი აუარო, ამგვარი თავდავიწყების ჟამს

პირისპირ შეყრას მოერიდო. სამაგიეროდ, ხანდახან ყოველივე გაგახსენდება ხოლმე, რაც ახლო, მაგრამ სამუდამოდ გამქრალ წარსულში ყოფილა, გაგახსენდება და ისე მოგინდება თუნდაც რომელიმე იმათგანის ნახვა, ვინც იმ წარსულის მოწმედ თუ მონაწილედ გეგულება, ისერიგად აგიძგერდება ხოლმე მაგ დროს გული, რომ დღე კი არა, ღამეც რომ იყოს, მაინც გაბედავ, იმ მეგობარს მოძებნი და გადაეხვევი, თუგინდ ამისთვის ნაშუაღამევს ოთხ საათზეც მოგიხდეს მისი გაღვიძება. მეც სწორედ საათმა მომატყუა, განა მეგობრობამ; განა, მეგობრობამ-მეთქი, ვამბობ, რადგან ამ წუთას დიდად დაჯილდოებული ვარ. დროს რაც შეეხება, მერწმუნეთ, გუნებაგახალისებულს მხოლოდ თორმეტი იყო, მეგონა. ეწაფები საკუთარ ნაღველს და თითქოს მით სტკბებით. თუმცა ნაღველი კი არა, სწორედ ეს ჩემი ახალნაირი მდგომარეობაა, რომ მსპობს... – მაინც რა უცნაურად ლაპარაკობთ! – რაღაცნაირად პირქუშად შენიშნა ველჩანინოვმა, რომელიც უეცრივ ისევ უაღრესად დადინჯდა. – ჭეშმარიტად, ჩემო ბატონო,

უცნაურად ვლავარაკობ... – თქვენ, ვხედავ... არ ხუმრობთ! – ვხუმრობო! – შესძახა პაველ პავლოვიჩმა, დანაღვლიანებულ-გაკვირვებულმა, – და ეს იმ დროს, როცა გაუწყებთ... – აჰ, კმარა მაგის თაობაზე, გთხოვთ! ველჩანინოვი წამოდგა და ისევ წრიალს მოჰყვა ოთახში. ასე გავიდა ხუთიოდე წუთი. სტუმარმაც ის-ის იყო დააპირა წამოდგომა, მაგრამ ველჩანინოვი მიაძახა: "იჯექით, იჯექითო!" და ისიც მაშინვე მორჩილად ჩაესვენა სავარძელში. – არა, მაინც როგორ გამოცვლილხართ! – ისევ ალავარაკდა ველჩანინოვი, და უცებ სტუმრის წინ შედგა, – თითქოს ამ აზრმა მოულოდნელად განაცვიფრაო, – დიდად გამოცვლილხართ! დიდზე დიდად! სულ სხვა ადამიანი გამხდარხართ! – არც გასაკვირია: ცხრა წელიწადმა განვლო. – არა... არა... არა... წლები არაფერ შუაშია! გარეგნულად არც მაგდენად ხართ შეცვლილი; თქვენ სხვა მხრივ შეიცვალეთ! – ალბათ, ესეც ამ ცხრა წელიწადში მოხდა. – თუ ნამარტევს! – ხე, ხე, – ცბიერად ჩაიხითხითა პაველ პავლოვიჩმა, – თქვენ რაღაც ეშმაკური აზრი გიტრიალებთ... მაპატიეთ კადნიერება და, – მაინც რა ცვლილებას მატყობთ? – აბა, რა საკითხავია! წინათ ეგეთი ზრდილი და დარბაისელი პაველ პავლოვიჩი იყავით, გონიერი პაველ პავლოვიჩი, ახლა მთლად vaurien (უქნარა - ფრანგ.) პაველ პავლოვიჩი გამხდარხართ! ველჩანინოვის გაგულისებას იმ ზომამდე მიეღწია, როცა თვით ყველაზე თავდაჭერილი ადამიანიც ზედმეტს წამორიშავს ხოლმე. – Vaurien-ო! აგრე გგონიათ? მაშ უკვე აღარ ვარ გონიერი? აღარა? – ნეტარებით ხითხითებდა პაველ პავლოვიჩი. – "გონიერი" კი არა და! ახლა, მგონი, მთლად ჭკუით სავსე ხართ. "მე ხომ თავხედი ვარ, ეგ მამაძალი კი ჩემზე უარესი თავხედი ჩანს! მაინც რა უნდა... ნეტა რა განზრახვა უდევს გულში?" – ერთთავად ამას ფიქრობდა ველჩანინოვი. – ეჰ, ჩემო ძვირფასო, ჩემო საყვარელო ალექსეი ივანოვიჩ! – უცებ მეტისმეტად აღელდა სტუმარი და სავარძელში შეწრიალდა, – ჩვენ რა? საზოგადოებაში ხომ არა ვართ ახლა, ბრწყინვალე მაღალ საზოგადოებაში! ჩვენ აგრე ორი ძველისძველი, გულწრფელი მეგობარი კაცი ვსხედვართ, ასე ვთქვათ, სრულიად ხალასი გრძნობით შეყრილნი; ჰოდა, ორივენი ვიგონებთ იმ ძვირფას კავშირს, იმ ჩვენს მეგობრობას, რაშიაც განსვენებული ისეთ უძვირფასეს რგოლს შეადგენდა! და თავის გრძნობებს აყოლილი თითქოს ისე ძალუმად მიენდოო აღტაცებას, რომ წელანდელივით ისევ დახარა თავი. სახეზე კი შლავა აიფარა. ველჩანინოვი ზიზღმორეული და მოუსვენრობაატანილი აკვირდებოდა. "რაო, თუ ეგ ერთი ვიღაც მასხარაა? – გაჰკრა გუნებაში. – მაგრამ ა-არა, ა-რა! მთვრალი არ უნდა იყოს, მგონი; თუმცა, იქნებ არც უმაგისობაა, სახე კი შესწითლებია და; გინდაც არ იყოს მთვრალი, სულ ერთია. ნეტა რას შემომიჩნდა? რა უნდა მაგ გაიძვერას?" – გახსოვთ, გახსოვთ, – იძახდა პაველ პავლოვიჩი, თანაც ნელ-ნელა იშორებდა შლავას სახიდან, და თითქოს სულ უფრო მეტი გატაცებით ეძლეოდა მოგონებებს, – გახსოვთ ის ჩვენი ქალაქგარეთ გასეირნებანი, ჩვენი სადამოს წვეულებანი, მის აღმატებულება უსტუმართმოყვარეს სემიონ სემიონოვიჩისას რომ ვმართავდით, იმ წვეულებებზე ცეკვა და უწყინარი გართობა? ან ჩვენი, სამთა, ერთობლივი კითხვა სადამოობით? ან ჩვენი პირველი შეხვედრა, როცა ჩემთან მოხვედით დილას, თქვენი საქმის თაობაზე, ყვირილიც კი დამიწყეთ, მაგრამ გამოვიდა მოულოდნელად ნატალია ვასილიევნა, და თქვენ ათიოდე წუთში უკვე ჩვენი ოჯახის უგულითადესი მეგობარი შეიქენით სრული ერთი წლით, მთლად ისე მოხდა, როგორც "პროვინციელ ქალშია", ბატონ ტურგენევის პიესაში... ველჩანინოვი დინჯად დააბიჯებდა ოთახში. იატაკს ჩასჩერებოდა, უსმენდა ზიზღითა და მოუთმენლობით შეპყრობილი, მაგრამ გულისყურით კი უსმენდა. – აზრადაც არ მომსვლია "პროვინციელი ქალი", – სიტყვა ჩაუგდო ცოტა არ

იყოს დაბნეულმა, – არც არასდროს გილაპარაკიათ ასეთი წრიპინა ხმით, ასეთი უცნაური ენით. რაში გჭირდებათ ეს? – უწინ მეტწილად მართლაც ვდუმდი ხოლმე, უფრო უენო გახლდით, – მყის დაუკრა კვერი პაველ პავლოვიჩმა, – იცით, უწინ განსვენებულის ლაპარაკის ყურის გდება უფრო მიყვარდა, ხომ გახსოვთ, როგორი მოსაუბრე იყო, რა გონებამახვილი... რაც შეეხება "პროვინციელ ქალს" და საკუთრივ "სტუპენდიევსაც", არაფერი გამიგონიაო, აქაც მართალი ბრძანდებით; რადგან ჩვენს პირველ შეხვედრას რომ ამ თეატრალურ პიესას ვადარებდით, ეს უკვე მერე იყო, თქვენი წამოსვლის შემდეგ, ვადარებდით ჩვენ თვითონ, როცა განსვენებულთან ერთად გიგონებდით ხოლმე ხანდახან, მყუდრო ჟამს... იმიტომ ვადარებდით, რომ აკი მართლაც ძალიან ჰგავდა. საკუთრივ "სტუპენდიევის" თაობაზე კი... – ეგ ვინლა "სტუპენდიევია", დასწყევლოს ეშმაკმა! – შესძახა ველჩანინოვმა და ფეხიც კი დაჰკრა იატაკს. სტუპენდიევის ხსენებამ მთლად შეაცბუნა, რადგან ამ სიტყვის გამგონეს რაღაც შემაშფოთებელმა მოგონებამ გაუელვა. – "სტუპენდიევი" როლი გახლავთ, "ქმრის" როლი, "პროვინციელ ქალში". – მთლად დათაფლული ხმით დაიწრიპინა პაველ პავლოვიჩმა, – მაგრამ ეს უკვე ჩვენს ძვირფას და მშვენიერ მოგონებათა სხვა რიგს განეკუთვნება, ეს უკვე თქვენს შემდეგ იყო, როცა სტეპან მიხაილოვიჩი ბაგაუტოვმა დაგვაჯილდოვა მეგობრობით, სწორედ თქვენსავით, ოღონდ ამჯერად მთელი ხუთი წლით. – რაო? ბაგაუტოვიო? რომელი ბაგაუტოვი? – უცებ გაშეშებული შედგა ველჩანინოვი. – ბაგაუტოვი, სტეპან მიხაილოვიჩი, რომელმაც მეგობრობით დაგვაჯილდოვა სრული ერთი წლის შემდეგ თქვენს მერე და... თქვენსავით. – ოჰ, ღმერთო ჩემო, აკი ვიცი! – შეჰყვირა ველჩანინოვმა, რაკი ბოლოს და ბოლოს მიხვდა, ვისზეც ელაპარაკებოდნენ, – ბაგაუტოვი! ის ხომ თქვენთან მსახურობდა... – მსახურობდა, მსახურობდა! გუბერნატორთან მსახურობდა! მეტად მოხდენილი პეტერბურგელი ყმაწვილი კაცი იყო, ყველაზე მაღალი წრის კაცი! – აშკარად აღტაცებული კილოთი წამოიძახა პაველ პავლოვიჩმა. – კი, კი, კი! როგორ არ მახსოვს! აკი ისიც... – ისიც, ბატონო, ისიც! – კვლავინდებური აღტაცებით იმეორებდა პაველ პავლოვიჩი, მასპინძელს წინანდებურად წამოცდენილ სიტყვაზე კვერს უკრავდა, – ისიც, ჩემო ბატონო! აი, სწორედ მაშინ იყო "პროვინციელ ქალს" რომ ვთამაშობდით, შინაურ წარმოდგენებს ვმართავდით ხოლმე მის აღმატებულება უსტუმართმოყვარეს სემიონ სემიონოვიჩისას; სტეპან მიხაილოვიჩი "გრაფს" თამაშობდა, მე – "ქმარს", განსვენებული კი – "პროვინციელ ქალს"; ოღონდ, განსვენებულმა დაიჟინა და ქმრის როლი ჩამომართვეს, ვითომც უნიჭობისთვისო, მას მერე აღარც მითამაშია... – რა ეშმაკად დაგიჩემებიათ ეგ სტუპენდიევი! თქვენ, უწინარეს ყოვლისა, პაველ პავლოვიჩ ტრუსოცკი ხართ, სტუპენდიევი კი არა! – მკვახედ, მოურიდეבלად გააწყვეტინა ბრაზისაგან ლამის აცახცახებულმა ველჩანინოვმა, – კი, მაგრამ მოითმინეთ: ის ბაგაუტოვი აქ გახლავთ, პეტერბურგში, მე თვითონ ვნახე ამ გაზაფხულზე! რატომ მასთან არ მიხვალთ? – ყოველ ცისმარე დღე დავდივარ, აგერ უკვე სამი კვირაა, ვაკითხავ. მაგრამ არ მიღებენ! ლოგინად არის, არ შეუძლიან მიღებაო! თანაც წარმოიდგინეთ, ყოვლად სარწმუნო წყაროდან შევიტყვე, რომ მართლაც მეტად მძიმე დღეში ყოფილა! მერე რა ექვსი წლის მეგობარი! ეჰ, ალექსეი ივანოვიჩ, ერთხელ გითხარით და კვლავაც გეტყვით, ხანდახან ჯავრიან გუნებაზე მინდა მიწა გამისკდეს, მართლა მინდა; მაგრამ ზოგჯერ ასე მგონია, ავდგები და გადავებხვევი-მეთქი ვინმე იმათგანს, ვინც, ასე ვთქვათ, იმ ჩემი წარსულის მოწმე თუ მოზიარე ყოფილა, და ეგ მხოლოდ იმიტომ, რომ ტირილით გული მოვიოხო, მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ გული მოვიოხო... – აბა, სადღეისოდ მაინც გეყოფათ, ვგონებ, არა? – მკვახედ

შეაწყვეტინა ველჩანინოვმა. – რა თქმა უნდა, მეყოფა! – მაშინათვე ზეზე წამოდგა პაველ პავლოვიჩი, – ოთხი საათია და, რაც მთავარია, ასე უტიფრად შეგაწუხეთ... – გამიგონეთ: მე თვითონ შემოგივლით, აუცილებლივ; და მაშინ კი, იმედი მაქვს... ერთი გულახდილად მითხარით: ნასვამი ხომ არა ხართ? – ნასვამი? წვეთიც არ ჩამცდენია... – აქ მოსვლის წინ არ გადაგიკრავთ? – იცით რა, ალექსეი ივანოვიჩ, თქვენ უთუოდ ციებ-ცხელება გჭირთ. – ხვალვე შემოგივლით, დილას, პირველ საათამდე... – თანაც კაი ხანია უკვე გატყობთ, რომ ლამის ბოდავთ, – დიდი სიამით აცლიდა პირში სიტყვას პაველ პავლოვიჩი და ამ საგანზე საუბარს ეტანებოდა. – მერწმუნეთ, ისე მერიდება, რომ შეგაწუხეთ... მაგრამ მივდივარ, მივდივარ! თქვენ კი დაწექით, მოისვენეთ! – კი, მაგრამ რატომ არ მითხარით, სად ცხოვრობთ? – მიაძახა გონსმოსულმა ველჩანინოვმა. – განა არ მითქვამს? პოკროვის სასტუმროში... – ეგ პოკროვის სასტუმრო სადღაა? – აი, თვით პოკროვის ახლოს, იქვე მოსახვევში, – ეჰ, დამავიწყდა,

რომელ შესახვევშია, ნომერიც რომ აღარ მახსოვს, ოღონდ პოკროვთან ახლოს კია... – მოვაგნებ! – მობრძანდით, ძვირფასო სტუმარო. ტრუსოცკი კიბის თავს მიადგა ამასობაში. – მოიცათ! – კვლავ მიაძახა ველჩანინოვმა, – ხომ არ გამეპარებით? – როგორ თუ "გამეპარებით?" – თვალები დაჭყიტა პაველ პავლოვიჩმა, საფეხურზე ფეხჩადგმული მოუტრიალდა ველჩანინოვს და გაიღიმა. პასუხის მაგიერ ველჩანინოვმა კარი მოიჯახუნა, საგულდაგულოდ ჩაკეტა რაზითაც და გასაღებითაც, ხოლო როცა ოთახში შემობრუნდა, ერთი გადააფურთხა, თითქოს წამურტლავ რაღაცამ. ხუთიოდე წუთი უძრავად იდგა ოთახში, მერე ტანთგაუხდელადვე გაიშოტა ლოგინზე და მყისვე ჩაეძინა. მაგიდაზე დარჩენილი სანთლები ბოლომდე დაიწვა და ჩაქრა.

IV - ცოლი, ქმარი და საყვარელი

ველჩანინოვს ძილქუშით ეძინა და სრულ ათის ნახევარზე გამოიღვიძა; მსწრაფლ წამოიწია, ლოგინზე წამოჯდა და მაშინვე "იმ ქალის" სიკვდილის გამო დაიწყო ფიქრი. ამ სიკვდილის უეცარი შეტყობით გამოწვეულმა გუშინდელმა ზარდამცემმა შთაბეჭდილებამ რაღაცნაირი ღელვა და გულისტკივილიც კი გამოაყოლა. ეს ღელვა და გულისტკივილი მხოლოდ დროებით გაუყუჩდა გუშინ, პაველ პავლოვიჩის ყოფნის დროს, ერთი უცნაური აზრისაგან. მაგრამ ახლა, გამოფხიზლდა თუ არა, ყველაფერი, რაც ცხრა წლის წინათ მომხდარიყო, გასაოცარი სიცხადით წარმოუდგა თვალწინ. ამ ქალს, განსვენებულ ნატალია ვასილიევნას, "მაგ ტრუსოცკის" ცოლს ჰყვარობდა იგი, მისი საყვარელი იყო, როცა საკუთარი საქმის მოსაგვარებლად (მაშინაც ერთ-ერთი მემკვიდრეობის გამო ჰქონდა დავა) მთელი წელიწადი ტ-ში გაატარა, თუმცა საკუთრივ საქმე არ მოითხოვდა ეგზომ ხანგრძლივად მის იქ დარჩენას; ჭეშმარიტი მიზეზი კი სწორედ ეს კავშირი გახლდათ. ამ კავშირმა და სიყვარულმა ისე ძლიერ ჩაითრია, ლამის მონურად მორჩილებდა ნატალია ვასილიევნას; ოღონდ ამ ქალის მცირედი ხუმტური შეესრულებინა და, ალბათ, უყოყმანოდ ჩაიდენდა თვით ყველაზე უგუნურ და საზარელ რასმე. არც მანამდე, არც მერმე მსგავსი არაფერი დამართნია. წლის ბოლოს, როცა მათი განშორება გარდუვალი შეიქნა, ამ საბედისწერო ვადის მოახლოებით ველჩანინოვი ისეთმა მძაფრმა სასოწარკვეთამ მოიცვა, თუმცა მეტად მოკლე ხნით განშორებას ვარაუდობდნენ, რომ ქალს შესთავაზა, მოგიტაცებო; ურჩევდა, თავი გაენებებინა ქმრისათვის, ყველაფერი მიეტოვებინა და საზღვარგარეთ გადახვეწილიყვნენ. და მხოლოდ დაცინვამ და შეუვალობამ ქალისა (რომელიც თავდაპირველად კიდევაც უწონებდა ამ გეგმას, მაგრამ ეტყობა ასე მხოლოდ მოწყენილობის გამო, ან არადა სასეიროდ იქცეოდა), ააღებინეს ხელი განზრახვაზე და აიძულეს მარტო გამგზავრებულიყო. მერედა, რა გგონიათ? ორიოდ თვესაც არ გაუვლია ამ განშორების შემდეგ და პეტერბურგს მყოფი ველჩანინოვი უკვე ეკითხება თავის თავს იმას, რაც მისთვის სამარადისოდ გამოუცნობი დარჩა: მართლა უყვარდა ის ქალი, თუ ყველაფერი "ცდუნება" იყო? არცთუ თავქარიანობისა ან გულში ახალი ვნების გაღვივების ბრალი იყო, ეს კითხვა რომ აღეძრა: იმ პირველ ორ თვეს პეტერბურგში სწორედ რომ შმაგსა ჰგავდა და საეჭვოა, თუნდაც ერთი რომელიმე ქალისთვის მიექცია ყურადღება, თუმცა მაშინათვე გაერია ადრინდელ საზოგადოებაში და ასობით ბანოვანის გაცნობაც მოასწრო. ოღონდ მშვენივრად უწყოდა, ერთბაშად ისევ ტ-ში რომ მოხვედრილიყო, უმაღვე კვლავ ამ ქალის მომხიბვლელობის სამძიმო ტყვეობაში მოექცეოდა. აღძრული კითხვების მიუხედავად, ხუთი წლის შემდეგაც კი ისევ ამავე რწმენისა გახლდათ. ოღონდ ამაში გულისწყრომით უტყდებოდა უკვე თავის თავს, ასე გასინჯეთ, თვით "იმ ქალს" სიძულვილითაც იგონებდა. ტ-ში გატარებული იმ წელიწადის გამო რცხვენოდა; ისიც კი ვერ გაეგო, რანაირად შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ მას, ველჩანინოვს, ასეთი სულელური ვნება დაეუფლა! ამ ვნებასთან დაკავშირებული ყველა მოგონება ახლა მომაცყვივებელი შეექნა; სირცხვილის გრძნობა სწავდა და ქენჯნისაგან ეწამებოდა. თუმცა, განვლო კიდევ რამდენიმე წელმა და ცოტაოდენ დამშვიდებაც მოასწრო; სცადა ყველაფერი დაევიწყებინა და – თითქმის მოახერხა კიდევ ეს. მაგრამ აი ანაზღადა, ცხრა წლის თავზე, ეს ყოველივე უცნაურად და

მოულოდნელად კვლავ აღდგა მის წინაშე, ხელახლა გაცოცხლდა მას შემდეგ, რაც გუშინ ნატალია ვასილიევნას სიკვდილი ამცნეს. და აი, ახლა, თავის ლოგინზე წამომჯდარი და ბუნდოვანი, არეული ფიქრით მოცული, მხოლოდ ერთს გრძნობდა და ხვდებოდა ნათლად და გაკვრით: გუშინდელი ამბის შემტყობი, "ზარდამცემი შთაბეჭდილების მიუხედავად", სულაც არ შეძრულა ამ ქალის სიკვდილით. "ნუთუ არც მენანება?" – ეკითხებოდა თავის თავს. სიძულვილი აღარ ჰქონდა უკვე ამ ქალისა, და შეეძლო უფრო მიუკერძოებლად განესაჯა იგი. ველჩანინოვის შეხედულებით, ეს შეხედულება კი დიდი ხანია უკვე ჩამოუყალიბდა ამ ცხრა წლის მანძილზე, ნატალია ვასილიევნა უნდა ყოფილიყო "კარგი" პროვინციული საზოგადოების ერთი სრულიად ჩვეულებრივი მანდილოსანთაგანი; "ვინ იცის, იქნებ მართლაც ასე იყო, და მხოლოდ მე ერთმა შევქმენი მისგან ჭირვეული ოცნების ნაყოფიო?" თუმცა ესეც კია, მუდამაც ეეჭვებოდა ამ თავისი შეხედულების შეუმცდარობა; ახლაც შეეჭვდა. მერმე ფაქტებიც სხვას მეტყველებდნენ: აკი იმ ბაგაუტოვსაც რამდენიმე წელი კავშირი ჰქონდა ამ ქალთან და, როგორც ჩანს, მისი "მიმზიდველობის სრული გავლენის" ქვეშაც იყო მოქცეული. ეს ბაგაუტოვი, ახალგაზრდა კაცი, მართლაც უკეთეს, პეტერბურგულ წრეს ეკუთვნოდა და, რაკი "ყოვლად უმაქნისი ვინმე" ბრძანდებოდა (როგორც ველჩანინოვი უწოდებდა), მაშ, მხოლოდ და მხოლოდ პეტერბურგში შეეძლო კარიერა გაეკეთებინა. ეს ხომ ასე იყო, და აკი მაინც არად ჩაეგდო პეტერბურგის მიტოვება, ამ ერთი უმთავრესი თავისი უპირატესობის დაკარგვა, აკი ხუთი წელი ტ-ში ჩაკარგა ამ ქალის გადამკიდემ! პეტერბურგშიაც, შესაძლოა, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ იმიტომ დაბრუნდა, რომ ისიც სხვასავით გამოაგდეს, ისე როგორც "გაცვეთილ წაღას" მოისვრიან ხოლმე. ჰოდა, მაშ აკი მართლაც ყოფილა ეს ქალი

არაჩვეულებრივი რამ თვისების მქონე, მართლაც დაჰყოლია მოხიბვლის, დამონების, მბრძანებლობის ნიჭი. ამავე დროს, თითქოს საიმისო საშუალებებსაც მოკლებული იყო, ვინმე მოეხიბლა და დაემონებინა: "შესახედავად არცთუ მაინცდამაინც ემზიანი ეთქმოდა, ის კი არა და, ულამაზოდაც მოგეჩვენებოდათ"; ველჩანინოვს უკვე ოცდარვა წლისა დაუხვდა. არცთუ მთლად შნოიანი სახე ხანდახან მაინც თუ სასიამოვნოდ გამოუცოცხლდებოდა, სამაგიეროდ თვალები მართლა უსიამო ჰქონდა: რაღაცნაირად მეტისმეტად უტეხად იმზირებოდნენ. ტანად ძალზე გამხდარი იყო. გონებრივი განვითარებით ვერ დაიკვებნიდა, ჭკუა და გამჭრიახობა არ აკლდა, მაგრამ თითქმის მუდამ ცალმხრივი აზროვნება სჩვეოდა. ქცევა, თავდაჭერა პროვინციული მაღალი წრის ქალისა ჰქონდა, მაგრამ ტაქტის გრძნობა – მეტად გამახვილებული; დახვეწილი გემოვნებით გამოირჩეოდა, ოღონდ ეს გემოვნება უმთავრესად ჩაცმა-დახურვაში მჟღავნდებოდა. გაბედული, ბრძანებისმოყვარე ბუნებისა გახლდათ; სანახევროდ შერიგება არ იცოდა, რა იყო: "ან ყველაფერი, ან არაფერიო". გასაჭირში საოცარ სიმტკიცესა და გამძლეობას იჩენდა. დიდსულოვნების მაღლი ეცხო, მაგრამ იმავე დროს უზომო უსამართლობაც თითქოს მეორე რჯულად მოსდგამდა. კამათი ამ ქალბატონთან ამაო გარჯად ჩაივლიდა: ორჯერ-ორი არასდროს არაფერს ნიშნავდა მისთვის. არცთუ ოდესმე უსამართლო ადამიანად ანდა მტყუანად შეურაცხავს თავისი თავი. ქმარს გამუდმებით და განუკითხავად ღალატობდა, მაგრამ სინდისის ქენჯნა ერთხელაც არ უგრძვნია. თავად ველჩანინოვისეული შედარებისა არ იყოს, იგი მოჰგავდა "თვითმგვემელთა ღვთისმშობელს", რომელსაც უაღრესად სჯერა, ვითომდა, მართლა ღვთისმშობელი ვარო; ამ უკანასკნელი, დარად ნატალია ვასილიევნასაც უსაშველოდ სწამდა, ყოველთვის მართებულად ვიქცევო. საყვარლისადმი

ერთგულების გამოჩენა იცოდა, თუმცა ესეც დრო-ჟამამდე, ვიდრე თავს შეაწყენდნენ. საყვარლის წვალეზაც იცოდა, მაგრამ ჯილდოს მიზღვაც ემარჯვებოდა. ჟინიანი, სასტიკი, ავხორცი ბუნების ქალად დაბადებულიყო, გარყვნილება სძულდა, უზომო გააფთრებითაც გმობდა და – თვითონვე მიელტვოდა მას. ვერავითარი ფაქტებით ვერასოდეს შეაგნებინებდით საკუთარ გარყვნილებას. "ალბათ, მართლაც ვერ ხვდება ამასო", – ფიქრობდა ველჩანინოვი მის შესახებ ჯერ კიდევ ტ-ში (გაკვრით უნდა შევნიშნოთ: თავადაც წილი ედო ამ გარყვნილებაში). "იგი ერთი იმ ქალთაგანია, – ფიქრობდა ველჩანინოვი, – რომელთა მოწოდება თითქოს ის არის, მოღალატე ცოლები იყვნენ. ამნაირი ქალი არასდროს შეცდება ქალიშვილობისას. საამისოდ უეჭველად გათხოვილი უნდა იყოს, ასეთია მისი ბუნების კანონი. ქმარი პირველი საყვარელი ხდება, მაგრამ მხოლოდღა ჯვრისწერის შემდეგ. არავის ეხერხება გათხოვება მათზე უფრო იღბლიანად და იოლად. პირველი საყვარლის გაჩენაში მუდამ ქმარს მიუძღვის ბრალი. მერმე ყველაფერი ზედმიწევნით ალაღად ხდება, მათ ბოლომდე უაღრესად სამართლიანი და, რაღა თქმა უნდა, ყოვლად უმანკო ჰგონიათ თავი". ველჩანინოვი დარწმუნებული იყო, ამგვარი ყაიდის ქალები მართლაც არსებობენო; სამაგიეროდ ისიც სწამდა, რომ მათ მოეძევებოდათ შესატყვისი ყაიდის ქმრებიც, რომელთა ერთადერთ დანიშნულებას სწორედ ის წარმოადგენდა, ხსენებულ ქალთა ტიპს მისადაგებოდნენ. ველჩანინოვის აზრითვე, "ამგვარი ქმრის არსი ის გახლდათ, რომ ასე ვთქვათ, "მარადი ქმარი" ყოფილიყო, უკეთ, მხოლოდ ქმარი ყოფილიყო ცხოვრებაში და მეტი არაფერი. ასეთი კაცი თითქოს მარტოოდენ იმისთვის იბადება, რათა დაქორწინდეს, ხოლო რაკი დაქორწინდება, უმაღლესი დამატებად უნდა იქცეს, და ეს მაშინაც კი, თუ საკუთარი უეჭველი ხასიათი დაჰყოლია. ამგვარი ქმარი გარკვეულ სამკაულს წარმოადგენს, და ეს მისი მთავარი ნიშანდობლივი თვისებაა. რქადადგმული რომ უნდა იყოს, ესეც თითქოს იმთავითვე დაჰბეძებია, სხვანაირად წარმოუდგენელიცაა, ისევე წარმოუდგენელი, როგორც მზე უსინათლოდ. მაგრამ ამის თაობაზე არამცთუ არასოდეს არაფერი იცის, არც შეუძლია ოდესმე რაიმეს მიხვდეს, ისეთია თვით მისი შინაბუნების თავისებურება". ველჩანინოვს ღრმად სწამდა ამ ორნაირი ტიპის არსებობა და ისიც, რომ პაველ პავლოვიჩ ტრუსოცკი ტ-ში ერთი ამ ტიპთაგანის სანიმუშო წარმომადგენელი იყო. გუშინდელი პაველ პავლოვიჩი, ცხადია, ის პაველ პავლოვიჩი როდი გახლდათ, რომელსაც ტ-ში იცნობდა; ველჩანინოვს წარმოუდგენლად გამოცვლილი ეჩვენა ტრუსოცკი, მაგრამ იცოდა, რომ შეუძლებელიც იყო, ეს კაცი არ გამოცვლილიყო, რომ ეს ამბავი სავსებით ბუნებრივი გახლდათ; ბატონი ტრუსოცკი მხოლოდ ცოლის სიცოცხლეში შეიძლებოდა ყოფილიყო სწორედ იმგვარი, როგორსაც უწინ იცნობდა; ახლა კი ეს იყო მთელის ნაწილი მხოლოდ, ანაზღად გააზატებული, ანუ გასაკვირველი და ყოვლად უგვანო რამ. რაც შეეხება ტ-ში გაცნობილ პაველ პავლოვიჩს, აი რა დახსომებოდა მისი და რა გაიხსენა ამჟამად ველჩანინოვმა: "რასაკვირველია, პაველ პავლოვიჩი ტ-ში მარტო "ქმარი" იყო და სხვა არაფერი. თუ მაგალითად, ამას გარდა, მოხელეც იყო, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სამსახურიც, ასე ვთქვათ, ერთ-ერთ ცოლქმრულ მოვალეობად გადაქცეოდა. იგი ცოლისათვის მსახურობდა, მისი მდგომარეობისათვის ტ-ელ საზოგადოებაში, თუმცა თავისთავად ფრიად ბეჯითი მოხელე გახლდათ. ოცდათხუთმეტი წლისა იყო მაშინ, და გარკვეულ, არცთუ ისე მცირე, ქონებასაც ფლობდა. სამსახურში რაიმე განსაკუთრებული ნიჭი არ გამოუჩენია, მაგრამ ვერც უნიჭობას შესწამებდით. ვინც კი გუბერნიის საზოგადოებაში ერია, ყველა მათგანთან ნაცნობობა ჰქონდა, ყველა

კარგი თვალთ უყურებდა. ნატალია ვასილიევნა ტ-ში სრული პატივისცემით სარგებლობდა. თუმცა ამას არცთუ მაინცდამაინც დიდად აფასებდა, როგორც ჯეროვან რასმე, ისე იფერებდა. სტუმრების დახვედრა ყოველთვის ჩინებული იცოდა, თანაც ქმარი ისე ჰყავდა გამოწვრთნილი, გინდაც გუბერნიის უმაღლესი ხელისუფალნი სწვეოდნენ, პაველ პავლოვიჩი მაინც მოახერხებდა კულტურულად თავის დაჭერას. პაველ პავლოვიჩს შეიძლება (ფიქრობდა ველჩანინოვი) ჰკუყავ მოეკითხებოდა, მაგრამ რახან ნატალია ვასილიევნას ნაკლებად მოსწონდა, როცა მის ქმარს ლაპარაკის საღერღელი აეშლებოდა, – ჰკუყავ მაინცდამაინც ვერ შეატყობდით. ეგების ამ კაცს ბუნებით ბევრი თვისება დაჰყვა კარგიცა და ავიც, მაგრამ, კეთილი თვისებები თითქოს მიჩქმალული ჰქონდა, ხოლო ცუდი მიდრეკილებანი – თითქმის სავსებით დათრგუნული. ველჩანინოვს, მაგალითად, ახსოვდა, რომ ბატონ ტრუსოცკის ხანდახან სურვილი წამოუვლიდა ხოლმე, მოყვასისათვის დაეცინა; მაგრამ ასეთი რამ სასტიკად ეკრძალებოდა. ხანდახან რაიმე ამბის მოყოლაც უყვარდა; მაგრამ არც აქ აძლევდნენ გასაქანს. მხოლოდ უმნიშვნელო რამ უნდა მოეთხრო და ისიც მოკლედ. არიფანას ტრფიალი მოსდგამდა, ეხალისებოდა მეგობარ კაცთან პურის გატეხა და ყელის ჩასველება; მაგრამ ეს უკანასკნელი მისი თვისება ძირშივე მოსპეს. თან ესეც ინიშნეთ: გარეშე მაყურებელს არამც და არამც არ ეგონებოდა, ეს კაცი ცოლის მონა-მორჩილიაო. ნატალია ვასილიევნა ყოვლად დამჯერე ცოლი მოგეჩვენებოდათ, შესაძლოა ქალი თვითონაც დარწმუნებული იყო ამაში. ეგების პაველ პავლოვიჩს თავდავიწყებითაც უყვარდა ნატალია ვასილიევნა, ოღონდ ვერც ამას შენიშნავდა ვინმე. ჩანს აქაც თვით ნატალია ვასილიევნას შინაგანაწესი მოქმედებდა. ტ-ში ცხოვრების მანძილზე ველჩანინოვი რამდენჯერმე შეჰკითხვია თავის თავს, რაიმე ეჭვს ხომ არ უღვიძებდა ქმარს ცოლთან კავშირის გამო. ქალისთვისაც არაერთგზის მიუმართავს ამ კითხვით. ნატალია ვასილიევნა, ცოტა არ იყოს, გაჯავრებული მიუგებდა ხოლმე, ქმარმა არაფერი იცის, არც არაფრის გაგება შეუძლია და "რაც ჩვენ შორის არის, მას სულაც არ ეკითხებაო". ერთი ასეთი თვისებაც ჰქონდა ამ ქალს: პაველ პავლოვიჩს არასოდეს დასცინებდა, არასოდეს აუგად არ მოიხსენიებდა, არცთუ უხეირო კაცად მიაჩნდა იგი; ასე გასინჯეთ, ძალიანაც გამოესარჩლებოდა, თუ ვინმე გაბედავდა და რაიმე უპატივცემულობას გამოიჩინდა მისდამი. რახან შვილები არ ჰყავდა, ბუნებრივია, საზოგადოებაში უნდა გამოსულიყო; მაგრამ საკუთარი "შინაც" ესაჭიროებოდა. მაღალი წრის ცხოვრების სიამეს თავდავიწყებით არასდროს მისცემია, ძალიან უყვარდა მეოჯახეობა და ხელსაქმე. გუშინ აგერ პაველ პავლოვიჩმა მათი ერთობლივი შინაური კითხვა გაიხსენა, ტ-ში რომ მართავდნენ საღამოობით; ხდებოდა ხოლმე: ხან თვითონ ველჩანინოვი კითხულობდა, ხან კიდევ პაველ პავლოვიჩი. ველჩანინოვისდა გასაკვირად, პაველ პავლოვიჩმა ჩინებული, ხმამაღალი კითხვა იცოდა. ნატალია ვასილიევნას ამ დროს საქარგავი ეჭირა ხოლმე ხელში და წყნარად, დინჯად ისმენდა. კითხულობდნენ დიკენსის რომანებს, რომელიმე რუსულ ჟურნალს, ხანდახან რაიმე "სერიოზულსაც". ნატალია ვასილიევნა დიდად აფასებდა ველჩანინოვის განათლებულობას, ოღონდ აფასებდა თავის გულში, თქმით არას იტყოდა ხოლმე; ერთხელ და სამუდამოდ გარკვეულ რამედ მიაჩნდა ეს ამბავი და შემდგომ ლაპარაკსაც ამის თაობაზე ზედმეტად თვლიდა. საერთოდ კი ყოველგვარ მწიგნობრულობასა და სწავლულობას გულგრილად ეკიდებოდა, როგორც სრულიად გარეშე რამეს, თუმცა მათს სიკეთეში შეიძლება ეჭვი არ ეპარებოდა. სამაგიეროდ პაველ პავლოვიჩი ამ მხრივ გარკვეულ მგზნებარებას ამჟღავნებდა ხოლმე. ტ-ში განასკვული კავშირი ერთბაშად გაწყდა მას შემდეგ, რაც ველჩანინოვი მისდათავად გულის საწადელს ეწია და ლამის

გაგიჟებულს დაემსგავსა. იგი ანაზღად და უბოდიშოდ გამოაგდეს. ოღონდ ყველაფერი ისე მოხდა, რომ, როცა მოდიოდა, აზრადაც არ მოსვლია, თუ "ძველ, ნახმარ წაღასავით" მოისროლეს. ამ ტ-ში, წამოსვლამდე ასე თვენახევრით ადრე, გამოჩნდა არტილერიის ერთი ქორფა, ახალგამომცხვარი ოფიცერი, რომელმაც ტრუსოცკებთან სიარულს უხშირა. ამგვარად, სამის წილ ოთხნი შეიქნენ. ნატალია ვასილიევნა მწყალობელი თვალთ უყურებდა ყმაწვილს, მაგრამ ისე ეპყრობოდა, როგორც ბიჭუნას ეპყრობიან ხოლმე. ველჩანინოვი ვერც მიმხვდარიყო, თუ აგერ რაყიფი გამოსჩენოდა; არც თუ საამისო დაკვირვებისათვის ეცალა იმჟამად, რადგან მოულოდნელად გამოუცხადეს, აუცილებლივ უნდა დავშორდეთო. ველჩანინოვის დასაყაბულებლად სხვა მრავალ მიზეზთან ერთად ქალმა ისიც მოიმიზეზა, მგონი ფეხმძიმედ უნდა ვიყო. ამიტომ თითქოს ბუნებრივი ჩანდა, ველჩანინოვი დაუყოვნებლივ განრიდებოდა იქაურობას ერთი სამი-ოთხი თვით მაინც, რათა ცხრა თვის თავზე ქმარს გაძნელებოდა რაიმეში ეჭვის შეტანა, თუ ვინიცობაა რაიმე ჭორი დარხეულიყო; ეს საბუთი ყურით მოთრეულს ჰგავდა, მაგრამ იმის შემდეგ, რაც ველჩანინოვმა გულმხურვალედ შესთავაზა ქალს, პარიზში ან ამერიკაში გავიქცეთო, ისღა დარჩენოდა, მარტოდმარტო გამგზავრებულიყო პეტერბურგს; ოღონდ "უეჭველია, სულ ცოტა ხნით" მიემგზავრებოდა, ანუ არა უმეტეს სამი თვის ვადით; თორემ არაფრისდიდებით ფეხს არ მოიცვლიდა, რაგინდ მიზეზი ან საბუთი წამოეყენებინათ. სრული ორი თვის თავზე პეტერბურგში მან წერილი მიიღო ნატალია ვასილიევნასაგან. ქალი სთხოვდა, ნურასდროს ნულარ დაბრუნდები, რადგან უკვე სხვა მიყვარსო. ხოლო ორსულობის თაობაზე ატყობინებდა, თურმე მოვტყუვდიო. ამის შეტყობინებით ზედმეტად გაისარჯა;

ველჩანინოვისათვის უამისოდაც ყველაფერი უკვე ნათელი შეიქნა: მას გაახსენდა ახალგაზრდა ოფიცერი. აი, ასე დამთავრდა ეს ამბავი, დამთავრდა სამუდამოდ. მერმე, უკვე რამდენიმე წლის შემდეგ, ველჩანინოვმა როგორღაც ყური მოჰკრა, ტ-ში ბაგაუტოვი მოხვედრილიყო და იქ კაი ხუთი წელიწადი დაეყო. ამგვარ უსაშველოდ ხანგრძლივ კავშირს ველჩანინოვი, სხვათა შორის, იმითაც ხსნიდა, რომ ნატალია ვასილიევნა, ალბათ, ფრიად დაბერდა და ამიტომ უფრო შემთვისეც გახდაო. თითქმის ერთი საათი ისევ ისე ლოგინზე წამომჯდარმა გაატარა ველჩანინოვმა. ბოლოს გონს მოეგო, მავრას დაურეკა, ყავა მოატანინა, სახელდახელოდ დალია, ტანთ ჩაიცვა და სრულ თერთმეტ საათზე პოკროვისეული სასტუმროს სამებრად გაემართა. ამ სასტუმროს გამო მას განსაკუთრებული, უკვე ამდილანდელი შთაბეჭდილება შეექმნა. სხვათა შორის, ცოტა არ იყოს რცხვენოდა კიდევ, გუშინ რომ ისეთნაირად მოექცა პაველ პავლოვიჩს, ახლა ეს დანაშაულიც უნდა გამოესყიდა. კარის საკეტისეულ იმ წუხანდელ ფანტამაგორიას იგი აბრალებდა შემთხვევითობას, პაველ პავლოვიჩის სიმთვრალეს და კიდევ ზოგ რამესაც, ალბათ. მაგრამ მაინც მთლად გარკვევით არ ესმოდა, რად მიდიოდა ადრინდელი საყვარლის ქმართან რაღაც ახლებური ურთიერთობის დასამყარებლად, როცა მათ შორის ყველაფერი ისე ბუნებრივად და თავისთავად დასრულებულიყო. თითქოს რაღაც მიერეკებოდა მას; რაღაცნაირი განსაკუთრებული შთაბეჭდილების ქვეშ იყო მოქცეული და ამ შთაბეჭდილების უჩინარი ძალა მიეზიდებოდა.

V - ლიზა

პაველ პავლოვიჩს არც უფიქრია "გაპარვა"; მართლაც, ღმერთმა უწყის, რად მისცა ველჩანინოვმა გუშინ ეს შეკითხვა. ჭემმარიტად, თვითონ მას დაბნელებოდა გონება. პირველსავე საწვრილმანოში იკითხა თუ არა, ხელად მიასწავლეს პოკროვისეული სასტუმრო. იქვე ყოფილიყო თურმე, შესახვევში. სასტუმროში აუწყეს, ბატონი ტრუსოცკი ახლა აქვე, ეზოს ფლიგელში დაბინავდა, მარია სისოევნას ავეჯით გაწყობილ ოთახებში. ფლიგელის ვიწრო, მთლად ჭუჭყიან ქვის კიბეს აუყვა ველჩანინოვი მეორე სართულისაკენ, სადაც ეს ოთახები ეგულებოდა, და უცებ ტირილის ხმა შემოესმა. ბავშვის ტირილის ხმას ჰგავდა, ასე შვიდი-რვა წლის ბავშვისას. ცხარედ ტიროდა, ოღონდ მოგუდული ხმით, თუმცა შიგადაშიგ ქვითინი წასკდებოდა ხოლმე; იმავე დროს ფეხის დაბაკუნებაც გაისმოდა, რასაც ზედ ერთვოდა გაგულისებული კაცის დაყვირება. ეს უკვე მოწიფული კაცის ხმა იყო. მაღალი, წვრილი ხმა, ხრინწიანი და თითქოს დახშულიც. ის მოწიფული კაცი ეტყობა ბავშვს აჩუმებდა და ძლიერ არ უნდოდა, ტირილი ვინმეს გაეგონა, მაგრამ თვითონ უარესად ხმაურობდა. იგი უწყალოდ ყვიროდა, ბავშვი კი თითქოს პატიებას ითხოვდა. ამასობაში ველჩანინოვი შევიდა ერთ მომცრო დერეფანში, სადაც აქეთ-იქით ორ-ორი კარი იყო დატანებული; ვიღაც ზორბა, სქელ-სქელი, შინაურულ ყაიდაზე თმაგაჩეჩილი დედაკაცი შემოხვდა, ველჩანინოვმა ჰკითხა, ტრუსოცკი სადა დგასო. დედაკაცმა თითით იმ ოთახის კარზე უჩვენა, საიდანაც ტირილი ისმოდა. უჩვენა და მსუქან, აჭარხლებულ სახეზე ერთგვარი გულისწყრომა გამოეხატა. – დახე, თავს იქცევს, რაღა! – დაიბუხუნა და კიბის ბაქნისკენ გასწია. ველჩანინოვმა ის-ის იყო დაკაკუნება დააპირა, მაგრამ გადაიფიქრა და ჯიქურ შეაღო კარი. ულაზათოდ გაწყობილ, უბრალო, შეღებილი ავეჯით გამოჭედილ ოთახში ამოჰყო თავი. შილიფად ჩაცმული პაველ პავლოვიჩი შუაგულ ოთახში იდგა. გაღებულ და სახეაწითლებული, იგი ლამობდა ყვირილით, ხელის ქნევითა და შესაძლოა (როგორც მოეჩვენა ველჩანინოვს) მუჯღუგუნითაც, დაეჩუმებინა ასე რვა წლის პატარა გოგონა, რომელსაც შალის შავი მოკლე კაბა ეცვა და ღარიბულად, მაგრამ ქალიშვილის პირობაზე იყო მორთული. გოგონას, იფიქრებდით, ნამდვილი ისტერიკა მორევიაო; გულამომჯდარი ქვითინებდა და ხელებით პაველ პავლოვიჩს ეპოტინებოდა, თითქოს უნდა შემოეხვიოს, შემოეჭიდოს და ხვევნა-მუდარით რაღაცაზე დაიყოლიოსო. სტუმრის დანახვისთანავე ყველაფერი თვალისდახამხამებაში შეიცვალა: გოგონამ წამოიყვირა და გვერდით ოთახში გავარდა, პაველ პავლოვიჩი წამიერად შეფიქრიანდა, მაგრამ მაშინათვე სულ მთლად დადნა ღიმლისაგან, სწორედ ისევე, როგორც წუხელ, როცა ველჩანინოვმა თავისი ოთახის კარი უცებ გააღო და პირდაპირ შეეფეთა მას. – ალექსეი ივანოვიჩ! – შესძახა აშკარად გაკვირვებულმა მასპინძელმა, – არასდიდებით არ მოგელოდით... აი, აქეთ, აქეთ! დივანზე დაბრძანდით, ან აგერ სავარძელში მოიკალათეთ, მე კი... – და სერთუკს წამოავლო ხელი, ხოლო ჟილეტის ჩაცმა დაავიწყდა. – ნუ მერიდებით, როგორც ხართ, მასე იყავით, – ველჩანინოვი სკამზე ჩამოჯდა. – რა ბრძანებაა; აი, ასე ცოტა უფრო რიგიანად გამოვიყურები. აბა, მანდ სად მიმჯდარხართ, კუთხეში? აქეთ მოიწიეთ, აი, აგერ სავარძელში, ან აგერ მაგიდასთან... არა, მართლა არ მოველოდი, არ მოველოდი! თვითონაც ჩამოჯდა წნული სკამის კიდეზე, ოღონდ სკამი ისე შეაბრუნა, რომ გვერდით კი არ დასჯდომოდა

"მოულოდნელ" სტუმარს, არამედ გეზად, რათა ასე უფრო მოხერხებულად ეცქირა მისი სახისათვის. – ვითომ რატომ არ მომელოდით? აკი გითხარით გუშინ, ამ დროს მოვალ-მეთქი. – მაინც არ მეგონა, თუ მობრძანდებოდით: თანაც დილას რომ გამომეღვიძა და გუშინდელი ამბავი ავწონ-დავწონე, მთლად დავკარგე თქვენი ნახვის იმედი. ამასობაში იქაურობა მოათვალიერა ველჩანინოვმა. ოთახში უწესრიგობა სუფევდა; ლოგინი აულაგებელი იყო, ტანისამოსი – მიყრილ-მოყრილი, მაგიდაზე ყავიანი ფინჯნები და ნახევრად დაცლილი, თავახდილი შამპანურის ბოთლი იდგა, პურის ნამცეცები ეყარა. ველჩანინოვმა გვერდით ოთახისკენ გაიჭვრიტა, მაგრამ იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა; გოგონა, ჩანს, მიიმალა და განაბული იყო. – ნუთუ ახლა მაგას ეტანებით? – შამპანურზე მიუთითა ველჩანინოვმა. – რა ვქნა... – დაირცხვინა პაველ პავლოვიჩმა. – მართლა ძალიან გამოცვლილხართ! – ცუდი ზნე დამჩემდა. მერწმუნეთ, აი იმის შემდეგ; არა ვტყუი! ველარ ვიკავებ თავს. ნუ გეფიქრებათ, ალექსეი ივანოვიჩ, ახლა მთვრალი არა ვარ, გუშინდელივით სისულელის ჩმახვას აღარ მოვყვები. ოღონდ მართალს გეუბნებით: ყველაფერი იმის შემდეგ დაიწყო! და ჯერ კიდევ ნახევარი წლის წინათ რომ ეთქვა ვინმეს, ერთბაშად ისე მოვტყდებოდი, როგორც ამჟამად ვარ მოტეხილი, თუნდაც სარკეში დაენახვებინათ ჩემი თავი, მაინც ვერ დავიჯერებდი! – მაშ ხომ ყოფილხართ გუშინ მთვრალი? – გახლდით, – ხმადაბლა აღიარა პაველ პავლოვიჩმა და, დარცხვენილმა, თვალები დახარა, – ოღონდ იცით რა: ნამთვრალევი უფრო მეტქმოდა, ვიდრე მთვრალი. ამას თუ გიხსნით, იმიტომ, რომ მერე და მერე უარესი მეძარბოვა ხოლმე: სიმთვრალე თითქმის გამონელებული

გაქვს, რალაცნაირი სისასტიკისა და უგუნურების გრძნობა კი მაინც გრჩება, დარდსაც უფრო მძაფრად გრძნობ, სმითაც, ვინ იცის, დარდისაგან ვსვამდე. მაგ დროს შეიძლება მთლად სულელური რამ ჩავიდინო და კაცსაც ვაწყენინო. ალბათ, გუშინ მეტად უცნაური გეჩვენათ ჩემი საქციელი, არა? – განა არ გახსოვთ? – როგორ არ მახსოვს, ყველაფერიც მახსოვს... – იცით, პაველ პავლოვიჩ, მეც სწორედ ასე ვიფიქრე და ავხსენი ეს, – შემარიგებელი კილოთი თქვა ველჩანინოვმა, – ესეც არ იყოს, გაგიბრაზდით და... გავფხუკიანდი, რაშიც გულახდილად უნდა გამოგიტყდეთ. ხანდახან მთლად კარგად ვერა ვგრძნობ ხოლმე თავს და თქვენმა უცაბედმა სტუმრობამ ღამით... – მაშა, ღამით, ღამით! – თავი გააკანტურა პაველ პავლოვიჩმა, თითქოს კვირობს და თავის თავს კიცხავს ამგვარი საქციელისთვისო, – ან რამ შემაგულიანა! არამც და არამც შემოსვლას არ ვაპირებდი, თქვენ თვითონვე რომ არ გაგედოთ კარი; ზღურბლიდანვე გავბრუნდებოდი; მე ხომ თქვენ ერთი კვირის წინათ შემოგიარეთ, ალექსეი ივანოვიჩ, მაგრამ შინ არ დამიხვდით; მეტად იქნებ აღარც შემომეველო. რაც უნდა იყოს, ცოტა ამაყი კაცი მეც გახლავართ, ალექსეი ივანოვიჩ, თუმცა კი მესმის... ამგვარ ყოფაში რომ ვარ. ჩვენ ქუჩაშიაც ვხვდებოდით ერთმანეთს, ოღონდ სულ ასე ვფიქრობდი: ვაითუ ვერ მიცნოს, ვაითუ ზურგი მაქციოს-მეთქი, ცხრა წელიწადი ხუმრობა საქმე როდია, – ჰოდა, მიტომაც ვერ ვბედავდი გამოგცნაურებოდით. გუშინ აგერ პეტერბურგის მხრიდან მოვეხეტებოდი, რა დრო იქნებოდა, არც კი გამხსენებია. ყველაფერი აი ამის (ბოთლზე უჩვენა) და გრძნობების ბრალი გახლავთ. სულელურად მომივიდა! ძალზე სულელურად! ჰოდა, თქვენნაირი კაცი რომ არ შემხვედროდა, – თქვენ ხომ წუხანდელი ამბის შემდეგ მაინც მოხვედით, ძველი ამბავი გაიხსენეთ და მოხვედით, – მაშინ ნაცნობობის განახლების იმედსაც დავკარგავდი. ველჩანინოვი გულისყურით უსმენდა. ეს კაცი თითქოს წრფელი გულით ლაპარაკობდა, ასე განსაჯეთ, ერთგვარი ღირსებითაც. მაგრამ, რაჟამს მასთან ფეხი შემოდგა ველჩანინოვმა, მას შემდეგ

ყველაფერი აეჭვებდა. – ერთი მითხარით, პაველ პავლოვიჩი, მაშ, თქვენ მარტო არა ხართ აქა? ვისია ის გოგონა, წელან აქ რომ ვნახე? პაველ პავლოვიჩმა გაიკვირვა და წარბებიც კი აზიდა, მაგრამ ნათელი და საამური მზერა შეაგება ველჩანინოვს. – როგორ თუ ვისია? ის ხომ ლიზაა! – წარმოთქვა მან და თავაზიანად გაიღიმა. – რომელი ლიზა? – წაიდუდუნა ველჩანინოვმა და თითქოს გული შეუტოკდაო. მეტად მოულოდნელი იყო ეს შთაბეჭდილება. წელან, როცა აქ შემოვიდა და ლიზას თვალი მოჰკრა, გუმანი არაფრისა აუღია, არცთუ რაიმე განსაკუთრებული აზრი გასჩენია. – რომელი და ჩვენი ლიზა. ჩვენი ქალიშვილი ლიზა! – იღიმებოდა პაველ პავლოვიჩი. – როგორ თუ ქალიშვილი? განა თქვენ და ნატალია... განსვენებულ ნატალია ვასილიევნას შვილები გყავდათ? – უნდოდ, გაუბედავად ჰკითხა ველჩანინოვმა. ჰკითხა რაღაცნაირი მეტისმეტად ჩუმი ხმით. – არ იცოდით? აჰ, ღმერთო ჩემო, მართლა საიდან უნდა გცოდნოდათ? განა რატომ მიკვირს! ეს უკვე თქვენს შემდეგ გვიწყალობა უფალმა! პაველ პავლოვიჩი სკამიდანაც კი წამოხტა ერთგვარი აღელვებისაგან; თუმცა ეს მისი აღელვებაც თითქმის სიამოვნებას უფრო გამოხატავდა. – მე არაფერი გამიგია, – თქვა ველჩანინოვმა და ფერი წაუვიდა. – მართლაც, ვისგან უნდა გაგეგოთ! – მისუსტებული, გრძნობამორეული ხმით გაიმეორა პაველ პავლოვიჩმა, – მე და განსვენებულს იმედიც ხომ დაკარგული გვექონდა, ეგებ თქვენც გეხსომებათ; მაგრამ, მოულოდნელად აკი წყალობის თვალთ გადმოგვხედა ღმერთმა; ჰოდა, რა დამემართა მაშინ. ესეც მხოლოდ მან ერთმა იცის! ვგონებ, თქვენს მერე სრული ერთი წლის შემდეგ იყო ეს ამბავი! თუ არა, ერთი წლის შემდეგ კი არა, სულაც არა, დაიცათ: თქვენ ხომ, თუ მეხსიერება არ მდალატობს, ოქტომბერში თუ ბარე ნოემბერში წამოხვედით ჩვენგან? – მე წამოვედი ტ-დან სექტემბრის დამდეგს, თორმეტ სექტემბერს; კარგად მახსოვს... – ნუთუ სექტემბერში? ჰმ... რატომ შემშლია? – ძლიერ გაკვირდა პაველ პავლოვიჩი, – მაშ, თუ ასეა, მომითმინეთ; თქვენ წამოხვედით სექტემბრის თორმეტს, ლიზა კი დაიბადა მაისის რვაში; აბა, ვნახოთ: სექტემბერი – ოქტომბერი – ნოემბერი – დეკემბერი – იანვარი – თებერვალი – მარტი – აპრილი, – რვა თვეზე ცოტა მეტი გამოდის, დიახ! და ნეტა ერთი იცოდეთ, განსვენებული როგორ... – მაჩვენეთ ერთი... ბარემ დაუმახეთ... – რაღაცნაირი ჩაწყვეტილი ხმით წაილულლულა ველჩანინოვმა. – ახლავე, ჩემო ბატონო! – დაფაცურდა პაველ პავლოვიჩი, ლაპარაკი უმაღვე შეწყვიტა, თითქოს ის, რის თქმასაც აპირებდა, სულაც საყურადღებო არ იყო, – ამ წუთს, ამ წუთს მოგგვრით! – და

საჩქაროდ გაეშურა გვერდითი ოთახისაკენ, ლიზასთან. კაი სამი თუ ოთხი წუთი გავიდა; მეზობელ ოთახში გამწარებული ჩურჩულებდნენ, ლიზას ხმა ძლივს გასაგონად მოისმოდა. "იქით ნუ გამიყვანთო, ალბათ ეხვეწება". – ფიქრობდა ველჩანინოვი. ბოლოს, გამოვიდნენ. – აი, სულ ასე კრთის, – თქვა პაველ პავლოვიჩმა, – ეგეთი მორცხვია, ამაყი... მთლად განსვენებულს დაემსგავსა! ლიზა აღარ ტიროდა უკვე, თვალები დაეხარა; მამამისს ხელჩაკიდებული მოჰყავდა. ეს იყო მაღალი, ტანწვრილი, პირმშვენიერი გოგონა. სწრაფად ააპყრო დიდრონი, ცისფერი თვალები. ცნობისმოყვარედ, ოდნავ კუმტად შეხედა სტუმარს, ააპყრო და მყისვე დახარა. ამ მის მზერაში გამოსჭვიოდა იმგვარი მედიდურობა, ბალღებს რომ სჩვევიათ, როცა უცხო კაცის პირისპირ მარტოკა დარჩენილნი, კუთხეში მიიყუჩებიან და იქიდან გოროზად და თანაც უნდობლად უჭვრეტენ უცნობ სტუმარს; მაგრამ ეს მზერა იქნებ სხვა რამესაც იტევდა, ისეთ ფიქრს, რასაც უკვე აღარ ეთქმოდა ბავშვური ფიქრი, – ასე მოეჩვენა ველჩანინოვს. მამამ ახლოს მიჰგვარა გოგონა. – აი, ეს ძია დედიკოს იცნობდა წინათ, მეგობარი იყო ჩვენი; ნუ მორცხვობ, გაუწოდე ხელი. გოგონა ოდნავ დაიხარა და

გაუბედავად გაუწოდა ხელი. – ნატალია ვასილიევნას არ უნდოდა რევერანსი ესწავლებინა; ასე, ინგლისურ ყაიდაზე ამჯობინებდა, – უხსნიდა ველჩანინოვს პაველ პავლოვიჩი და თანაც დაკვირვებით აცქერდებოდა სახეზე. ველჩანინოვმა იცოდა, რომ აკვირდებოდნენ, მაგრამ თავისი მღელვარების დაფარვა სულაც აღარ ედარდებოდა; გაუნძრევლად იჯდა სკამზე, ლიზას ხელი ხელში ეჭირა და ბავშვს ჩაციებით მისჩერებოდა. ლიზას კი რაღაც საკუთარი საზრუნავი აწუხებდა და მამამისს თვალს არ აშორებდა. მის ყოველ სიტყვას იგი შიშნულად ყურს მიაპყრობდა. ველჩანინოვს უმაღვე ეცნო ეს დიდრონი ცისფერი თვალები, მაგრამ პირისახის არაჩვეულებრივმა, საოცრად ნაზმა სისპეტაკემ და თმის ფერმა ყველაზე მეტად განაცვიფრეს იგი; ამ ნიშნებს მეტად და მეტად საგულისხმოდ თვლიდა. სახის იერიითა და ტუჩებით კი, პირიქით, ძალიან მოაგონებდა ნატალია ვასილიევნას. ამასობაში პაველ პავლოვიჩს რაღაც ამბის მოყოლა დაეწყო, თითქოს მომეტებული გრძნობითა და მგზნებარებითაც ყვებოდა, მაგრამ ველჩანინოვს სულ არ ესმოდა, რას უამბობდნენ. ბოლო წინადადებასლა მოჰკრა ყური: – ... ასე რომ, ალექსეი ივანოვიჩ, ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ გაგვახარა ღვთის ამ წყალობამ! ამ ბავშვზე ამომდიოდა მზე. ვფიქრობდი: ვინიცობაა, განგების ნებით მომესპოს მყუდრო ბედნიერება, აგერ ლიზა ხომ მეყოლება-მეთქი; ამაში მაინც აღარ მეპარებოდა ეჭვი! – მერე ნატალია ვასილიევნა? – ჩაკვითხა ველჩანინოვი. – ნატალია ვასილიევნა? – დაიმანჭა პაველ პავლოვიჩი, – ხომ იცნობდით, ხომ გახსოვთ, გულჩათხრობილი ქალი იყო, მაგრამ როგორ ეთხოვებოდა ამ ბავშვს სიკვდილის წინ... მაშინ კი გადაეშალა გული! "სიკვდილის წინ-მეთქი", გითხარით; მაგრამ უცებ, წინადღეს, აკი აფორიაქდა, ჯავრობდა, წამლებს გინდათ გადამაყოლოთო, გვეუბნებოდა; ერთი რაღაც უბრალო ციება მჭირსო; ამ ორ ჩვენს ექიმს არა გაეგება რა, აი დაბრუნდეს კოხი (გახსოვთ შტაბმკურნალი ჩვენი, ბერიკაცი), ორ კვირაში ფეხზე წამოვდგებო! ეგ კიდევ რაა, სულ ხუთიოდე საათის სიცოცხლე დარჩენოდა და მაინც იმაზე გველაპარაკებოდა, სამი კვირის შემდეგ ლიზას ნათლიას დღეობაზე უნდა ვესტუმროთ მის მამულშიო... ველჩანინოვი სკამიდან წამოდგა უცებ, ლიზას ხელი ისევ ხელში ეჭირა. მას, სხვათა შორის, მოეჩვენა, რომ გოგონას აღზნებული მზერა, მამამისისკენ მიმართული, რაღაც სამდურავს გამოხატავდა. – ავად ხომ არ არის? – რაღაც უცნაურად, მოუთმენლად იკითხა მან. – ვგონებ არ უნდა იყოს, თუმცა... ხომ ხედავთ, რა ყოფაში ვართ აქ, – შეწუხებული კაცის მზრუნველი კილოთი წარმოთქვა პაველ პავლოვიჩმა, – ეგ კი ისედაც უცნაური, აზიზი ბავშვია; დედის სიკვდილის მერე ავად გახდა და ორი კვირა ფეხზე არ წამომდგარა; ისტერიული ბავშვია. წელან აგერ ხომ ნახეთ, რა ამბავში იყო, – გესმის, ლიზა, გესმის? – მერედა რის გამო, რა გგონიათ? სულ იმის გამო, რომ მე გავდივარ და ამას მარტო ვტოვებ ხოლმე; ჰოდა, ისე აღარ გიყვარვარ, როგორც დედიკოს დროს გიყვარდიო, – აი, რასა მდებს ბრალად. აკი ასეთი ახირებული აზრი მოუვა ამისთანა ღლაპს. ჯერ ისევ სათამაშოები უნდა ეჭიროს ხელში. აქ კი თავის შემაქცევარიც არავინა ჰყავს. – კი, მაგრამ როგორ... განა სულ მარტონი ხართ აქა? – სულ მარტოდ მარტონი ვართ, ჩემო ბატონო; დღეში ერთხელ მსახური ქალი თუ შემოვა ოთახის მისალაგებლად, ეგაა და ეგ. – მერე როცა მიდიხართ, ბავშვს მარტო სტოვებთ? – აბა, რა ვქნა? გუშინ, წასვლის წინ, ჩავკეტე კიდევ, აი იმ ოთახში. დღევანდელი ცრემლის ღვრაც ამას მოჰყვა. ან რა უნდა მექნა, თვითონ განსაჯეთ: გუშინწინ

უჩემოდ ჩავიდა ძირს და ვილაც ბიჭმა ქვა გამოუქანა თავში. ან არადა ტირილს მორთავს, მივარდება ვისაც თვალს მოატანს ეზოში და ეკითხება, საით წავედი. ვინ

იქცევა ასე! თუმცა რა, არც მე ვარ ბევრად უკეთესი; გავალ ვითომ ერთი საათით და მეორე დღეს, გამთენიის ხანსლა ვბრუნდები. გუშინაც ასე დამემართა. კიდევ კარგი, სახლის პატრონმა გაულო კარი, ზეინკლისთვის დაუმახია, – მრცხვენია სწორედ; მართლაცდა, ვიღაც მტარვალი მგონია ჩემი თავი. გონება დამიბნელდა და ყველაფერი იმის ბრალია... – მამილო! – გაუბედავად, შეშფოთებით წარმოთქვა გოგონამ. – ისევ დაიწყე? მაინც შენსას არ იშლი! რას გეუბნებოდი წელან. – აღარ ვიზამ, აღარ ვიზამ, – მყის გულზე შეიტყუპა ხელები და შიშით გაიმეორა ლიზამ. – არა, ასე ცხოვრება აღარ შეიძლება! – მოუთმენლად ალაპარაკდა უცებ ველჩანინოვი, ალაპარაკდა უფლებამოსილი კაცის კილოთი. – თქვენ ხომ... თქვენ ხომ შეძლებული კაცი ხართ; მაშ, ასე რატომ ცხოვრობთ – ჯერ ერთი ამ ფლიგელში, ამგვარ გარემოში? – ფლიგელშიო? აგერ ერთ კვირაში, ალბათ, წავალ კიდევ, ფული კი ისედაც ბლომად შემოგვეხარჯა; რა ვუყოთ, რომ შეძლება გვაქვს... – ჰო, კარგი, კმარა! – გააწყვეტინა ველჩანინოვმა, რომელიც სულ უფრო მეტ მოუთმენლობას ამჟღავნებდა, რითაც თითქოს ამკარად ეუბნებოდა: "სალაპარაკო არაფერია; ყველაფერი კარგად ვიცი, რაც უნდა თქვა; ისიც ვიცი, რა განზრახვითაც ლაპარაკობ!" – გამიგონეთ, ერთ რამეს გთავაზობთ: თქვენ, აგერ თქვით, ერთ ან ორ კვირას, ალბათ, კიდევ დავრჩებითო. ჰოდა, აქ ერთ ოჯახს ვიცნობ, სადაც უკვე ოცი წელია, შინაურივითა ვარ. გვარად პოგორელცევებია ის ხალხი. თვითონ ოჯახის თავი, ალექსანდრ პავლოვიჩ პოგორელცევი, საიდუმლო მრჩეველია. ეგებ გამოგადგეთ კიდევ თქვენი საქმის გამო. ახლა აგარაკზე არიან. შესანიშნავი აგარაკი აქვთ. კლავდია პეტროვნა ხომ ისე მიმაჩნია, როგორც და, როგორც დედა. მათ რვა შვილი ჰყავთ. მოდით, ბარემ ახლავე იმათ მივუყვან ლიზას... დრო რაღას დაგვარგოთ. ბავშვს სიხარულით მიიღებენ, ამ ერთხანს თავისთან იყოლიებენ, ალერსს არ მოაკლებენ, ისე მოეპყრობიან, როგორც ღვიძლ შვილს! საშინელ მოუთმენლობას აეტანა ველჩანინოვი, არცთუ ფარავდა ამას. – ეგ კი რაღაც შეუძლებელი მგონია, – მანჭვით წარმოთქვა პაველ პავლოვიჩმა და, როგორც ველჩანინოვს მოეჩვენა, ეშმაკურად შეაცქერდა თვალებში. – რატომ? რატომ გგონიათ შეუძლებელი? – აბა, როგორ იქნება, ადგე და უცებ ასე გაუშვა ბავშვი, – არა, თქვენისთანა გულწრფელად კეთილმოსურნე ადამიანზე რა მეთქმის, მაგრამ, რაც უნდა იყოს, მაინც უცხო სახლია, მერე ისეთი მაღალი წრის ხალხი; თანაც არც კი ვიცი, როგორ მიიღებენ. – აკი გითხარით, მათთან შინაურივით ვარ-მეთქი, – შესძახა ლამის ბოღმამორეულმა ველჩანინოვმა. – კლავდია პეტროვნას ერთი სიტყვა რომ ვუთხრა, ბედნიერებად ჩათვლის. როგორც ჩემს ქალიშვილს... ფუ, დასწყევლოს ეშმაკმა, აკი თვითონაც იცით, რომ უბრალოდ ყბედობა მოგნდომებიან და ეგ არის... რაღაა აქ საკამათო! განრისხებულმა ველჩანინოვმა ფეხიც კი დააბაკუნა. – ამას იმიტომ გეუბნებით, ძალიან უცნაური ხომ არ გამოვა-მეთქი. არა, ზოგჯერ მაინც ხომ უნდა ვინახულო, თორემ მთლად უმამობაც როგორ იქნება? ხე-ხე... მერე ისეთი წარჩინებული ხალხი... – "წარჩინებული" კი არა და, სულ უბრალო ხალხია! – ყვიროდა ველჩანინოვი, – გეუბნებით, იქ ბევრი ბავშვია. გამოცოცხლდება იქ, ყველაფერი ექნება ამისთვის... თქვენ კი ხვალვე მე თვითონ გაგაცნობთ იმ ოჯახს. ხომ მაინც უნდა მიხვიდეთ, მადლობა გადაუხადოთ; მუდამდღე ვივლით კიდევ, თუ ისურვებთ... – ეს ყველაფერი რაღაც... – სისულელეა! რაც მთავარია, თქვენ თვითონვე იცით, რომ ასეა! გამიგონეთ, შემომიარეთ ამ საღამოს და ბარემ ჩემთანვე გაათიეთ ღამე, დილით კი ადრიანად გავუდგებით გზას, რომ თორმეტზე იქ ვიყოთ. – ოჰ, ჩემო კეთილისმყოფელო! დამესაც რომ მათევინებთ... – ერთბაშად დათანხმდა გრძნობამორეული პაველ პავლოვიჩი, – ჭემმარიტად სიკეთეს იჩენთ ჩემდამი... ის მათი აგარაკი სადღაა? – ლესნოეში. –

ოღონდ, აი, ჩასაცმელი რომ უნდა ბავშვს? აბა, ასეთ დიდგვარიან ოჯახში, ისიც აგარაკზე, თვითონაც მოგეხსენებათ... მამის გულის ამბავი! – რა ჩასაცმელი უნდა? აკი მგლოვიარედაა. განა სხვა რა შეიძლება ეცვას? ყველაზე უფრო სწორედ ეს შეჰფერის! ოღონდ, აი, თეთრეული თუ მოეძევება ცოტა უფრო სუფთა, და თავსაფარიც... (მართლაც ძალზე ჭუჭყიანი თეთრეული მოუჩანდა, ასევე ჭუჭყიანი თავსაფარი წაეკრა). – ახლავე, ამ წუთსვე გამოვუცვლით, – დაფაცურდა პაველ პავლოვიჩი, – დანარჩენ თეთრეულსაც ახლავე მოვუყრი თავს, მარია სისოევნასთვის მაქვს გასარეცხად მიცემული. – ბარემ უბრძანეთ, ეტლი მოგვგვარონ, – სიტყვა

ჩამოართვა ველჩანინოვმა, – თუ შეიძლებოდეს, ჩქარა. მაგრამ აქ დაბრკოლებამ იჩინა თავი: ლიზა გადაჭრით უარზე დადგა. იგი იმთავითვე შიშნეულად ყურს უგდებდა უფროსების ლაპარაკს და თუ პაველ პავლოვიჩის დაყოლიებით გართულ ველჩანინოვს საიმისოდ სცლოდა, ყურადღებით დაჰკვირებოდა გოგონას, მის სახეზე უსაშველო სასოწარკვეთას ამოიკითხავდა. – მე არ წამოვალ, – წყნარად, მაგრამ მტკიცედ მოჰრა მან. – აი, ხომ ხედავთ, ხომ ხედავთ, მთლად დედამისს დაემსგავსა! – არა, არ დავმსგავსებივარ დედას, არ დავმსგავსებივარ დედას! – იმახდა ლიზა, სასოწარკვეთილი თავის პაწია თითებს იმტვრევდა და ამ საშინელი საყვედურის გამო, დედას რად დაემსგავსეო, თითქოს თავს იმართლებდა მამის წინაშე, – მამილო, მამილო, თუ თქვენ მიმატოვებთ... და უცებ მივარდა შეშინებულ ველჩანინოვს. – თუ თქვენ წაგიყვანივართ, იცოდეთ... მაგრამ მეტი ველარაფრის თქმა მოასწრო; პაველ პავლოვიჩი სწვდა, ლამის კისერში ჩაავლო ხელი და ახლა უკვე აშკარად გაბოროტებულმა შეათრია პატარა ოთახში. იქ ისევ ჩურჩული ატყდა ცოტახნით, მოგუდული ტირილი ისმოდა. ველჩანინოვმა ის-ის იყო დააპირა იმ ოთახში შესვლა, მაგრამ ამ დროს პაველ პავლოვიჩი გამოვიდა და ღრეჭით გამოაცხადა, ახლავე გეახლებათო. ველჩანინოვი ლამობდა თვალი აერიდებინა მისთვის და განზე იყურებოდა. ამასობაში მარია სისოევნაც გამოჩნდა, სწორედ ის დედაკაცი, წელან რომ დერეფანში შემოხვდა ველჩანინოვს. ლიზასეული კოხტა ხელჩანთა მონახა და მოტანილი თეთრეულის ჩალაგებას შეუდგა. – ეგ თქვენ უნდა წაიყვანოთ, ბატონო, გოგონა? – ველჩანინოვს მიუბრუნდა იგი, – ოჯახი გაქვთ თუ რა? კარგს იზამთ, ბატონო: წყნარი ბალღია, ამ სოდომ-გომორისაგან იხსნით. – თქვენ, მარია სისოევნა, მართლა და მართლა, – ის-ის იყო ამოილულლულა პაველ პავლოვიჩმა. – რა, მარია სისოევნა! არ მოგწონთ, ხომ! თუ იქნებ არ გქონდეთ გამართული სოდომ-გომორი? ვარგა ვითომ, მიხვედრილ ბალღს ამისთანა სასირცხო რამეებს რომ აყურებინებთ? ეტლი მოგვგარეს, ბატონო, – მგონი, ლესნოეში, არა? – დიახ, დიახ. – აბა, კეთილად გემგზავროთ! გაფითრებული, თვალმდებრილი გამოვიდა ლიზა, ხელჩანთას დასწვდა. ერთხელაც არ მიუხედავს ველჩანინოვისაკენ. როცა მამამისს ემშვიდობებოდა, მაშინაც კი შეიმაგრა თავი და წელანდელივით აღარ წაეტანა მოსახვევნად; ჩანდა, არც კი უნდოდა მისთვის შეეხედა. მამამისმა წყნარად აკოცა და თავზე ხელი გადაუსვა; გოგონას ბაგე მოელრიცა და ნიკაპი აუთრთოლდა, მაგრამ მაინც არ ახედა მამამისს. პაველ პავლოვიჩს თითქოს ფერი გაკრთომოდა, ხელებიც უკანკალებდა – ეს თვალნათლივ შენიშნა ველჩანინოვმა, თუმცა ყოველნაირად ლამობდა, მისთვის არ ეცქირა. ერთი რამ სურდა: რაც შეიძლება მალე გასცლოდა აქაურობას. "მერე მე რა ვუყო, ჩემი რა ბრალია? – ფიქრობდა იგი, – ასე უნდა მომხდარიყო". ძირს ჩავიდნენ; აქ მარია სისოევნამ გადაკოცნა ლიზა; და მხოლოდ მაშინ, როცა ეტლში ჩასხდნენ, ლიზამ მზერა ესროლა მამამისს – უცებ ხელი ხელს შემოჰკრა და წამოიყვირა; წამიც და უნდა ესკუპა, მისკენ გაქანებულიყო, მაგრამ ამ

დროს ცხენებიც დაიდრნენ.

VI - უსაქმო კაცის ახალი ფანტაზია

– მართლად, ცუდად ხომ არა ხართ? – დაფრთხა ველჩანინოვი. – იქნებ ეტლი გავაჩერებინო, იქნებ წყალი მოვატანინო... გოგონამ უცხად ახედა და სიფიცხემორეული, საყვედურით შეაცქერდა. – სად მიგყავართ? – მკვახედ, ნაწყვეტ-ნაწყვეტად იკითხა მან. – საუცხოო ხალხთან, ლიზა. ახლა ისინი შესანიშნავ აგარაკზე არიან; იქ ბევრი ბავშვია. იქ ყველას ეყვარებით, გულკეთილნი არიან... ნუ გამიბრაზდებით, ლიზა, მე თქვენი სიკეთე მინდა... ახლა რომ ვინმე ნაცნობთაგანს დაენახა ველჩანინოვი, დიახაც უცნაურ კაცად მოეჩვენებოდა იგი. – თქვენ, თქვენ... უჰ, რა ავი ხართ! – თქვა ლიზამ. ყელში მობჯენილი ცრემლები ახრჩობდა და გაბოროტებულმა თავისი მშვენიერი თვალები გადაუბრიალა. – ლიზა, მე... – ავი ხართ, ავი, ავი! – ხელებს იმტვრევდა იგი. ველჩანინოვი მთლად დაიბნა. – ლიზა, გენაცვალე, რომ იცოდეთ, რა სასოწარკვეთილებაში მაგდებთ! – ხვალ მართლა მოვა? მართლა მოვა? – მბრძანებლური კილოთი იკითხა მან. – მართლა მოვა, მართლა! მე თვითონ წამოვიყვან; ავდგები და წამოვიყვან. – მოიტყუებს, – წაიჩურჩულა ლიზამ და თვალები დახარა. – განა არ უყვარხართ, ლიზა? – არ ვუყვარვარ. – გაწყენინებდათ კიდევ? გაწყენინებდათ? ლიზამ ქუშად შეხედა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. მერე ისევ მიაბრუნა პირი და ჯიუტად თავდახრილი იჯდა. ველჩანინოვი უყვავებდა, გულმხურვალედ ელაპარაკებოდა, თავადაც ციებ-ცხელებას აეტანა. ლიზა უნდობლად, მტრულად უგდებდა ყურს, მაგრამ უსმენდა კი. გოგონას ამ ყურადღებამ ველჩანინოვს ფრთხები შეასხა: იმის ახსნასაც კი შეეცადა, რას წარმოადგენს ლოთი კაცი. ეუბნებოდა, მე თვითონ მიყვარხართ და მამათქვენსაც თვალყურს ვადევნებო. ლიზამ ბოლოს და ბოლოს ახედა და დაჟინებით შეაცქერდა. ველჩანინოვმა ახლა დედამისთან ნაცნობობის ამბები გაიხსენა. ხედავდა, რომ იტაცებდა ბავშვს ამ ამბების მოსმენა. თანდათან აღარც თვითონ გაურბოდა კითხვებზე პასუხის მოცემას, ოღონდ ფრთხილად უპასუხებდა ხოლმე, მოკლედ და ჯიუტად. მთავარ შეკითხვებზე მაინც დუმდა: ჯიუტად დუმდა ყოველივე იმის გამო, რაც მამამისთან მის ადრინდელ ურთიერთობას შეეხებოდა. ლაპარაკის დროს ველჩანინოვმა მისი ხელი წინანდებურად ხელში მოიმიწყვდია და აღარც გაუშვია. არც გოგონა ცდილა ხელის წართმევას. ლიზა არცთუ სულ გაჩუმებული იჯდა. ბუნდოვანი პასუხების გაცემისას მაინც წამოსცდა, რომ მამა დედაზე მეტად უფრო მეტად ჰყვარებოდა; ეს იმიტომ, რომ წინათ მამას ყოველთვის უფრო მეტად უყვარდა, დედა კი არცთუ მაინცდამაინც ესიყვარულეობდა; მაგრამ როცა დედა კვდებოდა, ძალიან ჰკოცნიდა თურმე, ატირებულა კიდევ, როცა ოთახიდან ყველა გაიკრიფა და ორივენი მარტო დარჩნენ... ახლა დედა ყველაზე მეტად უყვარდა, ყველაზე, ყველაზე უფრო მეტად ამქვეყნად; დამდამობითაც ყველაზე უფრო მეტად ის ენატრებოდა. მაგრამ გოგონა მართლაც რომ ამაყი იყო: რაკი გონს მოეგო და მიხვდა, ზედმეტი რამ წამომცდაო, კვლავ გულჩათხრობილი შეიქნა, ისევ გაყუჩდა. მძულვარებითაც კი შეხედა ველჩანინოვს, რომელმაც იდუმალი გრძნობები გაამხელინა. მგზავრობის დროს ისტერიამ თითქმის მთლიანად გაუარა, მაგრამ საშინლად ფიქრიანი გახდა, ველურივით იცქირებოდა, პირქუშად, წინასწარ გადაწყვეტილი სიჯიუტით. რაც შეეხება იმას, რომ ახლა უცხო სახლში მიჰყავდათ, იქ, სადაც მანამდე ფეხი არ შეეღგა, ეს ამბავი ჯერჯერობით ნაკლებად აწუხებდა. ველჩანინოვი ატყობდა, რომ სხვა რამ

ტანჯავდა მას; ალლოთი ხვდებოდა, ლიზას ჩემი რცხვენიაო, სწორედ ის ესირცხვება, მამამისმა რომ ასე იოლად დამითმო მისი თავი, თითქოს საპატრონოდ მომიგდოო. "ბავშვი ავად არის, – ფიქრობდა ველჩანინოვი, – იქნებ ძალზე ავადაცაა; გაუტანჯავთ და გაუწვალებიათ... ჰოი ლოთო, უნამუსოვ, პირუტყვო! ახლა კი მესმის მაგ პირუტყვისა!" მეეტლეს აჩქარებდა ველჩანინოვი; აგარაკის, იქაური ჰაერის, იქაური ბაღის, ბავშვებისა და ახალი, ლიზასათვის ჯერაც უცნობი ცხოვრების მადლისმყოფელი გავლენის იმედი ჰქონდა; მერმე კი, მერმე... მაგრამ იმაში, რაც მერმე იქნებოდა, სრულებით აღარ ეპარებოდა ეჭვი. ეს მერმისი ნათელი იმედებით აღსავსე ეხატებოდა. ერთი რამეც იცოდა უცილობლად; ის, რასაც ახლა გრძნობდა, არასდროს განუცდია, და ეს გრძნობა სამუდამოდ გაუყვებოდა! "აი მიზანი, აი ცხოვრება" – აღფრთოვანებით ფიქრობდა იგი. უამრავი აზრი უტრიალებდა თავში, მაგრამ არც ერთ მათგანზე არ აჩერებდა ყურადღებას. ჯიუტად გაურბოდა წვრილმანებზე ფიქრს: უწვრილმანოდ ყველაფერი ნათელი და გარკვეული ხდებოდა, ყველაფერი მტკიცე და ურყევი ჩანდა. მთავარი გეგმა თავისთავად დაებადა: "იმ არამზადაზე ზეგავლენა უნდა მოვახდინოთ ერთობლივი ძალით, – ოცნებობდა იგი, – რომ პეტერბურგში პოგორელცევებთან დავატოვებინო ლიზა; ჯერ ვითომ დროებით, გარკვეული ვადით დატოვებს, ხოლო თვითონ მარტო გაემგზავრება, ლიზა კი მე დამრჩება; მორჩა და გათავდა; რაღაა აქ საეჭვო? მერედა... რაღა თქმა უნდა, თვითონ მასაც სურს ეს; თორემ, ისე რას უნდა ერჩოდეს ბავშვს". ამასობაში,

როგორც იქნა, აგარაკსაც მიაღწიეს. მართლაცდა თვალწარმტაც ალაგს წარმოადგენდა პოგორელცევების აგარაკი. ყველაზე უწინ ბავშვების გუნდი გამოეგება მათ, ერთი ჟრამულით გამოცვივდნენ სახლის პარმალზე. რა ხანი იყო ველჩანინოვი აქ არ გამოჩენილა, და მის დამნახველ ბავშვებს ახლა სიხარული შესდგომოდათ: უყვარდათ იგი. ეტლიდან გადმოსვლა ჯერ ვერც მოესწრო, მოზრდილებმა მათ შორის მცისვე მიაძახეს: – პროცესის საქმე როგორაა, როგორ მიდის თქვენი პროცესი? – ეს კითხვა ყველაზე პატარებმაც აიტაცეს და უფროსთა კვალდაკვალ ისინიც მოჰყვნენ კისკისსა და ჭყვივლს. აქ მუდამ ასე აჯავრებდნენ მას პროცესის გამო. მაგრამ მოჰკრეს თუ არა თვალი ლიზას, ყველანი მაშინვე გარს შემოეხვივნენ და ბავშვური ცნობისმოყვარეობით, უხმოდ, ჩაცვივით დაუწყეს ცქერა. ამასობაში კლავდია პეტროვნა გამოჩნდა, მერე მისი ქმარიც. ცოლ-ქმარმაც, პირველ ყოვლისა, პროცესის ამბავი ჰკითხა, იმათაც სიცილით. კლავდია პეტროვნა, ასე, ოცდაჩვიდმეტი წლის, ხორცსავსე და ჯერაც ლამაზი შევგვრემანი ქალი გახლდათ, ფუნჩულა, ღაჟღაჟა სახის პატრონი. მისი ქმარი ორმოცდათხუთმეტისა იქნებოდა; ჭკუა და ეშმაკობა არ აკლდა, მაგრამ უწინარეს ყოვლისა – ეს იყო გულკეთილი კაცი. მათი სახლი მართლაც "მშობლიურ კერას" წარმოადგენდა ველჩანინოვისათვის, მისივე თქმისა არ იყოს. მაგრამ აქ სხვა განსაკუთრებული გარემოებაც იმალებოდა: ოცი წლის წინათ სწორედ ეს კლავდია პეტროვნა კინაღამ ცოლად გაჰყვა ველჩანინოვს, იმხანად ჯერ ისევ ლამის პირტიტველა ყმაწვილს, ჯერ ისევ სტუდენტს. ეს იყო პირველი სიყვარული; მგზნებარე, სასაცილო და მშვენიერი. თუმცაღა იმით კი დაგვირგვინდა, რომ ეს ქალი პოგორელცევს მისთხოვდა. ხუთიოდე წლის შემდეგ კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს და ყველაფერი დასრულდა წყნარი, უშფოთველი მეგობრობით. ოღონდ სამუდამოდ დარჩა მათ გულში რაღაცნაირი ურთიერთსითბო, რაღაც განსაკუთრებული შარავანდი, რითაც ეს მათი ურთიერთობა იყო მოსილი. ამჯერად ყოვლად წმინდა, ყოვლად უბიწო იყო ველჩანინოვის მოგონებები და მით უფრო ეძვირფასებოდა ახლა ისინი, რაკი თითქმის

გამონაკლისად მიაჩნდა თავის ცხოვრებაში. აჰ, ამ ოჯახში, იგი ერთ მარტივ, გულუბრყვილო, გულკეთილ კაცად გადაიქცეოდა ხოლმე, ელოლიავებოდა ბავშვებს, არასდროს იპრანჭებოდა, ყველაფერს ადვილად აღიარებდა, ყველაფერს მოინანიებდა. პოგორელცევეების წინაშე არა ერთხელ და ორჯერ დაუფიცავს კიდეც, ერთხანს კიდეც ვიტრიალებ საზოგადოებაში და მერმე თქვენსა გადმოვბარგდები, განუყრელად თქვენთან ერთად ვიცხოვრებო. ამ განზრახვაზე არცთუ ხუმრობით ფიქრობდა გუნებაში. ველჩანინოვმა საკმაოდ დაწვრილებით უამბო მათ ლიზასი ყველაფერი, რისი თქმაც საჭირო იყო, მაგრამ ბევრი წილადობილა კი არ დასჭირებია, ერთმა მისმა თხოვნამაც იკმარა. კლავდია პეტროვნამ გადაკოცნა "ობოლი გოგო" და აღუთქვა ველჩანინოვს, რომ თავის მხრივ ყველაფერს იღონებდა, რაც მის ხელთ იყო. ბავშვებმა ხელი ჩასჭიდეს ლიზას და ბაღში გაიყვანეს სათამაშოდ; ნახევარსაათიანი გაცხოველებული საუბრის შემდეგ ველჩანინოვი წამოდგა და წასვლას დაემშურა. ისეთი მოუთმენლობით იყო ატანილი, რომ ყველამ შეატყო ეს. გაკვირდნენ: სამი კვირაა კაცი არ გვინახავს და აგერ ნახევარი საათის შემდეგ ისევ გარბისო. ველჩანინოვი იცინოდა და მასპინძლებს ეფიცებოდა, ხვალვე გეახლებითო. მასპინძლებმა ისიც შენიშნეს, რომ იგი ძალიან ღელავდა. მაშინ ველჩანინოვმა უცებ ხელი გამოსდო კლავდია პეტროვნას და იმ საბაბით, მეტად მნიშვნელოვანი რამ უნდა გაუწყოთო, მეორე ოთახში გაიყვანა. – გახსოვთ, რას გეუბნებოდით ტ-ში ჩემი ყოფნის იმ ერთ წელიწადზე? ამას მარტო თქვენ გეუბნებოდით, თქვენმა ქმარმაც კი არაფერი იცის! – ძალიან კარგად მახსოვს; ხშირად მელაპარაკებოდით ამის თაობაზე. – კი არ გელაპარაკებოდით და, აღსარებას გეუბნებოდით, მხოლოდ თქვენ ერთს. თქვენ ერთს! მე არასოდეს გამიმხელია თქვენთვის იმ ქალის სახელი; ტრუსოცკაიაა ის ქალი, ამ ტრუსოცკის ცოლი. სწორედ ის გარდაიცვალა; ლიზა კი, მისი ქალიშვილი, ჩემი ქალიშვილია! – ვითომ ნამდვილად ასეა? არ სცდებით? – იკითხა ცოტა არ იყოს აღელვებულმა კლავდია პეტროვნამ. – არამც და არამც არ ვცდები! – აღტაცებით წარმოთქვა ველჩანინოვმა. და რაც შეიძლებოდა მოკლედ უამბო ყველაფერი, უამბო ნაჩქარევად და დიდის მღელვარებით. კლავდია პეტროვნამ ეს ყოველივე წინათაც უწყოდა, იმ ქალის ვინაობის გარდა. ველჩანინოვს მუდამყამს ისე ზარავდა ხოლმე მარტო იმის გაფიქრებაც კი, ვაითუ ოდესმე რომელიმე მისი ნაცნობთაგანი შეხვედროდა m-me ტრუსოცკაიას და გუნებაში გაევილო, რომ აი მას, ველჩანინოვს, შეეძლო ასერიგად ჰყვარებოდა ეს ქალი, – ისე ზარავდა, რომ ვერ გაეხედა და თვით კლავდია პეტროვნასთვის, ამ თავისი ერთადერთ მეგობრისთვისაც კი აქამდე ვერ გაემხილა "იმ ქალის" ვინაობა. – მერე მამამისმა არაფერი იცის? – იკითხა კლავდია პეტროვნამ, როცა ყველაფერი მოისმინა. – ა-არა... იცის... მაგრამ სწორედ ეგ მტანჯავს, რომ ბევრი რამ ჯერაც ვერ გამომიცივნი! – გულფიცხად განაგრძობდა ველჩანინოვი, – იცის კია, იცის; გუშინაც და დღესაც

შევატყვე ეს. ოღონდ ის უნდა გავიგო, მაინც რა იცის? ახლაც იმიტომ მიმეჩქარება შინ. ამ საღამოს ჩემთან უნდა მოვიდეს. მიკვირს კია, ღმერთმანი, საიდან უნდა იცოდეს, – ესე იგი საიდან უნდა იცოდეს ყველაფერი? ბაგაუტოვისა რომ ყველაფერი კარგად მოეხსენება, ამაში ეჭვი არ მეპარება. მაგრამ ჩემი? თქვენ ხომ იცით, ამგვარ შემთხვევაში ცოლებს რარიგ ეხერხებათ ერთგულებაში დაარწმუნონ თავიანთი ქმრები? ზეციდან რომ ანგელოზი გამოეცხადოს, იმ ანგელოზს კი არა, უმაღლ თავის ცოლს დაუჯერებს ქმარი! ნუ აქნევთ თავს, ნუ მკიცხავთ, მე თვითონ ვკიცხავ და დიდი ხანია შევაჩვენე კიდეც ჩემი თავი!.. იცით, როცა ამ დილით მასთან ვიჯექი, ისერიგად ვიყავი დარწმუნებული, ყველაფერი იცის-მეთქი, რომ ჩემი ქცევით მევე ვამხელდი თავს მის

წინაშე. გჯერათ თუ არა: ძალზე მიმიძიმს და მრცხვენია, გუშინ რომ ისე უხეშად შევხვდი (შემდეგ უფრო დაწვრილებით გიამბობთ ყველაფერს!). წუხელის სწორედ იმიტომ მეწვია, რა არი დაუოკებელი ბოროტი ჟინი მოეკლა და მივეხვედრებინე, კარგად ვიცი, რა შეურაცხყოფაც მომაყენეს, ისიც ვუწყვი, ვინ მომაყენაო! აი, მისი სულელური სტუმრობის მიზეზი, მთვრალიც იმიტომ მოვიდა. თუმცა ეს ისეთი ბუნებრივი საქციელია მისდათავად! სწორედ რომ სასაყვედუროდ გამოცხადდა! ისე კი მეტისმეტი სიფიცხით ვიქცეოდი წუხელ და დღესაც! უგუნურად, წინდაუხედავად მეჭირა თავი! ჩემი თავი მევე გავეცი! რალა მაინცდამაინც ასეთ არეულ გუნებაზე მყოფს შემომისწრო? ხომ გეუბნებით, ლიზასაც აწამებდა, ბავშვსაც კი არ ინდობდა, რა არი ალბათ ისევე დაემუნათებინა და გულის ჯავრი ბავშვზე მაინც ამოეყარა! გაბოროტებული გახლავთ, მაშა! ხომ ერთი არაფერი მაქნისი კაცია, და მაინც გაბოროტებული გახლავთ. ძალზე გაბოროტებულიც. თავისთავად ცხადია, ეგ ერთი ვიღაც მასხარაა; თუმცა წინათ, ღმერთმანი, წესიერი კაცი ეთქმოდა; მაგრამ თუ ხელიდან წასულა, ესეც ხომ ბუნებრივია! ამ ამბავს, ჩემო მეგობარო, ქრისტიანის თვალით უნდა შეხედო კაცმა. ჰოდა, იცით რა, ჩემო კარგო და საყვარელო, მინდა სავსებით შევიცვალო მის მიმართ: მინდა დავუყვავო. მერე ეს "კეთილი საქმეც" იქნება ჩემი მხრივ: რაც უნდა იყოს, ხომ მაინც ბრალი მიმიძღვის მის წინაშე! გამიგონეთ, იცით რა უნდა გითხრათ კიდევ: ერთხელ ტ-ში ოთხი ათასი მანეთი დამჭირდა მოულოდნელად; ჰოდა მაშინათვე მომცა, თამასუქიც არ მოუთხოვია, ისე მომცა. გულწრფელად უხაროდა, რომ შეეძლო და მაამა. მეც ავიღე და გამოვართვი; გესმით, როგორც მეგობარს, ხელი გამიმართა. – ოღონდ აწი უფრო ფრთხილად მოიქეცით, – შემფოთებით შენიშნა კლავდია პეტროვნამ, – მაინც როგორი აღტაცებული ხართ. დამერწმუნეთ, ვშიშობ თქვენს გამო! რა თქმა უნდა, ლიზას ახლა ჩემ შვილად ვთვლი, მაგრამ, აქ ჯერ კიდევ ბევრი რამაა გაურკვეველი! რაც მთავარია, აწი უფრო წინდახედული უნდა იყოთ; როცა ბედნიერი ან კიდევ ასე ატაცებული ხართ, უსათუოდ მეტი სიფრთხილე გმართებთ; მეტისმეტი დიდსულოვნების გამოჩენა გიყვართ ხოლმე მაგ დროს და იმიტომ, – ღიმილით დასძინა მან. ყველანი შეიკრიბნენ ველჩანინოვის გასაცვილებლად; ბავშვებმა მოიყვანეს ლიზა, ვისთან ერთადაც თამაშობდნენ ბაღში. ახლა ისინი თითქოს წელანდელზე მომეტებულად გაკვირვებულნი შესცქეროდნენ მას. ლიზამ სულ მთლად იუცხოვა, როცა ველჩანინოვმა ყველას წინაშე აკოცა გამოთხოვებისას და მხურვალედ გაუმეორა დაპირება, ხვალ მამაშენთან ერთად მოვალო. ლიზა ბოლო წუთამდე ჩუმად იდგა და ველჩანინოვს ზედაც არ უყურებდა, მაგრამ იმ ბოლო წუთს სახელოში ჩასჭიდა ხელი და სადღაც განზე დაუწყო წევა, თანაც მავედრებელი მზერა მიაპყრო; ეტყობოდა, რაღაცის თქმა სურდა. ველჩანინოვმა უმაღვე მეორე ოთახში გაიყვანა იგი. – რაო, რა მოხდა, ლიზა? – ალერსიანად ჰკითხა. მაგრამ გოგონა ჯერ ისევე შიშნეულად მიმოიყურებოდა და უფრო შორს, კუთხისაკენ ექაჩებოდა. სურდა ყველას თვალს გარიდებოდა. – რა იყო, ლიზა, რა მოხდა? გოგონა დუმდა და ყოყმანობდა; ცისფერი თვალები ველჩანინოვისათვის მიემტერებინა და მთელ სახეზე გიჟური შიში აღბეჭდოდა. – ის... თავს ჩამოიხრჩობს! – თითქოს ბოდავსო, ისე წაიჩურჩულა მან. – ვინ ჩამოიხრჩობს თავს? – შიშით ჩაჰკითხა ველჩანინოვმა. – ის, ის! ღამით ბაწარში უყრიდა თავს! – სუნთქვაშეკრული სხაპასხუპით ლაპარაკობდა გოგონა, – ჩემი თვალით დავინახე! თავის ჩამოხრჩობა უნდოდა, თვითონ მეუბნებოდა, თვითონ! წინათაც უნდოდა, ყოველთვის უნდოდა... ღამით ვნახე... – შეუძლებელია! – გაოცებით წაიჩურჩულა ველჩანინოვმა. გოგონა ერთბაშად ხელზე საკოცნელად მიეტანა მას. ტიროდა, ქვითინავარდნილი სულს ძლივს ითქვამდა, თან რაღაცას სთხოვდა და

ემუდარებოდა, მაგრამ მისი ისტერიული ტიტინისა ველჩანინოვმა ვერაფერი გაიგო. და მერმე სამუდამოდ ჩარჩა ხსოვნაში, ჩარჩა და სიზმრად თუ ცხადლივ ელანდებოდა ტანჯული მზერა დაჩაგრული ბავშვისა, გიჟური შიშით ატანილი რომ უკანასკნელი სასოებით მოსჩერებოდა. "ნუთუ ასე უყვარს ეს

კაცი? ნუთუ? – ეჭვები და შური არ ასვენებდა, როცა მძაფრი მოუთმენლობით ატანილი ბრუნდებოდა ქალაქში, – აკი წელან თვითონვე გამომიტყდა, დედა უფრო მეტად მიყვარსო... შეიძლება სძულს კიდევ ის კაცი, არათუ უყვარს..." "ან ეგ რა თქვა: თავს ჩამოიხრჩობსო? ნეტა რეებს მეუბნებოდა? მაგ სულელმა თავი უნდა ჩამოიხრჩოს?.. ერთი უნდა შევიტყო, რა ამბავია; უსიკვდილოდ უნდა შევიტყო! ყველაფერი რაც შეიძლება მალე უნდა გამოვარკვიო და საბოლოოდაც გადავწყვიტო!"

VII - ქმარი და საყვარელი ერთმანეთს კოცნიან

უსაშველოდ ეჩქარებოდა ამ ფარული ამბის "შეტყობა". "ამ დილას გავცბუნდი; მაშინ არ მეცალა რაიმეს მოსააზრებლად, – ფიქრობდა იგი, როცა ლიზასთან თავის პირველ შეხვედრას იგონებდა, – ახლა კი დროა, შევიტყო". და რომ რაც შეიძლებოდა მალე შეესრულებინა განზრახული, მოუთმენლობით ატანილმა ის იყო კინაღამ უბრძანა მეეტლეს, ტრუსოცკისთან წამიყვანეო, მაგრამ უმაღვე გადაიფიქრა: "არა, უმჯობესია თვითონ მომნახოს, მე კი ამასობაში სასწრაფოდ მოვრჩები ამ ჩემს დაწყველილ საქმეებს". ციებცხელებიანივით შეუდგა საქმეს; მაგრამ ამჯერად თავადვე იგრძნო, ძალზე გონებადაფანტული ვარო; მიხვდა, დღეს ჩემი მუშაობა არ იქნებაო. ხუთ საათზე, როცა სასადილოდ გაემართა, ანაზდად პირველად დაებადა ერთი სასაცილო აზრი: იქნებ მართლაც მხოლოდ ხელს უშლიდა საქმეს, თვითონაც რომ ერეოდა სასამართლო დავაში, თვითონაც რომ ფაციფუცობდა და საკრებულოებში დაწრიალებდა, დასდევდა ვეჟილს, რომელიც გაურბოდა. მხიარულად გაეცინა ამ თავისი მოსაზრების გამო. "აბა, ერთი გუშინ მომსვლოდა ამისთანა აზრი, რარიგ დამწყდებოდა გული", – კიდევ უფრო მხიარულად დასძინა გუნებაში. მაგრამ ამ მხიარული გუნების მიუხედავად უფრო დაბნეული და მოუთმენელი ხდებოდა, ბოლოს საგონებელსაც მიეცა. და თუმცა გამწარებით ეძებდა გამოსავალს, სასიკეთო ვერაფერი მოეფიქრებინა. "მე ის კაცი მჭირდება, ის კაცი! – დაასკვნა ბოლოს, – ჯერ იმ კაცის ფანდები უნდა გამოვიცნო, და მერმელა გადავწყვიტო, რაც გადასაწყვეტი იქნება. აქ ჩვენს შორის ორთაბრძოლაა გამართული!" როცა შვიდ საათზე შინ დაბრუნდა, პაველ პავლოვიჩი არ დაუხვდა. ამან ძალზე გააკვირვა, ჯერ გული მოუვიდა, მერმე ყურები ჩამოყარა, ბოლოს შიშშიც შეეპარა. "ღმერთმა უწყის, ღმერთმა უწყის, რით დამთავრდება ეს ამბავი! – იმეორებდა იგი და თან ოთახში დაბორილობდა, ხან დივანზე გაიმოტებოდა, თანაც სულ ერთთავად საათზე იცქირებოდა. ბოლოს და ბოლოს, ასე ცხრა საათზე, პაველ პავლოვიჩიც გამოჩნდა. "თუ ეს კაცი რამეს ხიმანკლობს, ამაზე მარჯვე დროს, როცა ასერიგად მოშლილი მაქვს გონება, ვეროდეს შემირჩევდა!" – გაიფიქრა მან, და უცებ სავსებით გამხნევდა, ძალზე გახალისდა. ჯიქურ, მხიარულ შეკითხვაზე: ამდენ ხანს რატომ დაგიგვიანდათო, – პაველ პავლოვიჩმა ცალყბად გაიღიმა, გუშინდებურად კი აღარ გაინაზა, მოურიდებლად დაჯდა და ის თავისი კრეპიანი შლაპა რაღაცნაირად დაუდევრად მოისროლა მეორე სკამზე. ველჩანინოვმა უმაღვე შენიშნა ეს მისი მოურიდებლობა და გაითვალისწინა. ვალმოსახდელად უამბო, როგორ მიიყვანა ლიზა, რა კარგად მიიღეს იგი, რარიგ არგებდა იქ ყოფნა. მშვიდად უამბობდა, არც ზედმეტი სიტყვა მოუშველებია, აღარც ადრინდელი მღელვარება დასტყობია. მერე და მერე, შეუმჩნევლად, მარტოოდენ პოგორელცევეზე გადაიტანა საუბარი, თითქოს ლიზა კიდევაც დაავიწყდაო. იმას ამბობდა, რაოდენ გულკეთილი ხალხი იყო პოგორელცევეები, რა დიდი ხნის ნაცნობობა აკავშირებდა მათთან, როგორი სანდო და თანაც გავლენიანი კაცი გახლდათ პოგორელცევი და ა. შ. პაველ პავლოვიჩი უგულისყუროდ უსმენდა, ხანდახან ეშმაკურად ჩაეცინებოდა და ქვეშქვეშ გამოხედავდა. – მგზნებარე ადამიანი ყოფილხართ, – წაილულლულა მან და რაღაც

უხამსად გაიღიმა. – დღეს, მაინც, რაღაც გაბოროტებული ჩანხართ, – წყენით შენიშნა ველჩანინოვმა. – ვითომ რატომ არ უნდა ვიყო გაბოროტებული, სხვა ვინ არ არის გაბოროტებული? – ერთბაშად ავარდა პაველ პავლოვიჩი, თითქოს საფარიდან გამობტაო. თითქოსდა სწორედ იმასდა ელოდა, როდის გამომბტარიყო. – თქვენი ნება გახლავთ, – ჩაეცინა ველჩანინოვს, – ოღონდ მე ვიფიქრე, ხომ არაფერი დაგემართათ-მეთქი? – დიახაც, დამემართა! – ისე წამოიძახა, თითქოსდა იკვებნისო. – მაინც რა? პაველ პავლოვიჩმა რამდენადმე დააყოვნა პასუხი. – აი, ჩვენი სტეპან მიხაილოვიჩი ახირებულად მოიქცა ისევ... ბაგაუტოვზე მოგახსენებთ, მაღალი წრის იმ კობტა პეტერბურგელ ყმაწვილკაცზე. – არ მიგიღეს ისევ, თუ რა? – ა-არა, სწორედ რომ მიმიღეს ამჯერად, პირველად იყო შემიშვეს, დიდხანს ვუმზერდი... ოღონდ უკვე მიცვალებულს!.. – რა-ა-ო? ბაგაუტოვი გარდაიცვალა? – დიდად გაკვირდა ველჩანინოვი, თუმცა გასაკვირი ამაში თითქმის არაფერი უნდა ყოფილიყო მისთვის. – დიახ, ჩემო ბატონო! ექვსი წლის ერთგული მეგობარი! გუმინ ჯერ კიდევ შუადღისას გარდაცვლილა, მე კი არ ვიცოდი. იქნება, გუმინ სწორედ იმ დროს შევიარე და ვიკითხე მისი ჯანმრთელობის ამბავი. ხვალ გახლავთ გამოსვენება და დაკრძალვა; უკვე კუბოში ჩაუწვენიათ. კუბოზე შინდისფერი ხავერდი შემოუკრავთ, ოქროს სირმიანი... ნერვულ ციებ-ცხელებას მოუკლავს, მაშ, შეშვებით კი შემიშვეს, ცქერით გული ვიჯერე! შესვლისას გამოვუცხადე, ჭემმარიტ მეგობრად მივაჩნდი-მეთქი, მიტომაც შემიშვეს. ჰოდა, აბა, ეგ რა მიყო ამ ჭემმარიტმა, ექვსი წლის მეგობარმა, ჰა? – თქვენ გეკითხებათ. მე იქნება პეტერბურგშიაც მხოლოდ და მხოლოდ მისი გულისთვის ჩამოვედი! – კი, მაგრამ რას ემართლებით იმ კაცს, – გაეცინა ველჩანინოვს, –

განზრახ ხომ არ მომკვდარა! – მერე მე ხომ სინანულიც მაღაპარაკებს; მართლაცდა, ძვირფასი მეგობარი იყო; აი, რას ნიშნავდა ჩემთვის. და უეცრად, სრულიად მოულოდნელად, პაველ პავლოვიჩმა აიღო და ორი თითით რქები გაიკეთა თავის მოტვლეპილ თავზე, ამავე დროს წყნარად, გაბმით ახითხითდა. კაი ნახევარი წუთი აგრე იჯდა, რქებგამოსახული და მოხითხითე, თანაც მზაკვრულად და უტიფრად, ნეტარებით მისჩერებოდა ველჩანინოვს. ეს უკანასკნელი გაშტერდა, თითქოს რაღაც მოჩვენება იხილაო. მაგრამ თითქმის იმწამსვე გამოერკვა; ტუჩებზე ნელ-ნელა გამოესახა დამცინავი, კადნიერების გამომხატველი მშვიდი ღიმილი. – ეგ რაღას ნიშნავდა ვითომ? – აგდებულად ჰკითხა მან. – რასა და რქებს ნიშნავდა, – მოუჭრა პაველ პავლოვიჩმა და როგორც იქნა, ჩამოიღო თითები. – ესე იგი... თქვენს რქებს! – ჩემს საკუთარს, პირადად მონაგარს! – კვლავ საზიზღრად გაიჭყანა პაველ პავლოვიჩი. ორივემ იყუჩა. – მაინც გაბედული კაცი ყოფილხართ! – წარმოთქვა ველჩანინოვმა. – ეგ რა, რქები რომ გაჩვენეთ, იმიტომ? იცით რა, ალექსეი ივანოვიჩ, უმჯობესია გამიმასპინძლდეთ რითიმე! აკი გიმასპინძლდებოდით მე ტ-ში, მთელი წელიწადი, ყოველ ცისმარე დღე... ჰოდა, ერთი ბოთლი ღვინო მოატანინეთ, თორემ ყელი გამიშრა. – სიამოვნებით; ადრევე გეთქვათ. თქვენ რომელი გირჩევნიათ? – რაღა თქვენ, ჩვენა-თქო, სთქვით; ხომ ერთად დავლევთ, ნუთუ არა? – გამომწვევად, მაგრამ იმავე დროს რაღაც უცნაური მოუსვენრობით ატანილი შესცქეროდა თვალებში პაველ პავლოვიჩი. – შამპანურისთვის რას იტყვით? – შამპანური იყოს! არყის რიგი ჯერ არ მოსულა... ველჩანინოვი აუჩქარებლად წამოდგა, ქვემოთ მავრას დაურეკა და ღვინის მოტანა უბრძანა. – მხიარული შეხვედრისა დავლიოთ, ცხრა წლის განშორების შემდეგ, – უხეიროდ და უადგილოდ ხითხითებდა პაველ პავლოვიჩი, – ახლა თქვენ, მხოლოდ და მხოლოდ თქვენ დამრჩით ჭემმარიტი მეგობარი! აბა, აღარ არის სტეპან მიხაილოვიჩ

ბაგაუტოვი! პროტის თქმისა არ იყოს: დიდი პატროკლე სამარეში წევს, ცოცხალი დადის ბილწი თერსიტე! და სიტყვა "თერსიტეს" წარმოთქმისას მკერდში თითი იკრა. "მერე, შე სალახანავ, ჩამოყაჭე ბარემ, რა გინდა, თორემ გადაკრული ლაპარაკი არ მიყვარს", – გუნებაში ფიქრობდა ველჩანინოვი. ბრაზისაგან დუღდა და დიდი ხანია უკვე თავს ძლივს იკავებდა. – ერთი ეს მითხარით, – დაიწყო ველჩანინოვმა, – რაკი ასე დაბეჯითებით ბრალსა სდებთ სტეპან მიხაილოვიჩს (ახლა უბრალოდ ბაგაუტოვად აღარ მოიხსენია უკვე), ხომ უნდა გიხაროდეთ კიდეც, ეგ თქვენი შეურაცხმყოფელი რომ მოკვდა; მაშ, რაღა გახელებთ? – უნდა მიხაროდესო? ვითომ რატომ უნდა მიხაროდეს? – ასეთი უნდა იყოს თქვენი გრძნობა, ჩემი აზრით. – ხე, ხე, ამჯერად სცდებით მაგ ჩემი გრძნობების გამო; ერთი ბრძენკაცის გამონათქვამისა არ იყოს: "დასამარებული გყავდეს მტერი – კარგია, მაგრამ ცოცხალი გეგულეობდეს – უმჯობესიაო", ხი, ხი! – აკი მანამ ცოცხალი იყო, ბარე ხუთი წლის მანძილზე მუდამდღე ხედავდით, ვინძლო გამძღარიყავით ცქერით, – გესლიანად და მკვახედ შენიშნა ველჩანინოვმა. – განა მაშინ... განა მაშინ კი ვიცოდით? – ავარდა უცებ პაველ პავლოვიჩი, თითქოს ისევ გამოხტაო საფარიდან; სიხარულიც კი დაეტყო, რაღაცნაირი სიხარული იმის გამო, რომ ბოლოს და ბოლოს ეღირსა იმ შეკითხვას, რასაც ესოდენ დიდი ხანია ელოდებოდა, – მაშ, ალექსეი ივანოვიჩ, ჩანს, ცუდად გიცნივართ! და მის თვალეში ანაზდად გამოკრთა რაღაც სრულიად ახლებური, სრულიად მოულოდნელი გამომეტყველება, რამაც ერთიანად შეუცვალა აქამდე მხოლოდ ბრაზისა და საზიზღარი მანჭვის გამომხატველი სახე. – ნუთუ მართლა არაფერი იცოდით? – უეცრად გაიკვირვა ველჩანინოვმა და შეფიქრიანდა. – მაშ, თუ გგონიათ ვიცოდით? თუ გგონიათ ვიცოდით! ჰოი, ჩვენი იუპიტერების მოდგმავ! ძალლი და ადამიანი ერთია თქვენთვის, სულ თქვენებურად სჭრით და კერავთ! ესეც თქვენ! ხომ მოგართვით! – და ცოფმორეულმა მუშტი დაჰკრა მაგიდას. მაგრამ თვითონვე შეაკრთო ამ თავისმა სითამამემ და შიშნულად დააცეცა თვალეები. ველჩანინოვი გაიჭიმა. – გამიგონეთ, პაველ პავლოვიჩ, ჩემთვის ხომ აშკარად სულერთია, თქვენც დამეთანხმებით, იცოდით რამე თუ არ იცოდით? თუ არ იცოდით, ეს, ყოველ შემთხვევაში, ნამუსსა გწმენდთ, თუმცა... ვერ კი გამიგია, რაღა მე ამომირჩიეთ თქვენს კონფიდენტად (კონფიდენტი – (confident – ფრანგ.) - მესაიდუმლე, ნდობით აღჭურვილი პირი) . – თქვენზე როდი ვამბობ... ნუ გამიბრაზდებით, თქვენ რა შუაში ხართ... – ბუტბუტებდა პაველ პავლოვიჩი და იატაკს ჩასჩერებოდა. ამასობაში მავრაც შემოვიდა და შამპანური შემოიტანა. – აი, ღვინოც! – შესძახა პაველ პავლოვიჩმა, ეტყობა იმით გახარებულმა,

უსიამოვნო საუბარს რომ თავი დააღწია, – აბა, ერთი ჭიქები, შემოგვევლე, ჭიქები; ჩინებულია! თქვენგან, საყვარელო, მეტი არაფერი გვჭირდება. გაახსნევენეთ კიდეც? აფერუმ, ლამაზო! შეგიძლიათ წახვიდეთ! ისევ მოიცა გული და კვლავ თავხედურად გადახედა ველჩანინოვს. – არა, გამოტყდით, – უეცრივ წაიხითხითა მან, – ხომ დიდად გაინტერესებთ ეს ყველაფერი. "აშკარად სულერთიაო", რომ ბრძანებთ, განა მართლა ასეა. ახლა რომ ავდგე და წავიდე, არაფერი აგიხსნათ, გულიც კი დაგწყდებათ. – მერწმუნეთ, არ დამწყდება. "ოჰ, სტყუი!" – ამბობდა პაველ პავლოვიჩის ღიმილი. – აბა, მივხედოთ! – და პაველ პავლოვიჩმა ჭიქები შეავსო. – ეს გაუმარჯოს, – სადღეგრძელო წარმოთქვა მან, – ჩვენს განსვენებულ მეგობარს სტეპან მიხაილოვიჩს! ჭიქა ასწია და შესვა. – მე მაგ სადღეგრძელოს არ დავლევ, – ველჩანინოვმა ჭიქა დადგა. – კი მაგრამ რატომ? საამური სადღეგრძელოა. – ერთი მითხარით, მთვრალი ხომ არ მოსულხართ? – ცოტა დავლიე. მერე რა იყო? – არაფერი ისეთი, ოღონდ როგორც

მომეჩვენა, გუშინ და მეტადრე ამ დილით თქვენ გულწრფელად გენანებოდათ განსვენებული ნატალია ვასილიევნა. – მერე და ვინ გითხრათ, ახლაც გულწრფელად არ მენანებოდეს? – უმაღვე ანთო პაველ პავლოვიჩი, თითქოს რაღაცამ წააქეზაო. – მაგას არც გეუბნებით; მაგრამ დამეთანხმეთ, შეიძლებოდა შემცდარიყავით სტეპან მიხაილოვიჩის გამო, ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია. პაველ პავლოვიჩმა ეშმაკურად გაიღიმა და თვალი ჩაუკრა. – მაინც რა ძლიერ გსურთ გაიგოთ, რანაირად შევიტყვე ყველაფერი სტეპან მიხაილოვიჩზე! ველჩანინოვი გაწითლდა: – გიმეორებთ, ჩემთვის სულერთია-მეთქი. "ხომ არ გავაგდო კინწისკვრით, მაგ ბოთლიანად?" – გაიფიქრა გაცეცხლებულმა და კიდევ უფრო მეტად გაწითლდა. – არაფერია! – თითქოს მის გასამხნეველად წარმოთქვა პაველ პავლოვიჩმა და ისევ დაისხა. – ახლაც აგიხსნით, როგორ "შევიტყვე" ყველაფერი, აგიხსნით და თქვენს მგზნებარე სურვილსაც დავაკმაყოფილებ... მართლაც მგზნებარე კაცი ხართ, ალექსეი ივანოვიჩ, ძალიან მგზნებარე! ხე, ხე! ოღონდ ერთი პაპიროსი მომაწევინეთ, მე ხომ მარტის თვის შემდეგ... – აი, პაპიროსი. – წავხდი მარტის თვის შემდეგ, ალექსეი ივანოვიჩ. აი, როგორ მოხდა ყველაფერი, ყური მიგდეთ. ჭლექი, როგორც თავადაც გეცოდინებათ, ჩემო უძვირფასესო მეგობარო, – სულ უფრო და უფრო კადნიერად იქცეოდა იგი, – საკვირველი ავადმყოფობაა. ჭლექიანი კაცი ხშირად ისე კვდება ხოლმე, თითქოს ფიქრადაც არ მოსდის, ხვალ თუ აღსასრული დაუდგება. აკი გითხარით, ჯერ კიდევ ხუთიოდე საათით ადრე ნატალია ვასილიევნას განზრახული ჰქონდა, ორი კვირის შემდეგ დედამისს სწვეოდა, ორმოციოდე ვერსზე. ალბათ, ისიც გეცოდინებათ, რომ ბევრ მანდილოსანსა და იქნებ კავალერსაც ერთი საერთო ზნე სჭირს: ძველ-ძველი სატრფიალო ბარათების შენახვა უყვართ. ყველაზე უფრო საიმედოა, ცეცხლში შეჰყარონ, ხომ აგრეა? მაგრამ, არა, ქალაქის ყოველ ნაკუწს მზრუნველად ინახავენ ყუთებსა და ნესესერებში; ის კი არა და, დახარისხებულ-დანაშინულიც კი აქვთ წლისა და რიცხვის მიხედვით. ასე დიდად სანუგეშოა ეს მათთვის თუ რა – არ ვიცი. ალბათ საამური მოგონებების გასაღვიძებლად სჩადიან აგრე. ნატალია ვასილიევნა რომ გარდაცვალებამდე ხუთიოდე საათით ადრე დედამისის დღეობაზე წასვლის თადარიგს იჭერდა, ბუნებრივია, სიკვდილზე ფიქრი არც კი მოსვლია, თვით უკანასკნელ საათამდე არაფერი უაზრია – სულ ერთთავად კოხს მოელოდებოდა. ჰოდა, ისე მოხდა, რომ მოკვდა ნატალია ვასილიევნა, და შავი ხის ყუთი, სადაფის ინკრუსტაციიანი, მის ბიუროში დარჩა. ეგეთი კოხტა ზარდახშაა, საგვარეულო, ბებიამისის ნაქონი, პაწია გასაღებიტურთ. ჰოდა, აი მაგ ყუთმა გამოააშკარავა კიდევ ყველაფერი. ერთი სიტყვით, უკლებლივ ყველაფერი, რაც ამ ოცი წლის მანძილზე დღიდან დღემდე, წლიდან წლამდე მომხდარა. და რაკი სტეპან მიხაილოვიჩი აშკარა მიდრეკილებას ამჟღავნებდა ლიტერატურისადმი, ასე განსაჯეთ, ერთხელ მგზნებარედ დაწერილი მოთხრობაც გაუგზავნია ჟურნალისათვის, ამის წყალობით მისი ქმნილებანი ლამის ას ნომრამდე აღმოჩნდა კოლოფში, – თუმცაღა ამდენი ხუთიოდე წლის მანძილზე დაგროვდა. ზოგ მათგანს ნატალია ვასილიევნას საკუთარი ხელით ჰქონდა მიწერილი შენიშვნები. როგორ გგონიათ, სასიამოვნო იქნებოდა მეუღლისათვის? ველჩანინოვმა უმაღვე მოიაზრა და აგიხსენა, რომ არასოდეს ერთი ბარათიც არ გაუგზავნია ნატალია ვასილიევნასთვის. პეტერბურგიდან თუმცა მისწერა ორჯერ, მაგრამ წერილები ცოლ-ქმრის სახელზე ჰქონდა დაწერილი, როგორც წინათვე შეთანხმდნენ. ხოლო ქალის ბოლო წერილზე, რომლითაც ატყობინებდნენ, გადაყენებული ხარო, არც უპასუხია. მოყოლა რომ დაამთავრა, პაველ პავლოვიჩი მთელი ერთი წუთი დუმდა, აბეზარად იღიმებოდა და პასუხის მოლოდინში იყო. – რატომ არაფერი მიპასუხეთ ჩემს

შეკითხვაზე? – გაჭირვებით ამოღერღა ბოლოს. – რომელ შეკითხვაზე? – აი, იმ მეუღლის საამური

გრძნობების თაობაზე, ზარდახმას რომ ხსნის? – ოჰო, მე რა მესაქმება! – გულღვარდლიანად გაიქნია ხელი ველჩანინოვმა, წამოდგა და ბოლთის ცემას მოჰყვა. – სანაძლეოს დავდებ, თუ გუნებაში არ ფიქრობდეთ: "სალახანა ყოფილხარ, ვიღაცა ხარ, რქები დამადგესო, რომ გაიძახი", – ხი, ხი! დიდი გულზიზღიანი კაცი ხართ. – არაფერსაც არ ვფიქრობ. პირიქით, როგორც ჩანს, იმ თქვენი შეურაცხმყოფელის სიკვდილს მეტად გაუხელებიხართ, ღვინოც ბლომად დაგიღევიათ. უჩვეულოს ვერაფერს ვხედავ; მშვენივრად მესმის, რისთვის გინდოდათ ბაგაუტოვი ცოცხალი გენახათ, თქვენს დარდსაც ვიზიარებ, მაგრამ... – მაინც რისთვის მენდომებოდა ბაგაუტოვის ნახვა, თქვენის აზრით? – ეგ თქვენი საქმეა. – სანაძლეოს ვდებ, დუელს გულისხმობდით! – ეშმაკმა დალახვროს! – სულ უფრო მეტად ჰკარგავდა მოთმინებას ველჩანინოვი, – მე მგონია, ყოველი რიგიანი კაცი... ამგვარ შემთხვევაში თავს კი არ დაიმცირებდა კომიკური ლაყბობით, სულელური მანქვა-გრეხით, სასაცილო წუწუნითა და საზიზღარი ქარაგმებით, რითაც კიდევ უფრო შეირცხვენდა სახელს, არამედ პირდაპირ, ამკარად და დაუფარავად იმოქმედებდა, როგორც რიგიანი კაცს შეშვენის! – ხე, ხე, ვინ იცის, ეგებ არც ვიყო რიგიანი კაცი? – ეგეც ისევ თქვენი საქმეა... თუმცაღა, ნეტა მაშინ რაღა ჯანდაბად გინდოდათ ბაგაუტოვი ცოცხალი გენახათ? – რად და თვალი მაინც შემევლო იმ ჩემი მეგობრისთვის. დავიდგამდით ერთ ბოთლ ღვინოს და ერთად დავლევდით. – თქვენთან არც დალევდა. – ვითომ რატომო? Noblesse oblige (კეთილშობილება გვავალდებულებს (ფრანგ.)) ? თქვენ ხომ სვამთ აგერ ჩემთან ერთად: განა ის რითა გჯობდათ? – მე თქვენთან ერთად არ მისვამს. – რა საჭიროა ერთბაშად ეგეთი მედიდურობა? ველჩანინოვმა უცებ ნერვულად და გაგულისებით გადაიხარხარა. – ფუი, ჯანდაბა! ნაღდი "ონავარი ტიპი" ყოფილხართ! მე კი მეგონა, მხოლოდ "მარადი ქმარი" იყავით და მეტი არაფერი! – ეგ რა "მარად ქმარზე" ლაპარაკობთ, რას ნიშნავს ვითომ? – უმაღლესი ივანოვიჩი. – კარგით, გეყოფათ, – კვლავ საშინლად გაგულისდა და იღრიალა ველჩანინოვმა, – დროა, გასწით! – არა, არ მეყოფა, – წამოხტა პაველ პავლოვიჩიც, – თავი მოგაბეზრეთ, მაგრამ არ მეყოფა; ჯერ უნდა ერთად დავლიოთ და ჭიქა ჭიქას მივუჭახუნოთ! დავლიოთ, და მაშინ გაგეცლებით, მანამდე კი არა! – პაველ პავლოვიჩი, თავიდან მომშორდებით თუ არა ბოლოს და ბოლოს? – მოგშორდებით, ოღონდ ჯერ უნდა დავლიოთ! თქვენ მეუბნებით, რომ ჩემთან ერთად არ გინდათ დალევა; მე კი მინდა, სწორედ ჩემთან ერთად დალიოთ! იგი აღარ იმანჭებოდა მეტად, აღარც ხითხითებდა ხოლმე. თითქოს კვლავ ერთიანად გარდაიქმნა. კილო და იერი ისერივად გამოეცვალა, ისე აღარ ჰგავდა სულ ახლანდელ პაველ პავლოვიჩს, რომ ველჩანინოვი ამკარად შეფიქრებდა. – ჰე, შევსვათ, ალექსეი ივანოვიჩი, ჰე, უარს ნუ მეტყვით! – არ ეშვებოდა პაველ პავლოვიჩი, მკლავში ჩაეველო ხელი და უცნაურად შესცქეროდა სახეში. ჩანს, მარტო დალევას როდი ეხებოდა საქმე. – ჯანდაბას, – წაიდუღუნა ველჩანინოვმა, – ოღონდ ამაში ნაძირალაა... – სწორედ ორი ჭიქა გამოვა; ნაძირალაა ნამდვილად, მაგრამ ჩვენ მაინც შევსვათ და ჭიქები

მივაჭახუნოთ! აჰა, ინებეთ თქვენი ჭიქა. მიუჭახუნეს ერთმანეთს ჭიქები და შესვეს. – მაშ, რაკი აგრეა, რაკი აგრეა... ოჰ! – პაველ პავლოვიჩმა ერთბაშად შუბლზე იტაცა ხელი და ერთხანს ასე იჯდა. ველჩანინოვს ეგონა, აი ახლა წარმოთქვამსო თავის უკანასკნელ სიტყვას. მაგრამ პაველ პავლოვიჩს არაფერი უთქვამს; ერთი კი გადახედა მასპინძელს და უხმოდ, წინანდებურად ეშმაკურად გაიღრიჭა, გაიღრიჭა და კვლავ თვალი ჩაუკრა. – რა გინდათ ჩემგან, ამ მთვრალ კაცს! მასულელებთ, არა! – გაშმაგებით იყვირა ველჩანინოვმა და ფეხები დააბაკუნა. – ნუ ყვირით, ნუ ყვირით, რა საჭიროა ყვირილი? – უმაღვე ხელები გაასავსავა პაველ პავლოვიჩმა, – არ გასულელებთ, არა! იცოდეთ, აი, რა გახდით ჩემთვის. უცებ ხელში ხელი სტაცა და ზედ ემთხვია. ველჩანინოვმა გონს მოსვლაც ვერ მოასწრო. – აი, როგორ მიმაჩნიხართ ახლა! აწი კი მოგმორდებით! – დაიცათ, დაიცათ! – შესძახა

გონსმოსულმა ველჩანინოვმა, – დამავიწყდა მეთქვა... პაველ პავლოვიჩმა კარებიდან მოიხედა. – იცით რა, – სწრაფად აბუტბუტდა ველჩანინოვი, თან გაწითლდა და სადღაც განზე მიაპყრო მზერა, – ხვალ თქვენ უსათუოდ უნდა ნახოთ პოგორელცევეები... გაიცნობთ, მადლობას ეტყვით, – უსათუოდ... – აუცილებლად, აუცილებლად, განა ვერ ვხვდები! – მყის დაუკრა კვერი პაველ პავლოვიჩმა, თანაც ხელები გაასავსავა, აქაოდა შეხსენება ზედმეტიაო. – მერე ლიზაც ძალიან მიგელით. შეპირდი კიდევ... – ლიზაო, – დაბრუნდა ისევ პაველ პავლოვიჩი, – ლიზაო? იცით თუ არა, რა იყო ჩემთვის ლიზა, იყო და არის? იყო და არის! – ლამის გაშმაგებულმა შეჰყვირა უცებ, – მაგრამ... ეეჰ! ეს შემდგომ იყოს; ყველაფერი შემდგომ იქნება... ახლა კი – ჩემთვის ცოტაა უკვე, ერთად რომ დავლიეთ, ალექსეი ივანოვიჩ, მე სხვა რამე მინდა!.. შლაპა სკამზე დადო და, ოდნავ სუნთქვაშეკრული, წელანდებურად შეაცქერდა ველჩანინოვს. – მაკოცეთ, ალექსეი ივანოვიჩ, – შესთავაზა მოულოდნელად. – დათვერით? – შესძახა ველჩანინოვმა და ერთბაშად უკან დაიწია. – დათვერი, მაგრამ მაინც მაკოცეთ, ალექსეი ივანოვიჩ, ჰეი, მაკოცეთ! მე ხომ გეამბორეთ აგერ ხელზე. ალექსეი ივანოვიჩი ერთხანს ჩუმად იყო, თითქოთ კეტით დაარეტიანესო. მერმე უცებ დაიხარა პაველ პავლოვიჩისაკენ, რომელიც მხრებამდე სწვდებოდა, და ტუჩებში აკოცა; მაშინვე ღვინის მძაფრი სუნი ეცა. თუმცაღა, მთლად დარწმუნებულიც არ იყო, მართლა აკოცა თუ არა. – მაშ, ახლა კი, ახლა... – კვლავ მთვრალი კაცის გაშმაგებით შესძახა პაველ პავლოვიჩმა და ამღვრეული თვალები აენტო, – ახლა, აი, რას გეტყვით: მაშინ ვიფიქრე – "ნუთუ ეგეც ისეთია-მეთქი? თუ ასეა, ვფიქრობდი, თუკი ეგეც ისეთია, მაშ ვისი რა უნდა გწამდეს-მეთქი ამას იქით!" პაველ პავლოვიჩს ცრემლები წასკდა უცებ. – მაშ, გესმით თუ არა, რანაირი მეგობარი გამოდექით?! ამის თქმისთანავე შლაპას წამოავლო ხელი და სასწრაფოდ გავიდა ოთახიდან. ველჩანინოვი კვლავ ერთ ადგილზე იდგა რამდენიმე წუთს, სწორედ ისევე, როგორც პაველ პავლოვიჩის იმ პირველი სტუმრობის შემდეგ. "იჰ, მთვრალი მასხარაა ვილაც და მეტი არაფერი!" – ჩაიქნია ხელი. "ნამდვილად მეტი არაფერია!" – მტკიცედ დაასკვნა ბოლოს, როცა ტანთ გაიხადა და ლოგინში ჩაწვა.

VIII - ლიზა ავად არის

მეორე დღეს დილაადრიან წამომდგარი ველჩანინოვი, პოგორელცევებთან გასამგზავრებლად პირობისამებრ პაველ პავლოვიჩის მომლოდინე, ბოლთას სცემდა ოთახში, ყავას ხვრეპდა, თამბაქოს ეწეოდა და წამისწამ იმას ფიქრობდა, იმგვარ ადამიანს ვგავარ, დილით რომ გამოელვიძება და წინადლით ნაწვნივეი სილა აგონდება სულ ერთთავადო. "ჰმ... მას მეტისმეტად კარგად ესმის, რაშიცაა საქმე, და ლიზას საშუალებით იძიებს ჩემზე შურს!" – შიშით ფიქრობდა იგი. საბრალო ბავშვის საყვარელი, დანალვლიანებული სახე მოლანდა. გული უფრო ძალუმად აუბგერდა იმის გაფიქრებისას, რომ დღესვე, სულ მალე, ორიოდე საათში, კვლავ ნახავდა თავის ლიზას. "აბა, რა ლაპარაკი უნდა ამას! – დაასკვნა აღტყინებულმა, – ეს არის აწი მთელი ჩემი ცხოვრების აზრი და მიზანი! რაში მენადვლება ეს სილაქები და მოგონებანი!.. ან ნეტა რისთვის ვცხოვრობდი აქამდე? გარყვნილებისა და მოწყენილობისათვის... ახლა კი სხვა ამბავია, ყველაფერი სულ სხვაგვარადაა!" მაგრამ ამ თავის აღფრთოვანების მიუხედავად, სულ უფრო მეტად ეძლეოდა საგონებელს. "ეგ კაცი ლიზათი გამაწამებს, – ეს ცხადია! ლიზასაც გააწამებს. კიდევ ამით მომიღებს ბოლოს... ყველაფრისათვის. ჰმ... რასაკვირველია, მის ახირებას გუშინდელივით ველარ ავყვები, – უცებ გაწითლდა იგი, – არა... მაინც რატომ არ მოდის, აგერ უკვე მეთორმეტე საათია!" დიდხანს ელოდა, პირველის ნახევრამდე, ლოდინით გული გადაელია. პაველ პავლოვიჩი კვლავ არსად ჩანდა. ბოლოს იმ აზრმა, ტრუსოცკი განზრახ არ მოვა, რა არის ისევ ახირებული საქციელი ჩაიდინოს გუშინდელივითო, აზრმა, რომელიც დიდი ხანია უკვე გაუჩნდა, მთლად გაახელა: "იცის, მის იქით გზა რომ არა მაქვს; იცის, ახლა რაც დაემართება ლიზას! არა, როგორ ვეჩვენო ბავშვს უიმისოდ!" ბოლოს გულმა აღარ მოუთმინა და ზუსტად პირველ საათზე თვითონ მიაშურა პოკროვს. სასტუმროს ფლიგელში აუწყეს, პაველ პავლოვიჩს შინ არც გაუთევია ღამე, დილაადრიან, მეცხრე საათზელა დაბრუნდა, სულ მეოთხედი საათი დაჰყო და ისევ წავიდაო. ველჩანინოვი იდგა პაველ პავლოვიჩის ოთახის კართან, ყურს უგდებდა მსახური ქალის პასუხს და ანგარიშმიუცემლად აწვალებდა ჩაკეტილი კარის სახელურს. როცა გამოერკვა, ერთი გადააფურთხა, სახელურს ხელი უშვა და მარია სისოევნასთან მიყვანა ითხოვა. მაგრამ ამ უკანასკნელს თვალი მოეკრა ველჩანინოვისათვის და თვითონვე ხალისით გამოეგება. "ეს იყო კეთილი დედაკაცი, კეთილშობილური გრძნობების მქონე დედაკაცი", – ასე მოიხსენია ველჩანინოვმა, როცა მასთან თავის საუბარს უყვებოდა შემდგომ კლავდია პეტროვნას. მარია სისოევნამ მოკლედ გამოჰკითხა ველჩანინოვს, როგორ დააბინავა "გოგონა", და მაშინათვე პაველ პავლოვიჩზე გაუბა ლაპარაკი. როგორც თვითონ განაცხადა, "თუ არ ბავშვი, დიდი ხანია ტრუსოცკი გაგდებული ეყოლებოდა. ის ხომ სასტუმროდანაც აქეთ გამოაბუნძულეს, რადგან სასტუმროში ყოვლად უმსგავსოდ იქცეოდა. აბა, წაწყმედილი არ უნდა იყო კაცი, ღამით რომ ვიღაც კახპას შემოათრევ, როცა იქვე საზრიანი ბავშვი გიყურებს! თანაც უყვირის: "აი, ეს იქნება დედაშენი, თუ ვისურვეო!" ჰოდა, დამიჯერებთ თუ არა, კახპა რომ კახპაა, იმანაც კი სიფათში შეაფურთხა. აუყვირდება ბავშვს: "შენო, ეუბნება, ჩემი შვილი კი არა ხარ, ნა...ი ხარო". – რას ამბობთ? – ველჩანინოვი შეკრთა. – ჩემი ყურით გავიგონე. მართალია, მთვრალი იყო, თითქმის გრძნობადაკარგული, მაგრამ ასეთი რამეების რომვა ბაღლთან მაინც არ ვარგა. თუმცა

მცირეწლოვანია, მიხვედრით ყველაფერს ხვდება! ტირის და ტირის გოგონა. მთლად დაიჩაგრა და ესაა. ამ წინაზე კიდევ აქვე, ჩვენს ეზოში, ცოდვა დატრიალდა: ვიღაც კომისარმაო მგონი, ასე ამბობდნენ, საღამოთი სასტუმროს ნომერი დაიჭირა, დილით კი თავი ჩამოიხრჩო. ამბობდნენ, ფული გაფლანგაო. მოცვივდა ხალხი. პაველ პავლოვიჩი იმ დროს შინ არ იყო, ბავშვი კიდევ უპატრონოდ დატანტალებდა; გავიხედე და იქ, დერეფანში მდგარს მოვკარი თვალი, თავმოყრილ ხალხში გარეულა და იჭვრიტება, რაღაც ისე უცნაურად მისჩერებია ჩამოხრჩობილს. ავდექი და საჩქაროდ წამოვიყვანე. ჰოდა, რა გგონიათ – სულ კანკალებდა, სახეზე მთლად გაშავდა, შემოვიყვანე თუ არა ოთახში, იატაკზე ზღართან მოადინა. სავსავებდა, სავსავებდა და ძლივს, როდის-როდის მოვიდა გონს. საყმაწვილოს ბრალი იყო თუ რა, იმ დღიდან ავად შეიქნა. შეიტყო მამამისმა, მოვიდა – სულ მთლად დაჩქმიტა. ასე იცის მაგან, კი არ ეჩხუბება, უფრო მეტად იჩქმიტება ხოლმე. მერე გამოიღეშა, დაადგა თავზე და აშინებს: "მეც თავს ჩამოვიხრჩობო, ეუბნება, და ეს შენი გამოისობითო. ამ ზონარს ხომ ხედავ, აი, ამით ჩამოვიხრჩობო"; და მის თვალწინ მარყუჟის გამონასკვას შეუდგა. ბავშვი მთლად გადაირია – ყვირილი მორთო, შემოხვია პაწაწინა ხელები: "მეტს აღარ ვიზამო, ყვირის, არასოდეს აღარ ვიზამო". გულსაკლავი სანახაობა იყო! თუმცა ველჩანინოვი მოელოდა კიდევ ზოგ-ზოგი მეტად უცნაური რამის გაგებას, მაგრამ ამ ნაამბობმა ისე განაცვიფრა, ერთბაშად ვერც კი ირწმუნა. დიასახლისმა კიდევ ბევრი

რამ უამბო. ერთხელ, თუ მარია სისოევნას დროზე არ მიესწრო, ლიზა შეიძლება ფანჯრიდან გადამხტარიყო. ველჩანინოვი გაოგნებული წამოვიდა. "არგნით გავუხეთქავ თავს, ძალღივით გავგუდავ!" – იქადა და გულში და ამ ქაღილს კიდევ დიდხანს იმეორებდა. ეტლი დაიჭირა და პოგორელცევებთან გაემართა. ჯერაც ქალაქიდან არ იყო გასული, მეეტლე იძულებული შეიქმნა, ცხენები შეეყენებინა. გზაჯვარედინზე შემდგარიყვნენ, არხზე გამართულ ხიდის თავთან; ხიდზე მრავალრიცხოვანი სამგლოვიარო პროცესია მიედინებოდა. ხიდის გაღმა-გამოღმა მხარეს ეტლები იცდიდნენ; გამვლელ-გამომვლელნიც ჩერდებოდნენ. მდიდრული დასაფლავება იყო, გამცილებელთა კარეტების მწკრივს ბოლო არ უჩანდა. და აი, ერთ-ერთი კარეტის სარკმელში ველჩანინოვი მოულოდნელად პაველ პავლოვიჩის სახე დალანდა. იგი საკუთარ თვალს არ დაუჯერებდა, თუ პაველ პავლოვიჩს თვითონვე არ გამოეხედა სარკმელში და თავი არ დაექნია. ეტყობოდა, პაველ პავლოვიჩი დიდად გახარებული იყო, ველჩანინოვი რომ დაინახა აქ; ასე გასინჯეთ, ხელითაც კი ანიშნებდა რაღაცას. ველჩანინოვი ეტლიდან ჩამოხტა, ჭედვას, პოლიციელთა სიმრავლეს არ დაერიდა და ის იყო პაველ პავლოვიჩის კარეტამ ხიდზე შეასწრო, რომ თვითონაც ზედ მის სარკმელთან გაჩნდა. პაველ პავლოვიჩი მარტო მჯდარიყო. – რა მოხდა? – შესძახა ველჩანინოვმა, – რატომ არ მოხვედით? აქ რა გინდათ? – ვალს ვიხდი, – ჩუ, ასე ნუ ყვირით, – დიახ, ვალს ვიხდი, – ჩაიხითხითა პაველ პავლოვიჩმა და თვალები მხიარულად მოწკურა, – მივაცილებ ჭემმარიტი მეგობრის, სტეპან მიხაილოვიჩის, მიწიერ ნემტს. – სისულელეა მაგ ყველაფერი, დამთვრალხართ და ჭკუა დაგკარგვიათ! – კიდევ უფრო ხმამაღლა შესძახა წამით შეფიქრიანებულმა ველჩანინოვმა, – ახლავე ჩამოდით და ჩემთან გადმოჯექით; ჩქარა! – არ შემიძლიან, მოვალეობაა... – ავდგები და გადმოგათრევთ! – ღრიალებდა ველჩანინოვი. – მე კიდევ ვიყვირებ! მე კიდევ ვიყვირებ! – ისევ ისე მხიარულად ხითხითებდა პაველ პავლოვიჩი, აქაოდა თითქოს ეხუმრებინაო, – თუმცა სიფრთხილის გამო უკან-უკან, კარეტის მეორე კუთხისაკენ იჩოჩებდა. – მოერიდეთ, მოერიდეთ, არ გაგიტანონ! – იყვირა ამ დროს პოლიციელმა.

ვილაცის კარეტას, მართლაც, პროცესია გამოერღვია და ერთი ჩოჩქოლი აეტეხა. ველჩანინოვი იძულებული შეიქნა, განზე გამხტარიყო; ეკიპაჟებმა და ხალხის ტალღამ მაშინვე უკან მიაწყვიტა. გულმოსულმა გადააფურთხა და თავის ეტლამდე გააღწია. "სულ ერთია, ახლა მაგის თან წაყვანა მაინც არ იქნება!" – გაიფიქრა კვლავაც შემფოთებულ-გაოცებულმა. როცა მან კლავდია პეტროვნას შეატყობინა მარია სისოევნას ნაამბობი და იმ უცნაური შეხვედრის ამბავიც დასაფლავებაზე, ქალი ძლიერ ჩაფიქრდა: "მე თქვენ გამო მეშინია, – უთხრა მან, – მაგ კაცთან ყოველგვარი ურთიერთობა უნდა გაწყვიტოთ, და რაც უფრო მალე იზამთ ამას, მით უკეთესი იქნება". – ვილაც ლოთი ტაკიმასხარაა, და მეტი არაფერი! – გულფიცხად შესძახა ველჩანინოვმა, – კი სწორედ, მაგას მოვერიდები! ან როგორ უნდა გავწყვიტო მასთან ურთიერთობა, ლიზას რა ვუყო. ლიზას ამბავს აღარ იკითხავთ?! ლიზა კი ამ დროს ავად იყო და იწვა; გუშინ საღამოს ციებ-ცხელება დაეწყო და ახლა ქალაქიდან ელოდნენ ერთ ცნობილ ექიმს, რომლის მოსაყვანად დილაუთენია გაეგზავნათ კაცი. ამ ამბავმა მთლად მოშალა ველჩანინოვი. კლავდია პეტროვნა ავადმყოფის სანახავად წარუძღვა მას. – გუშინ დიდი ყურადღებით ვაკვირდებოდი მაგ ბავშვს, – შენიშნა კლავდია პეტროვნამ, როცა ლიზას ოთახს მიადგა და შეჩერდა, – ეს არის ამაყი და გულჩათხრობილი ბავშვი; მას რცხვენია, ჩვენთან რომ არის, მამამისმა ასე რომ მიატოვა; ავადმყოფობის მთელი მიზეზიც ეს უნდა იყოს, მე მგონი. – როგორ თუ მიატოვა? რატომ გგონიათ, რომ მიატოვა? – მარტო ის ამბავი, რომ აქ, მისთვის ამ უცხო სახლში გამოგატანათ, თანაც ისეთ კაცს... ვისაც ხეირიანად არც იცნობს, და ვისთანაც ამგვარ ურთიერთობაშია... – კი, მაგრამ ბავშვი ხომ მე თვითონ წამოვიყვანე, ძალად წამოვიყვანე; მე არ მიმაჩნია... – ოჰ, ღმერთო, ჩემო, ეს თვითონ ლიზას, ბავშვს მიაჩნია ასე! ჩემი აზრით, ეგ კაცი მას არც არასოდეს მოინახულებს. ლიზას არც გაკვირვებია, ველჩანინოვი რომ მარტო მოსული ნახა; მხოლოდ ეს იყო, ნაღვლიანად გაიღიმა და დასიცხული პირისახე კედლისკენ მიიბრუნა. ხმა არ გაუცია, როცა ველჩანინოვმა გაუბედავად დაუწყო ნუგეშისცემა და გულმხურვალედ ჰპირდებოდა, ხვალ უსათუოდ მოვიყვან მამაშენსო. ოთახიდან გამოსულს, ველჩანინოვს უცებ ტირილი წასკდა. დაბარებული ექიმი საღამოხანსდა მოვიდა. როცა ავადმყოფი გასინჯა, ჯერ ის შენიშნა, ადრევე უნდა დაგეძახებინეთო, რამაც ყველას გული გაუხეთქა. როცა გამოუცხადეს, ბავშვი მხოლოდ გუშინ საღამოს გახდა ავადო, თავდაპირველად არ დაიჯერა. "ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორ ჩაივლის ეს ღამე", – დაასკვნა ბოლოს, შინაურები დაარიგა და წასვლის წინ დაიბარა,

ვეცდები, ხვალ რაც შეიძლება ადრინად მოვიდეთ. ველჩანინოვს უნდოდა უსათუოდ დარჩენილიყო და ავადმყოფისთვის ღამე ეთია, მაგრამ კლავდია პეტროვნამ დაიყოლია, ერთხელ კიდევ "ცდილიყო და ის მტარვალი აქ მოეყვანა". – ერთხელ კიდევო? – სიტყვა აღარ დააცალა გააფთრებულმა ველჩანინოვმა, – გავკოჭავ და ჩემი ხელით მოვიყვან! პაველ პავლოვიჩის გაკოჭვისა და ამნაირად წამოყვანის ფიქრმა ისე დაიპყრო, რომ უსაშველო მოუთმენლობამ აიტანა. "არავითარ, არავითარ დანაშაულს აღარა ვგრძნობ მის წინაშე! – ეუბნებოდა კლავდია პეტროვნას გამომშვიდობების დროს, – უკანვე მიმაქვს ყველა ის საზიზღარი, გულისამრევი სიტყვა, რასაც გუშინ გეუბნებოდით!" – დასძინა აღშფოთებულმა. ლიზა იწვა თვალეზდახუჭული და ალბათ, ეძინა. ცოტათი თითქოს უკეთესობაც ეტყობოდა. როცა ველჩანინოვი გამოთხოვებისას ფრთხილად დაიხარა მისკენ, რათა ეკოცნა, – ავადმყოფმა, თითქოს ამ წამს ელოდებოდაო, უეცრივ თვალი გაახილა, გაახილა და წაიჩურჩულა: "წამიყვანეთ

აქედან". ეს იყო ჩუმი, ნაღვლიანი მუდარა, გუშინდელი გაგულისების ნატამალიც აღარ იგრძნობოდა მასში. ამავე დროს რაღაცნაირი ისეთი კილოთი იყო თქმული, თითქოს სცოდნოდეს, რომ ამ თხოვნას არასდიდებით არ შეუსრულებდნენ. რაწამს ველჩანინოვმა, მთლად სასოწარკვეთილმა, დარწმუნება დაუწყო, ეს შეუძლებელიაო, ავადმყოფმა ისევ უსიტყვოდ დახუჭა თვალები და მეტად კრინტიც აღარ დაუძრავს, თითქოს ერთბაშად დაყრუვდა და დამუნჯდაო. ქალაქში შესვლისთანავე ველჩანინოვმა მეეტლეს უბრძანა, პოკროვთან წამიყვანეო. უკვე ათი საათი იყო; პაველ პავლოვიჩი არ აღმოჩნდა ნომერში. ველჩანინოვი კაი ნახევარი საათი კიდევ ელოდებოდა მას, მეტისმეტი მოუთმენლობით ატანილი ბოლთასა სცემდა დერეფანში. მარია სისოევნამ, როგორც იქნა, დაარწმუნა, პაველ პავლოვიჩი გამთენიის ხანს თუ დაბრუნდებაო. "მაშ, მეც გამთენიისას მოვალ", – დასძინა გულში ველჩანინოვმა და გაცეცხლებულმა გასწია შინისაკენ. მაგრამ როგორ განცვიფრდა, როცა თავისი სახლის კართანვე მავრამ ამბავი დაახვედრა, ის თქვენი გუშინდელი სტუმარი ათი საათიდან მოყოლებული აქ გელოდებათო. "ჩაის მირთმევაც ინება ჩვენსა, ლურჯი ქალაღდის ფული მიბოძა და ღვინისთვის გამგზავნა, სწორედ იმ წუხანდელი ღვინისთვისო".

IX - მოჩვენება

პაველ პავლოვიჩი მეტად ნებივრად მოკალათებულიყო. გუშინ რომ იჯდა, ახლაც ის სკამი ამოერჩია. ნება-ნება აბოლებდა პაპიროსს და ის იყო მეოთხე, უკანასკნელი ჭიქა დაესხა ღვინის ბოთლიდან. იქვე, მაგიდაზე, იდგა ჩაიდანის და ნახევრადდაცლილი ჩაის ჭიქა. პაველ პავლოვიჩს სახე ასწითლებოდა და ზედ უდარდელი კაცის იერი გადაჰფენოდა. ასე გასინჯეთ, ფრაკიც კი გაეხადა ზაფხულის პირობაზე და ჟილეტის ამარა იჯდა. – მაპატიეთ, ჩემო უერთგულესო მეგობარო! – შესძახა ველჩანინოვის დანახვისას და ფრაკს წაეპოტინა ჩასაცმელად, – მეტის სიამოვნებისათვის მოვიშილიფე. ველჩანინოვი მრისხანედ მიუახლოვდა. – ჯერ არ გამომთვრალხართ? შეგრჩათ რისიმე გაგების უნარი? პაველ პავლოვიჩი, ცოტა არ იყოს, დაიბნა. – არა, არც ისე... იმ ცხონებულის სული ვახსენე... – მაგრამ, არც ისე... – გამიგებთ კი, რასაც გეტყვით? – სწორედ იმიტომ გეახელით, რომ გაგიგოთ. – მაშ, პირდაპირ იმითი უნდა დავიწყო, რომ თქვენ არამზადა ხართ! – წონასწორობიდან გამოსული კაცის კილოთი შეჰყვირა ველჩანინოვმა. – თუ ეს დასაწყისია, ნეტა ბოლო რაღა უნდა იყოს? – გაუბედავად შეესიტყვა პაველ პავლოვიჩი; ეტყობა, ძალიან დაფრთხა. მაგრამ ველჩანინოვი ყურსაც არ უგდებდა, ისე გაჰყვიროდა. – თქვენი ქალიშვილი კვდება; მიატოვეთ განა? – ნუთუ კვდება კიდევ? – ავად არის-მეთქი, ავად, მეტად მძიმედ ავად! – იქნება ავმა ზნემ მოუარა... – სისულელეს ნუ ჩმახავთ! ძალიან მძიმედ არის ავად! თუნდაც იმიტომ უნდა წამოსულიყავით... – რომ მადლობა შემეწირა, სტუმართმოყვარეობისათვის მადლობა შემეწირა! ძალიან კარგად მესმის! ალექსეი ივანოვიჩ, ძვირფასო, ღირსეულო, – უცებ ორივე ხელი ხელში ჩასჭიდა და, თითქოს პატიებას თხოვსო, სიმთვრალით ლამის ცრემლმორეულმა წამოიძახა: – ალექსეი ივანოვიჩ, ნუ ჰყვირით, ნუ! ახლა თუნდაც სულ გავქრე, მთვრალი ნევაში გადავვარდე, – განა ვის რა ეშველება ამით? ბატონ პოგორელცევის ნახვას კი ყოველთვის მოვასწრებთ... ველჩანინოვი გონს მოეგო და ოდნავ თავი დაიოკა. – თქვენ მთვრალი ხართ და არ მესმის, რა აზრით ამბობთ მაგას, – მკაცრად შენიშნა მან, – მე მუდამ მზად ვარ თქვენთან მოსალაპარაკებლად; მოხარულიც ვიქნები, რაც უფრო მალე მოხდება ეს... სწორედ იმიტომ მოვიჩქაროდი... მაგრამ უწინარეს ყოვლისა იცოდეთ, ღონე მოვიპოვე: ამდამ ჩემთან უნდა გაათიოთ ღამე, ხვალ დილით ერთად წავალთ... არ გაგიშვებთ აქედან, – კვლავ იღრიალა მან, – გაგთოკავთ და ჩემი ხელით მიგიყვანთ!.. ხელს გამლევთ ეს დივანი? – სულშეხუთულმა მიათითა რბილ, განიერ დივანს, რომელიც მისი საწოლის მოპირდაპირე მხარეს იდგა. – რასა ბრძანებთ, სადაც გენებოთ... – სადაც გენებოთ კი არა, ამ დივანზე დაიგებთ და დაწვებით. აჰა, გამომართვით ეს ზეწარი, საბანი, ბალიში (ყველაფერ ამას კარადიდან იღებდა ველჩანინოვი და გამალებით აჩრიდა პაველ პავლოვიჩს მორჩილად გამოწვდილ ხელში) – ახლავე დაიგეთ, დაიგეთ-მეთქი! იდგა ასეთნაირად დაზვიანული პაველ პავლოვიჩი შუაგულ ოთახში და თითქოს ყოყმანს შეეპყრო, თანაც მთვრალი კაცის უსაშველო ღიმილი დასთამაშებდა მახმურ სახეზე. მაგრამ როცა ველჩანინოვმა ხელმეორედ შეუყვირა მრისხანედ, მაშინ კი სასწრაფოდ დაფაცურდა, მაგიდა იქით მისწია და ქმენით შეუდგა ლოგინის გაშლას. ველჩანინოვი მივიდა და ხელი წააშველა. იგი ნაწილობრივ კმაყოფილი გახლდათ სტუმრის ამ შიშითა და მორჩილებით. – გამოსცალეთ ეგ თქვენი

ჭიქა და დაწეით, – კვლავ მზრძანებლურად მიმართა მან; გრძნობდა, მხოლოდ ასე, ამ კილოთი უნდა ელაპარაკა, – თქვენ თვითონ უზრძანეთ ღვინის მოტანა? – მე თვითონ, – ვიცოდი, ალექსეი ივანოვიჩი, აღარ მოატანინებდით. – ეგ კარგია, რომ გცოდნიათ, მაგრამ, უფრო მეტი უნდა იცოდეთ. ერთხელ კიდევ გიცხადებთ, ღონე მოვიპოვე: თქვენს მანჭვა-გრეხას აწი აღარ მოვითმენ, აღარც იმ თქვენს გუშინდელ ლოშნას გაგაბედინებთ! – მე ხომ, ალექსეი ივანოვიჩი, თვითონაც მესმის, რომ ეს მხოლოდ ერთხელ იყო შესაძლებელი, – ჩაიცინა პაველ პავლოვიჩმა. ამ პასუხის გამგონე ველჩანინოვს, რომელიც ბოლთას სცემდა ოთახში, ლამის კმაყოფილება დაეტყო სახეზე და უცებ პაველ პავლოვიჩის წინაშე შედგა. – პაველ პავლოვიჩი, გულახდილად მელაპარაკეთ! თქვენ ჭკვიანი კაცი ხართ, კვლავ ვაღიარებ ამას, მაგრამ გარწმუნებთ, ყალბ გზას ადგახართ! პირდაპირი, გულახდილი იყავით და, პატიოსან სიტყვას გაძლევთ – ყველაფერზე გიპასუხებთ, რაცა გნებავთ! პაველ პავლოვიჩმა კვლავ მზაკვრულად ჩაიცინა, რაც მუდამ ასე ახელებდა ხოლმე ველჩანინოვს. – დაიცა! – ისევ იღრიალა მან, – თავს ნუ იკატუნებთ, მე თქვენ მოხარშულს გიცნობთ! ვიმეორებ: პატიოსან სიტყვას გაძლევთ, მზადა ვარ-მეთქი ყველაფერზე გიპასუხოთ, ყოველგვარი თქვენი შესაძლო მოთხოვნა

დავაკმაყოფილო, ყოველგვარი, თუნდაც სულ წარმოუდგენელი! ოჰ, როგორ მინდა მიმიხვდებოდეთ!.. – რაკი ასე გულკეთილი ხართ, – ფრთხილად შეაპარა პაველ პავლოვიჩმა, – აი, გუშინ, რომ "ონავარი ტიპი" ახსენეთ, მაგ ამბავმა ძალიან დამაინტერესა!.. ველჩანინოვმა გადააფურთხა და მერმე უფრო უმატა წრიალს. – არა, ალექსეი ივანოვიჩი, ნუ გადააფურთხებთ. მართლაც ძალიან დამაინტერესა და სწორედ გასარკვევად გეახელით... მაპატიეთ, ხეირიანად ვერ ვლაპარაკობ. მაგ "ონავარი" და "თვინიერი" ტიპების თაობაზე მე თვითონ წამიკითხავს ჟურნალში, კრიტიკის განყოფილებაში, – ოღონდ დამვიწყებია და ამ დილითლა მომაგონდა... თუმცა, მართალი გითხრათ, მაშინ ბევრი ვერც ვერაფერი გავიგე. ჰოდა, მეც ეგ მინდოდა გამერკვია: სტეპან მიხაილოვიჩ ბაგაუტოვი, ის ცხონებული, რა იყო, "ონავარი" თუ "თვინიერი?" რომელს უნდა მივაკუთვნოთ? ველჩანინოვი ჯერ ისევ დუმდა და კვლავ ბოლთას სცემდა. – ონავარი ტიპი ის არის, – შედგა უცებ გამძვინვარებული, – ის კაცია, ვინც უმაღლ საწამლავს შეასმევდა ბაგაუტოვს, როცა მასთან ერთად შამპანურს შეექცეოდა საამური შეხვედრის აღსანიშნავად, როგორც თქვენ შეექცეოდით გუშინ ჩემთან ერთად, – ვიდრე იმას იზამდა, სასაფლაოზე გაეცილებინა მისი კუბო, როგორც თქვენ ჩაიდინეთ დღეს. მერედა ეშმაკმა უწყის, რა ფარული, ქვენა, ბილწი ზრახვებით აღძრული მოიქეცით ასე! თანაც, რა სამარცხვინო პრანჭვა-გრეხით მიაცილებდით, თვითონ თქვენთვისვე სამარცხვინო რა პრანჭვა-გრეხით! – ჭემმარიტად ასეა, არ გააცილებდა, – კვერი დაუკრა პაველ პავლოვიჩმა, – ოღონდ თქვენ ეგ ჩემზე მაინც რანაირად... – ეს იმ კაცთაგანი როდია, – გაცხარებული გაიძახოდა თავისას ველჩანინოვი და ყურსაც არ უგდებდა, – იმათგანი როდია, ვინც ღმერთმა უწყის, გუნებაში რეებს არ წარმოიდგენს, ყოველივეს სამართლიანობისა და მართლმსაჯულების საზომით მიუდგება, იმ თავის შეურაცხყოფას სასოებით ტვინში ჩაიბეჭდავს, მერმე მოჰყვება წუწუნს, მანჭვა-გრეხას, ყელზე ეხვევა ხალხს, – გაიხედავ და მთელი დროც ამაში დაუხარჯავს! მართალია, რომ თქვენ თავი გინდოდათ ჩამოგებრჩოთ? მართალია? – იქნებ სიმთვრალეში წამოვაბოდე რამე, – არ მახსოვს. ჩემთვის, ალექსეი ივანოვიჩი, როგორღაც მაინც სათაკილოა საწამლავის დაღვეინება. ჯერ ერთი, რომ როგორც მოხელეს, კარგი სახელი მაქვს, შეძლებულიცა ვარ, თან იქნებ

ცოლის შერთვაც დავაპირო. – მერე კიდევ, კატორღაშიაც ხომ გიკრავდნენ თავს. – ეგეც არის, ეს უსიამოვნებაც თან ახლავს; თუმცადა, ამ ბოლო დროს სასამართლოებშიც მრავალ შემამსუბუქებელ გარემოებას პოულობენ ხოლმე. რა მაგის პასუხია და აგერ წელან, ალექსეი ივანოვიჩი, კარეტაში ერთი ძალიან სასაცილო ამბავი გამახსენდა; ჰოდა, მინდოდა თქვენთვის მეამბნა. აი, რომ ბრძანეთ: "ყელზე ეხვევა ხალხსო", იმის პასუხად. იქნება გაგონდებათ სემიონ პეტროვიჩ ლივცოვი, ერთხელ თქვენსობასაც შემოგვიარა ტ-ში. ჰოდა, იმისი უმცროსი ძმა, რომელიც აგრეთვე პეტერბურგელ ყმაწვილკაცად ითვლებოდა და მრავალგვარი სანაქებო თვისებითაც ბრწყინავდა, გუბერნატორთან მსახურობდა ვ-ში. ერთხელ საზოგადოებაში, მანდილოსნებისა და სატრფოს თანდასწრებით, გოლუბენკოს წადავებია, პოლკოვნიკს, წადავებია და თავი შეურაცხყოფილად მიუჩნევია; ოღონდ შეურაცხყოფა ჩაუყლაპავს და გულში ჩაუხვევია; ამასობაში სატრფოც წაართვა გოლუბენკომ და ხელიც შესთავაზა ქალს. მერედა რა გგონიათ? ეს ლივცოვი აკი გულწრფელადაც კი დაუძმაკაცდა გოლუბენკოს, სავსებით შეურიგდა; ეგ კი არადა, მეჯვარედ დააყენებინა თავისი თავი, ხელში გვირგვინი დაიჭირა. ჯვრისწერიდან რომ დაბრუნდა სხვებთან ერთად, მივიდა გოლუბენკოსთან, ულოცავს, კოცნის. და აი, ამ კეთილშობილი საზოგადოებისა და გუბერნატორის თვალწინ, ფრაკში გამოწყობილმა და თმადახუჭუჭებულმა, უეცრად აკი დანა ამგერა მუცელში იმ თქვენს გოლუბენკოს, ამგერა და იქვე გააგორა! და ეს მეჯვარემ ქნა; მართლაც რა სამარცხვინოა! თუმცა ეგ კიდევ რა არის! მაგარი ისაა, ჩასცა დანა თუ არა, დაფეთდა: "ვაიმე, რა ჩავიდინე! ვაი, ეს რა ჩავიდინეო!" – ცრემლად იღვრება კაცი, კანკალებს. ყველას ყელზე ეკიდება, მანდილოსნებსაც კი: "ეს რა ჩავიდინე! ეს რა ჩავიდინეო!" ხე, ხე, ხე! სიცილით დახოცა ხალხი. აი, ოღონდ გოლუბენკო იყო ცოდვა; თუმცა ისიც გამოჯანმრთელდა. – არ ვიცი სწორედ, მე რას მიაძებთ ეგ ამბავი, – გაწყრა და მოიღუშა ველჩანინოვი. – რისთვის და ისევ და ისევ იმისთვის, რომ აკი ჩასცამეთქი დანა, – ჩაიხითხითა პაველ პავლოვიჩმა, – აკი აშკარაა, რომ ეგ ტიპი კი არა და, ვილაც ცინგლიანი ყოფილა, რაკი შიშისაგან ზრდილობაც კი დაკარგა და გუბერნატორის თვალწინ მანდილოსნებს ყელზე ეკიდებოდა, მაგრამ ხომ ჩასცა, ხომ მაინც მიაღწია საწადელს! აი, რისი თქმა მინდოდა. – ჯანდაბაშიც წასულხართ, – შეცვლილი ხმით იღრიალა უცებ ველჩანინოვმა, თითქოს კვლავ აიწყვიტაო, – დაიკარგეთ აქედან მაგ თქვენი ზრახვებიანად, თქვე მართლა ქვებუდანო, – დახე, შეშინება არ მომინდომა ამ ბავშვის მტანჯველმა, სულმდაბალმა, ამ არამზადამ, არამზადამ! –

გაიძახოდა თავდავიწყებული და ყოველ სიტყვაზე სუნთქვა ეკვროდა. პაველ პავლოვიჩი ერთიანად შეტოკდა, სიმთვრალემ ერთბაშად გაუარა, ტუჩები აუთრთოლდა. – კი, მაგრამ თქვენ მეძახით არამზადას, ალექსეი ივანოვიჩი, თქვენ მეძახით მე-ე? ამასობაში ველჩანინოვიც გონს მოეგო. – მზად ვარ ბოდიში მოგიხადოთ, – მიუგო მან და ერთხანს დუმდა მძიმე ფიქრებში წასული, – ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენც გულახდილი იქნებით. – მე კი ყოველგვარ შემთხვევაში მოვიხდინდი ბოდიშს თქვენს ადგილას, ალექსეი ივანოვიჩი. – კარგი, აგრე იყოს, – კვლავ ცოტა ხანს იყურა ველჩანინოვმა, – ბოდიშს გიხდით, ოღონდ იცოდეთ, პაველ პავლოვიჩი, – ყოველივე ამის შემდეგ ჩემი თავი უკვე აღარ მიმაჩნია ვალდებულად თქვენს წინაშე რაიმეს გამო, ვგულისხმობ სულყველაფერს, არა მარტო ამ შემთხვევას. – არა უშავს, ან რატომ უნდა მიგაჩნდეთ? – ჩაიცინა პაველ პავლოვიჩმა ისე, რომ თავი არ აუწევია. – მაშ, რახან აგრეა, მით უკეთესი, მით უკეთესი!

გამოსცალეთ ეგ თქვენი ღვინო და დაწეით, სულერთია, მაინც არსად გაგიშვებთ... – რა ბედენაა ღვინო... – თითქოსდა ცოტა არ იყოს შეცბაო პაველ პავლოვიჩი, თუმცა მაინც მივიდა მაგიდასთან, დიდი ხნის შევსებული უკანასკნელი ჭიქა აიღო და მოიყუდა. ეტყობოდა, ბლომად ეყლურწა აქამდე: სმის დროს ხელი უკანკალებდა, ღვინო იატაკზე დაექცა, პერანგსა და ჟილეტზეც ჩამოეღვარა, მაგრამ მაინც ბოლომდე დალია, თითქოს ვინმე აძალებდაო. დაცლილი ჭიქა მოწიწებით დადგა მაგიდაზე და ტანთ გასახდელად თავის საწოლს მიმართა. – იქნებ აჯობებდა... ღამის გასათევად არ დავრჩენილიყავ? – სრულიად მოულოდნელად წარმოთქვა მან, როცა ცალი ფეხსაცმელი უკვე გაიხადა და ჯერ ისევ ხელში ეჭირა. – არა, არ აჯობებდა! – მრისხანე კილოთი მიუგო ველჩანინოვმა, რომელიც კვლავ ბოლთას სცემდა შეუსვენებლივ, მიუგო ისე, რომ ზედაც არ შეუხედავს მისთვის. პაველ პავლოვიჩმა გაიხადა და დაწვა. მეოთხედი საათის შემდეგ ველჩანინოვიც შეწვა ლოგინში, დაწოლის წინ სანთელი ჩააქრო. შფოთიანი ძილით იძინებდა ველჩანინოვი. მოულოდნელად რაღაც ეაზრა გუმანით, რასაც კიდევ უფრო დაეხნია, და ეს გუმანი იყო, აშფოთებდა. თან იმასაც გრძნობდა, რატომღაც რცხვენოდა ამ შემფოთების გამო. ის-ის იყო ჩასთვლიმა, რომ უეცრივ რაღაც ფაჩუნმა გამოაღვიძა. მაშინვე პაველ პავლოვიჩის საწოლს გახედა. ოთახში თუმცა ბნელოდა (ფარდები ბოლომდე იყო ჩამოშვებული), მაინც მოეჩვენა, პაველ პავლოვიჩი თითქოს ლოგინზე წამომჯდარიყო. – რაო, რა მოხდა! – შეეხმიანა ველჩანინოვი. – ლანდია, – ცოტა ხნის შემდეგ ძლივს გასაგონად წარმოთქვა პაველ პავლოვიჩმა. – რა ლანდი? – აგერ იმ ოთახში, კარდიაში თითქოს ლანდს მოვკარი თვალი. – ვის ლანდს? – მცირე ხნის დუმილის შემდეგ ჰკითხა ველჩანინოვმა. – ვისას და ნატალია ვასილიევნასი. ველჩანინოვი წამოდგა და წინაკარიდან გახედა იმ ოთახს, რომლის კარებიც მუდამ ღია იყო. იქ ფანჯრებზე ფარდები არ ეკიდა, მარტო შტორი ჰქონდათ ჩამოფარებული, ამიტომ სინათლე ლიცლიცებდა. – იმ ოთახში არაფერი არ არის; მთვრალი ხართ და მოგელანდათ. დაწეით! – უთხრა ველჩანინოვმა, ჩაწვა და საბანში გაეხვია. პაველ პავლოვიჩს ხმა არ გაუღია, თვითონაც დაწვა. – წინათ არასოდეს შეგინიშნავთ ლანდები? – მოულოდნელად ჰკითხა ველჩანინოვმა ბარე ათი წუთის შემდეგ. – ერთხელაც შევნიშნე თითქოს, – ჩუმად, ისევ დახანებით გაეპასუხა პაველ პავლოვიჩი. მერმე კვლავ სიჩუმე გამეფდა. ველჩანინოვი დანამდვილებით ვერ გეტყოდათ, ეძინა თუ არა, მაგრამ ერთი საათი გამოხდა და ანაზღად კვლავ იქით გაიხედა. ჩქამმა გამოაფხიზლა ისევ თუ რამ, ვერც ამას გეტყოდათ; ოღონდ მოეჩვენა, რომ ამ სრულ სიბნელეში რაღაც თავს წამოდგომოდა, რაღაც თეთრი, შუაგულ ოთახში რომ შემდგარიყო და ჯერაც მთლად არ მოახლოებოდა. ლოგინზე წამოიწია, წამოჯდა და იმ თეთრ საგანს დააშტერდა. – თქვენა ხართ, პაველ პავლოვიჩ? – მიმტკნარებული ხმით წარმოთქვა მან. სიბნელესა და სიჩუმეში დარხეული საკუთარი ხმა თვითონვე ეუცნაურა. პასუხი არ გაუციათ, მაგრამ ის ამბავი, რომ მის წინაშე მართლაც ვიღაცა იდგა, სრულებით აღარ ეეჭვებოდა. – ეს თქვენა ხართ... პაველ პავლოვიჩ? – უფრო ხმამაღლა გაიმეორა მან, ისე ხმამაღლა, რომ პაველ პავლოვიჩს თუნდაც არხეინად სძინებოდა თავის ლოგინში, აუცლებლივ უნდა გამოღვიძებოდა და გამოპასუხებოდა. მაგრამ პასუხი არც ამჯერად გაუცია ვინმეს, სამაგიეროდ მოეჩვენა, რომ ეს თეთრი, თვალით ძლივს გასარჩევი გამოსახულება კიდევ უფრო მოუახლოვდა; ველჩანინოვს უცნაური რამ დაემართა: თითქოსდა აიწყვიტაო, წელანდელივით გიჟურად იღრიალა, თანაც ყოველი სიტყვის წარმოთქმაზე ღამის იყო სული შეჰგუბებოდა:

– თუ თქვენ, მთვრალი ტაკიმასხარავ, იმის ფიქრს ჰბედავთ, როგორმე შემაშინოთ, მაშინ

მე კედლისკენ გადავბრუნდები, თავზე საბანს წავიფარებ და ერთხელაც არ მოვიხედავ მაქეთ... ვინძლო დაგიმტკიცო, თუ რადმე მენაღვლება, გინდაც რომ დილამდე იდგე მასე... მასხარასავით... ერთი მომიფურთხებია! ესა თქვა და გაგულისებით გადააფურთხა იმ მხარეს... სადაც თავისი ჭკუით პაველ პავლოვიჩი ეგულეობდა, მერმე კედლისკენ გადაბრუნდა, საბანი დაქადნებისამებრ თავზე შემოიგრაგნა, გაყურდა და გაირინდა. სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. კვლავ უახლოვდებოდა ის ლანდი თუ ერთ ალაგას იდგა, ამის ცოდნა ველჩანინოვს არ შეეძლო, გული კი უძგერდა – ელეოდა – ეწურებოდა... ამასობაში ბარე ხუთი წუთი მაინც გავიდა; და უცებ, მისგან ორიოდ ნაბიჯზე, გაისმა მიკნავებული, მთლად საწყალობელი ხმა პაველ პავლოვიჩისა: – მე, ალექსეი ივანოვიჩ... მოსამებნად ავდექი (აქ ერთი მეტად საჭირო საოჯახო საგანი დაასახელა), – იქ, ჩემთან ვერ ვიპოვე... – მერედა რას გამიჩუმდით... როცა დაგიყვირეთ!.. – ჩამწყდარი ხმით შეეკითხა ველჩანინოვი მცირე დუმილის შემდეგ. – შევშინდი. თქვენ ისე დაიყვირეთ... ჰოდა, შევშინდი. – იქ, მარცხნივ, კუთხეში ნახავთ, პატარა კარადაში; სანთელი აინთეთ... – არა უშავს, ისედაც მივაგნებ... – მორჩილად წარმოთქვა პაველ პავლოვიჩმა და მითითებული კუთხისაკენ გაემართა, – მაპატიეთ, ალექსეი ივანოვიჩ, ასე რომ შეგაშფოთეთ... მართლა შევთვერი... მაგრამ ველჩანინოვს ხმა აღარ გაუცია. იგი კვლავ კედლისკენ მიბრუნებული იწვა. ასე იწვა მთელი ღამე, ერთხელაც არ გადმობრუნებულა. მართლა ასერიგად ეწადა სიტყვის შესრულება და ზიზღის გამომჟღავნება, თუ რა მიზეზი იყო? თავადაც არ იცოდა, რა ემართებოდა; ნერვებაშლილს ბოლოს და ბოლოს ღამის ბოდვა დააწყებინა და დიდხანს ვერ და ვერ დაიძინა. მეორე დილით ათ საათზეღა გამოეღვიძა. თითქოს ქიმუნჯი წაჰკრესო, მსწრაფლ წამოიწია, ლოგინზე წამოჯდა, მაგრამ პაველ პავლოვიჩი უკვე აღარ ჩანდა ოთახში! ლოგინი აულაგებელი მიეტოვებინა და თვითონ დილაუთენია გაპარულიყო. – ვიცოდი, განა არა! – შუბლში იტკიცა ხელი ველჩანინოვმა.

X - სასაფლაოზე

ექიმის შიში გამართლდა: ლიზა უარესად შეიქნა, – ისე ცუდად გახდა, რომ ველჩანინოვი და კლავდია პეტროვნა ვერც კი წარმოიდგენდნენ წინა დღეს. დილაადრიან მოსულ ველჩანინოვს ავადმყოფი ჯერაც გონზე დაუხვდა, თუმცა სიცხით იწვოდა. ველჩანინოვი შემდგომ ირწმუნებოდა, თითქოსდა ლიზას გაეღიმოს და თავისი მხურვალე პაწია ხელიც კი გამოეწოდებინოს. მართლა ასე იყო თუ თვითონ მოეგონებინა უნებლიეთ, თვისდა საწუგემოდ – ამის გამოსარკვევად არ ეცალა. ღამით ავადმყოფს ცნობაც წაერთვა და მერმე აღარც დაბრუნებია. აგარაკზე ათი დღის მიყვანილს სიცოცხლე მოესწრაფა. ეს იყო სამძიმო ჟამი ველჩანინოვისთვის; პოგორელცევეები შიშობდნენ კიდევ მის გამო. ამ სამძიმო დღეების მეტი ნაწილი ველჩანინოვმა მათთან გაატარა. სულ ბოლო დღეებში იგი ხშირად განმარტოვდებოდა ხოლმე სადმე კუთხეში და საათობით გაშტერებული იჯდა. კლავდია პეტროვნა მიეახლებოდა ხანდახან, ვითომ გულს გადავაცოლებინებო, მაგრამ ველჩანინოვი უხალისოდ უგებდა პასუხს. ზოგჯერ უძძიმდა კიდევ, ეტყობოდა, მასთან საუბარი. კლავდია პეტროვნა არც კი მოელოდა, "ეს ყველაფერი თუ ამგვარ შთაბეჭდილებას მოახდენდა" მასზე. ყველაზე უფრო ბავშვები ართობდნენ ველჩანინოვს, მათთან ერთად ხანდახან გაიცინებდა კიდევ. მაგრამ დროდადრო სკამიდან წამოდგებოდა ხოლმე და ფეხაკრეფით მიიპარებოდა ავადმყოფის დასახედად. ზოგჯერ მოეჩვენებოდა, მიცნოო ბავშვმა. ავადმყოფის გამოჯანმრთელების არავითარი იმედი არ ჰქონდა, ისევე როგორც არც სხვებს ჰქონდათ, მაგრამ იმ ოთახს, სადაც სულთმობრძავი ლიზა იწვა, არ შორდებოდა. ჩვეულებრივ გვერდით ოთახში იჯდა ხოლმე. ხომ ასე გადაწყვეტილს ხედავდა ლიზას ბედ-იღბალს, მაგრამ იმ დღეებში ერთი-ორჯერ მაინც გამწარებული დატრიალდა: უცებ ადგებოდა და პეტერბურგში გავარდებოდა ექიმებთან, ყველაზე ცნობილთ მათგან კონსილიუმზე იწვევდა. მეორე, ბოლო კონსილიუმი ლიზას გარდაცვალების წინა დღით შედგა. მანამდე, სამი დღით ადრე, კლავდია პეტროვნამ დაჟინებით ჩამოუგდო ლაპარაკი ველჩანინოვს იმის თაობაზე, რომ აუცილებელი იყო ბოლოს და ბოლოს ბატონ ტრუსოცკის მოძებნა: "თორემ, უბედურების შემთხვევაში, ლიზას დამარხვა შეუძლებელიც იქნება უმისოდო". ველჩანინოვმა მივწერო, წაილულლულა. მაშინ მოხუცმა პოგორელცევმა განაცხადა, მე თვითონ მოვაძებნინებ პოლიციის მეშვეობითო. ბოლოს ველჩანინოვმა მცირედი უწყება დაწერა და პოკროვისეულ სასტუმროში წაიღო. პაველ პავლოვიჩი, ჩვეულებისამებრ, შინ არ დაუხვდა და ბარათი მარია სისოევნას ჩააბარა გადასაცემად. დაბოლოს, მიიცვალა ლიზა, ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, მზის ჩასვლისას განუტევა სული; თითქოს მაშინღა გამოერკვაო ველჩანინოვი. როცა ცხედარი გააპატიოსნეს, კლავდია პეტროვნას ერთ-ერთი ქალიშვილისეული სადღესასწაულო თეთრი კაბით მორთეს და დარბაზში დაასვენეს მაგიდაზე, ყვავილებს შორის, გულზე ხელებდაკრეფილი, – ველჩანინოვი მიუახლოვდა კლავდია პეტროვნას და თვალეზარებულმა გამოუცხადა, "მკვლელსაც" ახლავე მოვიყვანო. ქალის რჩევას, ხვალამდე მოიცადეთო, ყური არ ათხოვა, დაუხანებლად გასწია ქალაქისაკენ. იცოდა, სადაც უნდა მოეხელებინა პაველ პავლოვიჩი: მარტოოდენ ექიმების მოსაყვანად როდი ჩადიოდა იგი პეტერბურგს. იმ დღეებში ხანდახან ეგონა. ოღონდ კი რამენაირად მიეყვანა მომაკვდავ

ლიზასთან მამამისი, ოღონდ კი გაეგონა მისი ხმა ბავშვს და, მოსულიერდებოდა. ჰოდა, მაშინ ველჩანინოვი პაველ პავლოვიჩის თავგანწირულ მიებას იწყებდა. პაველ პავლოვიჩი კვლავ იმ ფლიგელის ნომერში იდგა, მაგრამ იქ სულ ტყუილად მოიკითხავდით. "სამ დღეში ერთხელ თუ გამოჩნდება, – აუწყებდა მარია სისოევნა, – თუ უცაბედად შემოიარა მთვრალმა, ერთ საათს არ გაჩერდება, ისევ წაჩანჩალდება; მთლად მოეშვაო". პოკროვისეული სასტუმროს მსახურმა სხვათა შორის ისიც ამცნო ველჩანინოვს, პაველ პავლოვიჩი, ჯერ კიდევ უწინ, ვოზნესენსკის პროსპექტზე ვიღაც გოგოებთან დაეთრეოდაო. ველჩანინოვმა მაშინათვე მოძებნა ის გოგოები, უმასპინძლა, დაასაჩუქრა და იმათაც მყისვე გაიხსენეს თავიანთი ადრინდელი სტუმარი, რაც მთავარია, კრეპიანი შლაპით გაიხსენეს, თუმცაღა იქვე გამოთათხეს. და ეგ, რაღა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ამათ აღარ ეკარებოდა. ერთმა ამათგანმა, სახელად კატამ, ითავა, "როცა უნდა ყოფილიყო, მოენახა პაველ პავლოვიჩი, რომელიც ახლა მაშკა პროსტაკოვასაგან ფეხს არ იცვლის, ფული ოხრადა აქვს, ის მაშკა კიდევ – პროსტაკოვა კი არა და, პროხვოსტოვაა, საავადმყოფოშიაც წოლილა. ჰოდა, საკმარისია მან, კატამ, ინდომოს, ერთი სიტყვა თქვას, და იმ მაშკას ხელად ციმბირში უკრავენ თავსო". კატიას თუმცა არ მოუნახავს იმჯერად ტრუსოცკი, მაგრამ სამაგიეროდ დაბეჯითებით აღუთქვა ველჩანინოვს, რომ კვლავად აღარ გააწბილებდა. სწორედ მისი დახმარების იმედი ჰქონდა ახლა ველჩანინოვს. ჩავიდა თუ არა ქალაქში, უკვე ათ საათზე, საჩქაროდ გამოითხოვა ის გოგო – საამისო საფასურიც გადაუხადა, ვისაც საჭირო იყო – და მასთან ერთად ტრუსოცკის საძებრად გაეშურა. ჯერჯერობით თვითონაც ხეირიანად არ იცოდა, მაინც რა უნდა ექნა პაველ პავლოვიჩისთვის: ჩაეძაღლებინა თუ ქალიშვილის სიკვდილის ამბავი ეუწყებინა და ის, რომ დაკრძალვისათვის მისი შემწეობა იყო საჭირო? თავდაპირველად ხელი მოეცარათ: აღმოჩნდა, რომ მაშკა პროსტაკოვა ჯერ კიდევ სამი დღის წინათ წასჩხუბებია პაველ პავლოვიჩს და რომ ვიღაც ხაზინადარს "პაველ პავლოვიჩისათვის სკამით გაეტეხა

თავი". ერთი სიტყვით, არ იქნა და დიდხანს ვერსად მიაგნეს მის კვალს. დაბოლოს, უკვე ნაშუაღამევს ორ საათზე, როცა ველჩანინოვი ერთი მითითებული საექვო დაწესებულებიდან გამოდიოდა, მოულოდნელად გადააწყდა მას. პაველ პავლოვიჩი, უზომოდ მთვრალი, ორ ბანოვანს მოჰყავდა ამ დაწესებულებისაკენ, ქალთაგან ერთი ხელს აშველებდა. თან ვიღაც ზორბა, თამამი პრეტენდენტი მოსდევდათ. ეს ვაჟბატონი მთელი ხმით გაჰყვიროდა და საშინელი რამეებით ემუქრებოდა პაველ პავლოვიჩს. სხვათა შორის, იმასაც უკიჟინებდა, "ექსპლოატაციას მიწევდი და ცხოვრება მომიწამლეო". ეტყობოდა ფულის გამო იყო დავა; მანდილოსნები ძალზე დამფრთხალიყვნენ და მოიჩქაროდნენ. თვალი ჰკიდა თუ არა ველჩანინოვს, პაველ პავლოვიჩი ხელებგაშლილი მივარდა და ისეთის ხმით, იტყოდით დასაკლავად იმეტებენო, შეჰლაღადა: – საყვარელო ძმობილო, დამიცავი! ველჩანინოვის ათლეტური აღნაგობის დანახვაზე ის პრეტენდენტი მყისვე აიძურწა; მოზეიმე პაველ პავლოვიჩმა აძურწულს მუშტი მოუღერა და გამარჯვების ყიჟინა დასცა; მაგრამ ამ დროს ველჩანინოვმა ორივე ხელი გააფთრებით მოავლო მხრებში და, თვითონაც არ იცოდა რატომ, ჯანჯღარი დაუწყო, ისე გამეტებით, საწყალ ტრუსოცკის კბილები აუკაწკაწდა. პაველ პავლოვიჩი უმაღვე მოეშვა ყივილს, ამ თავის მწვალებელს შიშითა და მთვრალი კაცის ჩლუნგი გამომეტყველებით მიაჩერდა. ველჩანინოვმა, რაკი ეტყობა არ იცოდა, შემდეგ რაღა ეყო ტრუსოცკისათვის, დადრიკა იგი და ტროტუარის ბოძკინტზე დასვა. – ლიზა მოკვდა! – წარმოთქვა მან. პაველ პავლოვიჩი იჯდა და

ისევ ისე მიმტერებოდა. ბოლოს მიხვდა და ერთბაშად თითქოს ლოყები ჩაუცვივდა. – მოკვდა... – რაღაც უცნაური კილოთი წაიჩურჩულა მან. ველჩანინოვმა ვერ გაარჩია – ჩვეული ბილწი ღიმილით ჩაიღიმა ამ დროს სიმთვრალისაგან თუ დაედმიჭა სახე. ოღონდ წამის შემდეგ გაჭირვებით ასწია აკანკალებული მარჯვენა ხელი, რათა პირჯვარი გადაეწერა; თუმცაღა, პირჯვარი აღარ გამოუსახავს, აკანკალებული ხელი ისევ ჩამოუშვა. ცოტა ხნის შემდეგ იგი ნელ-ნელა წამოიმართა, თანმხლებ ქალს ხელი ჩასჭიდა და, მას დანდობილმა, კვლავ თავისი გზით წასვლა დააპირა, თითქოს თავდავიწყებას მისცემიაო, თითქოს ველჩანინოვის იქ ყოფნას ვერც ამჩნევსო. მაგრამ ველჩანინოვი ისევ ჩააფრინდა მხარში. – გესმის თუ არა, შე ლოთბაზარა მტარვალო, რომ უშენოდ მისი დამარხვაც კი ვერ მოხერხდება! – შეჰყვირა ლამის სუნთქვაშეკრულმა. პაველ პავლოვიჩმა თავი მოაბრუნა მისკენ. – არტილერიის... პროპორშიკი... გახსოვთ? – ამოილულლულა ბოლოს, ენას ძლივს აბრუნებდა. – რა-ა-ო? – იღრიალა ველჩანინოვმა და გველნაკბენივით შეკრთა. – ესეც შენი მამა! ეძიე და... იმან დაგამარხვინოს... – მიჰქარავ! – შეჰყვირა ველჩანინოვმა დაბნეულად, – ეგ ბოლმისაგან მოგდის... ვიცოდი კიდეც, ეგრე მიზამდი! ლამის გონდაკარგულმა თავისი საშინელი მაგარი მუშტი შემართა პაველ პავლოვიჩის თავზე. წამიც და – ალბათ ერთის დაკვრით მოუღებდა ბოლოს; ქალებმა იწივლეს და იქით მიაწყდნენ, მაგრამ პაველ პავლოვიჩს თვალიც არ დაუხამხამებია. – აბა, შენ თუ იცი, – ისეთი მტკიცე ხმით წარმოთქვა მან, სიმთვრალეს ვერც კი შესწამებდით, – ჩვენი რუსული...? (და დასაბეჭდად ყოვლად შეუფერებელი გინება მიაყოლა). ჰოდა, გასწი მასთან! – მერე ძალისძალად გაუსხლტა ველჩანინოვს ხელიდან, წაიბორძიკა და კინალამ წაიქცა. ქალებმა ხელი შეაშველეს და ამჯერად უკვე გაქცევა იკადრეს. მიწიოდნენ და თან ლამის მიათრევდნენ პაველ პავლოვიჩს. ველჩანინოვი არ გამოსდევნებია. მეორე დღეს, ნაშუადღევს პირველ საათზე, პოგორელცევებს ეახლა ერთი ფრიად წესიერი, ვიცმუნდირში გამოწყობილი, შუა ხნის მოხელე, რომელმაც კლავდია პეტროვნას თავაზიანად გადასცა პაკეტი პაველ პავლოვიჩ ტრუსოცკის სახელით. პაკეტში აღმოჩნდა წერილი სამასი მანეთითურთ და ლიზასეული საჭირო მოწმობები. პაველ პავლოვიჩი იწერებოდა მოკლედ, დიდი მოწიწებითა და თავაზიანობით. იგი ძალიან ემადლიერებოდა მის აღმატებულებას კლავდია პეტროვნას სათნო თანაგრძნობისათვის ობლისადმი, როცა ნაცვალგებაც მხოლოდ ღმერთს თუ შეუძლიაო. ბუნდოვნად აღნიშნავდა, რომ ავადმყოფობა საშუალებას არ მისცემდა, პირადად დასწრებოდა დაკრძალვას თავისი უბედური ქალიშვილისას, რომელიც ეგზომ ნაზად უყვარდა. და რომ ამ მხრივ სრულ იმედს მისი აღმატებულების ანგელოზისებურ გულკეთილობაზე ამყარებდა. ის სამასი მანეთი კი, როგორც იქვე განმარტავდა წერილში, დაკრძალვისა და, საერთოდ, ავადმყოფზე გაწეული ხარჯის დასაფარავად ყოფილიყო განკუთვნილი. ამ თანხიდან კიდეც რომ გადარჩენილიყო რაიმე, უმორჩილესად სთხოვდა, განსვენებული ლიზას სულის საუკუნო ხსენებისათვის მოეხმარა, წერილის მომტანმა მოხელემ სხვა ვერაფერი დაუმატა. ზოგი მისი სიტყვით ისიც კი გამოირკვა, რომ პაველ პავლოვიჩის დაჟინებული თხოვნითღა ეკისრა პაკეტის პირადად ჩაბარება მისი აღმატებულებისათვის. პოგორელცევმა ლამის იწყინა წერილში ნახმარი გამოთქმა – "ავადმყოფობაზე გაწეული ხარჯიო", და ასე გაარიგა: ხუთი თუმანი დაკრძალვის სახარჯოდ დაეტოვებინათ, – რადგან მამას მართლაც ვერ ეტყოდნენ უარს შვილი, დამარხვისათვის ზრუნვაზე, – დანარჩენი ოცდახუთი თუმანი კი დაუყოვნებლივ უკანვე გაეტანებინათ. მაგრამ საბოლოოდ კლავდია

პეტროვნამ ამჯობინა, ამ ოცდახუთი თუმნის მაგიერ დაებრუნებინა სასაფლაოს ეკლესიაში ჩამორთმეული იმის ხელწერილი, რომ ეკლესიამ ეს ფული მიიღო, რათა საუკუნოდ მოეხსენებინათ განსვენებული ყმაწვილი ქალი ლიზას სული. ეს ხელწერილი შემდგომ ველჩანინოვს ჩააბარეს ტრუსოცკისათვის გადასაცემად. ველჩანინოვმა იგი ფოსტით გაუგზავნა სასტუმროს ნომერში. დასაფლავების შემდეგ ველჩანინოვი გაქრა აგარაკიდან, მთელი ორი კვირა ქალაქში დაეხეტებოდა სრულიად უმიზნოდ, მარტოდმარტო, და ფიქრში წასული გამვლელ-გამომვლელს ეხლებოდა. ხანდახან მთელი დღეები იწვა ხოლმე თავის დივანზე გამოტოლი, ჭამა-სმაც კი აღარ ახსოვდა. პოგორელცეცებმა მრავალგზის აახლეს კაცი და მიიპატიჟეს. შეპირდებოდა და მეორე წუთსვე დაავიწყდებოდა დანაპირები. კლავდია პეტროვნა რამდენჯერმე პირადადაც ესტუმრა, მაგრამ ვერც ერთხელ შინ ვერ მოახელა. ამ მხრივ არც მის ვეჭილს უღიმოდა ბედი. ვეჭილს კი სასიხარულო ამბავი უნდა ეუწყებინა: მამულის გამო დავის საქმე ერთობ წარმატებით მოეგვარებინა, მოჩივარნი მორიგებაზე ყაბულდებოდნენ, თანაც საზღაურად ითხოვდნენ ფრიად უმნიშვნელო წილს საცილოდ მიჩნეული მემკვიდრეობისას. ველჩანინოვის თანხმობაღა იყო საჭირო. როცა ვეჭილმა ბოლოს და ბოლოს შინ შეისწრო ველჩანინოვი, გაკვირვებული დარჩა, რარიგ უხალისოდ, რარიგ უნდილად შეხვდა წინათ ესოდენ დაუდებარი კლიენტი ამ ახალ ამბავს. ივლისის ყველაზე თაკარა დღეები დადგა, მაგრამ ველჩანინოვს დროის ანგარიშიც დავიწყებოდა. ნაღველმა გაუსივა გული, ერთი გამუდმებული აზრი აწვალებდა, მკაფიო აზრი: ლიზამ ვერ იცნო იგი, ისე მოკვდა; ვერც გაიგო, რა მტანჯველი სიყვარულით უყვარდა ველჩანინოვს! მთელი მისი ცხოვრების მიზანი, ერთბაშად თვალწინ რომ გაუელვა და მომავალში იმდენ სიხარულს აღუთქვამდა, მოულოდნელად მარადისმა უკუნმა წარსტაცა. ამ მიზანს სწორედ იმაში ხედავდა, – წამდაუწუმ ასე ფიქრობდა ახლა, – რომ ლიზას ყოველდღე, ყოველჟამ, მთელი სიცოცხლის მანძილზე განუწყვეტლივ ეგრძნო მისი სიყვარული. "ამაზე უფრო მაღალი მიზანი არც ერთ ადამიანს არ ექნება, არც შეიძლება ექნეს!" – ჩაფიქრდებოდა ხოლმე ხანდახან ნაღველნარევი აღფრთოვანებით შეძრული, – "ეგების სხვა მიზნებიც ჰქონდეთ, მაგრამ შეუძლებელია, რომელიმე მათგანი უფრო წმიდათაწმიდა იყოს!" "ლიზას სიყვარული განმწმედდა მე. – ოცნებობდა იგი, – ჩემი ადრინდელი ბილწი, ფუჭი ცხოვრების ცოდვებს მომანანიებდა; ჩემ წილად, უსაქმი, გარყვნილი, წუთისოფელმოჭმული ადამიანის წილ, რუდუნებით გამოვზრდიდი სპეტაკ, მშვენიერ არსებას, და ამ არსების გულისთვის ყველაფერი მომეტევებოდა, მეც ყველაფერს მივუტევებდი ჩემ თავს". ყველა ამ მკაფიო აზრს განუყრელად მოსდევდა ხოლმე გარდაცვლილი ბავშვის ნათელი, მუდამ სათუთი, მუდამ გულის დამწველი მოგონება. კვლავ აღიდგენდა ხოლმე მეხსიერებაში მის ფერმკრთალ სახეს, გამომეტყველებას. იგონებდა კუბოში ჩასვენებულსაც, ყვავილებს შორის მწოლარეს, სიცხით გათანგულ მომაკვდავსაც, თვალღიასა და მზერაჩაფერფლილს. უცებ ესეც გაახსენდა: როცა უკვე მაგიდაზე იყო დასვენებული, თვალი მოატანა მის პაწია თითს, რომელიც ავადმყოფობისას, ღმერთმა იცის, რა მიზეზით გაშავებოდა; ამან ისე გააოგნა მაშინ, ისე დაუთუთქა გული ამ საბრალო თითის დანახვამ, რომ იქვე დაებადა აზრი, სასწრაფოდ მოეძებნა პაველ პავლოვიჩი და ძალივით მიეხრჩო, – მანამდე კი ველჩანინოვი "გაქვავებული იყო". ფიქრობდა, სიამაყის გრძნობის შელახვამ თუ დაუსეტყვაო ბავშვს გული, ან იმ ტანჯვა-წამებამ, სამი თვის განმავლობაში რომ აყენებდა მამამისი, რომელმაც უეცრივ შეიძულა ბავშვი და აუგი სიტყვითაც შეურაცხყო. ესეც არ აკმარა, ნუგეშის წილ მუდამ დასცინოდა ხოლმე და ბოლოს უცხო ხალხს შეაჩეჩა მისი თავი. ყოველივე ეს ძალიძალ და ათასნაირად

წარმოესახებოდა. "იცით თუ არა, რას წარმოადგენდა ჩემთვის ლიზა?" – გაიხსენა უცებ მთვრალი ტრუსოცკის წამოძახილი და იგრძნო, რომ ეს ამოძახილი უკვე მანჭვა-გრეხა კი არა, გულთ ნათქვამი სიტყვები იყო, სიყვარულის მიმნიშებელი. "კი, მაგრამ ეს ურჯულო ასე სასტიკად როგორ უნდა მოპყრობოდა ბავშვს, თუკი უყვარდა; ან დავიჯერო, უყვარდა კი?" მაგრამ ამ კითხვას მუდამ თავიდან იშორებდა ხოლმე, რაღაც საზარელს შეიცავდა ეს კითხვა, მისთვის რაღაც აუტანელს და გადაუჭრელს. ერთ დღეს, თვითონაც არ ახსოვდა როგორ მოხდა, სასაფლაოზე ამოჰყო თავი, იმ სასაფლაოზე, სადაც ლიზა დაკრძალეს; ბავშვის საფლავი მონახა. დაკრძალვის შემდეგ ერთხელაც არ ამოსულა აქ. სულ ასე ეგონა, მეტისმეტად სამძიმო იქნებოდა ეს მისთვის. მაგრამ საკვირველი ამბავია, როცა პირქვე დაემხო და სამარეს ეამბორა, თითქოს შვება იგრძნო ერთბაშად. ნათელი საღამო იდგა, მზე უკვე გადაწვერილიყო; ირგვლივ, საფლავთა ახლო-მახლო, ქორფა ბალახი ხასხასებდა; იქვე, ასკილის ბუჩქში, ფუტკარი ბზუოდა; ყვავილები და გვირგვინები, რითაც დამარხვის შემდეგ ლიზას სამარე შეამკეს ბავშვებმა და კლავდია პეტროვნამ, კვლავინდებურად აქ ეწყო, სანახევროდ ფოთლებგანძარცული. პირველად დიდი ხნის შემდეგ, წარმოიდგინეთ, რაღაცნაირმა სასოებამ გაუცოცხლა ველჩანინოვს გული. "ძლივს შვებით ამოვისუნთქე!" – გაიფიქრა მან, სასაფლაოსეულ სიჩუმეს მიყურადებულმა და წყნარი, მოწმენდილი ზეცის შემყურემ. რაღაცის წმიდა, უშფოთველი რწმენით აღევსო სული. "ლიზამ ჩამისახა იგი, ლიზა მესაუბრებო", –

ფიქრად მოუვიდა მას. უკვე ბინდდებოდა, როცა ველჩანინოვი სასაფლაოდან შინისაკენ გაბრუნდა. სასაფლაოს ჭიშკრიდან არც ისე მოშორებით, გზის პირას, ხის დაბალ სახლში, ტრაქტორისა თუ სამიკიტნოს მაგვარი მოეწყობთ; გაღებულნი ფანჯრების მიღმა მოჩანდნენ სუფრებთან შემომსხდარი მეინახენი. ველჩანინოვს უცებ მოეჩვენა, რომ ერთი მათგანი, ზედ ფანჯარასთან მოკალათებული, პაველ პავლოვიჩი უნდა ყოფილიყო, და რომ ისიც ხედავდა, ცნობისმოყვარედ უთვალთვალებდა ფანჯრიდან. ველჩანინოვმა გზა განაგრძო და მალე შემოესმა, რომ ვიღაცა სირბილით ეწეოდა; მართლაც, პაველ პავლოვიჩი მოსდევდა. ეტყობა, ველჩანინოვის სახის შემრიგებლურმა გამომეტყველებამ მიიზირა იგი და გაამხნევა ფანჯრიდან თვალთვალისას; როცა გაუსწორდა ველჩანინოვს, შიშნეულად გაიღიმა, ოღონდ წინანდებური მახმური ღიმილით კი აღარა. წარმოიდგინეთ, მთვრალი სულაც არ იყო. – გამარჯობათ, – თქვა მან. – გაგიმარჯოთ, – მიუგო ველჩანინოვმა.

XI - პაველ პავლოვიჩი ცოლს ირთავს

"გაგიმარჯოთო" რომ უთხრა, ველჩანინოვი თავადვე გაკვირდა. დიდად ეუცნაურა ის ამბავი, რომ აგერ ამ კაცს ყოვლად უბოროტოდ ხვდებოდა, რომ ამჟამად რაღაც სულ სხვანაირი გრძნობა გასჩენოდა მის მიმართ, რაღაც ახლებური დამოკიდებულების სურვილიც კი გაჰღვიძებოდა. – რა მშვენიერი საღამოა, – წარმოთქვა პაველ პავლოვიჩმა, – და თან თვალეებში შეაქცერდა ველჩანინოვს. – ჯერ არ წასულხართ? – ყასიდად ჩაილაპარაკა ამ უკანასკნელმა, რადგან კვლავ თავისას ფიქრობდა და გზას განაგრძობდა. – გამიჭიანურდა, მაგრამ მივიღე ადგილი, დამაწინაურეს. ზეგ უსათუოდ გავემგზავრები. – ადგილი მივიღეო? – ამჯერად უკვე გულისხმიერად იკითხა ველჩანინოვმა. – რატომაც არა? – გაიპრანჭა უცებ პაველ პავლოვიჩი. – არა, ისე გითხარით... – შეასხვაფერა ველჩანინოვმა, მოიღუშა, აღმაცერად გადახედა პაველ პავლოვიჩს და თავისდა გასაკვირად, შეამჩნია, რომ ბ-ნ ტრუსოცკის ტანსაცმელიც, კრეპიანი შლაპაც, მთლიანად შესახედაობაც ახლა გაცილებით უფრო პეწიანი ჰქონდა, ვიდრე ამ ორი კვირის წინათ. "ნეტა რა უნდოდა იმ სამიკიტნოში?" – ერთთავად ამას ფიქრობდა იგი. – თქვენთვის, ალექსეი ივანოვიჩ, კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი მინდოდა მეუწყებინა, – ისევ დაიწყო პაველ პავლოვიჩმა. – სასიხარულო ამბავი? – მე ცოლს ვირთავ. – როგორ? – მწუხარებას სიხარული სცვლის ხოლმე, ასეა მუდამ ამ წუთისოფელში; მე, ალექსეი ივანოვიჩ, გულით მსურდა... მაგრამ არ ვიცი, იქნებ გეჩქარებათ, ისეთი სახე გაქვთ... – კი, მეჩქარება და... უქეიფოდაც ვარ. უეცრად საშინლად მოუნდა, ეს კაცი თავიდან მოეშორებინა. ახლებური დამოკიდებულებისათვის მზადყოფნის ის წელანდელი სურვილი წამსვე გაუქრა. – მე კი მსურდა... პაველ პავლოვიჩს აღარ უთქვამს, რა სურდა; ველჩანინოვმა წაუყრუა. – რაკი აგრეა, მერმე იყოს, თუ კიდევ შევხვდით ერთმანეთს... – ჰო, ჰო, მერმე იყოს, მერმე, – სწრაფად ბუტბუტებდა ველჩანინოვი, ტრუსოცკის არ უყურებდა და არც ნაბიჯი შეუნელებია. მცირე ხანსაც მდუმარედ იარეს; პაველ პავლოვიჩი კვლავ გვერდით მისდევდა, აღარ ეხსნებოდა. – რაკი აგრეა, მაშ, ნახვამდის, – ამოღერდა ბოლოს. – ნახვამდის, გისურვებთ... ველჩანინოვი ერთიანად მორღვეული დაბრუნდა შინ. "ამ კაცის" დანახვა აღარ შეეძლო. როცა დასაძინებლად წვებოდა, კვლავ გაიფიქრა: "ნეტავ რა უნდოდა სასაფლაოსთან!" მეორე დღეს დილაადრიან გადაწყდა, ბოლოს და ბოლოს ენახა პოგორელცევები, თუმცა გული კი არ მიუწევდა. მეტისმეტად ემძიმებოდა ახლა ვისიმე თანაგრძნობა, პოგორელცევებისაც კი. არადა, ისე წუხდნენ ისინი იმის გამო, მიუსვლელობა არ იქნებოდა. უცებ წარმოიდგინა, რომ რატომღაც დიდ სირცხვილს იგრძნობდა მათთან შეხვედრისას. "წავიდე თუ არ წავიდე?" – ფიქრობდა და თან საუზმის დამთავრებას ჩქარობდა, როცა მოულოდნელად, მისდა განსაცვიფრებლად, პაველ პავლოვიჩი შემოიტუზა კარებში. თუმცა გუშინაც შეეყარნენ ერთმანეთს, ველჩანინოვს მაინც ვერ წარმოედგინა, თუ ეს კაცი ოდესმე კიდევ მოინახულებდა. ვერ წარმოედგინა და ახლა ისეთ საგონებელში ჩავარდა, რომ უყურებდა და აღარ იცოდა, რა ეთქვა. მაგრამ პაველ პავლოვიჩმა თვითონვე გამოიჩინა თაოსნობა: მიესალმა და სწორედ იმ სკამზე დაბრძანდა, ამ სამიოდე კვირის წინათ, ბოლო სტუმრობისას რომ იჯდა. ველჩანინოვს უცებ ცხადად მოაგონდა მისი მაშინდელი სტუმრობა. მოუსვენრობით ატანილი, ზიზღმორეული უმზერდა

ახალმოსულს. – გიკვირთ, არა? – სიტყვა დამრა პაველ პავლოვიჩმა, რომელიც მიხვდა მასპინძლის გამომეტყველების აზრს. საერთოდ, იგი გუშინდელზე გაცილებით უფრო მოურიდებელი ჩანდა, მაგრამ იმასაც შეატყობდით, გუშინდელზე მომეტებულად რომ კრთოდა. მეტადრე, მისი ჩაცმულობა გეცემოდათ თვალში. სწორედ რომ კოხტაპრუწასავით გამოიყურებოდა: მსუბუქ საზაფხულო პიჯაკში, ღია ფერის შემოჭერილ შარვალსა და ღია ფერისავე ჟილეტში გახლდათ გამოწყობილი; ხელთათმანი, მოოქროვილი ლორწეტი, რითაც ესოდენ მოულოდნელად აღჭურვილიყო რატომღაც, პერანგი – ყველაფერი უნაკლო ჰქონდა; წარმოიდგინეთ, სუნამოს სურნელებასაც კი აფრქვევდა. მაგრამ მთელ მის გარეგნობას რაღაც სასაცილო და თანაც ისეთნაირი იერი დაჰკრავდა, რომ უცნაური და უსიამო რამ აზრი დაგებადებოდათ. – რასაკვირველია, ალექსეი ივანოვიჩი, – განაგრძობდა კრთოლვით, – გაგაკვირვებთ, რომ გეახელით, განა ვერა ვგრძნობ. მაგრამ ადამიანებს შორის, ვგონებ, მუდამ სუფევს ხოლმე და, ჩემი აზრით, მუდამაც უნდა სუფევდეს, უზენაესი რამ, აგრეთა თუ არა? უზენაესი რამ ყოელგვარ გარემოებასა და თვით იმ უსიამოვნო ამბებთან შედარებითაც კი, რაიც მომხდარა... აგრეთა თუ არა? – პაველ პავლოვიჩი, ბარემ ჩქარა, პირდაპირ გადმოალაგეთ ყველაფერი, – მოილუშა ველჩანინოვი. – ორი სიტყვით გეტყვით, – დაფაცურდა პაველ პავლოვიჩი, – ცოლს ვირთავ და აი, ახლა საპატარძლოსთან მივდივარ. აგარაკზე გახლავან. მინდა დიდი პატივი დამდოთ და ნება მიბოძოთ, ის ოჯახი გაგაცნოთ. ჰოდა, კიდევაც ამ თხოვნით

გეახელით (პაველ პავლოვიჩმა მორჩილად დახარა თავი), გთხოვთ თან წამომყვით... – სად უნდა წამოგყვით? – ველჩანინოვიც თვალეზი დააჭყიტა. – იმათთან, აგარაკზე. მაპატიეთ, აღგზნებული ვლასპარაკობ და იქნებ ამერია; მართლაცდა, ისე მეშინია, უარი არ მითხრათ... და მან საცოდავად შეხედა ველჩანინოვს. – თქვენ გინდათ, ახლა საცოლესთან წამოგყვით? – სიტყვა არ დააცალა ველჩანინოვიც და თან სწრაფად აათვალიერ-ჩაათვალიერა; არც საკუთარი ყურების, არც საკუთარი თვალეზისა სჯეროდა. – დიახ, ჩემო ბატონო, – ძლიერ დაკრთა პაველ პავლოვიჩი. – ნუ გამიბრაზდებით, ალექსეი ივანოვიჩი, კადნიერებად კი ნუ ჩამომართმევთ; მე მხოლოდ უმორჩილესად და უაღრესად გთხოვთ. გულში ვნატრობდი კიდევ, ეგებ არ ინდომოს-მეთქი უარის თქმა... – ჯერ ერთი, ეგ ყოვლად შეუძლებელია, – შეწრიალდა ველჩანინოვი. – ეს მხოლოდ დიდი სურვილია ჩემი და მეტი არაფერი, – კვლავ ემუდარებოდა პაველ პავლოვიჩი, – არც იმას დაგიმალავთ, რომ აქ ერთი მიზეზიცაა. მაგრამ ეს მიზეზი მინდა შემდგომ გაგიმჟღავნოთ, ახლა კი უმორჩილესად გთხოვთ... და მოწიწებისაგან სკამიდანაც კი წამომართა. – კი, მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია, თვითონაც დამეთანხმებით... – ველჩანინოვიც წამოდგა ფეხზე. – რა დიდი ამბავია, ალექსეი ივანოვიჩი, – მე ხომ ჩემ მეგობარ კაცად მინდა გავაცნო თქვენი თავი. მერე, იქ ხომ ისედაც გიცნობენ; ზახლებინინის აგარაკია ეგა, სახელმწიფო მრჩეველ ზახლებინინისა. – ეგ როგორ? – შესძახა ველჩანინოვიც. ზახლებინინი სწორედ ის სახელმწიფო მრჩეველი გახლდათ, ვისაც ველჩანინოვი ერთი თვის წინ ისე გამწარებული დაემებდა და ვერასდიდებით შინ ვერ შეისწრო. როგორც გამოირკვა, იგი ველჩანინოვის მოდავეებს ემხრობოდა თურმე. – მაშა, მაშა, – ილიმებოდა პაველ პავლოვიჩი, თითქოსდა ველჩანინოვის უსაშველო გაკვირვებით გამხნევებული, – სწორედ ის გახლავთ, აი, თუ გახსოვთ, ერთად რომ მოდიოდით და მოსაუბრობდით, მე კი გაღმა მხარეს ვიდექი და იქიდან გიმზერდით; ველოდებოდი, როდის დაშორდებოდით, რომ მივსულიყავი და მენახა. ამ ოციოდე წლის წინათ მე და

ფედოსეი პეტროვიჩი ერთად ვმსახურობდით; მაშინ მისი ნახვა რომ დავაპირე, ქალის თხოვნის განზრახვა სულაც არა მქონია. ეს აზრი ახლახან მომივიდა, ამ ერთი კვირის წინ. – კი, მაგრამ გამიგონეთ, ეგ ვგონებ ფრიად წესიერი ოჯახი უნდა იყოს, – მიამიტად გაიკვირვა ველჩანინოვმა. – ჰოდა, მით უკეთესი, თუკი წესიერია, – გაიპრანჭა პაველ პავლოვიჩი. – არა, მაგას კი არ ვგულისხმობ... ოღონდ, რამდენადაც შევნიშნე, როცა იქ ვიყავი... – ახსოვთ, ახსოვთ, რომ ბრძანდებოდით, – სიტყვა ჩამოართვა პაველ პავლოვიჩმა, – მხოლოდ ჯალაბს ვერ ნახავდით მაშინ; თვითონ მას კი ახსოვხართ და პატივსაც გცემთ. თქვენს შესახებ მოწიწებით ველაპარაკე. – კი, მაგრამ ქალის თხოვა როგორღა გადაწყვიტეთ, ჯერ ხომ სამიოდე თვეა გასული, რაც დაქვრივდით? – მერედა, განა ახლავე ვაპირებთ ქორწილს. ქორწილი ცხრა ან ათ თვეში გვექნება, სწორედ წელიწადის გასვლის შემდეგ. დამერწმუნეთ, ყველაფერი კარგადაა. ჯერ ერთი, ფედოსეი პეტროვიჩი პატარაობიდანვე მიცნობს, იცნობდა განსვენებულ ჩემს მეუღლესაც, იცის, როგორ ვცხოვრობდი, როგორი სახელიც მაქვს; მერე ქონების პატრონი ვარ, აგერ კიდევ სამსახურში დამაწინაურეს, – ჰოდა, აწონ-დაწონეს, ჩემო ბატონო, ეს ყოველივე. – საპატარძლო მისი ქალიშვილია? – ყოველივეს წვრილად გაიმბობთ, – პაველ პავლოვიჩი სიამოვნებისაგან შეიშმუშნა, – ნება მიბოძეთ, პაპიროსი მოვწიო. თანაც ყველაფერს თქვენი თვალით ნახავთ დღეს. ჯერ ერთი, უნდა გითხრათ, რომ აქ, პეტერბურგში, ფედოსეი პეტროვიჩისთანა საქმოსნების დიდი დაფასება იციან ხოლმე სამსახურში, თუ იმათ შეძლეს და ყურადღება მიიპყრეს. ეგ აგრეა, მაგრამ აბა ჯამაგირის გარდა, მეტიცა ვთქვათ თუ გნებავთ – გარდა რაიმე დამატებითი ან ერთდროული დახმარებისა, სასმელ-საჭმელის სახარჯოსი თუ ფულადი ჯილდოსი – განა რა შემოსავალი აქვთ, ან რა აბადიათ; იმ ძირითად წყაროს ხომ, რაც კაპიტალს შეადგენს, მოკლებულნი არიან. ცხოვრებით კი კარგად ცხოვრობენ, მაგრამ ფულის დაგროვებას ველარაფრით ახერხებენ ოჯახის გადამკიდე. თქვენ თვითონ განსაჯეთ: რვა ქალიშვილის პატრონია ფედოსეი პეტროვიჩი და მხოლოდ ერთი, მცირეწლოვანი ვაჟი ჰყავს. დღეს რომ უცებ გადაბრუნდეს ფედოსეი პეტროვიჩი და მოკვდეს – ერთი საცოდავი პენსიის ამარაღა დარჩება მისი ოჯახი. აქ კიდევ რვა ქალიშვილი უზის შინ, – არა, აბა ერთი წარმოიდგინეთ, მხოლოდ წარმოიდგინეთ: ყველა მათგანს რომ თითო წყვილი ფეხსაცმელი უყიდო, მარტო ამას როგორ უნდა აუხვიდე! რვიდან ხუთი ქალიშვილი უკვე გასათხოვარია, უფროსი ოცდაოთხი წლისაა (უტურფესი ასულია, თავადვე ნახავთ), მეექვსე კი თხუთმეტისა გახლავთ, ჯერაც გიმნაზიაში სწავლობს. იმ ხუთ უფროს ქალს ხომ უნდა გამოუძებნონ

საქმროები, თანაც შეძლებისდაგვარად დროზე; მაშ, მამამ საზოგადოებაში უნდა გამოიყვანოს ისინი, – ჰოდა, რა ჯდება ეს, ერთი მითხარით? და, აი, უცებ გამოვჩნდი მე, პირველი სასიძო მათ ოჯახში. მე კი იმთავითვე მიცნობდნენ, უკეთ, ის იციან, რომ ქონების პატრონი ვარ, აი, ყველაფერი, ჩემო ბატონო, რის თქმაც მინდოდა. პაველ პავლოვიჩი გატაცებით ყვებოდა ყოველივე ამას. – თქვენ უფროს ქალს თხოულობთ? – ა-არა... უფროსს არა; აი, სწორედ იმ მეექვსეს, ჯერ ისევ გიმნაზიის მოწაფე რომაა. – როგორ? – ძალაუწებურად ჩაეცინა ველჩანინოვს, – აკი ამბობთ, თხუთმეტი წლისააო! – ახლა თხუთმეტისა გახლავთ; მაგრამ ცხრა თვეში თექვსმეტისა გახდება, თექვსმეტი წლისა და სამი თვის; მაშ, რაღა უნდა მიშლიდეს ხელს? ოღონდ, რაკი ეს ყველაფერი ჯერჯერობით შეუფერებელია, საჯაროდ არც ვამბობ ჯერხანად რამეს, მხოლოდ მშობლებთან ვარ მოლაპარაკებული... დამერწმუნეთ, ყველაფერი რიგზეა! – მაშ, ჯერაც არ არის გადაწყვეტილი? – როგორ არა, ყოველივე გადაწყვეტილია, დამერწმუნეთ,

ყველაფერი რიგზეა. – თვითონ საპატარძლომ იცის? – ისე, ზრდილობისათვის აჩვენებს თავს, ვითომ ვერაფერს ვხვდებიო; თორემ, რას ჰქვია არ იცის? – სიამოვნებით მოწკურა თვალები პაველ პავლოვიჩმა, – მაშ, თუ გამაბედნიერებთ, ალექსეი ივანოვიჩ? – შიშნულად მოჭრა უეცრივ შეკითხვა. – მაინც რატომ უნდა წამოვიდე იქ? თუმცადა, – სასწრაფოდ დასძინა ველჩანინოვმა, – რაკი სულ ერთია არ წამოვალ, ნულარც რაიმე მიზეზს დამისახელებთ. – ალექსეი ივანოვიჩ... – ნუთუ მართლა გგონიათ, გვერდით მოგიჯდებით და თქვენთან ერთად წამოვალ? რამ გაფიქრებინათ ეს! წინანდებური ზიზღნარევი, მტრული გრძნობა კვლავ დაეუფლა ველჩანინოვს იმ წუთიერი ლაყბობით გართობის შემდეგ, პაველ პავლოვიჩმა რომ გაუბა თავის საცოლზე. ცოტაც და, ალბათ, სულ გააგდებდა აქედან. ის კი არა, რაღაც მიზეზით თავის თავზეც კი მოსდიოდა გული. – მომიჯექით გვერდით, ალექსეი ივანოვიჩ, მომიჯექით და არ ინანებთ! – გულში ჩამწვდომი ხმით ევედრებოდა პაველ პავლოვიჩი, – არა, არა, არა! – გაასავსავა ხელები, როცა ველჩანინოვის მტკიცე და გულფიცხი მოძრაობა შენიშნა, – ალექსეი ივანოვიჩ, ალექსეი ივანოვიჩ, ნუ აჩქარდებით, წინასწარვე ნურას გადაწყვეტთ! მე მგონი, სწორად ვერ გამიგეთ: აკი ძალიან კარგად მესმის, რომ მე და თქვენ ამხანაგები არა ვართ; მართლა ასე სულელი ხომ არა ვარ, ამას ვერ ვხვდებოდე. თანაც ამ სამსახურის გაწევა, რასაც ახლა გთხოვთ, შემდგომ არას გავალდებულებთ. მერე, ზეგ მე თვითონაც მივემგზავრები, სამუდამოდ ვტოვებ აქაურობას. ასე რომ, უბრალო შემთხვევად ჩასთვალეთ ეს ამბავი. ვითომ იყო და არა იყო რა. მორჩა და გათავდა. მოვდიოდი აქ და თქვენი გულის განსაკუთრებულ სიქველეზე ვამყარებდი იმედს, ალექსეი ივანოვიჩ. ვინ იცის, იქნებ ამ ბოლო დროს ქველი გრძნობები აღგედრათ... ხომ გასაგებად ვლაპარაკობ, თუ იქნებ არა! პაველ პავლოვიჩი უჩვეულო მღელვარებას აეტანა. ველჩანინოვი უცნაურად უმზერდა. – თქვენ რაღაც სამსახურის გაწევას მთხოვთ, – უთხრა ჩაფიქრებულმა, – თანაც ძალიან დაჟინებით, ეს მე მაექვებს; უფრო მეტი მინდა ვიცოდე. – მთელი სამსახური ისაა, რომ ჩემთან ერთად წამოხვალთ. ხოლო შემდეგ, როცა მოვბრუნდებით, ყველაფერს აღსარებასავით გადაგიშლით. ალექსეი ივანოვიჩ, მენდეთ! მაგრამ ველჩანინოვი კვლავ უარობდა, მით უფრო ჯიუტად, რომ გრძნობდა, ერთი რაღაც ბნელი, არაწმინდა ზრახვა ჩასახვოდა გულში. ეს ავი ზრახვა დიდი ხანია უკვე გაუჩნდა, გაუჩნდა მაშინვე, როგორც კი აუწყა პაველ პავლოვიჩმა საცოლის ამბავი: უბრალო ცნობისწადილი იყო ეს, ჯერ ისევ სრულიად ბუნდოვანი რამ ლტოლვა თუ რა, ეგ კია – გული ჰოს სათქმელად მიუწევდა. და რაც უფრო ძლიერად მიუწევდა, მით უფრო ჯიუტად იდგა თავის სიტყვაზე. იჯდა ხელზე ნიკაპდაყრდნობილი და საგონებელს მისცემოდა. პაველ პავლოვიჩი მის გარშემო დაფუსფუსებდა და ლამობდა, ხვეწნით დაეყოლიებინა. – კარგი, წამოვალ, – მოსვენებადაკარგული, ლამის შეშფოთებული დაეთანხმა უეცრივ ველჩანინოვი და სკამიდან წამოდგა. პაველ პავლოვიჩს მეტად გაუხარდა. – არა, ახლა მართლა კარგად უნდა გამოეწყოთ, ალექსეი ივანოვიჩ, – ატაცებული ცმუტავდა იგი ველჩანინოვის შემყურე, რომელიც ტანთ იცვამდა, – კობტად, ერთი თქვენებურად გამოეწყვეთ. "ნეტა თვითონ რაღას მაგულიანებს, საკვირველი კაცია სწორედ!" – ფიქრობდა გუნებაში ველჩანინოვი. – მე ხომ, ალექსეი ივანოვიჩ, მართლ ამ სამსახურის გაწევას როდი მოველი თქვენგან. მართლადა, რახან თანხმობა განაცხადეთ, მაშ, ხელმძღვანელობაც იკისრეთ ბარემ. – რისი მაინც? – აი, მაგალითად, რა ვუყო ამ კრეპს? რა უფრო უპრიანი იქნება: მოვიხსნა თუ ისევ მეკეთოს? – თქვენი ნებაა.

– არა, მე თქვენი პასუხი მსურს მოვისმინო, თქვენ როგორ მოიქცეოდით, ვინიცობაა

ჩემს ადგილას ყოფილიყავით? მე, ჩემდათავად, ასე ვიფიქრე, თუ არ მოვიხსნი, ეს ჩემი გულის ერთგულებას დაამტკიცებს, ჰოდა, უფრო თავმოსაწონადაც გამომჩინს-მეთქი. – რა თქმა უნდა, უნდა მოიხსნათ. – ვითომ? თანაც, რა თქმა უნდა? – პაველ პავლოვიჩი საგონებელში ჩავარდა. – არა, სჯობს მაინც მეკეთოს... – როგორც გენებოთ. "მაინც რომ არ მენდობა, კარგია", – გაიფიქრა ველჩანინოვმა. გარეთ გამოვიდნენ; პაველ პავლოვიჩი კმაყოფილი აცქერდებოდა კობტად გამოწყობილ ველჩანინოვს; ასე გასინჯეთ, თითქოსდა მომეტებული მოწიწება და თავმომწონეობაც კი გამოეხატაო სახეზე. ველჩანინოვს აოცებდა იგი, მაგრამ კიდევ უფრო მეტად თავისივე თავი აცვიფრებდა. ჭიმკართან საუცხოო ეტლი ელოდებოდათ. – კი, მაგრამ ეტლი მომზადებული გყოლიათ? მაშ, დარწმუნებული ყოფილხართ, რომ წამოგყვებოდით? – ეგ ეტლი ჩემთვის დავიჭირე, მაგრამ არც ის მეეჭვებოდა თითქმის, რომ დამთანხმდებოდით და წამომყვებოდით, – მიუგო პაველ პავლოვიჩმა სავსებით სვებდნიერი კაცის გამომეტყველებით. – ჰეი, პაველ პავლოვიჩ, – როგორღაც გულფიცხად გაიცინა ველჩანინოვმა, როცა უკვე ჩასხდნენ და ეტლიც დაიძრა, – მეტისმეტად ხომ არ მენდობით? – მერედა, ამისთვის განა თქვენ გეთქმით ჩემზე საყვედური, ალექსეი ივანოვიჩ, განა თქვენ გეთქმით? – მტკიცე, გამსჭვალავი ხმით მიუგო პაველ პავლოვიჩმა. "კი, მაგრამ ლიზა?" – გაიფიქრა ველჩანინოვმა და უმაღვე დაეხსნა ამაზე ფიქრს, თითქოსდა რაღაც მკრეხელობის შეეშინდაო. უცებ მოეჩვენა, რომ თავადაც ისეთი გულნამცეცა, ისეთი უბადრუკუ ვინმე იყო ამ წუთს; ის მისი მაცდუნებელი აზრიც ისე წვრილმან, ისეთ ბიწიერ აზრად მოეჩვენა... და ერთბაშად მოუნდა, რაღაც უნდა დასჯდომოდა, კვლავ ყველაფერი მიეტოვებინა და თუნდ ახლავე ჩამომხდარიყო ეტლიდან, გინდაც პაველ პავლოვიჩის მიბეგვა დასჭირვებოდა ამისთვის. მაგრამ გამოელაპარაკა პაველ პავლოვიჩი და ცდუნებაც ისევ შეუძვრა გულში. – ალექსეი ივანოვიჩ, ძვირფასი ნივთებისა თუ გაგეგებათ რამე? – რა ძვირფასი ნივთების? – ბრილიანტისა. – კი, გამეგება. – საჩუქარი მსურდა წამელო. მირჩიეთ: საჭიროა? – ჩემი აზრით, არა. – მე კი ისე ძალიან მინდა, – შეწრიალდა პაველ პავლოვიჩი, – ოღონდ, აი, რა ვუყიდო? კომპლექტი: გულქანდა, საყურე, სამაჯური ერთად, თუ რომელიმე ერთი მათგანი? – რა ფასიანი საჩუქარი გინდათ უყიდოთ? – ერთი ორმოც-ორმოცდაათთუმნიანი მაინც. – უჰ! – ძვირიანი იქნება ვითომ? – შეტოკდა პაველ პავლოვიჩი. – სამაჯური უყიდეთ მარტო, ათთუმნიანი. პაველ პავლოვიჩს გულიც კი დასწყდა. საშინლად ეწადა, მეტისმეტად ძვირიანი საჩუქარი ეყიდა, და თანაც "მთლიანად" კომპლექტი შეეძინა. არ იშლიდა თავისას, ადგნენ და მალაზხიაში შეიარეს. ბოლოს მაინც იმით დამთავრდა, რომ მხოლოდ სამაჯური იყიდეს, თანაც ის კი არა, პაველ პავლოვიჩს რომ მოუვიდა თვალში, არამედ ველჩანინოვის შერჩეული. პაველ პავლოვიჩს ორივეს გამორთმევა უნდოდა. როცა გამყიდველმა ასსამოცდათხუთმეტი მანეთი მოსთხოვა და მერე ასორმოცდაათად დაუთმო, – პაველ პავლოვიჩს ეწყინა კიდევ. იგი ორასსაც სიამოვნებით გაიღებდა, ისე ძალიან ეწადა, რაც შეიძლება ძვირიანი რამ ყოფილიყო. – ეგ არაფერი, საჩუქრების მირთმევას რომ ვეშურები, – გატაცებით დაიწყო გულისნადების გადმოლაგება, როცა ისევ განაგრძეს გზა, – იქ ხომ ძალალი საზოგადოება არაა, უბრალო ხალხია. მერედა, უმანკო არსებას უყვარს საჩუქრები, – ეშმაკურად და თანაც მხიარულად გაიღიმა მან. – აი, თქვენ ჩაიცინეთ წელან, ალექსეი ივანოვიჩ, თხუთმეტი წლისაა-მეთქი, რომ გითხარით. მაგრამ მეც სწორედ ამათ მომნუსხა; იმან მომნუსხა, რომ ჯერ ისევ გიმნაზიაში დადის, ჩანთით ხელში, და იმ ჩანთაში რვეული და კალამი უწყვია, ხე, ხე! აი, მაგ ჩანთამ მომიხიბლა კიდევ გონება! მე მხოლოდ ამ უმანკოებამ წამაქეზა, ალექსეი

ივანოვიჩი. ეს უფრო მთავარია ჩემთვის, ვიდრე თვალ-წარბის სილამაზე. რომ გამახსენდება, როგორ ახითხითდება ხოლმე კუთხეში დობილთან ერთად მიმჯდარი, როგორ აკისკისდება; ოჰ, ღმერთო ჩემო! მერედა, რა აკისკისებს, არ იკითხავთ? ისა, ჩემო ბატონო, რომ ფისომ კომოდიდან ლოგინზე ისკუპა და ზედ არხეინად მოიკალათა... არა, ეს ხომ შუმი უმანკოებაა! იქნებ მაინც ჯობს, კრეპი მოვიხსნა? – როგორც გენებოთ. – მოვიხსნი! – შლაპა მოიხადა, მოაგლიჯა შავი არშია და გზაზე გადაისროლა. ველჩანინოვი ხედავდა, რომ ტრუსოცკის უაღრესად ნათელმა იმედმა გაუბრწყინა სახე, როცა ისევ დაიხურა შლაპა მელოტ თავზე. "კი მაგრამ ნუთუ ეს კაცი მართლა ასეთია? – გაიფიქრა ველჩანინოვმა, ახლა უკვე მართლაც გაგულისებულმა, – ნუთუ არავითარი ოინი არ იმალება ამ ჩემს მიპატიჟებაში? ნუთუ მართლა ჩემი კეთილშობილების იმედი აქვს? – განაგრძობდა ფიქრს ლამის განაწყენებული ამ თავისი ბოლო ვარაუდით. – ვინ არის ეგ კაცი, ტაკიმასხარა, რეგვინი თუ "მარადი ქმარი?". არა, მართლა აუტანელია ეს ამბავი ბოლოს და ბოლოს!"

XII - ზახლებინებთან

ზახლებინების ოჯახი, ველჩანინოვის თქმისა არ იყოს, მართლაც "მეტად წესიერი ოჯახი გახლდათ". თავად ზახლებინისაც ფრიად დარბაისელი მოხელის გარეგნობა ჰქონდა. სიმართლეს შეეფერებოდა აგრეთვე ყველაფერი, რასაც პაველ პავლოვიჩი ამბობდა მათი შემოსავლის გამო: "ცხოვრებით თითქოს კარგად ცხოვრობენ, მაგრამ თუ უცაბედად ოჯახის უფროსი გამოეცალათ ხელიდან, ულუკმაპუროდ დარჩებიანო". მოხუცი ზახლებინი ჩინებულად შეხვდა ველჩანინოს. წინანდელი "მტერი" სავსებით მეგობრულად მოეპყრა. – გილოცავთ, მაინც ასე ჯობს, – ამ სიტყვებით შეეგება ეს წარმოსადეგი, სასიამოვნო გარეგნობის კაცი ველჩანინოს, – მეც დაბეჯითებით მოვითხოვდი მორიგებას. პიოტრ კარლოვიჩი კი (ველჩანინოვის ვეჟილი) ოქროკაცია მაგ მხრივ. მერედა, რა წააგეთ? სამოციოდე ათასს მიიღებთ, თანაც ყოველგვარ ჯანჯალსა და დავიდარაბას გადარჩებით. არადა, შეიძლება სამ წელიწადსაც გაჭიანურებულიყო საქმე! ველჩანინოვი დაუყოვნებლივ წარუდგინეს m-me ზახლებინისაც, ამ ერთობ ფაშფაშა, ხანშესულ მანდილოსანს, რომელსაც მოქერქეტო და დაღლილი ადამიანის სახე ჰქონდა. უეცრად ქალიშვილებიც გამოჩნდნენ, თითოთოროლად იწყეს მოსვლა. ოღონდ, რაღაც ერთობ ბლომად შეიყარნენ ბოლოს; ათი-თორმეტი მაინც იქნებოდა, – ველჩანინოს სათვალავიც კი აერია. მათ შორის მოაგარაკე მეზობლების ქალიშვილებიც ერივნენ. ზახლებინების აგარაკს – ამ მეტად უჩვეულო, მაგრამ თავისებური გემოვნებით ნაგებ ხის დიდ სახლს, სხვადასხვადროინდელი მინაშენებითურთ – დიდი ბაღი ეკრა; ეს ბაღი სამ თუ ოთხ სხვა აგარაკსაც ესაზღვრებოდა ალაგ-ალაგ. ასე რომ, იგი საერთო ბაღი გახლდათ, რაც, ბუნებრივია, ხელს უწყობდა ზახლებინის ასულების დაახლოებას მეზობელ ქალიშვილებთან. გაიბა თუ არა საუბარი, ველჩანინოვმა მაშინვე იგრძნო, რომ აქ, ეტყობა, ელოდნენ უკვე და მისი სტუმრობა, ვითარცა პაველ პავლოვიჩის მეგობრისა და ამ ოჯახის გაცნობის მოსურნესი, ლამის საზეიმოდ გამოეცხადებინათ. მაგრამ ველჩანინოვის თვალმა, ამგვარ რამეებში გამოცდილი კაცის გამჭრიახმა თვალმა, მალე სხვა რამ განსაკუთრებულად შენიშნა: მშობლების მეტისმეტად თავაზიანი შეხვედრის, ქალიშვილების თავისებური იერის, მათი მორთულობის გამო (თუმცა ესეცაა, რომ უქმედლე იყო) ეჭვმა გაჰკრა, პაველ პავლოვიჩი ფრიად ეშმაკურად მომექცაო. დიახაც საფიქრებელი გახლდათ, პაველ პავლოვიჩს ამ ოჯახისათვის ჩაეგონებინოს, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ და მხოლოდ გადაკრულად, ერთგვარი აზრი ველჩანინოვზე, როგორც ქონების პატრონ, "კარგი წრის", მოწყენილ მარტოხელა კაცზე, რომელმაც სულ ადვილად შეიძლება, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტოს და "ზღვარი დაუდოს" ამ თავის მარტოხელა ცხოვრებას, – "მით უმეტეს, რომ მემკვიდრეობა ერგოო". მეტადრე უფროსი m-llე ზახლებინა, კატერინა ფედოსეევნა, სწორედ ის, ვინც ოცდაოთხი წლისა გახლდათ და ვისზეც პაველ პავლოვიჩმა თქვა, უტურფესი ასულიაო, თითქოს ამ აზრს იყო აყოლილი. დებში განსაკუთრებით ის გამოირჩეოდა თავისი მორთულობით, ფუმფულა თმის უჩვეულო ვარცხნილობით. ხოლო მისი დები და დანარჩენი ქალიშვილები ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს იმათაც უეჭველად სცოდნოდეთ, რომ ველჩანინოვი "კატიას გამო ეცნობოდა ოჯახს, კატიას "სანახავად" იყო მოსული". ამ ქალიშვილთა მზერამ, მათგან დაცდენილმა ზოგ-ზოგმა სიტყვამ, შემდგომ მართლაც

დაუდასტურეს ეს ვარაუდი. კატერინა ფედოსეევნა ტანმაღალი, გათქვირული, მეტად სანდომიანი ქერა ქალიშვილი გახლდათ. ეტყობოდა, უწყინარი, უფხო, ასე გასინჯეთ, უნდელი ბუნებისა უნდა ყოფილიყო. "საკვირველია, ამისთანა ქალიშვილი აგრე დიდხანს რომ დარჩენილა გაუთხოვარი, – ძალაუნებურად გაიფიქრა ველჩანინოვმა, თან სიამოვნებით აცქერდებოდა, – თუმც უმზითვოა და მალე სულ ჩაგოდრდება, მაგრამ ჯერჯერობით ამისთანების მსურველი იმდენია..." არც დანარჩენ დებს ეთქმოდათ ულამაზონი, ხოლო მათ მეგობრებში რამდენიმე ეშხიანი და სასაცილო გარეგნობის ქალიშვილიც ერია. ველჩანინოვი გაახალისა კიდეც ამ ამბავმა; თუმცაღა, თვითონაც ხომ განსაკუთრებული ზრახვით მოვიდა აქ. ნადეჟდა ფედოსეევნამ, მეექვსე დაიამ, გიმნაზიელმა და პაველ პავლოვიჩის საგულველმა საცოლემ, კარგა ხანს ალოდინეს სტუმრები. ველჩანინოვი მოუთმენლად ელოდა მის გამოჩენას, რაიც თავადვე აკვირვებდა, ხოლო გუნებაში კიდეც ეცინებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, შემოცქრიალდა იგი და შთაბეჭდილებაც მოახდინა. თან შემოჰყვა ერთი მკვირცხლი და ენაკვიმატი, სასაცილო სახის შავგვრემანი დობილი, მარია ნიკიტიშნა, ვისაც, როგორც უმაღვე გამოირკვა, პაველ პავლოვიჩი მეტისმეტად უფრთხოდა. ეს მარია ნიკიტიშნა, აგერ უკვე ოცდასამი წლის ქალიშვილი, ენამწარე და გონებამახვილი, პატარა ბავშვების ლალად იდგა ერთ მეზობელ, ნაცნობ ოჯახში, და რა ხანია უკვე ღვიძლ შვილებში არ გამოერჩეოდათ ზახლებინინებს, ხოლო მათი ქალები ხომ აფასებდნენ და აფასებდნენ. ჩანდა, რომ იგი ახლა მეტისმეტად საჭირო შექმნილიყო ნადიასთვის. ველჩანინოვმა ერთი შეხედვითვე დაინახა, რომ დებიც და მათი დობილებიც, ყველანი პაველ პავლოვიჩის წინააღმდეგ იყვნენ განწყობილნი, ხოლო ნადიას გამოჩენისთანავე დაასკვნა, ნადიასაც ასევე ეჯავრებაო პაველ პავლოვიჩი. ისიც შენიშნა, ტრუსოცკი სრულებით ვერ ამჩნევდა ამას, ან არ სურდა შეემჩნია. თქმა არ უნდოდა, ნადია ყველა დასა სჯობდა; ეს იყო მომცრო ტანის შავტუხა გოგონა, ველურივით მომზირალი და ნიჰილისტივით გაბედული, ნამდვილი ეშმაკის ფეხი ცეცხლოვანი თვალებით, გასაოცარი ტუჩ-კბილით, ჩამოქნილი და ტანწერწეტა; პირს

საუცხოო ღიმილი დასთამაშებდა, თუმცაღა შიგადაშიგ გესლიანი გაღიმებაც იცოდა; მგზნებარე გამომეტყველების, უკვე ფიქრით აღბეჭდილ სახეზე ჯერ ისევ ლამის სულ ბავშვური იერი დაჰკრავდა. თხუთმეტი წლის ასაკი თითოეულ მის ნაბიჯში, ყოველ სიტყვაში ცნაურდებოდა. შემდგომ აღმოჩნდა, რომ პაველ პავლოვიჩს პირველად მართლაც მუშამბის ჩანთით ხელში ეხილა იგი; მაგრამ აწ უკვე აღარ დადიოდა ჩანთით. სამაჯურის მიძღვნის ამბავი ჩაფლავდა და უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა. პაველ პავლოვიჩი, რაწამს ოთახში შემოსულ თავის საცოლეს შეასწრო თვალი, ადგა და უმაღვე ღრეჭით მიეახლა მას. საჩუქარს უძღვნა "ნიშნად იმ ნეტარი სიამოვნებისა, რაიც ამ წინაზედ განაცდევინა ნადეჟდა ფედოსეევნამ, როცა საამური რომანსი დაამღერა ფორტეპიანოზედ..." აქ შეცბა, სათქმელს თავი ველარ მოაბა. იდგა ასე დაბნეული და იმ სამაჯურის ბუდეს აწვდიდა, ლამის ხელში აჩრიდა ნადეჟდა ფედოსეევნას. ამ უკანასკნელს არ სურდა ჩამოერთმია, სირცხვილისა და სიბრაზისაგან გაწითლებული ხელები უკან-უკან მიჰქონდა. მერე მკვეთრად მიუტრიალდა დედას, რომელიც დაბნეული შეჰყურებდა ამ ამბავს და ხმამაღლა უთხრა: – არ მინდა გამოვართვა, maman! – გამოართვი და მადლობა გადაუხადე, – მშვიდი სიმკაცრით წარმოთქვა მამამისმა, თუმცა ისიც უკმაყოფილო ჩანდა. – ზედმეტია, ზედმეტი! – დამრიგებლური კილოთი წაიბუტბუტა პაველ პავლოვიჩის მისამართით ნადიამ, რაკი სხვა გზა არ იყო, ჩამოართვა ბუდე, თვალები დახარა და რვეერანსი გაუკეთა;

მკვირცხლად ჩაიმუხლა, როგორც პატარა გოგონებს სჩვევიათ, და ხელადვე გასწორდა წელში, თითქოს ზამბარა ყოფილიყოს. ამ დროს ერთ-ერთი და საჩუქრის სანახავად მიუახლოვდა; ნადიამ მყისვე მას გადასცა ბუდე. ისე გადასცა, არც გაუხსნია და ამით ყველას დაანახვა, ზედაც არ მსურს შევხედო. სამაჯური ხელიდან ხელში გადადიოდა; ოღონდ ყველა უსიტყვოდ სინჯავდა, ზოგიერთი კი დამცინავი გამომეტყველებითაც. მარტო ერთმა დედამ წაიდუდუნა, ძალიან ლამაზი სამაჯურიაო. პაველ პავლოვიჩს ლამის იყო მიწა გასკდომოდა. ამგვარ დღეში ჩავარდნილი, იგი ველჩანინოვმა იხსნა. ველჩანინოვი უცებ ხმამაღლა და ხალისიანად ალაპარაკდა; საუბრის საგნად იმას ჩაეჭიდა, რაც ერთბაშად მოუვიდა თავში. ხუთ წუთსაც არ გაუვლია, სასტუმრო ოთახში მყოფთა ყურადღება დაიპყრო. მართლაც დიდებულად შეეთვისებინა მაღალ საზოგადოებაში ლაყბობის ხელოვნება, ანუ იმის უნარი, სავსებით მიაშიტად გამოიყურებოდე და ამავე დროს თავს ისე აჩვენებდე, თითქოს ამ შენს მსმენელებსაც ასეთსავე მიაშიტ ხალხად სახავდე. როცა საჭირო იყო, შეეძლო უაღრესად მხიარულ და სვებდნიერ კაცად მოეჩვენებინა თავი და ეგ სავსებით ბუნებრივად გამოსდიოდა. ისიც ძალიან ეხერხებოდა, სიტყვასა და სიტყვას შორის გაერია ნაკვესი, ხალისიანი ქარაგმა, სასაცილო კალამბური, გაერია სრულიად მოულოდნელად, თითქოს მისდა შეუმჩნევლადაც, როცა ეს ნაკვესი, ეს კალამბური, თვით ეს საუბარიც, შესაძლოა, დიდი ხნის წინათ მოეფიქრებინა, გაეზეპირებინა და უკვე არა ერთხელ მოემარჯვებინა კიდეც. მაგრამ ახლა ამ მის ხელოვნებას ბუნებრივი განწყობაც აცხოველებდა: გრძნობდა, ატაცებული იყო, რაღაცას მიელტვოდა; ურყევად სწამდა, რამდენიმე წუთის შემდეგ ყველა აქ დამსწრის მზერა მისკენ იქნებოდა მიპყრობილი, ყველა მათგანი მხოლოდ მას მოუსმენდა, მხოლოდ მას შეეზრახვებოდა, მარტოდენ მის ნათქვამზე გაიცინებდა. და მართლაც, მალე გახშიანდა ეს სიცილი. საუბარში თანდათან სხვებიც ჩაებნენ, – ხოლო საუბარში სხვათა ჩაბმის საიდუმლოსაც უნაკლოდ ფლობდა; აგერ უკვე სამ-სამი, ოთხ-ოთხი კაცის ლაპარაკი გაისმა ერთბაშად. ქალბატონ ზახლებინინას ლამის სიხარულით გაუნათდა მოწყენილი, დაქანცული სახე; იგივე ითქმოდა კატერინა ფედოსეევნაზეც, რომელიც მოჯადოებულებით უსმენდა და უმზერდა სტუმარს. ნადია ქვეშქვეშ, დაკვირვებით აცქერდებოდა ველჩანინოვს; შეატყობდით, რომ წინდაწინვე მის წინააღმდეგ იყო შეგონებული. ამან კიდევე უფრო გააქეზა ველჩანინოვი. "ავსიტყვა" მარია ნიკიტიშნამ მაინც მოახერხა და ერთობ მტკივნეულად გაკენწლა, დაიჩემა, თითქოს გუშინ პაველ პავლოვიჩს აქაურებისთვის სიყრმის მეგობრად გაეცნოს ველჩანინოვი; ამით ნათლად მიანიშნა ველჩანინოვის ხნოვანებას და კაი შვიდი წელიწადი სართად წაუმატა ზედ. მაგრამ მოწონებით ამ ავსიტყვა მარია ნიკიტიშნასაც მოეწონა იგი. სამაგიეროდ პაველ პავლოვიჩი ჭემმარიტად საგონებელში ჩავარდა. მან, რა თქმა უნდა, იცოდა თავისი მეგობრის შნოსა და მარიფათის ამბავი, და თავდაპირველად უხაროდა კიდეც მისი წარმატება, თავადაც ხითხითებდა ხოლმე და ერეოდა საუბარში; მაგრამ თანდათან რატომღაც ფიქრები მოეძალა, ბოლოს თითქოს ცხვირიც კი ჩამოუშვა. ამას აშკარად მეტყველებდა მისი შემფოთებული სახე. – აბა, თქვენ ისეთი სტუმარი ყოფილხართ, შექცევა არ გჭირდებათ, – მხიარულად დაასკვნა ბოლოს მოხუცმა ზახლებინინმა და სკამიდან წამოდგა, რათა ზევით, თავის ოთახში ასულიყო. უქმე დღის მიუხედავად, იქ უკვე მომზადებული ჰქონდა რამდენიმე საქმიანი ქალაქი და მათთვის უნდა გადაეხედა, – მე კი, წარმოიდგინეთ, ახალგაზრდა კაცთა შორის ყველაზე უფრო პირქუშ იპოქონდრიკად გიგულებდით. აი, როგორ შეცდები ხანდახან ადამიანი! დარბაზში როიალი იდგა; ველჩანინოვმა იკითხა, ვინ უკრავსო, და უცებ ნადიას მიუბრუნდა.

– აი, თქვენ მღერით, ვგონებ? – ვინ გითხრათ? – მოუჭრა ნადიამ. – პაველ პავლოვიჩი მეუბნებოდა წელან. – ტყუილია. ისე, თავშესაქცევად ვმღერი ხოლმე, არც ხმა მაქვს. – ხმა არც მე მაქვს, მაგრამ ვმღერი. – მაშ, გვიმღერებთ? მაშინ მეც გიმღერებდით, – თვალები აენთო უცებ ნადიას, – ოღონდ ახლა კი არა, ნასადილევს. მეჯავრება მუსიკა, – დასძინა მან, – გული გააწყალა მაგ ფორტეპიანომ; ჩვენსა ხომ დილიდან საღამომდე ყველა უკრავს და მღერის – მარტო კატიას გაძლება არ გინდა! ველჩანინოვი ხელად მოეჭიდა მის ნათქვამს, როგორც აღმოჩნდა, მართლაც მხოლოდ კატერინა ფედოსეევნა სწავლობდა თურმე სერიოზულად ფორტეპიანოს დაკვრას. ველჩანინოვმაც იქვე მიმართა თხოვნით, დაუკარიტო; ეტყობოდა, ყველას ეამა, სწორედ კატიას რომ მიმართა, maman-ს სიამოვნების აღმურმაც კი გადაჰკრა სახეზე. კატერინა ფედოსეევნა წამოდგა და, მოდიმარი, როიალისკენ გაემართა. ჰოდა, უცებ, მისდა მოულოდნელად, თვითონაც სულ ერთიანად გაწითლდა; თანაც საშინლად შერცხვა, რომ ამხელა ქალი იყო, აგერ უკვე ოცდაოთხი წლისა, ასეთი მსუქანი, მაგრამ პატარა გოგონასავით კი წითლდებოდა, და ეს ყველაფერი სახეზე ეწერა, როცა ფორტეპიანოს უნდა მისჯდომოდა. ჰაიდნისა დაუკრა რაღაცა, გარკვევით და მკაფიოდ შეასრულა, თუმცაღა გამომხატველობისა რა მოგახსენოთ; ესეც იყო, შიშმა შებოჭა. როცა დაკვრა დაამთავრა, ველჩანინოვმა ხოტბა შეასხა, მას კი არა, ჰაიდნს, მეტადრე იმ პატარა ნაწარმოებს, რომელიც დაუკრა. ქალიშვილს, ეტყობოდა, ეს ისერიგად ესიამოვნა, ისეთი მაღლიერი და ბედნიერი სახით უგდებდა ყურს ამ ქების სიტყვებს, განა მისი, – ჰაიდნის მისამართით თქმულს, რომ ველჩანინოვმა მომეტებულის აღერსითა და გულისხმიერებით შეავლო მზერა. "ვიშ, რა კარგი ყოფილხართ?" – აუკიაფდა გამოხედვაში. – და ამ გამოხედვის აზრს თითქოს ყველა ერთბაშად მიუხვდა, მეტადრე კი თავად კატერინა ფედოსეევნა. – მშვენიერი ბალი გქონიათ, – მიმართა უცებ ყველას ველჩანინოვმა, – თან აივნის შემინულ კარებში იყურებოდა, – იცით რა, მოდით, ბაღში გავიდეთ! – გავიდეთ, გავიდეთ! – გაისმა მხიარული შეძახილები, თითქოს საერთო გულისწადილი ამოიცნო სტუმარმა. ბაღში სადილობამდე ისეირნეს. ქალბატონ ზახლებინინას, რომელსაც დიდი ხანია უკვე დასაძინებლად წასვლა ეწადა, გულმა არ მოუთმინა, ერთი პირობა ისიც გაჰყვა მოსეირნეებს, მაგრამ მერე კეთილგონიერებამ სძლია და აივანზე დარჩა; დასასვენებლად ჩამოჯდა და უმაღლესი ჩასთვლიმა კიდევ. ბაღში ველჩანინოვისა და ყმაწვილქალთა ურთიერთდამოკიდებულება კიდევ უფრო მეგობრული გახდა. ველჩანინოვმა შენიშნა, რომ მათ მეზობელი აგარაკებიდან ორი თუ სამი ყმაწვილი კაცი შემოუერთდა; ერთი მათგანი სტუდენტი იყო, მეორე კი ჯერ ისევ გიმნაზიელი; ორივენი ხელად აეტმასნენ თავთავიანთ გოგონებს; ზედვე ეტყობოდათ, სწორედ მათი გულისთვის მოსულიყვნენ. ხოლო მესამე "ყმაწვილმა კაცმა", მეტად კუმტმა, თმააბურმგნულმა ოცი წლის ბიჭმა, დიდი ლურჯი სათვალე რომ ეკეთა, საჩქაროდ დაუწყო ჩურჩული რაღაცაზე მარია ნიკიტინასა და ნადიას. ველჩანინოვს დაბლვერილი აათვალაიერ-ჩაათვალაიერებდა ხოლმე. ეტყობოდა, თავს მოვალედ რაცხდა, უსაშველო ზიზღი გამოეხატა მისდამი, ზოგი ქალიშვილი ითხოვდა, ეხლავე დაეწყოთ თამაში. ველჩანინოვის შეკითხვაზე, რას თამაშობთ ხოლმეო, ყველაფერსო, უპასუხეს, უფრო ხშირად კი დაჭერობანასო. ხოლო საღამოს ანდაზობანას თამაშს აპირებდნენ თურმე. ანდაზობანას კი ასე თამაშობენ: ყველანი ერთად დასხდებიან და ვინმე განზე გადგება დროებით; მსხდომარენი რაიმე ანდაზას გამოარჩევენ, მაგალითად, ამგვარს: "შორი გზა მოიარე და შინ მშვიდობით მიდიო". და როცა იმ განზე გამდგარს მოუხმობენ, თითოეული მოიფიქრებს და რიგ-რიგად ეტყვის თითო წინადადებას. პირველმა აუცილებლად იმგვარი წინადადება უნდა უთხრას, სიტყვა

"შორს" რომ ერიოს შიგ, მეორემ კიდევ სიტყვა "გზის" შემცველი და ა.შ. ამ მოხმობილმა კი მყის უნდა გამოიცნოს ეს სიტყვა და ამრიგად ანდაზაც გაიგოს. – ეს, ალბათ, ძალიან სახალისო იქნება, – შენიშნა ველჩანინოვმა. – აჰ, არა, ძალზე მოსაწყენია, – ერთხმად მიუგო ორმა-სამმა ქალიშვილმა. – არადა თეატრობანასაც ვთამაშობთ ხოლმე, – ველჩანინოვს მიუბრუნდა და შენიშნა ნადიამ. – აი, იმ მსხვილ ხეს ხომ ხედავთ, მერხი რომ ავლია გარს. იქ, იმ ხის მიღმა, ვითომ კულისებია: მსახიობები იქ სხედან; აი, ვთქვით მეფე, დედოფალი, მზეჭაბუკი, – ვისაც როგორ მოესურვება; თითოეული გამოდის, როცა მოეპრიანება, და ამბობს, რაც თავში მოუვა; ჰოდა, ასე რაღაცას აცოდვილებს. – ეს ხომ შესანიშნავია! – კვლავ მოწონების კილოთი თქვა ველჩანინოვმა. – აჰ, არა, ძალზე მოსაწყენია! დაწყებით ყოველთვის მხიარულად იწყება, მაგრამ ბოლოს მუდამ აზღა-უზღა გამოდის, იმიტომ რომ დაბოლოება არავის ემარჯვება. აი, შეიძლება თქვენთან ერთად უფრო სახალისო იქნეს. ჩვენ კი გვეგონა, თქვენ პაველ პავლოვიჩის მეგობარი იყავით; მაგრამ, ჩანს, უბრალოდ გვეტრაბახა და მეტი არაფერი. თქვენ

რომ მოხვედით, ძალიან მიხარია... ერთი გარემოების გამო, – მეტად სერიოზულად და ყურადღებით შეხედა ველჩანინოვს ნადიამ, შეხედა და უმაღლესი ნიკიტინასკენ მიდგა. – ანდაზობანას საღამოთი ითამაშებენ, – უცებ საიდუმლოდ გაანდო ველჩანინოვს ერთმა ყმაწვილქალთაგანმა, რომელიც აქამდე არც კი შეუნიშნავს ხეირიანად და ერთხელაც კი არ გამოლაპარაკებია, – საღამოთი ყველანი გაპამპულავებას დაუწყებენ პაველ პავლოვიჩს, ჰოდა, თქვენც მხარი აუბით. – აჰ, რა კარგია, თქვენ რომ მოხვედით, თორემ ჩვენთან სულ ისეთი მოწყენილობაა, – მეგობრულად მიმართა მას მეორე ქალიშვილმა; არც ეს ქალიშვილი შეუმჩნევია მანამდე. ღმერთმა უწყის, საიდან გაჩენილიყო ეს წითური, ჭორფლიანი გოგო, რომელსაც ამ სიცხესა და სიარულში ძალზე სასაცილოდ ატკრევდა სახე. პაველ პავლოვიჩს სულ უფრო მეტად იპყრობდა მოუსვენრობა. ბაღში სეირნობის დასასრულს ველჩანინოვი უკვე მთლად დაახლოებული ჩანდა ნადიასთან; წინანდებურად ქვემ-ქვემ როდი ათვალიერებდა მას ქალიშვილი; ეტყობოდა, ველჩანინოვის ზედმიწევნით გაცნობის განზრახვა სამერმისოდ გადაედო. ახლა კი გულიანად კისკისებდა, ხტოდა, გაჰკიოდა და ერთი-ორჯერ ხელში ხელიც კი ჩასჭიდა ველჩანინოვს. დიდად ბედნიერი ჩანდა, პაველ პავლოვიჩს კი კვლავ არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, თითქოს ვერც ამჩნევსო. ველჩანინოვი დარწმუნდა, რომ ყველანი მართლაც შეთქმულიყვნენ პაველ პავლოვიჩის წინააღმდეგ; ნადია რომ მეგობარი ქალიშვილების გუნდთან ერთად ერთ მხარეს გაიყოლებდა ველჩანინოვს, დანარჩენი ყმაწვილი ქალები, სხვადასხვა საბაბით, მეორე მხარეს გაიტყუებდნენ პაველ პავლოვიჩს, მაგრამ პაველ პავლოვიჩი დაუძვრებოდა ხოლმე მათ და მაშინათვე თავქუდმოგლეჯილი გამოიქცეოდა აქეთ, პირდაპირ ველჩანინოვისა და ნადიასაკენ, მოძუნძულვდა და მთლად გაფაციცებული, ყურთასმენად ქცეული, მელოტთავიან კისერს მათ შუა წაიგრძელებდა. ბოლოს სულ დაკარგა მორიდება. მისი ქცევა ზოგჯერ საკვირველ გულუბრყვილობას გამოხატავდა. ველჩანინოვს არ შეეძლო, ერთხელ კიდევ არ მიეპყრო გულისყური კატერინა ფედოსეევნასათვისაც; ეს უკანასკნელი, რაღა თქმა უნდა, ამასობაში უკვე ნათლად მიხვდა, რომ ველჩანინოვი მისი გულისთვის სულაც არ მოსულიყო, რომ იგი მართლა მეტისმეტად დაინტერესებული ჩანდა ნადიათი; მაგრამ სახის გამოძეტყველება კატერინა ფედოსეევნას კვლავინდებურად კეთილი და უნაღვლო ჰქონდა. ეტყობოდა, მარტო იმიტაც ბედნიერი გახლდათ, ველჩანინოვისა და ნადიას სიახლოვეს რომ

იმყოფებოდა და ახალი სტუმრის ლაპარაკს უსმენდა. თვითონ კი, საბრალოს, ვერა და ვერ მოეხერხებინა საუბარში მარჯვედ ჩარევა. – მართლა რა კარგი დაია გყოლიათ კატერინა ფედოსეევნა! – უთხრა უცებ ველჩანინოვმა ნადიას. – კატია! მაგაზე უფრო სიკეთით სავსე ვინ იქნება? ჩვენი ანგელოზია, ლამის სულში ჩავიძვრინო, – აღტაცებით მიუგო ნადიამ. ბოლოს, ხუთ საათზე, სადილობის დრომაც მოაწია. აქაც თვალნათლივ შეინიშნებოდა, რომ სადილი საგანგებოდ სტუმრისთვის მოემზადებინათ. ორი-სამი თავი ფრიად უცნაური, სანიადაგო სუფრისთვის ეტყობა უცხო, საჭმელი მოიტანეს, ერთ-ერთი კერძი მაინც რაღაც ისეთი საკვირველი იყო, კაციშვილი ვერ გეტყოდათ მის სახელს. ჩვეულებრივი სუფრის ღვინოების გარდა, ერთი ბოთლი ტოკაიურაც გაეჩინათ, ესეც ეტყობა სტუმრის საამებლად; სადილობის დამთავრებისას რატომღაც შამპანურიც ჩამოდგეს. მოხუცი ზახლებინინი, რომელსაც ცოტა ზედმეტი გადაეკრა, მეტად არხეინ გუნებაზე იდგა და ლამის ყველაფერზე იცინოდა, რასაც ველჩანინოვი იტყოდა. ბოლოს ის იყო, პაველ პავლოვიჩს მოთმინების ძაფი გაუწყდა: გაჯიბრებით გატაცებულმა უეცრივ განიზრახა, თვითონაც ეთქვა რაიმე კალამბური; ჰოდა, თქვა კიდევ: სუფრის ბოლოში, სადაც იგი მ-მე ზახლებინინას გვერდით იჯდა, გახარებული ქალიშვილების სიცილ-კისკისი გაისმა უცებ. – მამილო! მამილო! პაველ პავლოვიჩმაც კალამბური თქვა, – ერთხმად გაჰყვიროდა ზახლებინინის ორი შუათანა ქალი, – ამბობს, რომ ჩვენა "ვართ ასულები, ვისთვისაც ვინძლო გასულელდე..." – ა, ეგეც ამბობს კალამბურებს! აბა, რა კალამბური თქვა? – დინჯად გაეპასუხა მოხუცი და მფარველობით გადახედა პაველ პავლოვიჩს. იგი წინასწარ იღიმებოდა კალამბურის გაგონების მოლოდინში. – აი, ხომ გეუბნებით, რომ ჩვენა "ვართ ასულები, ვისთვისაც ვინძლო გასულელდე". – ჰოო, მერე რა? – მოხუცი ჯერაც ვერ მიძვდარიყო და კიდევ უფრო გულკეთილად იღიმებოდა. – აჰ, მამა, რანაირი ხართ, ვერა ხვდებით! აი, ასულები და მერე გასულელდე; ასულები ემსგავსება გასულელდეს; ასულები ვისთვისაც ვინძლო გასულელდე... – ჰა-ა-ა! – გააგრძელა ლამის საგონებელში ჩავარდნილმა ბერიკაცმა. – ჰმ! აი, აწი უკეთეს რამეს მოიფიქრებს! – და მან მხიარულად გაიცინა. – პაველ პავლოვიჩ, მართლა და მართლა, ხომ არ შეიძლება, კაცს ყოველგვარი ნიჭი ერთად ამკობდეს! – გაახელა მარია ნიკიტიშნამ. – ვაიმე ღმერთო, ფხა გაეხირა ყელში! – შესძახა მან და სკამიდან წამოხტა. ასე გასინჯეთ, ერთი ალიაქოთი ატყდა, მაგრამ მარია ნიკიტიშნასაც ეს უნდოდა სწორედ. პაველ პავლოვიჩს მხოლოდ ღვინო გადასცდა, როცა შეცბუნების დასაფარავად სასმელს წაეტანა, მაგრამ მარია ნიკიტიშნა ირწმუნებოდა და ყველას ეფიცებოდა, "ჩემი

თვალთ დავინახე, თევზის ფხა იყო, ამან კი შეიძლება დაახრჩოს კაციო". – კეფაზე შემოჰკარით! – დაიძახა ვიღაცამ. – მართლაცდა, ყველაფერს ესა სჯობს! – ხმამაღლა დაჰკრა კვერი ზახლებინინმა, მაგრამ უკვე საამისო მოხალისენიც გამოჩენილიყვნენ: მარია ნიკიტიშნას, იმ წითურ ყმაწვილ ქალსაც (ვინც აგრეთვე დაეპატიჟებინათ სადილად), ბოლოს თვით ოჯახის დედას, რომელსაც შიშით გული გადატრიალებოდა, – სუყველას სურდა, პაველ პავლოვიჩისათვის კეფაზე შემოეკრა ხელი. სუფრიდან წამომხტარი პაველ პავლოვიჩი თავის დაღწევას ლამობდა და მთელი ერთი წუთი ირწმუნებოდა ღვინო გადამცდა მხოლოდ, ხველა უმაღვე გამივლისო, – ვიდრე ბოლოს და ბოლოს მიხვდებოდნენ, რომ ეს ყველაფერი მარია ნიკიტიშნას ოინები გახლდათ. – აი, შე მართლა ყაჩაღანა!.. – მკაცრად შენიშნა ზახლებინინამ მარია ნიკიტიშნას, მაგრამ იმავე დროს თავი ველარ შეიკავა და ისე ჩაკუჭკუჭდა, როგორც იშვიათად დამართვია; ამ მისმა ჩაკუჭკუჭებამაც ასევე თავისებური ეფექტი მოახდინა. ნასადილევს ყველანი

აივანზე გავიდნენ ყავის დასალევად. – მაინც რა მშვენიერი დღეებია! – შეაქო ბუნება კეთილგანწყობით აღსავსე მოხუცმა ზახლებინინმა და სიამოვნებით გადახედა ბაღს, – ოღონდ, აი რომ გაწვიმდებოდეს... აბა, წავალ ახლა, დავისვენებ. ღმერთმა გამხიარულოთ! შენც იმხიარულე! – მხარზე ხელი დაჰკრა გასვლისას პაველ პავლოვიჩს. როცა ყველანი ისევ ბაღში ჩაიკრიფნენ, პაველ პავლოვიჩი ველჩანინოვთან მიიჭრა უეცრად და სახელოზე მოსწია. – ერთი წუთით, – წასჩურჩულა მოუთმენლობით ატანილმა. განზე გაუხვიეს და ბაღის განცალკევებულ ბილიკს მიჰყვნენ. – არა, აქ კი ნურას უკაცრავად; არა, აქ კი აღარ მოგცემთ მაგის უფლებას... – გაშმაგებისაგან სუნთქვაშეკრული უჩურჩულებდა ველჩანინოვს, თანაც სახელოში ჩაფრენოდა. – რაო? როგორაო? – ეკითხებოდა ველჩანინოვი და თვალები დაეჭყიტა. პაველ პავლოვიჩი უხმოდ შეჰყურებდა, ტუჩებს აცმაცუნებდა და გახელებული იღიმებოდა. – საით წახვედით? მანდ რა გინდათ? ყველაფერი მზადაა უკვე! – მოისმა ქალიშვილების სულწასული ძახილი. ველჩანინოვმა მხრები აიჩქრა და ქალიშვილებთან დაბრუნდა. პაველ პავლოვიჩმა უკან გასდია. – სანაძლეოს ვდებ, ცხვირსახოცს გთხოვდათ, – განაცხადა მარია ნიკიტიშნამ, – ამ წინაზეც დავიწყებოდა. – მუდამაც ავიწყდება! – კვერი დაჰკრა შუათანა ზახლებინინამ. – ცხვირსახოცი დავიწყებია! პაველ პავლოვიჩს ცხვირსახოცი დავიწყებია! Maman, პაველ პავლოვიჩს ცხვირსახოცი დავიწყებია, maman, პაველ პავლოვიჩს ისევ სურდო შეჰყრია! – გაისმა აქეთ-იქიდან. – მერე და რატომ არ იტყვის, როგორი მორიდებული ბრძანდებით, პაველ პავლოვიჩ! – წამღერებით გააგრძელა m-me ზახლებინინამ, – სურდოსთან ხუმრობა საშიშია; ახლავე გამოვიტან ცხვირსახოცს. მაინც რატომ სჭირს მუდამ სურდო! – დასძინა წასვლისას, გახარებულმა, რაკი შინ დაბრუნების საბაბი მიეცა. – მე თან წყვილი ცხვირსახოცი მაქვს და არც სურდო მჭირს! – მიაძახა პაველ პავლოვიჩმა, მაგრამ ქალბატონმა ზახლებინინამ ეტყობა ვერ გაარჩია მისი სიტყვები. ორიოდ წუთის შემდეგ, როცა პაველ პავლოვიჩი მუნძულით უკან მისდევდა სხვებს და სულ უფრო უახლოვდებოდა ნადიასა და ველჩანინოვს, აქოშინებული მოახლე წამოეწია და მაინც მოუტანა ცხვირსახოცი. – ვითამაშოთ, ვითამაშოთ, ანდაზობანა ვითამაშოთ! – გაიძახოდნენ ყოველი მხრიდან, თითქოსდა მართლა ერთმა ღმერთმა იცოდა, რას გამოელოდნენ ამ "ანდაზობანასაგან". ამოირჩიეს ადგილი და მერხებზე ჩამოსხდნენ. გამოცნობა მარია ნიკიტიშნას ხვდა წილად; გააფრთხილეს, რაც შეიძლება შორს გამდგარიყო და მოყურადება არ გაეხედა; როცა იგი კარგა შორს გაიგულეს, ანდაზა ამოირჩიეს და თითოეულს თავთავისი სიტყვა ამცნეს. მარია ნიკიტიშნა დაბრუნდა და ანდაზა ხელად გამოიცნო. ანდაზა იყო: "სიზმარი ეგე საზარელია, გარნა უფალი ღმობიერიაო". მარია ნიკიტიშნას შემდეგ იმ აბურძგნული, ლურჯსათვალისანი ახალგაზრდას ჯერი დადგა. მას კიდევ უფრო მკაცრი სიფრთხილის დაცვა მოსთხოვეს, – ტალავერთან უნდა დამდგარიყო და პირი ღობისკენ მიებრუნებინა. კუმტი ყმაწვილი ზიზღით ასრულებდა ამ თავის მოვალეობას და, ასე გასინჯეთ, თითქოს ერთგვარ ზნეობრივ დამცირებასაც განიცდიდა. როცა მოუხმეს, ვერაფერიც ვერ გამოიცნო, ყველას ჩამოუარა და ორ-ორჯერ უთხრეს სათქმელი, იჭმუხნებოდა და დიდხანს ისაზრებდა, მაგრამ სულ ტყუილად, არაფერი გამოსდიოდა. იგი შეარცხვინეს. ანდაზა ყოფილიყო: "ღვთის მიმართ ლოცვა და მეფის სამსახური არ დაიკარგებაო!" – თვით მაგ ანდაზაც სისამაგლეა, – გულისწყრომით წაიბუზღუნა თავმოყვარეობაშელახულმა ჭაბუკმა და თავისი ადგილისკენ გაიძურწა. – ოჰ, რა მოსაწყენია! – წამოიძახა რამდენიმე ქალიშვილმა. ახლა ველჩანინოვს უწია რიგმა. იგი კიდევ უფრო შორს დამალეს; ვერც მან გამოიცნო. – ოჰ, რა მოსაწყენია! – უკვე ჯგროდ წამოიძახეს ქალიშვილებმა. – აბა, ახლა მე წავალ, –

თქვა ნადიამ. – არა, არა, ახლა პაველ პავლოვიჩი უნდა წავიდეს, პაველ პავლოვიჩის ჯერია, – შესძახეს ერთხმად და

ცოტათი გამოცოცხლდნენ. პაველ პავლოვიჩი ზედ ღობესთან მიიყვანეს და პირით ღობისკენ დააყენეს. უკან რომ არ მოეხედა, მეთვალყურედ ის წითური გოგო მიუჩინეს. პაველ პავლოვიჩს, რომელიც ამასობაში გამხნევებულიყო და თითქმის ისევ გამხიარულებულიყო, განზრახული ჰქონდა, წმინდად აღესრულებინა თავისი მოვალეობა. იგი გაშეშებულივით იდგა, ღობეს მისჩერებოდა და თავის მობრუნება ვერ გაებედა. ის წითური გოგო ოციოდე ნაბიჯის მოშორებით დარაჯობდა, მოთამაშეების მხარეს, ტალავერთან იდგა და, აღელვებული, რაღაცას თვალით ანიშნებდა ყმაწვილ ქალებს; ჩანდა, ყველანი გაფაციცებულნი იყვნენ და რაღაცას ელოდნენ; რაღაც ოინს ამზადებდნენ. უეცრივ ის წითური ხელების ქნევას მოჰყვა. ყველა ფიცხლად წამოიშალა და თავკუდმოგლეჯილი საითკენღაც გაიქცა. – გაიქცით, გაიქცით თქვენც! – ჩურჩულით ეუბნებოდა ველჩანინოვს ათიოდე გოგო, ლამის თავზარდაცემული იმით, რომ იგი ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. – რა იყო? რა მოხდა? – კითხულობდა ველჩანინოვი და ძალაუნებურად მისდევდა მათ. – ჩუ, ნუ ყვირით! იდგეს იქა და ღობეს უყუროს, ჩვენ კი ყველანი გავიქცეთ. აგე, ნასტიაც გამორბის. წითური გოგო (ნასტია) მართლაც კისრისტეხით გამორბოდა, თითქოსდა ქვეყანა იქცევას; მორბოდა და თან ხელებს იქნევდა. ბოლოს ყველა ტბორს გაღმა, ბაღის მეორე ბოლოში მიჯარდა. როცა ველჩანინოვმაც იქ მიატანა, დაინახა, რომ კატერინა ფედოსეევსა ცხარედ ეკამათებოდა დანარჩენ გოგონებს, მეტადრე ნადიასა და მარია ნიკიტინას. – კატია, გენაცვა, ნუ ბრაზობ! – ჰკოცნიდა ნადია. – კარგი აბა, დედას არ ვეტყვი, მაგრამ მე გავბრუნდები, იმიტომ რომ ეს ძალიან ცუდია. რა დღეში უნდა იყოს, საწყალი, იქ, იმ ღობესთან. იგი წავიდა – სიბრაღულს შეეპყრო, მაგრამ სხვები ყველანი კვლავინდებურად უღმობელნი და გულქვანი იყვნენ. ველჩანინოვისაგან მკაცრად მოითხოვეს, დანარჩენებივით მასაც არავითარი ყურადღება არ მიექცია პაველ პავლოვიჩისათვის, როცა იგი დაბრუნდებოდა; თავი ისე ეჩვენებინა, ვითომ არც არაფერი მომხდარიყო. "ჩვენ კიდევ, მოდით, ყველამ დაჭერობანა ვითამაშოთ!" – შესძახა აღტაცებით მთვრალმა წითურმა. პაველ პავლოვიჩი კაი მეოთხედი საათის შემდეგლა შემოუერთდა ახალგაზრდების გუნდს. ამ დროის უმეტესი ნაწილი, ალბათ, ღობის წინ ყურყუტში გაატარა. ამასობაში დაჭერობანა გაეჩაღებინათ და თამაშის ეშშიც შესულიყვნენ, – ერთი ჟრიამიული ჰქონდათ, მხიარულობდნენ. გახელებული პაველ პავლოვიჩი ჯიქურ მიეჭრა ველჩანინოვს და კვლავ ხელი უტაცა სახელოზე. – ერთი წუთით! – ოჰ, ღმერთო, რას გადამკიდებია ამ თავისი ერთი წუთით! – ისევ ცხვირსახოცსა თხოვეს, – მიაძახეს მათ უმაღვე. – არა, ამჯერად კი ეს უკვე თქვენი გამოისობითაა: თქვენი წყალობაა, თქვენა ხართ მიზეზი!.. – ამას რომ აღმოთქვამდა, პაველ პავლოვიჩს კბილებიც კი უკაწკაწებდა. ველჩანინოვმა სიტყვა გააწყვეტინა და წყნარად ურჩია, უფრო მხიარულად დაეჭირა თავი, თორემ უარესად გაგახელებენო: "იმიტომაც გახელებენ, რომ ყველა მხიარულობს, თქვენ კი ამ დროს ბრაზდებითო". ველჩანინოვისდა გასაკვირად, ამ მისმა რჩევამ და სიტყვებმა დიდად განაცვიფრეს პაველ პავლოვიჩი; იგი უმაღვე მოთვინიერდა, იმ ზომამდეც კი, რომ დაუბრუნდა ახალგაზრდების წრეს ვითარცა მტყუანი, მორჩილად მიიღო მონაწილეობა საერთო თამაშში. მერე ერთხანს აღარც არას ერჩოდნენ, სხვათა თანაბრად ეთამაშებოდნენ, – ჰოდა, ნახევარ საათსაც არ გაუვლია, თითქმის ისევ გამხიარულდა. ყველა თამაშის დროს, როცა მოთამაშენი უნდა დაწყვილებულიყვნენ, მეტწილად იმ ვერაგ წითურს

გაიწვევდა ხოლმე, ან არადა ზახლებინების ერთ-ერთ ქალიშვილს. მაგრამ კიდევ უფრო მეტად გაუკვირდა ველჩანინოვს, როცა შენიშნა, რომ პაველ პავლოვიჩის მისდათავად ერთხელაც არ გაუბედავს ნადიასთან გამოლაპარაკება, თუმცა სულ მის გვერდით ან შორიახლო კი წრიალებდა; ყოველ შემთხვევაში, თავისი მდგომარეობა, მდგომარეობა იმ კაცისა, ვისაც აინუნშიაც არ აგდებდნენ და ზიზღითაც უცქეროდნენ, თითქოს ჯეროვნად და ბუნებრივად მიაჩნდა. მაგრამ ბოლოს პაველ პავლოვიჩს მაინც კვლავ უყვეს ოინი. ეს იყო "დამალობანას" თამაშისას. ხოლო დამალულს ადგილიდან ადგილზე გადარბენაც შეეძლო და აი, პაველ პავლოვიჩს, რომელმაც მოახერხა ხშირ ბუჩქში შემძვრალიყო და სრულიად უჩინარი გამხდარიყო, ანაზღად მოეპრიანა, გადარბენისას სახლში ედურთა თავი. იგი დაინახეს და ყიჟინა დასცეს; პაველ პავლოვიჩმა კიბე სულმოუთქმელად აირბინა და ქანდარაზე აიჭრა. იქ, კომოდის უკან ერთი ადგილი ეგულეობდა, სადაც დამალვას აპირებდა. მაგრამ წითურმაც კვალდაკვალ ასდია, კარებთან ფეხაკრეფით მიიპარა და კარი გარედან გადაურაზა. წინანდებურად ყველამ მყისვე ანება თავი თამაშს და კვლავ ტბორს გაღმა, ბაღის მეორე ბოლოს მიაშურა. ათიოდე წუთის შემდეგ პაველ პავლოვიჩმა შეატყო, არავინ მეძებსო და სარკმლიდან გადაიხედა. კაციშვილი არ ჩანდა. დაყვირებას იგი ვერ ბედავდა, რადგან ეშინოდა, ქალის მშობლები არ გამოვალვიძოო. მოახლე გულდაგულ დაენამუსებინათ. პაველ პავლოვიჩის ძახილზე არ გამოჩენილიყო და არც ხმა გაეცა. კატერინა ფედოსეევნა კი გაუღებდა კარებს,

მაგრამ როცა იგი თავის ოთახში დაბრუნდა და ჩამოჯდა, რა არის ცოტახანს ოცნებას მისცემოდა, მოულოდნელად მასაც ჩაეძინა. ამრიგად პაველ პავლოვიჩმა თითქმის ერთი საათი იყურყუტა კარჩაკეტილში. ბოლოს ნელ-ნელა იწყეს გამოჩენა ქალიშვილებმა: ორ-ორნი, სამ-სამნი ჩამოივლიდნენ, ვითომდა შემთხვევით. – პაველ პავლოვიჩ, რატომ ჩვენთან არ მოდიხართ? ოჰ, როგორ ვმხიარულობთ იქა! თეატრობანას ვთამაშობთ. ალექსეი ივანოვიჩმა "ყმაწვილი კაცი" წარმოადგინა. – პაველ პავლოვიჩ, მაინც რატომ არ გამოდიხართ, თქვენი შემყურე ვინძლო გასულელდე! – შენიშნავდნენ ზოგნიც. – ახლა კიდევ რის გამო უნდა გასულელდეო? – გაისმა ანაზღად მ-მე ზახლებინინას ხმა; ის იყო გაჰლვიძებოდა და ბოლოს და ბოლოს გადაეწყვიტა, ბაღში გაევილო, თანაც "ბაღლების" გართობისთვის შეეხედა ჩაის მოლოდინში. – რისა და პაველ პავლოვიჩის შემხედვარე, – ანიშნეს სარკმელზე, საიდანაც გაღრეჭილი სახე იცქირებოდა, პაველ პავლოვიჩის ბრაზისაგან გაფითრებული სახე. – ნეტა რას ეხალისება ეს მარტო ჯდომა, როცა ყველა ასე მხიარულობს! – თავი გააკანტურა ოჯახის დედამ. ამასობაში ველჩანინოვი, როგორც იქნა, ღირსი გახადა ნადიამ, განემარტა თავისი წინანდელი სიტყვები, "თქვენი მოსვლა მიხარია ერთი გარემოების გამო", რომ უთხრა. ეს განმარტება განცალკევებულ ხეივანში მოხდა. საამისოდ მარია ნიკიტიშნამ განგებისად გამოიხმო ველჩანინოვი, რომელიც რაღაც თამაშში მონაწილეობდა და რომელსაც უკვე იპყრობდა კაემანი. მარია ნიკიტიშნამ ამ ხეივანში მოიყვანა იგი, მოიყვანა და ნადიას პირისპირ დატოვა. – მე სავსებით დავრწმუნდი, – სწრაფად და გაბედულად ატკვარცალდა გოგონა, – რომ თქვენ სულაც ისეთი მეგობარი არა ხართ პაველ პავლოვიჩისა, როგორც თვითონ დაგვიხატა და გვეტრაბახა. ჩემი ვარაუდით, მარტო თქვენ შეგიძლიათ ერთი მეტად მნიშვნელოვანი სამსახური გამიწიოთ: აჰა, ეს მისი წელან მორთმეული საზიზღარი სამაჯური, – უბიდან ბუდე ამოიღო, – უმორჩილესად გთხოვდით, დაუყოვნებლივ დაგებრუნებინათ პატრონისათვის. თქვენ იმიტომ გთხოვთ, რომ მე ჩემს დღეში

არაფრის გულისათვის ხმას აღარ გავცემ მას. შეგიძლიათ, ჩემ მაგიერ დაუდასტუროთ ეს. თანაც დასძინეთ, რომ ნულარ ბედავს და ემაგ საჩუქრებით ნულარ ეტენება. გნებავთ მასიამოვნოთ, ეს სურვილი შემისრულეთ? – აჰ, დამეხსენით, თუ ღმერთი გწამთ! – ლამის შეჰყვირა ველჩანინოვმა და ხელები გაასავსავა. – როგორ! როგორ თუ დამეხსენითო! – უზომოდ გააკვირვა ნადია უარმა, თვალეზდაჭყეტილი მიაშტერდა ველჩანინოვს. ის მოგონილი რიხიანი კილო ერთბაშად შეეცვალა, კინალამ ატირდა. ველჩანინოვს გაეცინა. – მე განა... განა მოხარული არ ვიქნებოდი... მაგრამ მასთან ჩემი ანგარიში მაქვს... – ვიცოდი, რომ თქვენ მისი მეგობარი არა ხართ, რომ მან ტყუილები მოროშა! – უმაღლესად ჩამოართვა სიტყვა ნადიამ, – მე არასოდეს არ მივთხოვდები მას, ეს იცოდეთ! არასოდეს! ვერც კი გამიგია, როგორ გაბედა და... ოღონდაც თქვენ მაინც უნდა გადასცეთ ეს მისი საზიზღარი სამაჯური, თორემ რაღა უნდა ვქნა? მე მინდა შექველად, შექველად დღესვე მიიღოს უკანვე და კრინტი არ დაძრას. თუ არ დადგება და მამაჩემთან დამაბეზლებს, ნახავს, რაც მოუვა. უეცრივ, სრულიად მოულოდნელად ბუჩქის უკნიდან გამოხტა აბურძგნული, ლურჯსათვალისანი ყმაწვილი. – უნდა გადასცეთ სამაჯური, – ალესილი მიეჭრა ველჩანინოვს, – თუნდაც მარტო ქალთა უფლებების გულისათვის, თუკი თვითონ დგახართ ამ საკითხის გაგების დონეზე... მაგრამ ველარ მოასწრო სიტყვის დამთავრება; ნადიამ მთელი ძალით დაქაჩა სახელოზე და ველჩანინოვს განარიდა. – ღმერთო, რა სულელი ხართ, პრედპოსილოვ! – შესძახა მან, – გასწით აქედან! გასწით, გასწით და აღარ გაბედოთ მოყურადება; მე თქვენ გიბრძანეთ, მოშორებით მდგარიყავით!.. – და ფეხი დაუბაკუნა, როცა ყმაწვილი კაცი ისევ იმ თავისი ბუჩქებისკენ გაილალა. ნადია, თითქოს გააღმასებული, კვლავ განაგრძობდა ბილიკის გარდიგარდმო სიარულს. თვალეზი უელავდა, ხელისგულები შეეჭდო. – ვერ დაიჯერებთ, რა სულელები არიან! – უეცრივ ველჩანინოვის წინ შედგა იგი, – აი, თქვენ გეცინებათ, აბა, ერთი მე ვიკითხო! – ეგ ის ხომ არ არის, ის? – იცინოდა ველჩანინოვი. – რა თქმა უნდა, ის არ არის, ან როგორ იფიქრეთ ეს! – გაელიმა ნადიას და წამოწითლდა. – ეგ მისი მეგობარია მხოლოდ. ოღონდ რანაირ მეგობრებს ირჩევს, ვერ გამიგია; ესენი ყველანი ამბობენ, რომ ეგ "მომავალი ბიძგის მიმცემიაო", მე კი არაფერი მესმის... ალექსეი ივანოვიჩი, მეტს ვერავის მივმართავ; მითხარით საბოლოოდ, გადასცემთ თუ არა? – ჰო კარგი, გადავცემ, მოიტათ. – აჰ, რა კარგი ხართ, რა გულკეთილი! – გაიხარა ერთბაშად და ბუდე მიაწოდა, – სამაგიეროდ ამ საღამოს სულ თქვენ გიმღერებთ, მე მშვენივრად ვმღერი, რომ იცოდეთ, წელან ვიცრუე, მუსიკა

არ მიყვარს-მეთქი. აჰ, თქვენ რო ერთხელ მაინც კიდევ გვესტუმრებოდეთ, როგორ გამიხარდებოდა; მაშინ სულ, სულ, სულ ყველაფერს გიამბობდით, ბევრ-ბევრ რამეს, იმიტომ რომ თქვენ ასეთი კეთილი ხართ, ისეთი კეთილი, როგორც – როგორც კატია! და მართლაც, როცა შინ მიბრუნდნენ ჩაის სასმელად, ნადიამ ორი რომანსი უმღერა ველჩანინოვს, უმღერა ჯერაც დაუხვეწავი, მაგრამ ერთობ საამური და ძალიან ხმით. პაველ პავლოვიჩი, როცა ყველა დაბრუნდა ბაღიდან, ქალის მშობლებთან ერთად დინჯად უჯდა ჩაისთვის გაწყობილ სუფრას. მაგიდაზე უკვე დუღდა დიდი საოჯახო სამოვარი და ჩამორიგებული იყო საგვარეულო ჩაის ჭიქები სევრის ფაიფურისა. პაველ პავლოვიჩი, ეტყობა, ფრიად საგულისხმო საგნებზე ბჭობდა მოხუც ცოლ-ქმართან, – ხვალ ხომ მთელი ცხრა თვით მიემგზავრებოდა. ბაღიდან მობრუნებულთ, მეტადრე ველჩანინოვს, ზედაც არ შეხედა; ისიც ჩანდა, რომ არავინ "დაებეზლებინა" და ჯერჯერობით მშვიდობა სუფევდა. მაგრამ ამღერდა თუ არა ნადია, პაველ

პავლოვიჩიც იქვე დაერქო. ნადიამ განგებისად არ გასცა მას პასუხი ერთ პირდაპირ შეკითხვაზე. მაგრამ ამან პაველ პავლოვიჩი ვერ შეაცბუნა და ვერცთუ განზრახვა შეაცვლევინა; იგი ზედ სკამის ზურგთან აეტუზა ქალს და მთელი მისი იერი ღაღადებდა, ეს ადგილი ჩემია და ამ ადგილს არავის დავუთმობო. – ალექსეი ივანოვიჩი მღერის, maman, ალექსეი ივანოვიჩს სიმღერა სურს! – შესძახა ლამის ყველა ქალიშვილმა და როიალს შემოეხვია. როიალთან თავდაჯერებულად იკალათებდა ველჩანინოვი, გადაწყვიტა დაეკრა და ემღერა. გამოვიდნენ მოხუცი ცოლქმარიცა და კატერინა ფედოსეევნაც, რომელიც დედ-მამასთან ერთად იჯდა და ჩაის ასხამდა. ველჩანინოვმა ამოირჩია აწ თითქმის ყველასათვის უცნობი გლინკას რომანსი: როს მხიარულ ჟამს გააპობ ტუჩებს, გამიბამ ღულუნს ნაზსა და უჩვევს... იგი მღეროდა და მზერა მიპყრობილი ჰქონდა მხოლოდ და მხოლოდ ნადიასთვის, რომელიც ედგა ზედ იდაყვთან, სხვებზე უფრო ახლოს. ხმა უკვე დიდი ხანია აღარ ჰქონდა ველჩანინოვს, მაგრამ ახლაც შეატყობდა კაცი, ოდესღაც კარგი ხმის პატრონი რომ უნდა ყოფილიყო. ამ რომანსის მოსმენა ველჩანინოვს პირველად ამ ოცი წლის წინათ არგუნა ბედმა, როცა ჯერ ისევ სტუდენტი გახლდათ, თავად გლინკასაგან მოისმინა, განსვენებული კომპოზიტორის ერთი ახლო მეგობრის სახლში, ლიტერატურულ-არტისტულ საღამოზე. მუსიკობის ემხში შესულმა გლინკამ ყველა საკუთარი საყვარელი ნაწარმოები დაუკრა და დაამღერა, მათ შორის ეს რომანსიც. იმ ხანობას აღარც მას მოსდევდა უკვე ხმა, მაგრამ ველჩანინოვს ახსოვდა ის განსაკუთრებული შთაბეჭდილება, რაიც სწორედ ამ რომანსმა მოახდინა, რომელიმე სალონური მომღერალი ვერასდროს მიაღწევდა ამგვარ ეფექტს. ამ რომანსში ვნების ცეცხლი თანდათან ძლიერდება – სიტყვით სიტყვამდე, სტრიქონიდან სტრიქონამდე სულ უფრო მატულობს; და სწორედ ამ უჩვეულო სიმძაფრის გამო უმცირესი სიყალბე, სულ ოდნავი გადამლაშება – რაც კიდევ მისატყვევებელი იქნებოდა ოპერაში, – აქ მთლად შერყვნიდა და დაამახინჯებდა სიმღერის დედააზრს. ამ პატარა, მაგრამ არაჩვეულებრივი ქმნილების შესრულება მოითხოვდა – უეჭველად სიმართლეს, უეჭველად ალალ, უზადო შთაგონებას, ალალ გატაცებას ან ამ გატაცების პოეტურ შესისხლხორცებას. თორემ უამისოდ რომანსი არამცთუ ლაზათს დაჰკარგავდა, ეგებ ლამის უხამსურიც მოსჩვენებოდა კაცს: შეუძლებელი იქნებოდა ვნებიან გრძნობათა ამგვარი ქარტეხილის ისე გამოხატვა, რომ ზიზღი არ აღძვროდა მსმენელს. მაგრამ სიმართლე და სიალალე ყველაფერს შველოდა. ველჩანინოვს ახსოვდა, რომ ამ რომანსს ოდესღაც თვითონაც მარჯვედ მღეროდა. თითქმის შეთვისებული ჰქონდა გლინკასეული შესრულების მანერა; ახლა, ხმის ამაღლების უმაღლეს, პირველი სტრიქონიდანვე მართლაც რომ ალალის შთაგონებით აღენთო, ათრთოლდა მისი სული, და ეს თრთოლვა ხმასაც გადაედო. რომანსის ყოველ სიტყვაზე სულ უფრო ძალუმად, სულ უფრო ღაღად მჟღავნდებოდა და შიშვლდებოდა ის ვნებიანი გრძნობა; უკანასკნელ სტრიქონებში კი ვნაბათაღელვის ყივილი გახშირებდა; და როცა ველჩანინოვმა ანთებული მზერა მიაპყრო ნადიას, როცა რომანსის ბოლო სიტყვები ჩაამღერა: სულ უფრო ღაღად თვალეებში გიმზერ, და ჩემი სუნთქვა გეხება პირზე. მწადს შენი კოცნა, კოცნა და კოცნა! მწადს შენი კოცნა, კოცნა და კოცნა! ნადია ლამის შეტოკდა შეშინებული, ცოტათი უკანაც კი დაიხია; ალმური წაეკიდა ლაწვებზე, და იმავ წამს თითქოს რაღაც თანაგრძნობის მაგვარი ენიშნა ველჩანინოვს დამორცხვებული ქალიშვილის ლამის შემკრთალ გამოხედვაში. ყველა სხვა ქალიშვილის თვალეებშიც ასეთივე ფარული აღტაცება, მაგრამ იმავე დროს გაკვირვებაც გამოსჭვიოდა; ყველას თითქოს ეჩვენებოდა, საჩოთირო, სასირცხვილოა, ასე იმღერო. ამავე დროს ეს

ყმაწვილი ქალები ყველანი სახეზე აღმურმოკიდებულნი, თვალებანთებულნი შეჭფრფინვიდნენ ველჩანინოვს და თითქოს კიდევ რაღაცას მოელოდნენ. მეტადრე კატერინა ფედოსეევნას სახე მოხვდა თვალში ველჩანინოვს, ეს სახე ლამის მშვენიერი შექმნილიყო ამჟამად. – აი, რომანსი! – წაიდუდუნა, ცოტა არ იყოს, დაბნეულმა მოხუცმა ზახლებინინმა, – ოღონდ... მეტად მკვეთრი ხომ არ არის?

სასიამოა, ოღონდ მკვეთრია... – მკვეთრია... – ის იყო კვერი უნდა დაეკრა მ-მე ზახლებინინასაც, მაგრამ პაველ პავლოვიჩმა აღარ დააცალა: უეცრივ წინ გამოხტა იგი, ისე დაკარგა გონი, რომ ხელზე ხელი სტაცა ნადიას, ველჩანინოვს გააშორა, მერე გიჟივით მიეჭრა ველჩანინოვს, სახეარეული მიაჩერდა და მთრთოლვარე ტუჩები ააცმაცუნა. – ერთი წუთით, – ძლივს ამოთქვა ბოლოს. ველჩანინოვი ცხადად ხედავდა, ცოტაც და ამ ვაჟბატონს შესაძლოა ათგზის უფრო სულელური რამ ჩაედინა; ამიტომ საჩქაროდ მოჰკიდა ხელი და ისე, რომ იქ მყოფთა გაცეხისათვის ყურადღება არ მიუქცევია, აივანზე გაიყვანა; მერმე მასთან ერთად რამდენიმე ნაბიჯით ჩაინაცვლა ბაღისკენ, სადაც უკვე სულ მთლად ჩამობნელებულიყო. – გესმით თუ არა, რომ ახლავე, ამ წუთსვე უნდა გავემგზავროთ აქედან! – ამოილაპარაკა პაველ პავლოვიჩმა. – არა, არ მესმის... – გახსოვთ თუ არა, – განაგრძობდა პაველ პავლოვიჩი გაშმაგებული ჩურჩულით, – გახსოვთ თუ არა, მაშინ რომ მომთხოვეთ, ყველაფერი, სუყველაფერი გულახდილად მეთქვა თქვენთვის, მეთქვა "თვით საბოლოო სიტყვა..." გახსოვთ თუ არა? ჰოდა, ამ სიტყვის თქმის დრომაც მოაწია... წამოდით! ველჩანინოვი წუთით დაფიქრდა, მერმე ერთხელ კიდევ შეხედა პაველ პავლოვიჩს და დაჰყაბულდა. როცა მათი უეცარი გამგზავრების გადაწყვეტილება გაიგეს, მშობლები აფორიაქდნენ, ხოლო ყველა ქალიშვილი დიდად განაწყენდა. – თითო ჭიქა ჩაი მაინც მიგერთვათ კიდევ... – ბეჩავად ამოიოხრა მ-მე ზახლებინინამ. – შენ რაღამ აგტეხა ვითომ? – მკაცრი, უკმაყოფილო კილოთი მიუბრუნდა მოხუცი პაველ პავლოვიჩს, რომელიც პასუხად დუმდა და უხეიროდ იღმიჭებოდა. – პაველ პავლოვიჩ, რატომ მიგყავთ ალექსეი ივანოვიჩი? – შესაბრალისად ახმიანდნენ ქალიშვილები და თანაც გაგულისებულნი შეჰყურებდნენ ტრუსოცკის; ნადიამ ისეთნაირი გაბოროტებით გადახედა, პაველ პავლოვიჩი მთლად დაიღრიჯა, მაგრამ ფარ-ხმალი მაინც არ დაყარა. – არა, მართლა, კიდევ კარგი, პაველ პავლოვიჩმა რომ მომაგონა – ბარაქალა, პაველ პავლოვიჩ, – ერთი მეტად საჩქარო საქმე, თორემ, ალბათ, გამომეპარებოდა, – იცინოდა ველჩანინოვი და და ხელს ართმევდა სახლის პატრონს, ემშვიდობებოდა დიასახლისსა და ქალიშვილებსაც, ამათ შორის თითქოს განსაკუთრებულად კატერინა ფედოსეევნას, რაიც ასევე ყველას მიერ იქნა შენიშნული. – ჩვენ ყველა მადლობელი ვართ თქვენი სტუმრობისათვის, თქვენი ყოველთვის მოხარულნი ვიქნებით, ყველანი, – დასძინა მრავალმნიშვნელოვნად ზახლებინინმა. – აჰ, ჩენ ისე მოხარულნი ვართ... – გრძნობით დაჰკრა კვერი ოჯახის დედად. – გვინახულეთ, ალექსეი ივანოვიჩ! კიდევ გვინახულეთ! – ისმოდა აივანზე გადმომდგარი ქალიშვილების გაბმული ხმები, როცა ველჩანინოვი პაველ პავლოვიჩთან ერთად ეტლში ჯდებოდა; ძლივს გასაგონად გაისმა ერთის ხმა, სხვებზე უფრო ხმადაბლა რომ წარმოთქვა: "გვინახულეთ, კარგო, კარგო ალექსეი ივანოვიჩ!" "ეგ ის წითურია!" – გაიფიქრა ველჩანინოვმა.

XIII - ვის ბარობაზე მოდის მეტი

წითურზე ფიქრისთვის იცლიდა, როცა ჯავრი და სინანული რა ხანია უკვე გულს უწურავდა. მართლაცდა, მთელ დღევანდელ დღეს, ასე ხალისიანად რომ გაატარა თითქოს, კაემანი თითქმის არ შორდებოდა. იმ დროს, როცა რომანსი უნდა ემღერა, უკვე აღარ იცოდა, რა ექნა მეტისმეტი სევდისაგან. ეგების, იმიტომაც იმღერა იმგვარი გატაცებით. "მერედა, ასე როგორ დავმდაბლდი... ასე როგორ გამოვეთიშე ყველაფერს!" – ის იყო დაუწყობი თავის თავს ქირდვა, მაგრამ უმაღვე დაეხსნა ფიქრს, თან დამამცირებელიც ეჩვენა ეს ჩივილი. გულის მოსაფხანად ის უჯობდა, სასწრაფოდ სხვაზე ამოეყარა ჯავრი. – სულ-ლელო! – წაიჩურჩულა ბოლმამორეულმა და აღმაცერად გადახედა პაველ პავლოვიჩს, რომელიც გვერდით ეჯდა გაყუჩებული. პაველ პავლოვიჩი ჯიუტად დუმდა, შესაძლოა გულისყურს იკრებდა და მოსალოდნელი ლაპარაკისთვის ემზადებოდა. ზოგჯერ სულსწრაფად მოიხდიდა შლაპას და ცხვირსახოცით მოიწმენდდა შუბლს. – ოფლი ასკდება! – ბოროტად ხარობდა გულში ველჩანინოვი. მხოლოდ ერთხელ იყო, პაველ პავლოვიჩმა კითხვით მიმართა მეეტლეს: "გაავდრდება თუ იცითო?" – მე-ერე როგორ! უეჭველად; მთელი დღე პაპანაქება იდგა. – მართლაც, ცას თალხი ფერი ედებოდა, შორით ელვა გაკრთებოდა ხოლმე. თერთმეტის ნახევარი იყო უკვე, როცა ქალაქს მიატანეს. – მე ხომ თქვენსა მოვდივარ, – წინდაწინვე მიუბრუნდა პაველ პავლოვიჩი ველჩანინოვს, როცა ის იყო სახლს დაუახლოვდნენ. – მესმის, ოღონდაც უნდა გაგაფრთხილოთ, ფრიად უქეიფოდ ვგრძნობ თავს... – დიდხანს არ დავრჩები, დიდხანს არა! როცა ალაყაფის კარებში შედიოდნენ, პაველ პავლოვიჩმა ერთი წუთით მეზოვე მავრასთან შეირბინა. – რა წრიალი აგიტყდათ? – მკაცრად დაეკითხა ველჩანინოვი, როცა პაველ პავლოვიჩი ისევ დაეწია და ორივენი ოთახში შევიდნენ. – არაფერი, ისე... მეეტლე... – სულ ერთია, სმას არ დაგანებებთ! პასუხი არ მოჰყოლია. ველჩანინოვმა სანთლები აანთო, პაველ პავლოვიჩმა კი ხელად სავარძელში მოიკალათა. ველჩანინოვი მოღუშული დაუდგა წინ. – მეც ჩემდათავად შეგპირდით, ჩემს "საბოლოო" სიტყვას გეტყვით-მეთქი, – დაიწყო ველჩანინოვმა შინაგანი, ჯერ ისევ დაუოკებელი გაგულისებით, – აჰა, ეს სიტყვაც: გულახდილად ვთვლი, რომ ჩვენს შორის ყოველივე დამთავრებულია, ასე რომ სალაპარაკოც აღარაფერი გვაქვს; გესმით – აღარაფერი-მეთქი; ამიტომ ხომ არ გიჯობთ, ბარემ ადგეთ და მიბრძანდეთ, რომ კარი ჩავკეტო. – ანგარიში გავასწოროთ, ალექსეი ივანოვიჩ! – წარმოთქვა პაველ პავლოვიჩმა, მაგრამ რაღაცნაირი განსაკუთრებული თვინიერებით კი შესცქეროდა თვალებში. – ანგარიში გა-ვა-სწოროთო? – დიდად გაკვირდა ველჩანინოვი, – ეგ რა ახირებული სიტყვა წამოგცდათ! კი, მაგრამ რა "ანგარიში" უნდა გავასწოროთ? ოჰო! მართლაცდა, ის თქვენი "საბოლოო სიტყვა" ხომ არ არის ეს, წედან რომ მპირდებოდით... გეტყვითო? – სწორედ ის გახლავთ. – აღარაფერი გვაქვს გასასწორებელი, დიდი ხანია გავსწორდით! – გოროზად წარმოთქვა ველჩანინოვმა. – ნუთუ აგრე გგონიათ? – გულში ჩამწვდომი ხმით ჩაილაპარაკა პაველ პავლოვიჩმა, თან რაღაც უცნაურად შეატყველვა ხელები, თითები ერთმანეთში გადახლართა და მკერდთან მიიჭდო... ველჩანინოვმა არა მიუგო რა, ოთახში გააბიჯ-გამოაბიჯა. "ლიზა? ლიზა?" – ვიღაც თუ რაღაც კვნესოდა მის გულში... – მაინც როგორ გინდათ გავსწორდეთ? წარბშეკრული მიუბრუნდა პაველ პავლოვიჩს

კარგა ხნის დუმილის შემდეგ. პაველ პავლოვიჩი, კვლავინდებურად გულხელდაჭდობილი, მთელი ამ ხნის მანძილზე თვალს აყოლებდა. – მეტად ნულარ მიხვალთ იქ, – ლამის წაიჩურჩულა მავედრებელი ხმით და ერთბაშად სკამიდან წამოდგა. – როგორ? მაშ, თქვენ მხოლოდ ამის თქმა გსურდათ? – ველჩანინოვს ღვარძლიანად გაეცინა, – მართლაც, მთელი დღევანდელი დღე მაცობდით! – ის იყო გესლიანად ალაპარაკდა, მაგრამ უეცრივ სახის გამომეტყველება ერთიანად შეეცვალა: – გამიგონეთ, – ნაღვლიანად და ღრმად წრფელი გრძნობით წარმოთქვა, – ვგონებ არასდროს ისე არ დავმდაბლებულვარ, როგორც დღეს, ჯერ ერთი იმით, წამოსვლას რომ დაგთანხმდით, და მერე იმით, რაც იქ იყო... ეს ისეთი წვრილმანი, ისეთი უბადრუკი რამ იყო... ნამუსი დაკვარგე და გავთახსირდი, რომ მეც ავეყვი... და დავივიწყე... რაღა გავაგრძელო! – გონი მოიკრიბა უცებ, – გამიგონეთ: თქვენ დღეს მოულოდნელად დამეცით თავზე ბოლმიანსა და უქეიფოდ მყოფს... თუმცა რა საჭიროა თავის მართლება! იქ ფეხს აღარ მივდგამ და გარწმუნებთ, არცთუ გული მიმიწევს, – დაასკვნა დაბეჯითებით. – ნუთუ მართლა? ნუთუ მართლა? – გახარებულმა და თანვე აღელვებულმა შესძახა პაველ პავლოვიჩმა. – ველჩანინოვმა ზიზღით გადახედა და კვლავ ბოლთის ცემას მოჰყვა. – თქვენ, ვგონებ, გულში ამოგიჭრიათ, ბედს უნდა ვეწიოთ, არა? – თავი ველარ შეიკავა ბოლოს შენიშვნისაგან. – დიახ, ჩემო ბატონო, – წყნარად, მიამიტად დაუკრა

კვერი პაველ პავლოვიჩმა. "მე რას მშველის, – ფიქრობდა ველჩანინოვი, – რომ ეგ ერთი ტაკიმასხარაა და თავისივე სირეგვნეს გაუბოროტებია? გინდაც არ ღირდეს ამაღ – მაინც მძულს იგი!" – მე "მარადი ქმარი" ვარ! – წარმოთქვა პაველ პავლოვიჩმა და დამცირებით, თვინიერად ჩაეცინა საკუთარ თავზე, – ეგ სიტყვა დიდი ხანია უკვე გაგონილი მაქვს თქვენგან, ალექსეი ივანოვიჩ, გაგონილი მაქვს ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა იქ, ჩვენთან ცხოვრობდით. ბევრი თქვენი სიტყვა დამახსოვდა მაშინ, იმ წელიწადს. ჰოდა "მარადი ქმარი" აქ რომ ბრძანეთ ამ წინაზე, მეც მომაგონდა. მაგრამ ერთი ბოთლი შამპანური და ორი ჭიქა შემოიტანა. – მაპატიეთ, ალექსეი ივანოვიჩ, ხომ იცით, უამისოდ არ შემიძლია. კადნიერებად ნუ ჩამომართმევთ; ისე ჩააგდეთ, ვითომც არ მიცნობდეთ, არც თქვენი ღირსი ვიყო. – კარგი... – ზიზღით დართო ნება ველჩანინოვმა, – ოღონდ დამიჯერეთ, თავს უქეიფოდ ვგრძნობ... – ხელად, ხელად, თათარიანად! – დაფაცურდა პაველ პავლოვიჩი, მხოლოდ ერთი ჭიქა, თორემ ყელი... ხარბად, ერთბაშად დაცალა ჭიქა, დაჯდა და ლამის სინაზით დაუწყო ცქერა ველჩანინოვს. მავრა გავიდა. – რა საზიზღრობაა! – ჩურჩულებდა ველჩანინოვი. – ეგ სულ იმ მისი დობილების ამბავია, – იმედიანად ჩაილაპარაკა უცებ პაველ პავლოვიჩმა და სავსებით გამოცოცხლდა. – როგორ? რაო? ჰოო, თქვენ ისევ იქა ხართ... – მხოლოდ იმათი ამბავი! თანაც ჯერ ისევ ყმაწვილია. კეკლუცი ვართ და თავი მოგვწონსო, მაშა! წარმოიდგინეთ, უხდება კიდევ. მერე კი – მერე ხომ თქვენც იცით: ყურმოჭრილ მონად გავუხდები; პატივით შეიმოსება, გამოვა საზოგადოებაში... სრულიად ახლად აღიზრდება. "მართლა, სამაჯური უნდა გადავცე!" – შეიშმუშნა ველჩანინოვი და პალტოს ჯიბეში რომ ბუდე ედო, ხელით მოსინჯა. – თქვენ აგერ მეუბნებოდით, გადაგიწყვეტიათ, ბედს ეწიოთო? მე ცოლის შერთვა მჭირდება, ალექსეი ივანოვიჩ, – განდობილი კაცის კილოთი, ლამის გულის ამაჩუყებლად განაგრძობდა პაველ პავლოვიჩი, – თორემ ხომ მთლად წავალ ხელიდან? თვითონაც ხედავთ! – ბოთლზე უჩვენა, – ეს კი ჩემი ცუდი ჩვევების პირობაზე წვეთია ზღვაში. თუ ცოლი არ შევირთე და რწმენა ხელახლა არ დავიბრუნე, სულ აღარ გამეძლება. ვიწამებ და აღვდგები კიდევ.

– მერედა მე რას მაუწყებთ ამას? – კინალამ სიცილი წასკდა ველჩანინოვს. თუმცაღა ძალზე ახირებულად ეჩვენებოდა ეს ყველაფერი. – მითხარით ბოლოს და ბოლოს, – შეჰყვირა ველჩანინოვმა, – რას წამაჩანჩალებთ იქა? მაინც რისთვის გჭირდებოდით იქ? – მინდოდა გამომეცადა... – რაღაც ერთბაშად შეცბა პაველ პავლოვიჩი. – რა უნდა გამოგეცადათ? – ეფექტი... მე, იცით რა, ალექსეი ივანოვიჩ, სულ ერთი კვირაა, რაც... იქ დავდივარ (იგი უფრო და უფრო ცბუნდებოდა), გუშინ შეგხვდით და გავიფიქრე: "აკი ის ჯერ არასდროს მინახავს, ასე ვთქვათ, სხვათა საზოგადოებაში, ეს იგი მამაკაცთა შორის, მხოლოდ ჩემ გვერდით ვხედავდი..." სულელური აზრი გახლავთ, თვითონაც ვგრძნობ ახლა, რომ ეს მეტისმეტია. ცდუნებამ წამძლია, ამ ჩემი საზიზღარი ხასიათის ბრალი გახლავთ... – თავი ასწია ანაზდად და გაწითლდა. "ნუთუ წმინდა სიმართლეს მეუბნება?" – გაშტერებული იყო ველჩანინოვი. – მერე? – იკითხა მან. პაველ პავლოვიჩს დათაფლულად და თან რაღაცნაირად ეშმაკურად გაეღიმა. – სულ მაგ გიჟმაჟი სიყმაწვილის ამბავია! იმ დობილების ამბავია! ოღონდ უნდა მაპატიოთ, დღეს რომ ისე სულელურად ვიქცეოდი თქვენს წინაშე, ალექსეი ივანოვიჩ; აღარასოდეს დამემართება ამგვარი რამ. თუმცა ეს მეტად აღარც განმეორდება. – არც ჩემი ვიზიტი განმეორდება, – ჩაეცინა ველჩანინოვს. – მეც სწორედ ნაწილობრივ მაგის თაობაზე მოგახსენებთ. ველჩანინოვს ცოტა არ იყოს, ეხამუშა ეს სიტყვები. – კი, მაგრამ მართლმე ხომ არა ვარ ამ ქვეყანაზე, მართლა და მართლა, – შენიშნა გაფიცებულმა. პაველ პავლოვიჩი ისევ გაწითლდა. – მაღონებს ამის გაგონება, ალექსეი ივანოვიჩ, მაგრამ დამიჯერეთ, მე ისეთ პატივს ვცემ ნადეჟდა ფედოსეევას... – მაპატიეთ, მაპატიეთ, არაფერს ვამბობ, – მხოლოდ, აი, ცოტათი კი მეუცნაურება, რომ ასე გაგიზვიადებიათ ჩემი შესაძლებლობანი... და... ასე გულწრფელად მომენდეთ... – იმიტომაც მოგენდეთ, რომ ეს იყო ყველაფერი იმის შემდეგ... რაც უკვე მოხდა. – მაშ, თქვენ კვლავაც უკეთილშობილეს ადამიანად მიგაჩნევართ? – შედგა ანაზდად ველჩანინოვი. სხვა დროს თავადვე შეზარავდა ამ თავისი ანაზდეული შეკითხვის გულუბრყვილობა. – მუდამაც მიმაჩნდით, – თვალეხი დახარა პაველ პავლოვიჩმა. – კი, რასაკვირველია... მაგას არ გეკითხებით, უკეთ,

მაგ აზრით კი არ გეკითხებით, – მხოლოდ იმის თქმა მინდოდა, რომ, მიუხედავად ყოველგვარი... წინასწარი რწმენისა... – დიახ, ჩემო ბატონო, მიუხედავად ყოველგვარი წინასწარი რწმენისაც. – კი, მაგრამ როცა პეტერბურგში მოემგზავრებოდით? – ველარ მოითმინა ველჩანინოვმა, თუმცა თავადვე კი გრძნობდა ამ თავისი ცნობისწადილის მთელ საზიზღრობას. – როცა პეტერბურგისკენ მოვემგზავრებოდი, მაშინაც კეთილშობილზე კეთილშობილ კაცად გთვლიდით. მუდამ პატივს გცემდით, ალექსეი ივანოვიჩ, – პაველ პავლოვიჩმა თვალეხი გაუდართა და უკვე სრულიად შეუმცბარი, ნათელი მზერით უცქეროდა თავის მეტოქეს. ველჩანინოვი მყისვე დაფეთდა: არამც და არამც არ უნდოდა, ამდაგვარი ლაპარაკი გაღრმავებულიყო და რაიმე მიჯნას გადასცდენოდა, მით უმეტეს, რომ ტრუსოცკი თვითონვე გამოიწვია სალაპარაკოდ. – მე თქვენ მიყვარდით, ალექსეი ივანოვიჩ, – თითქოს უეცრივ გაბედა და წართქვაო პაველ პავლოვიჩმა, მთელი ის წელიწადი მიყვარდით ტ-ში. თქვენ ეს არ შეგინიშნავთ, – განაგრძობდა ცოტა არ იყოს ათრთოლებული ხმით, რამაც ველჩანინოვი აშკარად შეაძრწუნა, – მეტად უმნიშვნელო ვჩანდი თქვენს გვერდით, რომ შეგემჩნიეთ; მერედა, იქნებ არც იყო საჭირო. მთელი ამ ცხრა წლის განმავლობაში სულ მახსოვდით, იმიტომ რომ სხვა იმისთანა წელიწადი ჩემს სიცოცხლეში არ გამორეულა (აქ პაველ პავლოვიჩს რაღაც განსაკუთრებულად აუკიაფდა თვალეხი). მე მრავალი თქვენეული სიტყვა თუ

გამონათქვამი, მრავალი თქვენული აზრი დავიხსომე. მუდამ გიგონებდით, ვითარცა კეთილი გრძნობებისათვის ალტყინებულსა და განათლებულ ადამიანს, დიდად განათლებულსა და აზრებით მდიდარსაც. "დიად აზრს დიდი გონება კი არა, უპირატესად დიადი გრძნობა ბადებსო", – თავად ბრძანეთ ეს. იქნებ თქვენ დაგავიწყდათ, მე კი დამახსოვდა... ჰოდა თქვენი, ვითარცა დიადი გრძნობის ადამიანის, მეც მუდამ მეიმედებოდა... მაშ, მწამდა კიდევ – მიუხედავად ყველაფრისა... უცენ ნიკაპი აუკანკალდა. ველჩანინოვი ლამის ზარდაცემული იყო; ეს ამნაირი მოულოდნელი ლაპარაკი აუცილებლივ უნდა შეეწყვეტინებინა. – კმარა, გეთაყვა, პაველ პავლოვიჩ, – მოუთმენლად წაიდუდუნა ალანძულმა და სიფიცხემორეულმა, – მაინც რად, რისთვის, – შესძახა უეცრივ, – რისთვის გადამეკიდეთ ამ ავადმყოფ, ძარღვებაშლილ, ლამის ცხროიან კაცს, რაც ჩამაცივდით და სადღაც ქვესკნელისკენ მიმათრევთ... როცა ყველაფერი მოჩვენება და მირაჟია, ყველაფერი ყალბი და ნაძალადევია, თანაც ზომიერებას გადასული, – ჰოდა, თავი და თავი, ყველაზე უფრო სამარცხვინოც სწორედ ეს არის, – რომ ზომიერებასაა გადასული! მერე კიდევ ყოველივე ჩმახია: თქვენცა და მეც, ორივენი ბიწიერი, ქვებუდანი, საძაგელი ადამიანები ვართ... და გნებავთ, გნებავთ, ახლავე დაგიმტკიცებთ, რომ არამცთუ არ გიყვარვართ, გბულვართ კიდევ მთელის არსებით და რომ თვითონაც არ იცით, ისე მეუბნებით ტყუილს: თქვენ რომ ადექით და იქ წამიყვანეთ, განა მართლა ეს სამასხარაო მიზანი გქონდათ, რა არი საპატარძლო გამოგეცადათ (მაინც რა არ მოაფიქრდება კაცს), – უბრალოდ მნახეთ გუშინ და ბოღმა მოგერიათ: ჰოდა, ადექით და წამიყვანეთ, რათა ქალი გეჩვენებინათ და თანაც გეთქვათ: "ხედავ, როგორია! ჩემი იქნება; აბა, ერთი ახლაც სინჯე რამეო!" – თქვენ მე გამომიწვიეთ! ეს, იქნებ, თვითონაც არ იცოდით, მაგრამ აგრე კი იყო; იმიტომ, რომ ეს ყველაფერი გულში გიტრიალებდათ... თუ არ გბულს კაცი, ისე ამგვარად ვერ გამოიწვევ. ჰოდა გბულებივართ კიდევ! – გაიძახოდა ველჩანინოვი და ოთახში დაწრიალებდა. თანაც ყველაზე უფრო ის დამამცირებელი აზრი აწამებდა, ის შეურაცხყოფდა, თვითონვე რომ ასერიგად უყადრებდა თავს პაველ პავლოვიჩს. – მე მსურდა, შეგრიგებოდით, ალექსეი ივანოვიჩ! – მოულოდნელად, სწრაფად, დაჟინებით წაიჩურჩულა პაველ პავლოვიჩმა და ნიკაპი ისევ აუტოკდა. ველჩანინოვი საშინლად აენტო, თითქოს ამგვარი წყენა მისთვის არასდროს მიუყენებიათო! – ერთხელ კიდევ გეუბნებით, – იღრიალა მან, – ავადმყოფ და ძარღვებაშლილ კაცს ჩასციებიხართ-მეთქი, რა არი ფუჭი რამ სიტყვა ამოგლიჯოთ ბოდვისას! ჩვენ... ჩვენ ხომ სხვადასხვა სამყაროს ხალხი ვართ, გაიგეთ ბოლოს და ბოლოს, და... და... ჩვენს შუა სამარე გაითხარა! – წაიჩურჩულა გაფითრებულმა, წაიჩურჩულა და უმაღვე გამოერკვა. – მერედა, თქვენ რა იცით, – ერთბაშად სახე შეეცვალა და ჩაუფითრდა პაველ პავლოვიჩს, – თქვენ რა იცით, რას ნიშნავს მაგ სამარე აქ... ჩემთვის! – შეჰყვირა მან, ველჩანინოვისკენ მიდგა და სასაცილოდ, მაგრამ საშინელი გამეტებით კი იკრა მჯიღი გულში, – მე აქ გაჭრილი სამარე ვიცი; და ჩვენ ორივენი ამ სამარის აქეთ-იქით მხარეს ვდგავართ. ოღონდაც ჩემს ბარობაზე მეტი მოდის, ვიდრე თქვენსაზე, მეტი მოდის... – თითქოს აბოდებსო, ისე ჩურჩულებდა და კვლავ მჯიღს იცემდა მკერდში, – მეტი მოდის, მეტი – მეტი... – უეცრივ უჩვეულო ძალით ზარის ჩამორეკვის ხმამ ორივე გამოარკვია. ისეთის ძალით ჩამორეკეს, გეგონებოდათ, ზარის ჩამოგლეჯა განუზრახავთო. –

როდის იყო ასე მირეკავდნენ, – ჩაილაპარაკა შეცბუნებულმა ველჩანინოვმა. – არც მე მირეკავენ ასე, – წაიჩურჩულა შემკრთალმა პაველ პავლოვიჩმა და, გონსმოსული, მყისვე ადრინდელ პაველ პავლოვიჩად იქცა. ველჩანინოვი მოიქეშა და კარის

გასაღებად გაემართა. – ბატონი ველჩანინოვი, არა, თუ არა ვცდები? – საოცრად თავდაჯერებული კაცის წკრიალა, ახალგაზრდული ხმა მოისმა წინაკარიდან. – რა ვნებავთ? – მაქვს უტყუარი ცნობა, – განაგრძობდა ის წკრიალა ხმა, – რომ ვინმე ტრუსოცკი ამჟამად თქვენთან იმყოფება. მე მისი დაუყოვნებლივ ნახვა მწადია. – ველჩანინოვს ხელი მოექავა – ეს თავდაჯერებული ვაჟბატონი ლაზათიანი კინწისკვრით გაეგდო. მაგრამ დაფიქრდა, ჩამოეცალა და გზა მისცა. – აგე ბატონო, ტრუსოცკი, შემოდით...

XIV - საშენკა და ნადენკა

ოთახში სრულიად ყმაწვილი კაცი შემოვიდა, ასე ცხრამეტიოდე წლისა, იქნებ არც ამდენის ყოფილიყო: მთლად ბავშვური ჩანდა მისი ლამაზი, დიდგულად გამომეტყველი სახე. გვარიანად ეცვა, ყოველ შემთხვევაში, ყველაფერი კარგად ადგა ტანზე; საშუალოზე მაღალი ტანისა ეთქმოდა; მეტადრე თვალში მოგხვდებოდათ მისი ხშირი, შავი, ქოჩორა თმა და დიდრონი, მუქი, თამამად მომზირალი თვალები. ოღონდაც ცხვირი ჰქონდა ცოტათი პაჭუა; თუ არ ეს, მთლად ყალბით ნახატი იქნებოდა. შემოვიდა იგი დიდრაჯულად. – მე, ვგონებ, მომეცა შემთხვევა, ბატონ ტრუსოცკის ველაპარაკებოდე, – დინჯად ჩამომარცვლა და განსაკუთრებული სიამით გამოკვეთა სიტყვა "შემთხვევა", რითაც მიანიშნებდა, რომ არავითარ პატივს, არც არავითარ სიამოვნებას ბატონ ტრუსოცკისთან საუბარში ის არ ხედავდა. ველჩანინოვი თანდათან უკვე ხვდებოდა ზოგ რამეს: ეტყობა, პაველ პავლოვიჩიც მოდიოდა უკვე ცოტ-ცოტათი აზრზე. სახეზე შემფოთება გამოეხატა; თუმცაღა, თავი დაიმორჩილა. – რაკი პატივი არა მაქვს, გიცნობდეთ, – დინჯად მიუგო მან, – მიმაჩნია, რომ არც რაიმე საქმე შემიძლია მქონდეს თქვენთან. – ჯერ მომისმინეთ, და მერელა გამოთქვით თქვენი აზრი, – თავდაჯერებული და დამრიგებლური კილოთი წარმოთქვა ყმაწვილმა კაცმა, ამოიღო კუს ბაკნის ლორნეტი, რომელიც ზონარზე ეკიდა და მაგიდაზე მდგარ შამპანურის ბოთლს არხეინად დაუწყო ჭვრეტა. ამას რომ მორჩა, ლორნეტი შეინახა, პაველ პავლოვიჩს მიუბრუნდა და წარმოთქვა: – ალექსანდრე ლობოვი. – მერედა, რას ნიშნავს ეს ალექსანდრე ლობოვი? – ეს მე ვარ. არ გაგიგონიათ? – არა. – თუმცაღა, თქვენ რას გაიგონებდით. მე მნიშვნელოვანი საქმისთვის მოვედი; ეს საქმე სწორედ თქვენ გეხებათ; მაგრამ ნება მომეცით დავჯდე, დავიღალე... – დაბრძანდით, – შესთავაზა ველჩანინოვმა, – მაგრამ ყმაწვილმა კაცმა დაასწრო და შეთავაზებამდე დაბრძანდა. თუმცა ველჩანინოვს მკერდში ტკივილი უძლიერდებოდა, მაინც ცნობისწადილი მოეძალა ამ პატარა თავხედის მიმართ. მისი ეშხიანი, ბავშვური და ღაჟღაჟა სახე რაღაცნაირად ნადიასას მიამგვანა ოდნავ. – თქვენც დაჯექით, – მიიპატიჟა ყმაწვილმა პაველ პავლოვიჩი და თავის დაუდევარი დაქნევით მოპირდაპირე ალაგზე ანიშნა. – არა უშავს, ფეხზე ვიდგები. – დაიღლებით. თქვენ, ბატონო ველჩანინოვ, შეგიძლიათ, მართლა, არც წახვიდეთ. – სად უნდა წავიდე, მე ჩემს სახლში ვარ. – როგორც გენებოთ. გამოგიტყდებით და კიდევაც მინდა, ამ ბატონთან ჩემს ლაპარაკს დაესწროთ. ნადეჟდა ფედოსეევნამ ერთობ მოსაწონად დამიხასიათა თქვენი თავი. – ოჰო! როდის მოასწრო? – თქვენი წამოსვლის უმაღლ, მეც ხომ იქიდან მოვდივარ: აი რა, ბატონო ტრუსოცკი, – ფეხზე მდგომ პაველ პავლოვიჩს მიუბრუნდა იგი, – ჩვენ, ანუ მე და ნადეჟდა ფედოსეევნას, – სცრიდა კბილებში, თანაც სავარძელში დაუდევრად გაითხლაშა, – დიდი ხანია უკვე ერთმანეთი გვიყვარს და პირობაც მივეცით ურთიერთს. თქვენ ახლა ხელს გვიშლით. მე იმისთვის გეახელით, გზის დაცლა შეგთავაზოთ. ინებებთ, ამ ჩემს წინადადებას დასთანხმდეთ? პაველ პავლოვიჩი შებარბაცდა. კიდევ გაფითრდა, მაგრამ უმაღვე გესლიანი ღიმილი მოიშველია. – არა, სრულეებითაც არ ვინებებთ, – მოუჭრა მოკლედ. – ბიჭოს! – ყმაწვილი მიტრიალდა და ფეხი ფეხზე შემოიღო. – არც კი ვიცი, ვისთან ვლაპარაკობ, – დასძინა პაველ პავლოვიჩმა, – ვფიქრობ, მეტი სალაპარაკოც არაფერი გვაქვს. ეს რომ

თქვა, თვითონაც საჭიროდ მიიჩნია დამჯდარიყო. – აკი, გითხარით, დაილღებით-მეთქი, – აგდებულად შენიშნა ყმაწვილმა, – მე უკვე გამცნეთ, ჩემი გვარი ლობოვია და მე და ნადეჟდა ფედოსეევნამ ერთმანეთს პირობა მივეცით-მეთქი, – მაშასადამე ვერ იტყვით, არ ვიცი, ვისთან მაქვს საქმეო; ვერც იმას იფიქრებთ, სალაპარაკო მეტი არაფერი გვაქვსო. ჩემზე რომ აღარაფერი ითქვას, – საქმე ეხება ნადეჟდა ფედოსეევნას, რომელსაც თქვენ ასე უტიფრად ეტმასნებით. მარტო ეგ კმარა მიზეზად. ეს ყველაფერი კბილებში გამოსცრა, როგორც კობტაპრუწებს მოსდგამთ, თითქოს სიტყვასაც იმადლებათ. – მოითმინეთ, ახალგაზრდა... – ის იყო გაგულისებით შესძახა პაველ პავლოვიჩმა, მაგრამ "ახალგაზრდამ" მყისვე ბურთი ჩასჩარა პირში. – სხვა დროს მე, რა თქმა უნდა, აგიკრძალავდით, "ახალგაზრდა" გეწოდებინათ ჩემთვის, მაგრამ ამჟამად, თვითონ დამეთანხმებით, ჩემი ახალგაზრდობა მთავარი ჩემი უპირატესობაა თქვენს წინაშე. ძალიანაც გენდომებოდათ, მაგალითად, დღეს, იმ თქვენი სამაჯურის ჩუქებისას, თუნდაც ერთი ბეწოთი უფრო ახალგაზრდა ყოფილიყავით. – ოჰ, შე ცინგლიანო! – წაიჩურჩულა ველჩანინოვმა. – ყოველ შემთხვევაში, – მოწყალეო ბატონო, – იხტიბარი არ გაიტეხა პაველ პავლოვიჩმა, – თქვენი მიზეზები – არასაკადრისი და ფრიად საეჭვო – მაინც არ მიმაჩნია საკმარისად კამათის გაგრძელებისათვის. ვატყობ, რომ ეს ბავშვური, ქარაფშუტული საქციელია; ხვალვე

ყველაფერს გამოვკითხავ დიდად პატივცემულ ფედოსეი სემიონოვიჩს, ახლა კი გთხოვთ, გადამარჩინოთ ამ ლაპარაკს. – არა, თუ ხედავთ, რა ყაიდის კაცია! – უმაღლეს შესძახა ყმაწვილმა, რომელსაც კილომ უღალატა და გაფიცხებული მიუბრუნდა ველჩანინოვს. – იქ ხომ თავიდან იშორებენ და ზურგს აქცევენ, ახლა კიდევ ის მოინდომა, ხვალ ბერიკაცთან დაგვაბეზლოს! ხომ არ ადასტურებთ ამით, ჯიუტო ადამიანო, რომ თქვენ ქალიშვილის ძალით წაყვანა გსურთ, რომ თქვენ ყიდულობთ მას, ყიდულობთ გამოჩერჩეტებული ხალხისაგან, ვინც ქალზე ძალას ინარჩუნებს საზოგადოებრივი ბარბაროსობის წყალობით? აკი საკმაოდ ნათლად დაგანახვათ ვგონებ, მეზიზღებითო; აკი დაგიბრუნეს თქვენი დღევანდელი უგვანო საჩუქარი, ის თქვენი სამაჯური? სხვა რაღა გინდათ? – არავითარი საჩუქარი ჩემთვის არ დაუბრუნებიათ, და ეს შეუძლებელიცაა, – შეკრთა პაველ პავლოვიჩი. – როგორ თუ შეუძლებელია? განა ბატონ ველჩანინოვს არ გადმოუცია? "ოჰ, ეშმაკმა წაიღოს შენი თავი!" – გაიფიქრა ველჩანინოვმა. – მე მართლაც, – ჭმუხვებით წარმოთქვა მან, – ნადეჟდა ფედოსეევნამ დამავალა თქვენთვის, პაველ პავლოვიჩ, ეს ბუდე გადმომეცა. არ ვართმევდი, მაგრამ – მთხოვა... აგერ არის... მწყინს კია... ამოიღო ბუდე და, დარცხვენილმა, გაშტერებულ პაველ პავლოვიჩს წინ დაუდო. – რატომ აქამდე არ გადაეცით? – მკვახედ მიუბრუნდა ველჩანინოვს ყმაწვილი კაცი. – ვერ მოვასწარი, ალბათ, – შუბლი შეიკრა ველჩანინოვმა. – უცნაურია. – რა-ა-ო? – ყოველ შემთხვევაში, უცნაურია ეს, თვითონ დამეთანხმებით. თუმცა ყაბულსა ვარ, გაუგებრობად ჩავთვალთ. ველჩანინოვს უსაშველოდ მოუნდა, ერთი ამდგარიყო და ამ ბიჭისთვის ყურები მაგრად აეწია; მაგრამ სიცილმორეულმა თავი ვერ შეიკავა და უცებ წაიფრუტუნა. ბიჭს იმ წამსვე თვითონაც გაეცინა. მაგრამ სულ სხვაგვარ დღეში გახლდათ პაველ პავლოვიჩი; თუ იმ დროს, როცა ლობოვს სიცილი დააყარა, ველჩანინოვს შეენიშნა პაველ პავლოვიჩის მძვინვარე შემოხედვა, უმაღლეს იაზრებდა, ეს კაცი ამ წუთს რაღაც საბედისწერო საზღვარს გადადისო... თუმცა ეს შემთხვევა არ შეუმჩნევია, ველჩანინოვი მაინც მიხვდა, პაველ პავლოვიჩისთვის მხარის დაჭერა მმართებსო. – გამიგონეთ, ბატონო ლობოვ, – მეგობრული კილოთი მიმართა მან, – არ

მინდა და არც შევუდგები სხვა მიზეზებზე მსჯელობას, მხოლოდ იმას შევნიშნავდი თქვენდა საგულისხმოდ, რომ პაველ პავლოვიჩს ნადეჟდა ფედოსეევნას ხელის მთხოვნელის პირობაზე, რაც უნდა იყოს, ხელსაყრელი მდგომარეობა აქვს: ჯერ ერთი, ის პატივსადები ოჯახი იცნობს მას, მეორეც, ჩინებული და საპატიო მდგომარეობა უჭირავს. დაბოლოს, ქონება აქვს; ჰოდა, მაშ, ბუნებრივია უკვირდეს, როცა თქვენისთანა მეტოქეს ხედავს, – კაცს, იქნება დიდ ღირსებათა მქონესაც, მაგრამ მართლაც და იმდენად ახალგაზრდას, რომ არ შეუძლია სერიოზულ მეტოქედ მიაჩნდეთ... ამიტომ მართალი გახლდათ, როცა გთხოვთ, ლაპარაკს მოვრჩეთო. – რას ნიშნავს ვითომ ეს "იმდენად ახალგაზრდა?" უკვე ერთი თვეა, ცხრამეტი გავათავე, კანონმა დიდი ხანია ქორწინების უფლება მომანიჭა. მორჩა და გათავდა. – კი, მაგრამ რომელი მამა გაბედავს, ამჟამად ქალი გამოგატანოთ – თუნდაც ათგზის მილიონერი გახდეთ მომავალში, ანდა ვინმე კეთილისმყოფელი კაცობრიობისა? ცხრამეტი წლის კაცი თავის თავზეც ვერ აგებს პასუხს, თქვენ კი გინდათ სხვისი მომავალიც კისრად იდოთ, მერე თქვენისთანა ბაღლისავე მომავალი! ხომ არც ეს უნდა იყოს მთლად კეთილშობილური, როგორ ფიქრობთ? თუ ნება მივეცი ჩემს თავს და ესა ვთქვი, მხოლოდ იმიტომ, რომ თვითონვე მომართეთ, როგორც შუამავალს თქვენსა და პაველ პავლოვიჩს შორის. – ჰო, მართლა, აკი პაველ პავლოვიჩი ჰქვია! – შენიშნა ყმაწვილმა, – მაშ, საიდან ამეკვიატა, ვასილი პეტროვიჩი ჰქვიაო? აი, რას გეტყვით, – ველჩანინოვს მიუბრუნდა იგი, – თქვენი სულაც არ მიკვირს; ვიცოდი, რომ ყველანი მაგნაირები ხართ! საკვირველია მაინც, რომ თქვენზე ისე მელაპარაკენ, როგორც, ასე გასინჯეთ, რამდენადმე ახალგაზრდა კაცზე! თუმცაღა, ეს ყველაფერი წვრილმანია, მთავარი ის არის, რომ მე, ჩემის მხრივ, არაკეთილშობილურად როდი ვიქცევი, როგორც თქვენ დამწამეთ ახლა. პირიქით; და ეს ვინძლო გაგაგებინოთ; ჯერ ერთი, რომ ურთიერთისთვის პირობა გვაქვს მიცემული; გარდა ამისა, გულახდილად აღვუთქვი, ორი მოწმის თანდასწრებით, რომ თუ ოდესმე სხვა ვინმე შეუყვარდა, ანდა უბრალოდ ინანა, რომ ცოლად გამომყვა, და გაყრა მოისურვა, მაშინვე მივცემ ჩემს მიერ ვითომდა ჩადენილი მრუშობის აქტს – და მაშ, ამრიგად მხარს დავუჭერ იქ, სადაც ჯერ არს, მის თხოვნას გაყრის თაობაზე. უფრო მეტიც: იმ შემთხვევისთვის, ვინცობაა შემდგომ სიტყვის უკან წაღება მოვინდომო და აქტის მიცემაზე უარი ვთქვა, თვით ქორწინების დღეს საწინდრად ვაძლევ ასი ათასი მანეთის თამასუქს; ასე რომ, თუ გავჯიუტდი და აქტი არ გავეცი, შეუძლია მაშინვე წარადგინოს ის

ჩემი თამასუქი და მეც სურკუპი არ ამცდება (სურკუპი (ფრანგ. – suroup) – ბანქოს სათამაშო ტერმინი, აქ პასუხისგებაში მიცემას ნიშნავს) ! ამრიგად, ყველაფერი განჭვრეტილია, არავის მომავალს საფრთხეში არ ვაგდებ. ესეც პირველი, ჩემო ბატონო. – სანაძლეოს ვდებ, რომ ეგ იმის – რა ჰქვია – პრედპოსილოვის მოგონილი იქნება, – შესძახა ველჩანინოვმა. – ხი, ხი, ხი! – გესლიანად ახითხითდა პაველ პავლოვიჩი. – ნეტა რა ახითხითებს ამ ვაჟბატონს? თქვენ გამოცანა გერგებათ. – ეს აზრი პრედპოსილოვისაა; და დამეთანხმებით, ეშმაკურადაც არის მოფიქრებული. სულელურ კანონს სრულიად უძლურს ხდის. რა თქმა უნდა, მე განზრახული მაქვს მუდამ მიყვარდეს ის, – ამაზე საშინლად ხარხარებს ხოლმე, – მაგრამ, ხომ მარჯვედ არის მოფიქრებული, თანაც დამეთანხმეთ, რომ მართლაც კეთილშობილურია. ასეთ რამეს ხომ ყველა ვერ გაბედავს? – მე მგონი, კეთილშობილური კი არა და პირდაპირ საზიზღარი რამეა. ყმაწვილმა კაცმა მხრები აიჩქია. – მაინც არ მიკვირს თქვენი, – შენიშნა მცირეოდენი დუმილის შემდეგ – ეს ყოველივე დიდი ხანია უკვე აღარ

მაკვირვებს. პრედპოსილოვი რომ აქ იყოს, პირდაპირ მოგიჭრიდით, სრულიად ბუნებრივი რამეების ეს ამგვარი თქვენი გაუგებლობა იქიდან წარმოსდგება, რომ თვით ყველაზე უფრო ბუნებრივი თქვენი გრძნობები თუ შეხედულებანი გაუკუღმართებულია და ამაში ჯერ ერთი ხანგრძლივ უაზრო ცხოვრებას, მეორე კიდევ ასევე ხანგრძლივ მცონარობას მიუძღვის ბრალიო. თუმცაღა, შესაძლოა, ჯერ კიდევ ვერ ვუგებთ ერთმანეთს; რაც უნდა იყოს, თქვენს შესახებ კარგად მელაპარაკენ... ერთი ორმოცდაათი წლისა მაინც იქნებით? – საქმეს მიხედეთ, გეთაყვა. – მაპატიეთ მოურიდელობა და არ მიწყინოთ; რაიმე განზრახვით არ მომსვლია. განვაგრძობ: მე მომავალი ათგზის მილიონერი სულაც არ გახლავართ, როგორც თქვენ ბრძანეთ (ან ეგრე აზრი მოგსვლიათ!) რასაც მხედავთ, ეგა ვარ; სამაგიეროდ, ჩემი მომავალი სულაც არ მაეჭვებს. გმირი ან ვისიმე კეთილისმყოფელი არ ვიქნები, მაგრამ ჩემი თავი და ცოლი უზრუნველყოფილი მეყოლება. რასაკვირველია, ჯერ არაფერი მაბადია, ის კი არა, იმათ სახლში ვიზრდებოდი, პატარაობიდანვე... – ეგ როგორ? – როგორ და მე მაგ ზახლებინინის ცოლის ერთი შორეული ნათესავი ვარ; ჰოდა, როცა ყველა ჩემიანი დაიხოცა და რვა წლისა დამაგდეს, მაგ ბერიკაცმა წამომიყვანა და მერე გიმნაზიაში მიმაზარა. ეგ კაცი გულკეთილიც კია, თუ გინდათ იცოდეთ... – ვიცი... – დიახ; ოღონდ მართლაცდა მეტისმეტად ძველი ყაიდის კაცია. თუმცაღა, კეთილია-მეთქი. რასაკვირველია, უკვე დიდი ხანია მის მზრუნველობას თავი დავალწიე, მინდა ჩემით ვირჩინო თავი და არცთუ ვინმესგან ვიყო დავალებული, ჩემი თავის გარდა. – კი, მაგრამ როდის დააღწიეთ თავი? – დაინტერესდა ველჩანინოვი. – კაი ოთხი თვე იქნება უკვე. – ჰოო, მაშ ყველაფერი გასაგებია: სიყრმის მეგობრები ყოფილხართ! მერედა, სამსახური გაქვთ? – მაქვს, კერძო, ერთი ნოტარიუსის კანტორაში, თვიურად ოცდახუთ მანეთს მიხდიან, რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ ჯერხნობით, აბა როცა ნადიას ხელი ვითხოვე, ამდენიც არ მქონდა. მაშინ რკინიგზაზე ვმუშაობდი, თვეში თუმნად, ოღონდ ეს ყველაფერი დროებითი ამბავია. – განა ხელიც სთხოვეთ? – ფორმალურად კი, დიდი ხანია უკვე, სამი კვირა იქნება. – მერე რა გითხრეს? – ბერიკაცს ძლიერ გაეცინა, მერე კი ძლიერ გაბრაზდა; ხოლო ნადია აიღეს და ზევით, ქანდარაზე, ჩაკეტეს. მაგრამ მამაცურად გაუძლო. თუმცაღა ეგ მარცხი იმიტომ მოგვივიდა, რომ ბერიკაცი ჯერ კიდევ მანამდეც კბილს იღესავდა ჩემზე, იმიტომ იღესავდა, რომ სამსახური მივატოვე დეპარტამენტში, სადაც თვითონ გამამწესა ოთხი თვის წინათ, ჯერ კიდევ რკინიგზამდე; კიდევ ვიმეორებ, კარგი ბერიკაცია, უბრალო და ხალისიანი, მაგრამ როგორც კი დეპარტამენტში შედგამს ფეხს, მტრისას! ნამდვილი იუპიტერი გეგონებათ! მე, ბუნებრივია, ვაგრძნობინე, რომ მისი საქციელი ბოლოს და ბოლოს არაფრად მეპიტნავებოდა. მაგრამ ყველაფერი მაინც მაგიდის უფროსის თანაშემწის მიზეზით მოხდა: ამ ვაჟბატონს ჩივილი მოეპრიანა, თითქოს მე მისთვის "უხეშად" მიმემართოს, მე კი მხოლოდ და მხოლოდ ის ვუთხარი, უვიცი ხარ-მეთქი. იმათ ყველას თავი მივანებე და ნოტარიუსთან დავდექი. – დეპარტამენტში ბევრ იღებდით? – ააჰ, შტატგარეშე ვიყავი! ისევ ბერიკაცი მინახავდა; გეუბნებით, კეთილია-მეთქი, მაგრამ ჩვენ მაინც არ დავუთმოვთ, რა თქმა უნდა, ოცდახუთი მანეთი რა უზრუნველყოფაა; მაგრამ ვიმედოვნებ, მალე გრაფ ზავილეისკის უთავბოლოდ მიშვებული მამულების მართვა-გამგეობაში მივიღებ მონაწილეობას და მაშინ ერთბაშად სამი ათასს გავიკრავ, ან არადა ნაფიცი ვექილი გავხდები. ეძებენ კიდევ ამჟამად ხალხს... ოჰო! როგორ გრუხუნებს, გავარდება; კიდევ კარგი, გამოვასწარი; მე ხომ

ფეხით მოვედი იქიდან, მთელი გზა მოვრბოდი. – კი, მაგრამ მოითმინეთ, თუ აგრეა,

როდისღა მოასწარით ნადეჟდა ფედოსეევნასთან ლაპარაკი, მით უმეტეს, თუ სახლში არ გიღებენ? – ოჰ, ეს ღობიდანაც ხერხდება! წითური გოგო თუ შეამჩნიეთ? – გაეცინა მას, – ჰოდა, ისიც ზრუნავს ამეებზე და მარია ნიკიტაშნაც; ოღონდ გველია ის მარია ნიკიტაშნა!.. რატომ იჭმუხნებით? ჭექა-ქუხილისა ხომ არ გეშინიათ? – არა, უქეიფოდ ვარ, ძალიან უქეიფოდ... – მართლაც, ველჩანინოვი, რომელსაც ისევ გაუხსენა გულ-მკერდის ტკივილმა, წამოდგა სავარძლიდან და სცადა ოთახში გაეარ-გამოეარა. – აჰ, მაშ მე, ცხადია ხელს გიშლით, – ნუ გეფიქრებათ, ამ წუთს! – და ყმაწვილი ზეზე წამოხტა. – არ მიშლით, არაფერია, – შეეთავაზიანა ველჩანინოვი. – რაღა არაფერია, როცა "კობილნიკოვს მუცელი ასტკივებია", – გახსოვთ შჩედრინისა? გიყვართ შჩედრინი? – კი. – მეც. აბა, ვასილი... ჰო, მართლა, რა ჰქვია, პაველ პავლოვიჩი, მოვრჩეთ! – ლამის სიცილით მიუბრუნდა იგი პაველ პავლოვიჩს. – თქვენდა გასაგებად ერთხელ კიდევ ვაყალიბებ კითხვას: თანახმა ხართ თუ არა, ხვალვე, ჩემი თანდასწრებით, მოხუცების წინაშე ოფიციალურად თქვათ უარი თქვენს ყოველგვარ პრეტენზიაზე ნადეჟდა ფედოსეევნას მიმართ? – თანახმა კი არა და, – წამოდგა მოთმინებადაკარგული, გაცხარებული პაველ პავლოვიჩიც, – თანაც ერთხელ კიდევ გთხოვთ, თავი გამანებოთ... იმიტომ რომ ყველაფერი ეს ბავშვობა და სისულელეა. – იცოდეთ, – თითის დაქნევით დაემუქრა ყმაწვილი და ქედმაღლურად გაიღიმა, – ანგარიში არ შეგეშალოთ! იცით თუ არა, რა მოსდევს ანგარიშის შემლას? მე კიდევ გაგაფრთხილებთ ცხრა თვის შემდეგ, როცა იქ უკვე დაიხარჯებით, გაწვალდებით და აქ დაბრუნდებით, – მაშინ იძულებული შეიქნებით თქვენ თვითონვე თქვათ უარი ნადეჟდა ფედოსეევნას თხოვნაზე, არ იტყვიან და, – ისევ თქვენთვისვე იქნება უარესი; აი, სადამდე მიიყვანთ საქმეს! ბარემ ისიც უნდა გაგაგებინოთ, რომ თქვენ ახლა თივაზე მოკალათებულ ძაღლს ჰგავხართ, – მაპატიეთ, ეს მხოლოდ შედარებაა, – არც თქვენთვისა ხართ, არც სხვისთვის. ჰუმანურობისათვის გიმეორებთ: კიდევ მოიფიქრეთ, აიძულეთ საკუთარი თავი, სიცოცხლეში ერთხელ მაინც საფუძვლიანად მოიფიქროთ. – გთხოვთ, თავი დაანებოთ ჩემს ჭკუის სწავლებას, – გააფთრებით შესძახა პაველ პავლოვიჩმა, – რაც შეეხება მაგ თქვენს საზიზღარ ნართაულებს, ხვალვე ზომებს მივიღებ. მკაცრ ზომებს! – საზიზღარი ნართაულებით? კი მაგრამ რის შესახებ ამბობთ? თქვენივე ბრალია, თუ რამ ისეთი გავიფიქრეთ. თუმცა ყაბულსა ვარ, ხვალამდე მოვიცადო, მაგრამ თუ... აჰ, ისევ ეს ჭექა-ქუხილი! ნახვამდის, თქვენი გაცნობა მახარებს, – თავი დაუქნია ველჩანინოვს და გაიქცა; ალბათ ჩქარობდა, გზად ავდარს არ მოესწრო და წვიმაში არ გალუმპულიყო.

XV - გასწორდნენ

– ნახეთ? ნახეთ? – მივარდა პაველ პავლოვიჩი ველჩანინოვს, როგორც კი ის ყმაწვილი წავიდა. – აბა, არ გწყალობთ ბედი! – უცაბედად წამოსცდა ველჩანინოვს. კი არ ეტყოდა ამგვარ რამეს, მაგრამ ამ მკერდის ტკივილმა, უფრო და უფრო რომ უმძაფრდებოდა, ძალიან გაამწარა და გააბოროტა. პაველ პავლოვიჩი გველნაკბენივით შეკრთა. – მაშ, თქვენ – ჩანს, გებრალეობდით და იმიტომ არ მიბრუნებდით სამაჯურს, არა – ჰხე? – ვერ მოვასწარი... – გულწრფელად გებრალეობდით, როგორც ჭეშმარიტი მეგობრის ჭეშმარიტ მეგობარს, არა? – ჰო, მაშ, მეებრალეობდით, – გაბრაზდა ველჩანინოვი. მაინც უამბო მოკლედ, როგორ ჩაიბარა უკანვე სამაჯური და ნადეჟდა ფედოსეევნამ თითქმის ძალით როგორ დაიყაბულა... – ხომ გესმით, არაფრისდიდებით არ გამოვართმევდი; უიმისოდაც იმდენ უსიამოვნებას გადავეკიდე! – მოიხიბლეთ და გამოართვით! – ჩაიქირქილა პაველ პავლოვიჩმა. – სისულელეა ამის თქმა თქვენის მხრით; თუმცადა, უნდა გეპატიოთ. თვითონვე ნახეთ ამ წუთას, რომ მე კი არა, სხვა ვინმეს მიუძღვის ბრალი მაგ საქმეში! – მაინც მოიხიბლეთ. პაველ პავლოვიჩი დაჯდა და ჭიქა შეივსო. – თქვენ გგონიათ, მაგ ბიჭუკელას დავუთმოვ? აბა მიყუროს, როგორ მოვგრიხო! ხვალვე წავალ და ყველაფერს ჩავუშლი. მოვიყვან რჯულზე მაგ დიდგულა ღლაპს... თითქმის სულმოუთქმელად დაცალა ჭიქა და კიდევ დაისხა; საერთოდ, აქამდე უჩვეულო უკრძალველობით დაიწყო ქცევა. – დახე, ნადენკა საშენკასთან ერთად, საყვარელი ბავშვები, – ხი, ხი, ხი! ბრაზისაგან გონზე აღარ იყო. კვლავ გამაყრუებლად იჭექა, თვალისმომჭრელად იელვა და კოკისპირულმა წვიმამაც დასცხო. პაველ პავლოვიჩი ადგა და გაღებული ფანჯარა ჩაკეტა. – არა, წელან რომ გეკითხებოდათ: "ჭექა-ქუხილის ხომ არ გეშინიათო?" – ხი, ხი! ველჩანინოვი და ჭექა-ქუხილის შიში! კობილნიკოვსო – როგორ არა – კობილნიკოვსო... ანდა ორმოცდაათი წლისა თუ იქნებითო – ჰა? გახსოვთ? – გესლით ლაპარაკობდა პაველ პავლოვიჩი. – თქვენ, ვხედავ, მოგიკალათებიან აგერ, შენიშნა ველჩანინოვმა, რომელიც ძლივს აბრუნებდა ენას ტკივილის გამო, – მე დავწვები... თქვენ როგორც გინდოდეთ. – აბა, ასეთ ამინდში ძაღლს არ გააგდებენ კარში! – წყენით გაეპასუხა პაველ პავლოვიჩი, თუმცა ლამის უხაროდა კიდევ, რომ განაწყენების უფლება ჰქონდა. – ჰო, კარგი, იჯექით, სვით... თუგინდ ღამეც გაითიეთ! წამოილულლულა ველჩანინოვმა, დივანზე მიწვა და ოდნავ წამოიკვნესა. – ღამე გავითიო? მერე თქვენ არ შეგეშინდებათ? – რისი? – ანაზდად თავი წამოსწია ველჩანინოვმა. – არაფრის, ისე გითხარით. ამ წინაზე თითქოს შეშინდითო, თუ იქნება მომეჩვენა მხოლოდ... – სულელი ხართ თქვენ, – ვერ მოითმინა ველჩანინოვმა და გაჯავრებული შებრუნდა კედლისკენ. – ფიქრი ნუ გაქვთ, – გაეპასუხა პაველ პავლოვიჩი. ავადმყოფს როგორღაც უცებ ჩაეძინა, მიდო თუ არა თავი ბალიშზე, იმწამსვე. დღევანდელი დღის უზომო დამაბულობისაგან, როცა ამ ბოლო დროს ისედაც ძლიერ შერყეული ჰქონდა ჯანმრთელობა, როგორღაც ერთბაშად განთავისუფლდა; ამიტომ თავი ბავშვივით არაქათგამოცლილად იგრძნო. მაგრამ ტკივილმა მაინც იძალა, ძილი დაუფრთხო. ერთი საათის შემდეგ გამოელვიდა. ტანჯვით წამოდგა დივანიდან. ავდარს გაევილო; ოთახი პაპიროსის ბოლში იყო გახვეული; ბოთლი გამოცლილი იდგა, ხოლო პაველ პავლოვიჩს მეორე დივანზე ეძინა. გულაღმა იწვა, თავი დივანისავე ბალიშზე მიედო, წაღებიანად წამოგორებულიყო და არც ტანთ გაეხადა. ის თავისი

ზონრიანი ლორნეტი ჯიბიდან გადმოსცურებოდა და ლამის იატაკამდე ჩამოჰკონწიალებოდა. შლაპაც იქვე, იატაკზე ეგდო. ველჩანინოვმა პირქუშად გადახედა, მაგრამ გაღვიძებით არ გაუღვიძებია. მოკუნტული ბოლთასა სცემდა ოთახში, რადგან წოლა უკვე აღარ შეეძლო; კვნესოდა და ამ თავის სატკივარზე ფიქრობდა. მაგ მკერდის არეში შემოჩვეული ტკივილისა უმიზეზოდ როდი ეშინოდა. ეს შეტევები დიდი ხანი იყო უკვე, რაც დასჩემდა; ოღონდ იშვიათად წამოუვლიდა ხოლმე – წელიწადში ან ორ წელიწადში ერთხელ იცოდა, რომ ეს ღვიძლის ბრალი იყო. თავდაპირველად გულ-მკერდის არის რომელიმე წერტილში, გულის კოვზთან ან ცოტა უფრო ზემოთაც იგრძნობოდა ჯერ კიდევ სუსტ, ყრუ ტკივილს, ყრუს, მაგრამ გამაღიზიანებელს. მერმე ეს ტკივილი განუწყვეტლივ მატულობდა, ზოგჯერ ზედიზედ ათი საათის განმავლობაშიც; ბოლოს ისეთი მძაფრი ხდებოდა, ისეთი აუტანელი, რომ ავადმყოფს სიკვდილი ენატრებოდა. ამ ერთი წლის წინანდელმა, ბოლო შეტევამ, როცა ტკივილი ათი საათის შემდეგ დაუწყებდა, ისერიგად გამოასავათა, ლოგინში გამოტილს ლამის ხელის განძრევის თავიც აღარ ჰქონდა. ექიმმა ნება დართო, მთელი დღის მანძილზე და მხოლოდ რამდენიმე კოვზი სუსტი ჩაი შეესვა და თანაც ბულიონში ჩალბობილი ერთი ბეწო პური შეეტანებინა, თითქოს ჩვილი ბავშვი ყოფილიყოს. ეს ტკივილი სხვადასხვა შემთხვევის გამო წამოეწყებოდა,

ოღონდაც მუდამ ნერვების აშლას მოჰყვებოდა ხოლმე. უცნაურად წამოუვლიდა და უცნაურადვე გაუვლიდა: ხანდახან დასაწყისშივე მიუსწრებდა, უბრალოდ ცხელსაფენს დაიდებდა და ყველაფერი ერთბაშად გაუვლიდა. მაგრამ ზოგჯერ, როგორც ეს ბოლო შეტევის დროს მოხდა, არაფერი აღარ შველოდა; მხოლოდ პირსასაქმებლის მრავალგზის და ზედიზედ დაღვევის შემდეგ დაუცხრა. ექიმი გამოუტყდა შემდგომ, მეგონა, მოწამლული თუ იყავითო. ახლა გათენებას ჯერაც ბევრი უკლდა, არ უნდოდა კაცი გაეგზავნა ამ შუაღამეს ექიმის მოსაყვანად, მერე არც უყვარდა ექიმები. ბოლოს ვეღარ გაუძლო და ხმამაღლა კვნესას მოჰყვა. ამ კვნესამ გამოაღვიძა პაველ პავლოვიჩი: იგი დივანზე წამოიწია და ერთხანს ასე იჯდა. შიშით აყურადებდა და გაკვირვებული თვალს ადევნებდა ველჩანინოვს, რომელიც ორივე ოთახში დაბორილობდა და ლამის ადგილს ვეღარ პოულობდა. ის ერთი ბოთლი ღვინო, დაწოლის წინ რომ დალია, ეტყობა ჩვეულებრივზე უფრო მაგრად მოჰკიდებოდა პაველ პავლოვიჩს, და ახლა დიდხანს ვერ მოისაზრა, რა ხდებოდა. ბოლოს მიხვდა და ველჩანინოვს მივარდა; ამ უკანასკნელმა რაღაც წაიდუღუნა პასუხად. – ეგ თქვენ ღვიძლისაგან გჭირთ, ვიცი! – უეცრივ დიდად გამოცოცხლდა პაველ პავლოვიჩი, – აი, პიოტრ კუზმიჩ პოლოსუხინსაც სწორედ ეგრე სჭირდა, იმასაც ღვიძლისაგან. მაგას ცხელი საფენები უშველიდა. პიოტრ კუზმიჩი ყოველთვის ცხელ საფენებს იდებდა... ეგ ხომ კლავს კიდევ ადამიანს! ერთი მავრასთან ჩავირბინო – ჰა? – არ უნდა, არ უნდა, – ხელების ქნევით იცილებდა გაგულისებული ველჩანინოვი, – არაფერი არ უნდა. მაგრამ პაველ პავლოვიჩი, ღმერთმა იცის რატომ, თავის ქერქში ვეღარ ჩატეულიყო, გეგონებოდათ, საქმე ღვიძლი შვილის შველას ეხებაო. არაფრის გაგონება არ სურდა და დაჟინებით არწმუნებდა ველჩანინოვს, უეჭველად ცხელი საფენები დაედო, ამავე დროს სამი-ოთხი ფინჯანი სუსტი ჩაიც ერთბაშად დაელია, "ოღონდ განა ჩვეულებრივი ცხელი, – მდუღარე ჩაი!" დასტურს არ დაელოდა, მაინც გაიქცა მავრასთან, მასთან ერთად გააჩაღა ცეცხლი სამზარეულოში, გააჩაღა სამოვარიც; იმავე დროს ავადმყოფის დაწვენაც მოასწრო, ზედა ტანისამოსი გახადა, საბანში გახვია, და სულ რაღაც ოციოდე წუთში ჩაიც გაუმზადა და პირველი ცხელსაფენიც. – ეს გახურებული თევზებია, გავარვარებული! – ლამის

აღფრთოვანებით მიმართავდა ველჩანინოვს, თანაც ამ გახურებულ, ხელსახოცში შეხვეულ თეფშს ადებდა მტკივან ადგილზე, – სხვა ცხელსაფენები აქ არ არის, შოვნას კიდევ დიდი დრო დასჭირდებოდა, თეფშები კი, პატიოსნებას გეფიცებით, მაინც ყველაფერს ჯობს; პირადად გამომიცდია პიოტრ კუზმიჩზე. ეგ ისეთი სენია... აკი კლავს კიდევ ადამიანს. შესვით ეს ჩაი, გადახუხეთ, – კი, დაგთუთქავთ პირს, მაგრამ რას იზამთ, სიცოცხლე გერჩივნოთ... უშნო კუდაბზიკობას... ნახევრადმძინარე მავრა ლამის ხელში შეიკლა პაველ პავლოვიჩმა; თეფშებს ყოველ სამ-ოთხ წუთში უცვლიდნენ ავადმყოფს. მესამე თეფში რომ დაადეს და მეორე ჭიქა მდულარე ჩაიც ერთბაშად გადააკვრევინეს, ხელადვე შვება იგრძნო ველჩანინოვმა. – თუ ერთხელ კი შეგვიდრკა ეგ ტკივილი, მაინც მადლობა ღმერთს, კარგი ნიშანია! – შესძახა პაველ პავლოვიჩმა და გახარებული გაიქცა ახალი თეფშისა და ისევ ჩაის მოსატანად. – ოღონდ ერთი წელში გაგვატეხინა! ერთი უკან შეგვატრიალებინა ეგ ტკივილი! – იმეორებდა წამდაუწუმ. ნახევარი საათის შემდეგ ავადმყოფს სავსებით გაუნელდა ტკივილი, მაგრამ თვითონ ავადმყოფი ისერიგად გაწამდა, რომ, როგორ არ ემუდარა პაველ პავლოვიჩი – მაინც არ დაჰყაბულდა, "კიდევ ერთი თეფშისათვის" გაეძლო. დაოსებულს თვალები ებლიტებოდა. – მეძინება, მეძინება, – გაიმეორა მისავათებული ხმით. – ჰო, კარგი! – დაეთანხმა პაველ პავლოვიჩი. – თქვენც მოისვენეთ... რომელი საათია? – ორი სრულდება, ჩარეკი უკლია. – დაიძინეთ. – ვიძინებ, ვიძინებ. წუთის შემდეგ ავადმყოფმა კვლავ უხმო პაველ პავლოვიჩს. – თქვენ, თქვენ, – წამოილულლულა, როცა პაველ პავლოვიჩმა მიირბინა და მის თავზე დაიხარა, – თქვენ ჩემზე უკეთესი ხართ! მე ყველაფერი მესმის, ყველაფერი... მადლობელი ვარ. – დაიძინეთ, დაიძინეთ, – წაიჩურჩულა პაველ პავლოვიჩმა და საჩქაროდ ფეხაკრეფით გაემართა თავისი დივნისაკენ. ძილ-ღვიძილში ავადმყოფს ჯერ ისევ ესმოდა, პაველ პავლოვიჩი რომ უჩუმრად და სახელდახელოდ იშლიდა ლოგინს, ტანისამოსს იხდიდა; ბოლოს სანთლებიც დააქრო და ლამის სუნთქვაშეკრული, არ ვიხმაუროო, თავის დივანზე გაიჭიმა. უეჭველია, ველჩანინოვს ეძინა: ჩააქრეს თუ არა სანთლები, მალევე მიეცა ძილს; ეს ნათლად გაიხსენა შემდგომ. მაგრამ ძილში კი, თვით იმ წუთამდე, მანამ თვალებს გაახელდა, სიზმრად ხედავდა, რომ არ ეძინა და არც არასდიდებით რული არ ეკიდებოდა, თუმცა სულმთლად გამოსავათებული კი იყო. ბოლოს ეზმანა, ვითომც ცხადად ბოდვას იწყებდა, ვითომც ვერაფრით ვერ იშორებდა გარსმოჯარულ მოჩვენებებს, თუმცა სავსებით ნათლად ესმოდა, რომ ეს სინამდვილე კი არა,

მხოლოდ და მხოლოდ ბოდვა იყო. მოჩვენებები სუყველა ეცნაურა; ხედავდა, ვითომ მისი ოჯახი ხალხით გაჭედილი ყოფილიყოს, ხოლო დერეფანში გამავალი კარი – ღია; ხალხი გროვა-გროვად შემოდის და კიბეზეც ტევა არ იყო. შუაგულ ოთახში გამოდგმულ მაგიდას ერთი კაცი უჯდა – სწორედ ისევე, როგორც იმ სიზმარში, ამ ერთი თვის წინ რომ ნახა, როგორც მაშინ, ეს კაცი ახლაც მაგიდას ჩამოყრდნობოდა და ხმის ამოღებას არ აპირებდა; ოღონდ ამჯერად კრეპიანი მრგვალი შლაპა ეხურა. "როგორ? ნუთუ ეს კაცი მაშინაც პაველ პავლოვიჩი იყო?" – გაიფიქრა ველჩანინოვმა. მაგრამ სახეზე რომ შეავლო თვალი ამ მდუმარედ მჯდომ კაცს, დარწმუნდა, სულ სხვა ვიღაცა ყოფილაო. "ეს კრეპი ნეტა რაღად აქვს?" – კვირობდა ველჩანინოვი; მაგიდასთან მიჯარული ხალხისაგან საშინელი ხმაური, ყაყანი და გნიასი იდგა. ჩანდა, ეს ხალხი ახლა კიდევ უფრო გაბოროტებულიყო ველჩანინოვზე, ვიდრე იმ მაშინდელ სიზმარში; ხელების ქნევით ემუქრებოდნენ და რაღაცას თავგამოდებით უყვიროდნენ, მაგრამ კერძოდ რას – ველჩანინოვს ვერასდიდებით ვერ გაერჩია. "კი, მაგრამ ეს ხომ ბოდვაა,

ხომ ვიცი ეს! – ფიქრობდა იგი, – ვიცი, რომ ვერ დავიძინე და ბოლოს აგერ წამოვდექი, იმიტომ რომ ნაღვლისაგან ლოგინში ველარ გავძელი!"... და მაინც ეს ყვირილი, ეს ხალხი, ეს ხელების ქნევა, ყველაფერი ისე ცხადი იყო, ისე ძლიერ ჰგავდა ნამდვილს, რომ ველჩანინოვს ხანდახან ეჭვი შეეპარებოდა ხოლმე: "ნუთუ ეს მართლაც ბოდვია? რას მემართლება ნეტა ეს ხალხი, ღმერთო ჩემო! მაგრამ თუ ეს ბოდვა არაა, განა შეიძლებოდა, ასეთ ყვირილს აქამდე არ გაეღვიძებინა პაველ პავლოვიჩი? აი, ხომ სძინავს ეგერ დივანზე?" ბოლოს, ერთბაშად რაღაც მოხდა, ისევ ისე, როგორც მაშინ, იმ სიზმარში: ყველამ კიბეს მიაშურა და კარებში ერთი ზედახორა გაიმართა, რადგან კიბიდან ხალხის ახალი გროვა მოაწყდა ოთახს. ამ ხალხს თან რაღაცა მოჰქონდა, რაღაც დიდი და მძიმე, ისმოდა, როგორ მძიმე-მძიმედ მოუყვებოდნენ კიბეს მზიდავები და ქშენამორეულნი ერთმანეთს აჩქარებით გადასმახ-გადმოსმახებდნენ. ოთახში უცებ ერთხმად შეჰყვირეს: "მოაქვთ, მოაქვთო!" ყველას თვალები აენტო და ველჩანინოვს მიაპყრეს მზერა; მუქართა და ზეიმით კიბისკენ მიუთითებდნენ; ველჩანინოვს უკვე ოდნავადაც აღარ ეეჭვებოდა, რომ ეს ყველაფერი ბოდვა კი არა, სინამდვილე იყო; იგი ფეხის წვერებზე შედგა, რათა ხალხის თავს ზემოთ ჩქარა დაენახა – მაინც რა მოაქვთო? გული კი უცემდა, ელოდა, ეწურებოდა, და უცებ – ზუსტად ისევე, როგორც მაშინ, იმ სიზმარში – საშინელი ძალით სამჯერ ჩამოჰკრეს ზარს და ეს ზარის ხმაც კვლავ ისე მკაფიო, აშკარად ნამდვილი იყო, რომ, რაღა თქმა უნდა, მართლა სიზმარში ვერ გაიგონებდა კაცი!.. ველჩანინოვმა შეჰყვირა და გამოიღვიძა. მაგრამ კარებისკენ როდი გაქანდა, როგორც მაშინ მოიქცა. ვინ იცის, რა აზრმა წარმართა მისი პირველი მოძრაობა ან თუ უჭაჭანებდა იმ დროს რაიმე აზრი, – ოღონდ ეს კია, თითქოს ვიღაცამ უკარნახაო, როგორ მოქცეულიყო: ლოგინიდან წამოიჭრა და თითქოს თავდამსხმელის მოგერიებას ლამობსო, წინ ხელებგაწვდილი პირდაპირ ის მხარეს გაქანდა, სადაც პაველ პავლოვიჩს ეძინა. ერთბაშად მისი ხელები ვიღაცის ხელებს წააწყდა, უკვე მის თავზე შემართულ ხელებს, წააწყდა და მაგრადაც დაბლუჯა ისინი; მაშ, ეტყობა, ვიღაც თავს წამოსდგომოდა. ფარდები თუმცა ჩამოშვებული იყო, სულ მთლად მაინც არ ბნელოდა, რადგან მეორე ოთახში უფრო თხელი ფარდები ეკიდა და იქიდან უკვე ატანდა მკრთალი სინათლე. უცებ რაღაცამ მწვავედ გაუსერა ველჩანინოვს მარცხენა ხელისგული და თითები. მყის მიხვდა, რომ დანისა თუ სამართებლის პირისათვის ეტაცა ხელი და მაგრად მოეჭირებინა... იმწამსვე რაღაც დავარდა იატაკზე და ყრუ ხმა მოიღო. ველჩანინოვი, ალბათ, ერთი სამჯერ უფრო ღონიერი იქნებოდა, ვიდრე პაველ პავლოვიჩი, მაგრამ მათი ჭიდილი დიდხანს, კარგა სამ წუთს გაგრძელდა. მერე ველჩანინოვმა იატაკისკენ დადრიკა იგი და ხელები უკან ამოუტრიალა, ოღონდ რატომღაც საჭიროდ ჩათვალა, ამოტრიალებული ხელები გაეკრა კიდეც. მარჯვენა ხელი მოაფათურა და ფარდის ზონარს დაუწყო ძებნა, დაკოდილი ცაციათი კი მოძალადეს აკავებდა: დიდხანს ვერ და ვერ მიაკვლია, ბოლოს, როგორც იქნა, ხელში მოიყოლა, დაქაჩა და ფანჯარას ჩამოაწყვიტა. შემდეგ თვითონვე უკვირდა, საიდან გამიჩნდა ეს არაჩვეულებრივი ძალაო. მთელი იმ სამი წუთის განმავლობაში არც ერთს სიტყვა არ დასცდენია; მათი ხვნემა ისმოდა მხოლოდ და ბლლარძუნის ხმა. ბოლოს, როცა ტრუსოცკის ხელები გადაუგრიხა და ზურგზე გაუკრა, ველჩანინოვმა იატაკზე დატოვა იგი, წამოიმართა, ფანჯარას მიადგა, ფარდა სწრაფად გადახსნა და შტორიც ასწია. მყუდრო ქუჩაზე უკვე ლიცლიცებდა სინათლე. ველჩანინოვმა ფანჯარა გამოაღო. რამდენიმე წამს იდგა და ღრმად ისუნთქავდა ჰაერს. უკვე მეხუთე საათი დაწყებულიყო. ფანჯარა დახურა და აუჩქარებლად

გაემართა კარადისაკენ; სუფთა პირსახოცი გამოიღო და მარცხენა ხელზე მაგრად შემოიჭირა, იარიდან სისხლისდენის შესაჩერებლად. უცაბედად ფეხი წამოჰკრა გახსნილ სამართებელს, რომელიც ხალიჩაზე ეგდო. აიღო, დაკეცა და სამართებლის ყუთში ჩადო. მერე ეს ყუთი, დილითვე რომ შეუნახავი დარჩენოდა ზედ მისი საწოლის გვერდით მდგარ პატარა მაგიდაზე, ბიუროში ჩაკეტა გასაღებით. ეს ყველაფერი მოათავა და შემდეგლა მიბრუნდა პაველ პავლოვიჩისკენ, მივიდა და ახედ-დახედა. ხალიჩაზე განრთხმულ ტრუსოცკის ამასობაში უკვე მოესწრო ვაი-ვაგლახით ზეზე წამოდგომა და სავარძელში ჩაჯდომა. ჩაუცმელი იყო, საცვლების ამარა, ფეხზეც კი არ სცმია. ზურგსა და სახელოებზე პერანგი სისხლით მოსვროდა, ოღონდ საკუთარი კი არა, ველჩანინოვის ჭრილობიდან დანადენი სისხლით. თქმა არ უნდა, ეს იყო პაველ პავლოვიჩი, მაგრამ, შესაძლებელია, ერთბაშად ლამის ვერც გეცნოთ იგი, – მით უფრო, თუ ამგვარი შესახედაობისას სადმე უცაბედად გადაჰყროდით, – იმ ზომამდე შესცვლოდა ახლა სახე და იერი. უკან ხელებგაკოჭილი უხერხულად იჯდა სავარძელში და წელის გამართვას ამაოდ ლამობდა. ხანდახან შეტოკდებოდა ხოლმე. დამანჭულ, განაწამებ სახეზე მწვანე ფერი დასდებოდა; დაჟინებული, მაგრამ რალაცნაირი ბუნდოვანი მზერა მიაპყრო ველჩანინოვს, თითქოს ირგვლივ ბევრ რასმე ჯერაც ხეირიანად ვერ ამჩნევსო; უცებ უაზროდ გაელიმა, თავი მაგიდაზე მდგარ სურისკენ გაიქნია და ნახევრადჩურჩულით მოკვეთა. – წყალი. ველჩანინოვმა დაუსხა და თვითონ მიუტანა ჭიქა პირთან. პაველ პავლოვიჩი ხარბად დაეწაფა; სამიოდე ყლუპი რომ მოსვა, თავი აიღო, მეტად დაჟინებით შეაჩერდა სახეზე ველჩანინოვს, რომელიც ჭიქით ხელში წინ ედგა, მაგრამ თქმით არაფერი უთქვამს, ისევ განაგრძო სმა. დალია ბოლომდე და ამოიხვნეშა. ველჩანინოვმა თავისი ბალიში აიღო, თავისივე ზედა ტანსაცმელი გაიყოლა და მეორე ოთახში გავიდა, პაველ პავლოვიჩი კი პირველ ოთახში ჩაკეტა. წუხანდელმა ტკივილმა სავსებით გაუარა, მაგრამ კვლავ მეტისმეტი სისუსტე იგრძნო ამ წელანდელი დამაბვის შემდეგ, ღმერთმა უწყის საიდან მოკრებილი ძალ-ღონის უეცარი დამაბვის შემდეგ. ის იყო სცადა, მომხდარი ამბავი აეწონ-დაეწონა, მაგრამ აზრის თავმოყრა ჯერ ისევ უჭირდა; ერთობ გაოგნებული იყო. ხან ჩასთვლემდა, ზოგჯერ ბარე ათი წუთითაც, ხან უცებ შეკრთებოდა და გამოელვიძებოდა; წამსვე ყველაფერი გაახსენდებოდა, სისხლიანი პირსახოცით შეხვეულ მტკივან ხელს წამოსწევდა და დამაბული, გამალეებული იწყებდა ფიქრს. გარკვეულად მხოლოდ ერთი რამ დაასკვნა: ის, რომ პაველ პავლოვიჩი მართლაც უპირებდა ყელის გამოლადვრას, ოღონდ, შესაძლოა, ჯერ კიდევ მეოთხედი საათით ადრე თვითონაც არ იცოდა, თუ ამის სურვილი აიტანდა. იმ სამართებლის ყუთს, შესაძლოა, უბრალოდ სალამოს გაჰკრა თვალი, გაჰკრა და არც რაიმე განზრახვა აღძვრია, მხოლოდ მეხსიერებაში ჩარჩა (სამართებლებს მუდამ ბიუროში ინახავდა ველჩანინოვი, ჩაკეტილში, და მხოლოდ გუშინ დილით ამოიღო, რომ უღვაშები და ბაკენბარდები შეეპარსა). "ჩემი მოკვლა რომ დიდი ხანია განზრახული ჰქონოდა, ალბათ, წინდაწინვე დანას ან დამბაჩას მოიმზადებდა; აბა, ჩემი სამართებლის იმედით ხომ არ იქნებოდა. ის სამართებელი ხომ წუხელ სალამომდე არც არასდროს უნახავსო", – ფიქრად მოუვიდა სხვათა შორის მას. ბოლოს, ექვსჯერ დარეკა საათმა. ველჩანინოვი გამოფხიზლდა, ტანთ ჩაიცვა და პაველ პავლოვიჩის სანახავად გასწია. კარს აღებდა და თანაც ვერაფრით მიმხვდარიყო: რისთვის გამოკეტა ოთახში ან რად არ გაუშვა მაშინათვე? გაუკვირდა, მისი ტუსადი ჩაცმული და გამზადებული რომ დაუხვდა; ეტყობა, მაინც მოეხერხებინა ხელების განთავისუფლება. სავარძელში იჯდა და შევიდა თუ არა ველჩანინოვი, ფეხზე წამოუდგა. შლაპა უკვე ხელში ეჭირა. მისმა შემფოთებულმა მზერამ თითქოს საჩქაროდ

ამცნო ველჩანინოვს: "არაფერი სთქვა, არაფერია სალაპარაკო..." – წადით! – უთხრა ველჩანინოვმა, – ეგ თქვენი ბუდე წაიღეთ, – ხმა დააწია მიმავალს. პაველ პავლოვიჩი უკვე კარებიდან გამობრუნდა, მაგიდაზე დადებულ სამაჯურთან ბუდეს ხელი წამოავლო, ჯიბეში ჩაიჩარა და კიბის ბაქანზე გავიდა. ველჩანინოვი ზღურბლზე იდგა, რათა კარი ჩაეკეტა. მათი მზერა უკანასკნელად შეხვდა ერთმანეთს; პაველ პავლოვიჩი უცებ შედგა, ხუთიოდე წამ ორივენი თვალში თვალგაყრილნი იდგნენ – თითქოს ყოყმანობენო; ბოლოს ველჩანინოვმა ოდნავ ხელი აუქნია. – აბა, წადით! – უთხრა ხმადაბლა და კარები გასაღებით ჩაკეტა.

XVI - ანალიზი

უჩვეულო, უზარმაზარი სიხარულის გრძნობამ მოიცა ველჩანინოვი; რაღაც გათავდა, მორჩა; რაღაცნაირი საშინელი ჭმუნვა გადაეყარა გულიდან. აგრე ეჩვენებოდა. ხუთი კვირა გრძელდებოდა ეს უბედურება. ხელს ასწევდა, სისხლისაგან შესველებულ პირსახოცს დახედავდა ხოლმე და თავისთვის ბუტბუტებდა: "არა, ახლა მართლაც სავსებით ყველაფერი დამთავრდებაო!" მთელი ამ დღის განმავლობაში, და ეს პირველად მოხდა ბოლო სამი კვირის მანძილზე, თითქმის არც უფიქრია ლიზაზე, – თითქოსდა ჭრილობიანი ხელიდან დაღვრილმა სისხლმა ამ სადარდებლისათვისაც "გაასწორებინაო ანგარიში". ცხადად შეიგნო, დიდ ხიფათს გადავურჩიო. "მაგნაირი ადამიანები, – ფიქრობდა იგი, – აი, სწორედ მაგნაირი, ჯერ კიდევ წუთის წინ რომ არ იციან, გამოსჭრიან თუ არა ყელს ადამიანს, – როგორც კი ერთხელ აიღებენ დანას აკანკალებულ ხელში და თბილი სისხლის პირველ შხეფებსაც იგრძნობენ თითებზე, არამც თუ დაკლავენ კაცს, – თავს მოაჭრიან "მთლიანად", – როგორც კატორღელები იტყვიან ხოლმე. – ასეა ეს". შინ ველარ დადგა და გარეთ გამოვიდა. სწამდა, ახლა აუცილებელი იყო, რაიმე გაეკეთებინა, თორემ რაღაც დაემართებოდა; დადიოდა ქუჩა-ქუჩა და ელოდა. საშინლად მოუნდა ვინმესთან შეხვედრა, ვინმესთან გამოლაპარაკება, თუნდაც სულ უცნობთან. და მხოლოდ ამან მოაგონა, ექიმთან უნდა მივიდე, ხელი წესიერად მაინც შევახვევინო. ექიმმა, ადრინდელმა მისმა ნაცნობმა, ჭრილობა გაუსინჯა და ცნობისმოყვარედ შეეკითხა: "კი, მაგრამ ეგ როგორ მოგივიდათო?" ველჩანინოვი ხუმრობით უპასუხებდა, ხარხარებდა და კინალამ ყველაფერი გადმოულაგა, თუმცა მაინც თავი შეიკავა. ექიმმა ჩვეულებისამებრ მაჯაც გაუსინჯა და, როცა წუხანდელი შეტევის ამბავი შეიტყო, დაიყოლია, ბარემ ახლავე დაელია რაღაც დამაყუჩებელი წამალი, რომელიც იქვე ჰქონდა. ჭრილობის თაობაზეც დაამშვიდა: "რაიმე არასასურველი შედეგები არ მოჰყვებაო". ველჩანინოვს ხარხარი აუტყდა და დარწმუნება დაუწყო, უკვე ჩინებული შედეგები გამოიღო. დაუოკებელი სურვილი, ყველაფერი ეამბნა, იმ დღეს ორჯერ კიდევ მოერია, – ერთხელაც სავსებით უცნობ ადამიანთან, რომელსაც პირველი თვითონვე გამოელაპარაკა საშაქარლამოში. აქამდის კი მუდამ ეჯავრებოდა ხოლო მე უცნობ ადამიანებთან საუბრის გაბმა საჯარო ადგილებში. შემდეგ მაღაზიებში შეიარა, გაზეთი იყიდა, თავის თერძს მიაკითხა და ტანსაცმელი შეუკვეთა. პოგორელცეცების მონახულების აზრი კვლავაც უსიამო იყო მისთვის. გაურბოდა ამ ხალხზე ფიქრს, მერედა არც შეეძლო აგარაკზე გამგზავრება: თითქოს ერთთავად რაღაცას ელოდა აქ, ქალაქში. დიდის სიამოვნებით ისადილა, მსახურსა და თანამესუფრეს გამოესაუბრა, სადილს ნახევარი ბოთლი ღვინოც დააყოლა. იმაზე, ვაითუ წუხანდელი შეტევა განმიახლდესო, არც ფიქრობდა; სწამდა, რომ ავადმყოფობამ საბოლოოდ გაუარა სწორედ იმ წუთში, როცა წუხელის უზომოდ დასუსტებისაგან ძილს მიცემული საათნახევრის შემდეგ ლოგინიდან წამოვარდა და ის თავისი მოწინააღმდეგე ისეთის ძალით დაანარცა იატაკს. მაგრამ საღამოს პირზე მაინც იგრძნო, თავბრუ ეხვეოდა და ზოგჯერ თითქოს იმ ბოდვის მსგავსი რაღაც უხსენებდა, წუხელ რომ ძილში გამოსცადა. შინ უკვე ბინდისას დაბრუნდა და ლამის შეეშინდა თავისი სადგომისა, როცა შიგ შევიდა. გულშემზარავი, ამაზრზენი ეჩვენა იქაურობა. რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახებში, სამზარეულოშიც კი შეიხედა, საცა თითქმის

არასოდეს შესულა. "გუმინ აქ ახურებდნენ თეფშებს", – გაიფიქრა, კარები მაგრად ჩაკეტა და ჩვეულებრივზე ადრე აანთო სანთლები. როცა კარს კეტავდა, გაახსენდა, ნახევარი საათის წინ, მეეზოვის ოთახთან გამოვლისას, მავრა რომ გამოიხმო და ჰკითხა: "პაველ პავლოვიჩს ხომ არ შემოუვლია ჩემ არ ყოფნაშიო?" – თითქოსდა აქ მოსასვლელი პირი ჰქონოდა. გულდაგულ რომ ჩაიკეტა, ბიურო გახსნა, სამართებლიანი ყუთი გამოიღო და "წუხანდელი" სამართებელი გაშალა, რა არი თვალი შეევლო. თეთრი ძვლის ტარს სულ ოდნავ დაჩნეოდა სისხლის კვალი. სამართებელი კვლავ ყუთში შეინახა და ყუთიანად ისევ ბიუროში ჩაკეტა. დაძინება უნდოდა; გრძნობდა, რომ აუცილებელი იყო, ახლავე დაწოლილიყო, თორემ "ხვალ კაცად აღარ ვივარგებო". ეს ხვალინდელი დღე რატომღაც საბედისწერო და "საბოლოო" დღედ ჰქონდა წარმოდგენილი. მაგრამ ისევ ის ფიქრები, ქუჩაშიაც წუთით რომ არ შორდებოდა, კვლავ დაჟინებით ირეოდა მის აფორიაქებულ გონებაში და ლამის ტვინს უხეთქავდა; ჰოდა, ერთთავად ფიქრობდა – ფიქრობდა – ფიქრობდა, და კიდევ დიდხანს ვერა და ვერ მოეხერხებინა დაძინება... "ვთქვამთ, ლოგინიდან წამომდგარმა უცაბედად დააპირა ყელი გამოეჭრა ჩემთვის, – ერთთავად ეს ფიქრი უტრიალებდა თავში, – მაგრამ მანამდე თუ მოსვლია როდისმე ეს აზრად, ან თუ უნატრია გაბოროტებისას?" ეს საკითხი უცნაურად გადაჭრა; აგრე დაასკვნა: "პაველ პავლოვიჩს უნდოდა მოვეკალი, ოღონდ ეს აზრი უცაბედად მოუვიდაო". ერთი სიტყვით "პაველ პავლოვიჩს სურდა მოვეკალი, მაგრამ არ იცოდა, თუ ეს განზრახვა გულში ედო. უაზრობაა, მაგრამ ასე კი არის, – ფიქრობდა ველჩანინოვი, – ის არც სამსახურის საქმებნელად ჩამოსულა და არც ბაგაუტოვის გულისათვის – თუმცა ადგილსაც ეძებდა და ბაგაუტოვსაც მალიმალ აკითხავდა, გაცოფდა კიდევ,

როცა გარდაცვლილი დახვდა; ბაგაუტოვი სძაგდა, ვითარცა არარაობა. ჩემი გულისთვის წამოვიდა და ლიზაც თან ჩამოიყვანა". "მე თვითონ კი მოველოდი, რომ... ყელის გამოჭრას დამიპირებდა? კიო, დაასკვნა, სწორედ იმ წუთიდან მოველოდი, როცა კარეტაში მოვკარი თვალი, ბაგაუტოვის კუბოს რომ მიაცილებდა; "მას შემდეგ თითქოს რაღაცას მოველოდი... მაგრამ, რა თქმა უნდა, ამას არა, იმას არა, რომ ყელის გამოჭრას მომინდომებდაო!".. "მერედა ნუთუ, ნუთუ მართალი იყო ის ყველაფერი, – წამოიძახებდა ისევ, ერთბაშად თავს წამოსწევდა და თვალებს ფართოდ გაახელებდა, – აი, ის ყველაფერი, რასაც მაგ... გიჟი ჩამჩიჩინებდა გუმინ ჩემდამი სიყვარულზე, როცა ნიკაპი აუთრთოლდა და მკერდში მჯიღის ცემას მოჰყვანა?" სრული სიმართლე იყო! – დაასკვნინდა და უფრო და უფრო ჩაჰკირკიტებდა ამ აზრს, – ეგ ტ-ელი ქვაზიმოდო საკმარისად სულელი და კეთილშობილი გახლდათ საიმისოდ, თავისი ცოლის მიჯნური შეეყვარებინა, ისიც იმ ცოლისა, ვისაც ოცი წლის განმავლობაში ვერაფერი შენიშნა! ცხრა წელიწადი ჩემი პატივისცემა ჰქონია, მიგონებდა კიდევ, ჩემი "გამონათქვამები" დაუხსომებია, – ღმერთო, მე კი არა ვუწყობდი რა! ვერ იცრუებდა გუმინ! მაგრამ ვუყვარდი თუ არა გუმინ, როცა სიყვარულში გამომიტყდა და მითხრა "გავსწორდეთო?" დიახაც, ბრაზისაგან ვუყვარდი; და ეს სიყვარული ძლიერზე ძლიერია... მართლაც შეიძლებოდა მომხდარიყო, და ასეც იქნებოდა ალბათ, რომ მასზე უზარმაზარი შთაბეჭდილება მოვახდინე ტ-ში. სწორედ რომ უზარმაზარი და "ზეაღმტაცი", და სწორედ მაგისტანა შილერისებურ არსებას, ქვაზიმოდოს სახით მოვლენილს, შეიძლებოდა კიდევ ეს დამართოდა! ასგზის გაზვიადებულად წარმომიდგინა, რადგან მეტად მოვაჯადოვე იმ მის ფილოსოფიურ განმარტოებაში... ნეტა ვიცოდე, მაინც რითი მოვაჯადოვე? იქნება მართლა ახალთახალი

ხელთათმანებით, მათი წამოცმის ლაზათით. ქვაზიმოდოები ეტრფიან სილამაზეს, უკ, რარიგ ეტრფიან! ხელთათმანებიც კი სავსებით კმარა ზოგიერთი უკეთილშობილესი სულის პატრონის, ისიც "მარადი ქმართაგანის" მოსახიბლავად. დანარჩენს თვითონვე შეავსებენ წარმოდგენით და ერთი ათასად შეალამაზებენ, თქვენი გულისთვის დაკა-დაკასაც გამართავენ, თუკი მოიწადინებთ. ჩემი შნო და მარიფათი მაინც რარიგ სჭრის თვალს! იქნება, სულაც ამით მოვაჯადოვე. მაინც როგორ შეჰყვირა მაშინ: "თუ ეგეც ისეთია, მაშ, ვისილა უნდა მწამდესო ამას იქით!" ამგვარი ყვირილის შემდეგ მხეცად იქცევი კაცი!.. ჰმ! აქ იმისათვის ჩამოვიდა, რა არი "ყელზე მომხვეოდა და ეტირა", – როგორც თვითონვე გამომიცხადა ყოვლად უნამუსოდ; ეგ კი არა და, იმისთვის მოდიოდა, ყელი გამოელადრა ჩემთვის, ოღონდ ფიქრობდა კი, მივდივარ, რათა "ყელზე მოვეხვიო და ვიტყო" ... ლიზაც თან ჩამოიყვანა. რა გგონიათ მერე: მე რომ მასთან ერთად ამჩვილებოდა გული, ალბათ, მაპატიებდა კიდევ, იმიტომ რომ ძალიან უნდოდა ეპატიებინა!.. მაგრამ ეს ყოველივე, პირველი შეხლისთანავე, კინტოურ მანჭვა-გრეხად, ტაკიმასხარაობად, შეურაცხყოფით გამოწვეულ საზიზღარ დიდკაცურ ზმუკუნად გადაექვა (რქებიც, რქებიც რომ გაიკეთა შუბლზე!). მთვრალიც იმიტომ მომადგებოდა ხოლმე, რომ მანჭვა-გრეხით, მაგრამ მაინც გამოეთქვა გულისნადები; თუ არ მთვრალი, ისე ვერ შეძლებდა ამას... ეგ მანჭვა-გრეხა კი, იცოცხლე, უყვარდა; ოჰ, როგორ უყვარდა! ჰო, როგორ გაუხარდა, როცა მაიძულა, ერთმანეთი გადაგვეკოცნა! ოღონდ, ის არ იცოდა მაშინ, რით დასრულდებოდა საბოლოოდ. მომხვეოდა თუ ყელს გამომჭრიდა? რაღა თქმა უნდა, აღმოჩნდა, რომ ყველაფერს სჯობდა ერთიცა და მეორეც, ერთად. ყველაზე უფრო ბუნებრივი გადაწყვეტილებაა! – დიახ, ჩემო ბატონო, ბუნებას არ უყვარს მახინჯები და მათ "ბუნებრივი გადაწყვეტილებებითვე" უღებს ბოლოს. ყველაზე დიდი გონჯი – ეს არის კეთილშობილურ გრძნობებიანი მახინჯი: ეგ ჩემი საკუთარი გამოცდილებით ვიცი, პაველ პავლოვიჩ! ბუნება მახინჯისათვის მოსიყვარულე დედა კი არ არის, დედინაცვალაია. ბუნება შობს მახინჯს, მაგრამ იმის მაგიერ, რომ შეიცოდოს, იქითვე სჯის, – ახია კიდევ. ხვევნა-კოცნა და ყოვლისმომტევებელი ცრემლები წესიერ ხალხსაც კი არ ჩაუვლის აგრე იოლად ამ ჩვენს საუკუნეში, არამც თუ მართლა ისეთებს, როგორც მე და თქვენ ვბრძანდებით, პაველ პავლოვიჩ! დიახ, ის საკმარისად სულელი გახლდათ საიმისოდ, საცოლესთანაც წავეჩანჩალებინე, – ღმერთო! საცოლეო! სწორედ მაგისთანა ქვაზიმოდოს თუ ჩაენერგებოდა აზრი "ახალი ცხოვრებისათვის აღდგომისა" – მადმუაზელ ზახლებინინას უმანკოების მეოხებით! მაგრამ თქვენ არა ხართ დამნაშავე ამაში, პაველ პავლოვიჩ, არა, არა ხართ დამნაშავე: თქვენ მახინჯი ხართ და იმიტომ ყველაფერი უგვანო უნდა მოგდგამდეთ კიდევ: ნატვრაცა და იმედებიც. თუმცა კი მახინჯია იგი, აკი მაინც დაექვდა თავისი ნატვრის სიავეკარგესა და მისი მიღწევის შესაძლებლობაში. სწორედ იმიტომ დაჭირდა ველჩანინოვის საპატიო სანქცია, დასტური ღირსსაცნობი პიროვნებისა. საჭირო იყო, ველჩანინოვს მოწონება გამოეთქვა და დაედასტურებინა, რომ ეს ნატვრად ნატვრა კი არ იყო მხოლოდ, არამედ სავსებით მისაღწევი რამ. ჩემდამი პატივისცემასა და მოწიწებას გრძნობდა და იმიტომ წამიყვანა, კიდევ იმიტომ, რომ ჩემი კეთილშობილური გრძნობებისა სჯეროდა, –

ეგებ სჯეროდა, რომ იქ, სადმე ბუჩქის უკან, უმანკო არსების სიახლოვეს, ერთმანეთს გადავეხვეოდით და ავტირდებოდით. მაშ! ჰოდა, ხომ უნდა დაესაჯა ბოლოს და ბოლოს ამ "მარადს ქმარს" თავისი თავი სულ ყველაფრისათვის, უსათუოდ უნდა დაესაჯა და სამართებელსაც იმიტომ წამოავლო ხელი, – მართალია, უცაბედად, მაგრამ მაინც წამოავლო! "ხომ მაინც ამგერა დანა, ხომ მაინც თავისი გაიტანა და ამგერა, ისიც

გუბერნატორის თანდასწრებითო". ჰო, მართლა, ნეტა თუ ჰქონდა თუნდაც რაიმე ამდაგვარი განზრახვა, როცა იმ მეჯვარის ამბავს მიაშობდა? ვითომ მართლა კი აპირებდა რამეს იმ ღამით, როცა ლოგინიდან ამდგარი შუა ოთახში გაჩერებულყო? ჰმ, არა, ხუმრობით იდგა მაშინ. პირადი საჭიროებისათვის ადგა, ხოლო როცა შევაშინე, ათიოდე წუთს ხმაც არ გაუცია, რადგან მართლაც მეტისმეტად ეამა, რაკი დავაფრთხე... იქნება პირველად სწორედ მაშინ გაჰკრა აზრმა, როცა იქ ბნელაში იდგა... და მაინც, ის სამართებელი რომ არ დამრჩენოდა გუშინ მაგიდაზე, ალბათ, სულაც არაფერი მოხდებოდა. მართლა ასეა ვითომ? მართლა ასე კია? აკი გამირბოდა ადრე, აკი ორი კვირა სიახლოვეს არ გამკარებია; აკი მემალეობდა, ვინაიდან მიბრალებდა! განა თავიდან ბაგაუტოვი არ ამოიღო ნიშანში, და არა მე! განა არ წამოხტა შუალამით თეფშების გასახურებლად, ვინძლო გრძნობა მომერიოს და დანაზე აღარ ვიფიქროო!.. თავისი თავისა და ჩემი შველა უნდოდა გახურებული თეფშებით!.. და კიდევ დიდხანს ამგვარ ყაიდაზე ფიქრობდა ეს ყოფილი "მაღალი საზოგადოების კაცი", კიდევ დიდხანს უნაყოფოდ იჭყლეტდა ტვინს, ვიდრე დაშოშმინდებოდა. მეორე დღეს კვლავ არეულ გუნებაზე გამოეღვიძა, მაგრამ ამჯერად სრულიად ახალნაირ, უკვე ყოვლად მოულოდნელ შიშის ზარს აეტანა. ეს ახალნაირი საშინელების გრძნობა იქიდან გაუჩნდა, რომ მოულოდნელად უყოყმანოდ იწამა: იგი, ველჩანინოვი (ისიც საზოგადოებაში გამოსული კაცი), დღესვე, თვითონ, საკუთარი ნებით ყველაფერს იმით დაამთავრებდა, რომ ადგებოდა და წავიდოდა პაველ პავლოვიჩთან, – რატომ? რისთვის? – ამისი არა იცოდა რა და არც რაიმე უნდოდა სცოდნოდა ზიზღით შეპყრობილს; მხოლოდ ის კი არ ეეჭვებოდა, რომ რატომღაც უთუოდ წაჩანჩალდებოდა. ეს სიგიჟე – სხვაგვარად ვერ ეწოდებინა – ისე მოეძალა, რომ წასვლისათვის საკმაოდ საფუძვლიანი საბაზიც მოაფიქრებინა: თითქოს კვლავ ეზმანებოდა, რომ თავის ნომერში დაბრუნებული პაველ პავლოვიჩი ჩაიკეტებოდა და თავს ჩამოიხრჩობდა, იმ ხაზინადარის მსგავსად, ვისზეც მარია სისოევნა უამბობდა. ეს გუშინდელი ზმანება თანდათან უაზრო, მაგრამ ურყევი რწმენით შეეცვალა. "რისთვის უნდა ჩამოიხრჩოს თავი მაგ რეგენმა?" – წამდაუწუმ ეკითხებოდა თავის თავს. ახსენდებოდა ლიზას დიდი ხნის წინანდელი სიტყვებიც... "თუმცაღა, მის ადგილას შეიძლება მართლაც ბაწარში გამეყო თავი..." – გაიფიქრა კიდევ ერთი პირობა. დამთავრდა იმით, რომ სადილად წასვლის ნაცვლად პაველ პავლოვიჩისკენ გაემართა. "მარია სისოევნას ვნახავ მხოლოდ და ამბავს გამოვკითხავო". – გადაწყვიტა გულში. მაგრამ მანამ ქუჩაში გასვლას მოასწრებდა, უცებ ჭიშკართანვე შედგა. – კი, მაგრამ, – წამოიძახა და სირცხვილისაგან წამოჭარხლდა, – ნუთუ იმასთან მივჩანჩალე, რა არი "გადავეხვიო და ავცრემლდე?" ნუთუ ეს "ზრიყვული სისაძაგლეღა" აკლია ამ თავსლაფს! მაგრამ "ზრიყვული სისაძაგლისაგან" ყველა წესიერი და პატიოსანი ადამიანის მწყალობელმა განგებამ იხსნა. გამოვიდა თუ არა ქუჩაში, მოულოდნელად აღექსანდრე ლობოვი შეეჩეხა. ყმაწვილი კაცი სულს ძლივს ითქვამდა და აღელვებულები ჩანდა. – მე კი თქვენსა მოვეშურებოდი! ამ თქვენმა ნაცნობმა, პაველ პავლოვიჩმა, რომ იცოდეთ, რა ჰქნა? – რა, თავი ჩამოიხრჩო? – ანგარიშმიუცემლად ამოილულლულა ველჩანინოვმა. – ვინ ჩამოიხრჩო თავი? რისთვის? – თვალები დაჭყიტა ლობოვმა. – არაფერი... ისე, განაგრძეთ! – ფუი, დასწყევლოს, მაინც რა ახირებული აზრები გეკვიატებათ! სულაც თავი არ ჩამოუხრჩვია (ვითომ რატომ უნდა ჩამოეხრჩო?) პირიქით – ადგა და გაემგზავრა: აი, ახლახან ჩავსვი ვაგონში და გავისტუმრე. ფუ, როგორ სვამს, ნეტა იცოდეთ! სამი ბოთლი გამოვცალეთ, პრედპოსილოვმაც დალია, – მაგრამ ეგ მაინც როგორა სვამს, როგორა სვამს! სიმღერებს მღეროდა ვაგონში, თქვენ გახსენებდათ,

მდაბალი სალამი შემოგიტვალათ. არამზადა კი არის, როგორა გგონიათ, – ჰა?
ყმაწვილი კაცი მართლაც შეზარხოშებული იყო; აწითლებული სახეცა და ისიც, რომ
თვალეები უბრწყინავდა, ხოლო ენა ებმებოდა, ერთობ მჭევრმეტყველურად
ადასტურებდა ამას. ველჩანინოვს თავშეუკავებელი ხარხარი აუტყდა. – მაშ, ბოლოს
მაინც ვახტანგურად დაუმთავრებიათ! ხა, ხა! გადახვეულან და აცრემლებულან! ჰაი,
თქვე შილერის მოდგმავ! – ნუ გამთათხავთ, გეთაყვა. იცით, იქ მან სავსებით უარი
თქვა. გუშინაც იქ იყო და დღესაც. უღმერთოდ კი დაგვაბეზლა. ნადია დაამწყვდიეს.
იყო ერთი ყვირილი და ცრემლისღვრა, მაგრამ ჩვენ მაინც არ დავთმოვით! არა, როგორ
სვამს! მერე იცით, როგორი

მოვეტონია (მოვეტონი (ფრანგ. - mauvais ton) - ურიგო) , თუმცა არა, მოვეტონი კი არა, აი,
რა ჰქვია იმას?.. და სულ ერთთავად თქვენ გახსენებდათ, მაგრამ თქვენ რას
შეგედრებათ! თქვენ მაინც, რაც უნდა იყოს, წესიერი კაცი ხართ, ოდესღაც მართლაც
მაღალ საზოგადოებას ეკუთვნოდით, და მხოლოდ ახლა ხართ იძულებული,
გაურბოდეთ, – სიღარიბის გამო, მგონი... ეშმაკმა უწყის, კარგად ვერ გავარჩიე, რა
თქვა... – ჰაა, მაშ ეგ მან დაგიხატათ ჩემი თავი ამგვარად? – მან დამიხატა, მან, ნუ
გაჯავრდებით. სჯობს მოქალაქე იყო, ვიდრე მაღალი წრის კაცი. მე იმას ვამბობ, ამ ჩვენს
დროში არ იცი-მეთქი, ვის სცე რუსეთში პატივი. დამეთანხმებით, რომ ეს დროების
მწვავე სენია, როცა არ იცი, ვის სცე პატივი, – ხომ მართალია? – მართალია, მართალი,
რაო მერე იმან? – იმან? ვინა! – ჰო, მართლა, რატომ გაიძახოდა ერთთავად:
ორმოცდაათი წლის, მაგრამ გაკოტრებული ველჩანინოვიო? რატომ: მაგრამ და არა
გაკოტრებული! იცინოდა, ათასჯერ გაიმეორა ეს. ჩაჯდა ვაგონში, სიმღერა წამოიწყო და
ტირილი კი მოერია – საზიზღრობა იყო; თუმცა შეგეცოდებოდა კიდევ, – სიმთვრალით
მოუვიდა. აჰ, ვერ ვიტან რეგვენებს! ადგა და მათხოვრებს ფულების ყრა დაუწყო,
ლიზავეტას სულის მოსახსენებლად – ცოლია მისი თუ რა? – ქალიშვილი. – ეგ რა
გჭირთ ხელზე? – გამეჭრა. – არაფერია, გაივლის. იცით, ჯანდაბას მაგისი თავი, კარგი
ქნა, რომ წავიდა. მაგრამ სანაძლეოს ვდებ, თუ იქ, სადაც ჩავა, ხელად ცოლი არ
ითხოვოს, – ხომ მართალია? – კი, მაგრამ თქვენც ხომ აპირებთ ცოლის შერთვას? – მე-
ე? მე – სხვა საქმეა, – რანაირი ხართ მართლა! თუ თქვენ ორმოცდაათი წლისა ხართ, ის
ალბათ სამოციასაც იქნება: აქ ლოგიკაა საჭირო, ბატონო! მერე იცით, უწინ, დიდი ხანია
პირწავარდნილი სლავიანოფილი ვიყავი ჩემი შეხედულებებით, მაგრამ აქ
აღმოსავლეთიდან მოველით განთიადს... აბა, ნახვამდის; კარგია, კარშივე შეგეჩხეთ,
შინ შემოსვლა აღარ დამჭირდა; ვერ შემოვალ, ნუ მთხოვთ, არა მცალია! ის იყო გაიქცა,
მაგრამ ერთბაშად რაღაც გაახსენდა და უკანვე დაბრუნდა. – აჰ, მეც რა მომივიდა
ერთი, აკი მან წერილი გამომატანა თქვენთან! აი, წერილი. რატომ არ მოხვედით
გასაცილებლად? ველჩანინოვი შინ შებრუნდა და მის სახელზე გამოგზავნილი წერილი
გახსნა. კონვერტში ერთი ბწკარიც არ აღმოჩნდა პაველ პავლოვიჩისაგან. სამაგიეროდ
შიგ რაღაც სხვა ბარათი იდო. ველჩანინოვს ეცნო ხელი. ძველისძველი ბარათი
გახლდათ, დრო-ჟამისაგან ფურცელგაყვითლებული და მეღანგადასული; ასე ათიოდე
წლის წინათ დაწერილი მის სახელზე, პეტერბურგში გამოსაგზავნად. ეს იყო ორი თვის
შემდეგ, რაც ის ტ-დან გამოემგზავრა. მაგრამ ბარათი ეტყობა აღარ გამოუგზავნიათ; მის
ნაცვლად სხვა წერილი მიიღო მაშინ; ეს ნათლად ჩანდა გაყვითლებული ბარათის
შინაარსიდან. ამ ბარათში ნატალია ვასილიევნა, ეთხოვებოდა რა მას სამუდამოდ, –
სწორედ ისევე, როგორც იმჟამად მიღებულ წერილშიაც, – და უტყდებოდა რა სხვის
სიყვარულში, აღარც იმას უმაღავდა, ფეხმძიმედ ვარო. პირიქით, სანუგეშოდ იმასაც

აღუთქვამდა, საშუალებას გამოვძებნი, მომავალი პირში გადმოგცეო; არწმუნებდა კიდევ, ამიერიდან სხვაგვარი მოვალეობა გვეკისრება, ახლა ჩვენი მეგობრობა სამუდამოდ განმტკიცდაო, – ერთი სიტყვით, ლოგიკა მოისუსტებდა, მაგრამ მიზანი კვლავ იგივე გახლდათ: ჩამომეხსენიო. ქალი იმის ნებასაც კი რთავდა, წლის თავზე ტ-ში შეეწლო – ბავშვის სანახავად. ღმერთმა უწყის, რამ გადააფიქრებინა და ამ წერილის მაგიერ სხვა რატომ გამოგზავნა. ველჩანინოვი ფერდაკარგული კითხულობდა, მაგრამ უმაღვე პაველ პავლოვიჩიც წარმოიდგინა იმ დროს, როცა იგი ამ ბარათს წააწყდებოდა და სადაფის ინკრუსტაციიდან, თავახდილ საგვარეულო ზარდახმაზე დახრილი პირველად წაიკითხავდა. "ალბათ მასაც მკვდრის ფერი დაედებოდა, – გაიფიქრა ველჩანინოვმა, როცა თავის სახეს უცაბედად სარკეში მოჰკრა თვალი, – ეგების, კითხულობდა და თვალებს ხუჭავდა, ხუჭავდა და ისევ ახელდა, იქნებ ეს ბარათი სუფთა ფარატინა ქალაქად იქცესო... ვინ იცის, ბარე სამჯერაც გაიმეორა ასე!.."

XVII - მარადი ქმარი

თითქმის სრული ორი წელიწადი გამოხდა ჩვენს მიერ აღწერილი ამბის შემდეგ. ერთ მშვენიერ ზაფხულის დღეს, ერთ-ერთ ჩვენს ახლადგახსნილ რკინიგზაზე, მატარებლის ვაგონში შეხვდებოდით ველჩანინოვს. იგი ოდესაში მიემგზავრებოდა ერთი მეგობარი კაცის სანახავად და მასთან ერთად დროის გასატარებლად. იმავე დროს სხვა სასიამო გარემოებაც ელოდა; იმედი ჰქონდა, ამ მეგობარი კაცის მეშვეობით მოახერხებდა ერთ მეტად ტურფა ბანოვანთან შეხვედრას, ვისი გაცნობაც დიდი ხანია უკვე ეწადა, წვრილმანებს აღარ გამოვუდგებით და მხოლოდ იმის შენიშვნას დავსჯერდებით, რომ ამ ბოლო ორ წელიწადში იგი ძლიერ გარდაქმნილიყო, ან, უკეთ რომ ვთქვათ, გამოსწორებულიყო. იმ წინანდელმა იპოქონდრიამ თითქმის უკვალოდ გაუარა. ავადმყოფობით გამოწვეული სხვადასხვა "მოგონებებისა" და შფოთვის წილ, ორი წლის უკან რომ გასაქანს არ აძლევდნენ პეტერბურგში, პროცესის წარუმატებლად მიმდინარეობის დროს, – ერთგვარი სირცხვილის გრძნობადა შემორჩა, მაშინდელი სულმოკლეობის შეგნებით აღძრული იდუმალი სირცხვილის გრძნობა. სამაგიეროდ ნაწილობრივ გულს უკეთებდა იმის რწმენა, ეს ამბავი აღარასოდეს განმეორდება და ამის შესახებ ვერავინ ვერაფერს შეიტყობსო. მართალია, მაშინ ზურგი აქცია საზოგადოებას, ასე გასინჯეთ, ჩაცმასაც აღარ დაგიდევდათ, თანაც სუყველას გაურბოდა, – და ეს, რაღა თქმა უნდა, ყველამ შენიშნა. მაგრამ ისე მალე წარსდგა მონანიებით, თანაც ისეთი განახლებული და კვლავინდებურად თავდაჯერებული იერით, რომ "ყველამ" უმაღვე აპატია ეს მისი წუთიერი განდგომა; იმათაც კი, ვისაც ის იყო შეუწყვიტა საღმის მიცემა, სხვათა უწინარეს ცნეს იგი და ხელი გაუწოდეს, თანაც ყოველგვარი აბეზარი კითხვების გარეშე, – თითქოსდა მთელი ეს ხანი სადღაც შორს წასული ყოფილა შინაური საქმეების გამო, რაიც არავის ეკითხება, და მხოლოდ ახლახან დაბრუნებულაო. უკეთესობისკენ მიმართული ამ ჯანსაღი და სახარბიელო ცვალებადობის მიზეზი, რა თქმა უნდა, მოგებული პროცესი გახლდათ. ველჩანინოვს სულ სამოციოდე ათასი მენეთი ერგო, – არცთუ ძალიან დიდი თანხა ეთქმოდა, მაგრამ მისთვის მეტად მნიშვნელოვანი კი იყო. ჯერ ერთი, უმაღ ისევ იგრძნო მყარი ნიადაგი ფეხქვეშ, – მაშასადამე, ზნეობრივადაც დაკმაყოფილდა; ახლა უკვე დანამდვილებით იცოდა, რომ ამ ბოლოს მონაგარ ფულს "უგუნურივით" აღარ გაფლანგავდა, როგორც თავისი პირველი ქონება მიანიავა, და რომ ეს ფული სამუდამოდ ეყოფოდა. "რაც უნდა ბზარი ეპარებოდეს ამათ საზოგადოებრივ შენობას, რასაც გინდ გაჰკვიოდნენ, – ფიქრობდა ხოლმე ხანდახან, ყოველივე იმ სასწაულებრივისა და დაუჯერებელის დამკვირვებელი თუ მოყურადე, რაც მის გარშემო და ერთობ რუსეთშიაც ხდებოდა, – რაგინდ გადაგვარდნენ ადამიანები, რაგინდ გაუუკუღმართდეს შეხედულებანი, მე მაინც ყოველთვის მექნება ეს საუცხოოდ შემზადებული გემრიელი სადილი, რომელსაც ახლა გეახლებით, ჰოდა დროების სუსხიც ვერ შემეხება". ეს ლამის ნეტარი აზრი თანდათან სულით ხორცამდე იპყრობდა და ფიზიკურადაც კი გადაახალისა, არამცთუ ზნეობრივად. ახლა სულ სხვაგვარ ადამიანად გამოიყურებოდა იმ "ზაზუნასთან" შედარებით, როგორსაც ორი წლის წინანდელს აღვწერდით, როცა ის სათაკილო ამბები შეემთხვა, – დიახაც, შუბლგახსნით, მხიარულად, თავმომწონედ გამოიყურებოდა. ის ავბედითი ნაოჭებიც კი, შუბლზე და თვალების ირგვლივ რომ გაუჩნდა, თითქმის

გაუქრა კიდევ. სახის ფერიც კი შეეცვალა, – თეთრ-ყირმიზს რომ იტყვიან, თითქმის იმგვარი გაუხდა. ამჟამად პირველი კლასის ვაგონში იჯდა ველჩანინოვი, კომფორტულ ადგილზე, და ჟამდაჟამ გონებაში ერთი აზრი ეწვეოდა ხოლმე: შემდეგ სადგურზე გზა იყოფოდა, ახალი განშტოება მარჯვნივ მიემართებოდა... "ამ პირდაპირ გზას თუ დროებით დატოვებდა და მარჯვნივ მიმავალს გაჰყვებოდა, სულ ორად ორი სადგურის მერე კიდევ ერთი ნაცნობი მანდილოსნის მონახულება შეეძლო. ის მანდილოსანი ახლახან დაბრუნებულიყო საზღვარგარეთიდან და ამჟამად თავის მაზრაში იმყოფებოდა განმარტოებით. ქალისთვის ვერაფერი სიამოვნება გახლდათ ეს განმარტოება, მას კი დიახაც ხელსაყრელად უჩნდა. ჰოდა, საშუალება ეძლეოდა არანაკლებ საინტერესოდ გაეტარებინა დრო, ვიდრე თუნდაც ოდესაში გაატარებდა. მით უმეტეს, რომ არც ის ოდესა გაექცეოდა სადმე..." მაგრამ ჯერ ისევ ჭოჭმანობდა და საბოლოოდ ვერაფერი გადაეწყვიტა; "ბიძგს ელოდა". ამასობაში სადგურს მიახლოებოდნენ; ბიძგმაც არ დაახანა. ამ სადგურზე მატარებელი ორმოც წუთს ჩერდებოდა, მგზავრებს სადილს სთავაზობდნენ. პირველი და მეორე კლასის მგზავრთათვის განკუთვნილი დარბაზის ზედ შესასვლელთან, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, უამრავი სულსწრაფი, აფუსფუსებული ხალხი მოგროვდა და, – ალბათ, ასევე ჩვეულების ძალით, – აყალმაყალი ატყდა. ერთი ძალზე კეკლუცი გარეგნობის ქალი, ოღონდაც მგზავრის პირობაზე მართლაცდა რაღაც მეტისმეტად მორთულ-მოპრანჭული, რომელიც მეორე კლასის ვაგონიდან გადმოსულიყო, ორივე ხელით ჩასჭიდებოდა და ლამის ძალისძალად მიათრევდა ულანს, სავსებით ყმაწვილ, ლამაზ ოფიცერს. ოფიცერი ლამობდა ხელიდან გასხლტომოდა. მაგარი ნასვამი იყო, და ქალი, ეტყობა მისი ნათესავი, გვერდიდან არ იცილებდა, ალბათ იმის შიშით, ვაითუ დასალევად ბუფეტს მიაშუროსო. უცებ ამ რია-რიაში ულანს ვიღაც ვაჭარი შეეჯახა, ისიც შექეფიანებული და თანაც ზომაზე მეტად. მეორე დღე იყო

უკვე, რაც ეს ვაჭარი ამ სადგურზე ჩარჩენილიყო. გარს არიფიონი ეხვია. სვამდა, ფულებს ფანტავდა და მატარებელზე კი სულ მუდამ აგვიანდებოდა. ისინი წაკინკლავდნენ, ოფიცერმა შემოუყვირა, ვაჭარმა გინება დაუწყო, სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ქალი ლამობდა, ულანი იქაურობისთვის განერიდებინა, ექაჩებოდა, თან მუდარის ხმით შესძახებდა ხოლმე: "მიტენკა, მიტენკაო!" ვაჭარს ეს უკვე მთლად სამარცხვინოდ მოეჩვენა; მართალია, სხვები იცინოდნენ კიდევ, მაგრამ ვაჭარმა ამ ამბავში რატომღაც ზნეობის შელახვა დაინახა და უფრო ამან გაანაწყენა. – დახე; "მიტენკაო!.." – გამკილავი კილოთი წარმოთქვა და თვითონაც ქალის ყაიდაზე გაუწვრილა ხმას. – ხალხისაც კი აღარ რცხვენიათ! მერმე ბორძიკით მიუახლოვდა ქალს, რომელიც ამასობაში იქვე, ახლო მდგარ სკამზე ჩამომჯდარიყო და ულანიც გვერდით მოესვა; ამრეხით შეათვალიერა ორივენი და წამღერებით გააგრძელა: – კახპა ხარ შენ, კახპა, სირცხვილ-ნამუსი დაგიკარგავს! ქალმა წამოიკვივლა და საცოდავად მიიხედ-მოიხედა, ხსნას ეძიებდა. ერცხვინებოდა და ეშინოდა კიდევ. ყველაფერ ამას ისიც დაერთო, რომ ოფიცერმა წამოიწია სკამიდან და ის იყო ღრიალით გაექანა ვაჭრისაკენ, მაგრამ ფეხი გაუსხლტა და სკამზევე დაებერტყა. ირგვლვ ხორხოცმა იმატა, მიშველებას კაციშვილი არ ფიქრობდა; ისევ ველჩანინოვმა გამოიღო თავი: უცებ კინწში სწვდა იმ ვაჭარს, შეატრიალა, ჰკრა ხელი და დამფრთხალი ქალისაგან ხუთიოდე ნაბიჯს იქით მიაწყვიტა. აყალმაყალიც ამით დამთავრდა; ჯეელი ვაჭარი მეტად გაცბუნებული იყო ამ კინწისკვრითა და ველჩანინოვის ზორბა აღნაგობით; ამფსონებმა მაშინათვე მოაცილეს იქაურობას. ფაქიზად ჩაცმული ბატონის წარმოსადგემა

გარეგნობამ სერიის მაყურებლებსაც რიდი აგრძნობინა: სიცილი შეწყდა. ქალი, გაწითლებული და ლამის ცრემლმორეული, მადლობის სიტყვებად იღვრებოდა. ულანიც: "მალაფ, მალაფო!" – ლულლულულებდა; ის იყო დააპირა ხელი გაეწოდებინა ველჩანინოვისთვის, მაგრამ ანაზდად სკამზე წამოწოლა მოეგუნება და ზედ გაიშხლართა. – მიტენკა! – ყვედრებით ამოიოხრა ქალმა და ნები ნებს შემოჰკრა. ველჩანინოვი კმაყოფილი იყო მთელი ამ შემთხვევით. ეს ქალი ინტერესს უღვიძებდა. როგორც ჩანდა, მდიდარი პროვინციელი ქალი უნდა ყოფილიყო, მდიდრულად ეცვა, მაგრამ უგემოვნოდ; ქცევაც, ცოტა არ იყოს, სასაცილო ჰქონდა. სწორედ იმგვარი ყაიდისა გახლდათ, წარმატების იმედს რომ აძლევენ ხოლმე დედაქალაქელ ფრანტებს, როცა ამ უკანასკნელთ გარკვეული მიზანი ამოდრავებთ ქალის მიმართ. საუბარი გაიბა, ქალი გულმოსული ლაპარაკობდა, ქმარს უჩიოდა, "ვაგონიდან გადმოვიდა და უცებ სადღაც გაქრა, ყველაფერი ამას მოჰყვაო; მუდამ ასე იცის, როცა გვერდით გჭირდება, სწორედ მაშინ დაჰკრავს ფეხს და სადღაც გადაიკარგებაო..." – საჭიროების გამო... – წაილულლულა ულანმა. – აჰ, მიტენკა! – კვლავ ხელი ხელს შემოჰკრა ქალმა. "იცოცხლე დღე დაადგება ამის ქმარს!" – გაიფიქრა ველჩანინოვმა. – რა ჰქვია თქვენს მეუღლეს? წავალ და მოვებნი, შესთავაზა ველჩანინოვმა. – პალ პალიჩი, – გამოეხმაურა ულანი. – თქვენს მეუღლეს პაველ პავლოვიჩი ჰქვია? – ცნობისმოყვარეობით დაეკითხა ველჩანინოვი, და მოულოდნელად მასსა და ქალს შორის ვიღაცამ ნაცნობი მელოტი თავი შემოყო. ერთბაშად თვალწინ ზახლებინების ბაღი დაუდგა ველჩანინოვს, იქაური უწყინარი გართობა გაახსენდა და მამბეზარა მელოტი თავი, რომელიც წამდაუწუმ მასსა და ნადეჟდა ფედოსეევნას შუა იყო ხოლმე შემოჩრილი. – ძლივს არ მოხვედით! – ისტერიულად შესძახა ცოლმა. ეს თვით პაველ პავლოვიჩი გახლდათ; შეშინებულ-გაკვირვებული შეჰყურებდა ველჩანინოვს, ისეთნაირად გაშტერებულიყო, თითქოსდა მოჩვენება გამოეცხადაო. აგრე ელდანაკრავს, ერთხანს ეტყობა სრულიად არაფერი გაეგებოდა იმისი, რასაც გაკაპასებული კილოთი სულმოუბრუნებლად ეჩიჩინებოდა შეურაცხყოფილი მეუღლე. ბოლოს შეტოკდა და ერთბაშად მიხვდა თავს დამტყდარ საშინელებას: მიხვდა თავის დანაშაულსაც, მიტენკას ჩხუბის ამბავსაც, და იმასაც, რომ ეს "მესიე", – ქალმა რატომღაც აგრე უწოდა ველჩანინოვს, – "ჩვენი მხსნელი და მფარველი ანგელოზი აღმოჩნდა, თქვენ კი – თქვენ მუდამ სადღაც იკარგებით, როცა საჭიროა გვერდით იყოთო..." ველჩანინოვს უცებ ხარხარი აუტყდა. – კი, მაგრამ ჩვენ ხომ მეგობრები ვართ, სიყრმის მეგობრები! – გაკვირვებულ ქალს შესძახა მან, თანაც მარჯვენა ხელი ძმაკაცურად და მფარველობით მხარზე გადახვია პაველ პავლოვიჩს, რომელიც იდგა და უღიმღამოდ იღიმებოდა, – ველჩანინოვზე არ ულაპარაკია თქვენთან? – არა, არასდროს უთქვამს რამე, – ცოტა არ იყოს შეცბა ქალი. – მაშ, ბარემ წარმადგინეთ თქვენს მეუღლესთან, უსინდისო მეგობარო! – ეს, ლიპოჩკა, მართლაც ბატონი ველჩანინოვია, აი... – ის იყო დაიწყო პაველ პავლოვიჩმა, მაგრამ მაშინათვე სამარცხვინოდ გაუწყდა სიტყვა. მეუღლე აენტო და ბრაზით გადაუბრიალა თვალები, ეტყობა "ლიპოჩკასათვის". – მერედა, წარმოიდგინეთ, არც კი შემატყობინა, რომ ცოლი შეირთო, არც ქორწილში დამპატიჟა, მაგრამ თქვენ, ოლიმპიადა... – სემიონოვნა, – შეაშველა პაველ პავლოვიჩმა. – სემიონოვნა! – გამოეხმინა

ანაზდად ულანიც, რომელსაც ის-ის იყო ჩაეძინა. – თქვენ უნდა აპატიოთ, ოლიმპიადა სემიონოვნა, ჩემი ხათრით, მეგობრების შეხვედრის ხათრით... ეგა – კეთილი ქმარია! და ველჩანინოვმა მეგობრულად მხარზე ხელი დაჰკრა პაველ პავლოვიჩს. – მე,

სულიკო, მე მხოლოდ ერთი წუთით... ჩამოგრჩით... – თავის მართლება სცადა პაველ პავლოვიჩმა. – და ცოლი თავმოსაჭრელად გაიმეტეთ! – მაშინვე პირში სიტყვა გამოგლიჯა ლიპოჩკამ, – როცა საჭიროა, არა ხართ, სადაც საჭირო არ არის – იქ გაჩნდებით ხოლმე... – სადაც საჭირო არ არის, იქ გაჩნდება, სადაც საჭირო არ არის... სადაც საჭირო არ არის... – კვერს უკრავდა ულანი. ლიპოჩკას ლამს სული შეკვებებოდა აღელვებისაგან; თავადაც იცოდა, ურიგოდ იქცეოდა ველჩანინოვის თანდასწრებით, რცხვენოდა კიდევ, მაგრამ თავი ველარ დაეოკებინა. – სადაც საჭირო არ არის, თქვენ მართლაც მეტისმეტად ფრთხილი ხართ, მეტისმეტად ფრთხილი! – ველარ მოითმინა მან. – საწოლქვეშ... საყვარლებს დაეძებს... საწოლქვეშ – სადაც საჭირო არ არის... – საშინლად გაფიცხდა უცებ მიტენკაც. მაგრამ მიტენკას უკვე ველარას შეასმენდით. თუმცაღა, ყველაფერი სასიამოვნოდ დაბოლოვდა. სრული ურთიერთნაცნობობა დამყარდა. პაველ პავლოვიჩი ყავისა და ბულიონის მოსატანად გაგზავნეს. ოლიმპიადა სემიონოვნამ აუხსნა ველჩანინოვს, რომ ო-დან მოემგზავრებოდნენ, სადაც მისი ქმარი მსახურობდა, და ახლა ორი თვით სოფელში აპირებდნენ ჩასვლას. სოფელი ახლო ყოფილიყო, ამ სადგურიდან სულ ორმოციოდე ვერსზე; იქ მშვენიერი სახლი და ბაღი ჰქონოდათ. თურმე სტუმრებსაც მოელოდნენ, მეზობლებიც ჰყოლოდათ; და თუ ალექსეი ივანოვიჩი იმდენად მოწყალე იქნებოდა, მათ ნახვას მოისურვებდა ამგვარ "სოფლურ განმარტოებაში", ისე შეხვდებოდა, როგორც მფარველ ანგელოზს, დიახ; იმიტომ რომ ახლაც შიშის ზარს სცემდა იმის გახსენება, რა მოხდებოდა, თუ რომ... და ასე შემდეგ, და ასე ამგვარად, – ერთი სიტყვით, "როგორც მფარველ ანგელოზსო". – და მხსნელსაც, მხსნელსაც, – აღტყინებით იმეორებდა ულანი. ველჩანინოვმა თავაზიანი მადლობა უძღვნა ქალს, უთხრა, მუდამ მზად მიგულეთო. რომ ის მოცლილი კაცია და ოლიმპიადა სემიონოვნას მიპატიჟება დიდად სასიამოვნოდ მიაჩნია. მერმე იმწამსვე მხიარული საუბარი გაუბა და ორი-სამი ქათინაურიც მარჯვედ გამოურია. ლიპოჩკა სიამოვნებისაგან გაწითლდა, და როგორც კი დაბრუნდა პაველ პავლოვიჩი, აღფრთოვანებით გამოუცხადა, ალექსეი ივანოვიჩი ისეთი კეთილია, მოვიპატიჟე და დამთანხმდა, მთელი თვე სტუმრად დაჰყოს ჩვენსა, სოფელში; შეგვპირდა, ერთ კვირაში ჩამოვალო. პაველ პავლოვიჩმა დაბნეულად გაიღიმა და ხმა არ გაუღია. ოლიმპიადა სემიონოვნამ გაკვირვებით აიწურა მხრები და თვალები ცად აღაპყრო. დაბოლოს დაშორდნენ: ერთხელ კიდევ ითქვა მადლობის სიტყვები, ისევ ახსენეს "მფარველი ანგელოზი", ისევ წარმოითქვა "მიტენკა", და პაველ პავლოვიჩმა, როგორც იქნა, ვაგონში ჩასასხდომად წაიყვანა მეუღლე და ულანი. ველჩანინოვმა სიგარა გააბოლა და ვაგზლის წინ, დერეფანში ბოლთის ცემას მოჰყვა. იცოდა, პაველ პავლოვიჩი ამ წუთასვე უკან მოირბენდა სალაპარაკოდ და, მანამ ზარს შემოჰკრავდნენ, აღარც დაეხსნებოდა. ასეც მოხდა. პაველ პავლოვიჩი უმაღვე ისევ გამოცხადდა; მისი მზერა და მთელი მისი იერი შეშფოთებით აღსავსე კითხვას გამოხატავდა. ველჩანინოვს გაეცინა; "მეგობრულად" მოჰკიდა მკლავში ხელი, მახლობელი სკამისკენ წაიყვანა, დაჯდა და ისიც გვერდით მოისვა. თავად ხმას არ იღებდა; უნდოდა ჯერ პაველ პავლოვიჩი ალაპარაკებულიყო. – მაშ, ჩვენსკენ აპირებთ? – წაიდუდუნა პაველ პავლოვიჩმა, ჯიქურ მიუდგა სათქმელს. – აკი ვამბობდი! სრულეებით არ გამოცვლილა! – ხარხარი აუტყდა ველჩანინოვს, – კი, მაგრამ ნუთუ თქვენ, – კვლავ ხელი დაჰკრა მხარზე, – ნუთუ თქვენ თუნდაც ერთი წუთით სერიოზულად იფიქრეთ, რომ მართლა გესტუმრებით, ისიც ერთი თვით – ხა, ხა! პაველ პავლოვიჩი უცებ სულ ერთიანად შეტოკდა. – მაშ, არ ჩამოხვალთ! – შესძახა მან, თავისი სიხარული სულაც არ დაუფარავს... – არ ჩამოვალ, არა! – თვითკმაყოფილებით

იცინოდა ველჩანინოვი. თავადაც არ ესმოდა, მაინც რა აცინებდა ასე ძალიან. – ნუთუ... ნუთუ თქვენ ნამდვილად ამბობთ მაგას? – თქვა თუ არა ეს, მღელვარე მოლოდინით ატანილი პაველ პავლოვიჩი სკამიდანაც კი წამოხტა. – აკი გითხარით, არ ჩამოვალ-მეთქი, – მართლაც ახირებული კაცი ხართ! – მაშ მე... თუკი აგრეა, მაშ მე რა ვუთხრა ოლიმპიადა სემიონოვნას, როცა ერთი კვირის შემდეგ არ ჩამობრძანდებით, ის კი მოლოდინში იქნება? – რა დიდი ძნელი რამ ეგ არის! უთხარი ფეხი მოუტეხია-თქო, ან რამე ამის მაგვარი. – არ დამიჯერებენ, – შესაბრალოსი ხმით ამოილაპარაკა პაველ პავლოვიჩმა. – ჰოდა, მოგხვდებათ კიდევ, არა? – ერთთავად იცინოდა ველჩანინოვი, – როგორც ეტყობა, ჩემო საბრალო მეგობარო, კანკალებთ

მაგ თქვენი მშვენიერი მეუღლის წინაშე, ჰა? პაველ პავლოვიჩმა გაღიმება სცადა, მაგრამ ამაოდ. ის ამბავი, რომ ველჩანინოვი უარს ამბობდა სტუმრობაზე, გაგიხარიათ, კარგი იყო; მაგრამ, აი, მეუღლის თაობაზე რომ ასე უკრძალავად ელაპარაკებოდა, ეს აღარ ვარგოდა. პაველ პავლოვიჩს ეხამუშა; ველჩანინოვმა შეატყო ეს; ამასობაში მეორედ შემოჰკრეს ზარს. შორით, ვაგონიდან, მოისმა ქალის წვრილი ხმა, შემფოთებით რომ უხმობდა პაველ პავლოვიჩს. პაველ პავლოვიჩი აწრიალდა, მაგრამ ძახილის გაგონებისთანავე მაინც არ გაქცეულა, ეტყობოდა, რაღაცას კიდევ ელოდა ველჩანინოვისაგან, – რაღა თქმა უნდა, ერთხელ კიდევ იმის აღთქმას, სტუმრად არ ჩამოვალ. – თქვენი მეუღლე ვისი ქალია? – დაეკითხა ველჩანინოვი, თითქოსდა პაველ პავლოვიჩის მღელვარებას სულაც ვერ ამჩნევსო. – ჩვენი ბლალოჩინის ქალიშვილია, – მიუგო ტრუსოცკიმ, – თანაც შემფოთებული იცქირებოდა ვაგონებისაკენ და აყურადებდა. – ჰაა, მესმის, სილამაზის გამო ითხოვდით. პაველ პავლოვიჩმა კვლავ იხამუშა. – კი, მაგრამ ეგ მიტენკა ვინლა გყავთ? – ჰო, ეგ ისე, ერთი შორეული ნათესავია ჩვენი, უკეთ ჩემი; ჩემი ბიძაშვილის, აწ განსვენებულის, ვაჟია, გვარად გოლუბჩიკოვი. უწესოებისათვის ხარისხი აჰყარეს, მაგრამ ახლა ისევ მიანიჭეს; ჩვენც ხელს ვუმართავთ... ერთი უბედური ყმაწვილი კაცია... "მაშ ასე, ყველაფერი რიგზე ყოფილა; სრულ შემადგენლობას მოუყრია თავი!" – გაიფიქრა ველჩანინოვმა. – პაველ პავლოვიჩ! – ისევ მოისმა შორეული ძახილი ვაგონიდან, ახლა უკვე მეტად ბრაზიანი კილო გამოსჰვიოდა ხმაში. – პალ პალიჩ! – გაისმა მეორე, ხრინწიანი ხმაც. პაველ პავლოვიჩი ისევ აფუსფუსდა და აწრიალდა, – მაგრამ ველჩანინოვმა იდაყვზე წაავლო ხელი და შეაყენა. – გინდათ, ახლავე მივიდე და თქვენს მეუღლეს მოვუყვე, ყელის გამოჭრას რომ მიპირებდით – ჰა? – რასა ბრძანებთ, რასა ბრძანებთ! – საშინლად დაფრთხა პაველ პავლოვიჩი, – ღმერთმა დაგიფაროთ! – პაველ პავლოვიჩ! პაველ პავლოვიჩ! – კვლავ მოისმა ერთობლივი ძახილი. – ჰო, კარგი, წადით! – ხელი უშვა ბოლოს ველჩანინოვმა, თანაც კვლავ უდარდელად ეცინებოდა. – მაშ, არ ჩამოხვალთ? – ლამის სასოწარკვეთილი ჩურჩულებდა უკანასკნელად პაველ პავლოვიჩი და, როგორც ძველად სჩვეოდა, ხელისგულები შეაქდო ველჩანინოვის წინაშე. – გაფიცებით-მეთქი, არ ჩამოვალ! გაიქეცით, მიუსწარით! – უთხრა და ფართოდ გაშლილი ხელი გაუწოდა, – გაუწოდა და შეცბა: პაველ პავლოვიჩმა არ ჩამოართვა ხელი, ის კი არა, უკან გასწია. მესამე ზარის ხმა გაისმა. ერთბაშად ორივეს საკვირველი რამ დაემართა: თითქოს ორივე გარდაიქმნაო. ველჩანინოვი, აგერ წუთის წინ რომ გულარხეინად იცინოდა, უცებ აენტო. გაცეცხლებულმა პაველ პავლოვიჩს მხარში მაგრად ჩასჭიდა ხელი. – თუ კი მე, მე გიწვდით აი, ამ ხელს, – მარცხენა ხელისგული უჩვენა, ზედ რომ მკაფიოდ დამჩნეოდა კაიხელა ნაჭრილობევი, – თქვენ მით უფრო უნდა ჩამოგერთმიათ! – წაიჩურჩულა ტუჩებათროლოლებულმა და

ჩაფიქრებულმა. პაველ პავლოვიჩსაც ფერი წაუვიდა, მასაც ტუჩები აუთრთოლდა, სახეზე რაღაცამ კრუნჩხვასავით დაუარა. – მერე ლიზა? – სწრაფად, ჩურჩულით ამოილულულა მან, – უეცრივ ტუჩები, ლოყები, ნიკაპი ერთიანად აუძიგძიგდა და, თვალებიდან ცრემლები წასკდა. – პაველ პავლოვიჩ, პაველ პავლოვიჩ! – გაჰკიოდნენ ვაგონიდან, გეგონებოდათ, იქ ვინმეს ყელს თუ სჭრიანო; ამ დროს სასტვენის ხმაც გაისმა. პაველ პავლოვიჩი გამოერკვა, ხელი ხელს შემოჰკრა და თავქუდმოგლეჯილი გავარდა; მატარებელი უკვე აიძრა, მაგრამ მან რაღაცნაირად იმარჯვა, კიბის საფეხურს მოებლაუჭა და თავის ვაგონს მაინც შეახტა. ველჩანინოვი სადგურზე დარჩა და მხოლოდ საღამოს გაჰყვა მეორე მატარებელს, ისევ ადრინდელი გზით. მარჯვნივ, მაზრაში მყოფი მანდილოსნის მოსანახულებლად აღარ გაუხვევია – მერედა, რარიგ ნანობდა ამას შემდგომ!